

სოსო მახარაშვილ გივანდიავა



# თეოფილ ხუცესმონაზონი

(მემორადებითი პორტრეტი)

F 79.754

3

K 241.076-77

3



մ օհս  
11/01/11 06  
պ. մ. թ.



სოსო გახარაშვილი

ხოლოვანს

გეგმის განხილვის

ავტორი

6. XI. 2002.

## თეოდოლე ჩეცესმონაზონი

(შემოქმედებითი პრიტრეფი)

თბილისი  
„მეცნიერება“  
2002

84.632.092 + 894.632 (003)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლები

წიგნი წარმოადგენს XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის თეოფილე ხუცესმონაზენის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. ძირითადად ათონური მასალების საფუძველზე მასში განხილულია თეოფილეს ლიტერატურული მოღვაწეობა, ორიგინალური და მთარგმნელობითი მემკვიდრეობა, პაგიოგრაფიული, ჰომოლეტიკური, ეგზეგეტიკური ასკეტურ-მისტიკური და დოგმატიკურ-პოლემიკური ფანრის თხზულებათა თარგმანები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექვემდებარება მწერლის მთარგმნელობით პრინციპებს, მეტაფრასელი ლიტერატურის ცალკეულ საკითხებს, თეოფილეს დაწყლს ქართული მეტაფრასტიკის ისტორიაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის და, საერთოდ, ძველი ქართული მწერლობის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

ქართველი მწერლები

რედაქტორი:

პროფესორი გ. ბენაშვილი


რეცენზენტები:

პროფესორი გ. ალიბეგაშვილი

დოცენტი მ. კობიაშვილი

248.866  
3

©, მეცნიერება, 2002



4603020102

607 (06) 002

ISBN 99928-962-5-6

2002 2002 2002  
2002 2002 2002  
2002 2002 2002  
2002 2002 2002

ვუძღვი ჩემი მასწავლებლის  
 პროფესორ იგანე ლოლაზვილის  
 ნათელ ხსოვნას

ავტორი

## წინათქმა

1981 წელს გ. პატარიაშვილი და ა. მიქაბერიძებ თბილისში ჩამოიტანეს აონის იურითა მონასტრის ხელნაწერთა მიკროფილმები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ამ უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული ქართული სალიტერატურო სკოლის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა XI საუკუნის შესანიშნავი ქართველი მწერლის თეოფილე ხუცესმონაზვინის (თარგმანის) ცხოვრება და მოღვაწეობაც, რაკიდა მისი ნაწერების ერთი ნაწილი ათობზე იყო დაცული და ჩვენი მეცნიერებისათვის აქამდე ხელმიუწვდომელი იყო. გამოკვეყნდა თეოფილეს უცრიბი პოეტური თხზულებები, დაწყო მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ცალკეული საკითხების დამუშავება. თბილისის ი. გავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია "ორიონში" და კ. ჩავლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შეუდგენ მწერლის თარგმანების გამოსაცემად მომზადებას.

1990 წელს თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ეპიფანე კვიპრელის "ოთხმეოცხვითა წვალებათათვას" თხზულებას მიუვადვენით ნაშრომი, რისთვისაც მოგვენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამის შემდეგ ხელი მოვიდეთ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულ შესწავლას.

ჩვენი შუმაბის პარალელურად საჭირო იყო გაგვეთვალისწინებინა და ერთგვარად შეგვეგამებინა კიდეც, რაც გაკეთდა და კეთდებოდა ჩვენს მეცნიერებაში თეოფილე ხუცესმონაზვინის სამწერლო მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით. ყოველივე ამან ასახვა პოვა გამოკვლევის შესავალ ნაწილში, სადაც გადმოცემულია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის ისტორია და თანამედროვე მდგრამარეობა.

შემდეგი ამოცანა იყო თეოფილე ხუცესმონაზვინის ცხოვრების გზისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის დაღვენა. გამოკლევის პრეცენტ მწერლის ანდერბ-მინაწერებზე დამყრებით წარმოვადგინთ თეოფილეს ბიოგრაფიის ჩვენეული ვერსია, ზოგადად მიმოვიზოლეთ მისი მთარგმელობითი და ორიგინალური შემოქმედება. აქ გარკვეულ სიმეჯლეს ქმნიდა ჩაგვერთო თუ არა მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში "ილარიონ ქართველის ცხოვრების" მეტაფრასული ჩედაცემა, რომელიც უკანასკნელი გამოკვლეულებით მას არ კვლევნიდა. ასეცაა ლურად ამ საკითხის განხილვას მიუვადვენით ამავე თავის ბოლო ნაწილი, რომელიც სხვათა შორის, წარმოვაზინეთ "ილარიონის ცხოვრების" შესინისტური ხსიათი და თეოფილეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოფლიშედველობა.



თეოფილე ხუცესმონაზონმა არა მარტო თარგმნა ქართულად ხომ მარტო ლოღოთებულის მეტაფრასული კორპუსის ძირითადი ნაწილი, არამედ დაგვიტოვა უნიკალური ცნობები მეტაფრასტიკის შესახებ. უცილებელი იყო ამ ცნობების ანალიზი ეფრემ მცირის, იოანე ქიფილინისისა და მიქაელ ფსელოსის ანალოგიურ წყაროებთან მიმართებით და ამგვარად მეტაფრასტიკის ისტორიული და თეორიული საფუძვლების განსაზღვრა, სვიმეონის ლიტერატურული მოღვაწეობის დროისა და ხასიათის დადგნანა, მეტაფრასული მწერლობის ქართულად თარგმნის ისტორიის გარკვევა. ეს საკითხები გავაშუქეთ მეორე თავში, ორმელშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართულ წყაროების მნიშვნელობა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის.

გამოკლევის შემდეგი ნაწილი თეოფილეს მიერ თარგმნილი ჰომილეტიკური და ეგზეგეტიკური ხსიათის თარგმანების განხილვას დავუთმეთ. აქ წმინდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებებთან ერთად გვერდი ვერ იყვარეთ ზოგიერთი თეორიული საკითხის გაანალიზებას; კერძოდ, რას ნიშნავს მეტაფრასული ჰომილეტიკა და შექმნა თუ არა ახალი ლიტერატურული მიმართულება საკლესიო მწერლობის ამ ფარს ისევე, როგორც პავიონგრაფიას? რა კაშირია ჰომილეტიკას და ეგზეგეტიკას, მეტაფრასტიკასა და ეგზეგეტიკას შორის? და სხვ.

ბოლო, მეორხე თავში, თეოფილე ხუცესმონაზენის ასკეტიკური ხსიათის თარგმნებს შევვხეთ ეფთვომე ათონელის შემოქმედებასთან კავშირში, რაკი მათ პარალელები ექვნებათ ამ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამასთან ერთად, საჭიროდ ვცანით თეოფილესა და მისივე თანამედროვე ეფრემ მცირის მთარგმნელობით პრინციპთა ურთიერთშევერება "შინა შეგვატელის წამების" მათ მიერ შესრულებული თარგმანების მაგალითზე. დასასრულ, დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებათა თეოფილესუული თარგმნები განვიხილეთ ერთ კანტექსტში, გამოვალინეთ მათი ერთიანობა და ურთიერთკავშირი, რაშიც დაგვეხმარა ლიტერატურული პარალელებისა და საკლესიო ტრადიციათა გათვალისწინება ქრისტიანულ მწერლობაში.

ამრიგად, წინამდებარე გამოკვლევაში ზოგადად წარმოდგენილია თეოფილე ხუცესმონაზენის ლიტერატურული მოღვაწეობის სრული სურათი. ამიტომ მონოგრაფიის ამ პირველ ნაკვეთს პირობითად მწერლის შემოქმედებითი პორტრეტიც კი შეიძლება ეწოდოს. მის მეორე მონაკვეთზე მუშაობა გაგრძელდება. აქ ძირითადი ადგილი დაეთმობა ცალკეული მეტაფრასტის პარალელური თარგმანების შესწავლას, თეოფილეს ტექსტების მიმართების ჩევნებას დავით ტბელის, სტეფანე სანანოვსტის, ეფრემ მცირისა და სხვა ანონშ ქართველ მთარგმნელთა ნაწერებთან და ამგვარად საბოლოოდ გამოკვეთება მწერლის მთარგმნელობითი მეორე, მისი ენისა და სტილის ძირითადი თავისებურებანი.

ჩვენ სიმოგნებით მივიღებთ მკითხველის ნებისმიერ საქმიან შენიშვნას და გავითვალისწინებთ ნაშრომის მეორე ნაკვეთზე მუშაობისას.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი



აღორძინების ხნის ქართულ მწერლობაში მწირი ცნობებია დაცული თეოფილე ხუცუსმონაზვნის შესახებ. ერთი მაშინდელი გადმოცემის მიხედვით საქართველოში შემოვიდნენ “მთარგმნელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალ-თოველი და იოვანე ტარიჭის ძე ქრისტეს აქათ ქორონიკონსა ჩრიდ” (A №131, გვ. 247 და მარიამ დედოფლისეული “ქართლის ცხოვრება” – S №30). თ. ქორდანიამ, რომელმაც გამოაქვეყნა ეს ცნობა, ტექსტში შეიტანა კონიექტურა – ჩრიდის (=1174წ.), ნაცვლად ჩრიდ (=1114წ.), რაღაც არსენ იყალთოველი რომ 1103 წელს ქართლში ყოფილა, ამას მოწმობს რუს-ურბნისის კრების ძევლის-წერა, ამასთან თეოფილე, არსენი და იოანე ტარიჭი მიიცვალნენ თუ მოვიდნენ 1116 წელს.<sup>1</sup> მაგრამ ეს გასწორებული თარიღიც არ უნდა იყოს მთლად ზუსტი. სხვას რომ თავი დავანებოთ, 1114 წლისათვის ეფრემ მცირე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.<sup>2</sup>

სსენებული გადმოცემა ცნობილი ყოფილა ანტონ I კათალიკოსისთვის, რაკიდა ის თეოფილეს ზემოთხმოთვლილ მწერალთა შორის მოიხსენიებს. ანტონი “წყობილსიტყვაობაში” ქვების სიტყვებს არ იშურებს მამა თეოფილესათვის:

“ესე ბრწყინვალე – მრჩობლ-ფილოსოფოსობით

და მმარხუცელობით ყოვლად განთქმული კაცი,

თანამედროვეთა თუსთა ფილოსოფოსთა –

იოანეს და ეფრემის და არსენის

თანარაცხვის ლორსი, წიგნი მთარგმნე ჩუენდა სულით.”<sup>3</sup>

დაახლოებით იგივეს იმეორებს იოანე ბატონიშვილი “კალმასობაში”: “ესე მამა თეოფილე იყო ქართველი და თანამედროვე ძველთა მამათა ქართველთა – არსენისა, ეფრემისა და იოანე ფილოსოფოსისა, სიბრძნისმოყვარებასა შინა სრული და ღმრთის-

<sup>1</sup> ეროვნული და სხვა მნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიისა შეკრებილი, ქრონიკოგიურად დაწყობილი, ამნილი და ამოცულებული თ. ფ. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა. ს. მიერ, I, თვე, 1892 წ., გვ. 225, 241. შენი: კ კ ე კ მ ლ ი ძ. კ, ქველი ქართული რატორუატურის ისტორია, I, თბ., 1980 წ., გვ. 243.

<sup>2</sup> ლ ლ ლ ა შ ვ ი ლ ი, ათონური ქართველ ხელნიშვირთა სიახლენი, თბ., 1982 წ., გვ. 40-41.  
<sup>3</sup> ტ რ ო ნ ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოაწადა, გამოცემა, კამერტარები და ლექსი-რობრუოთ ლ ლ ა შ ვ ი ლ მ ა თ, 1980 წ., გვ. 271, სტრაფუ 750.



შეტყველი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და მთარგმნელი ტექსტებულებაზე  
ქართულთა ზედა, რომელ ესეცა დაშვრა ზემოსენებულთა მთარგმნელთა თხზულია.

XIX საუკუნის მკლევართაგან მარი ბროსემ პირველმა მოიხსენია თეოფილე  
“ილარიონ ქართველის ცხოვრებასთან” დაკავშირებით.<sup>5</sup> მისი აზრით, თხზულება ჯერ  
დაწერა ბერძნულად ბასილი იმპერატორის ბრძანებით ბასილი მონაზონის მიერ,  
ხოლო შემდეგ ითარგმნა ქართულად ვინმე თეოფილეს მიერ. მეცნიერი საჩვებლობდა  
თეომურაზ ბატონიშვილის კუთვნილი ხელნაწერით (სანქტ-პეტერბურგის აღმოსავ-  
ლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ნუსხა – H22), რომელიც შეიცავდა “ილარიონის  
ცხოვრების” მეტაფრასულ რედაქციას.

მ. ბროსეს მოსაზრება გაიზიარეს დ. ბაქრაძე<sup>6</sup> და ა. ცაგარელმა.<sup>7</sup> თუმცა ამ  
უკანასკნელმა თეოფილე შეცვალა ვინმე თ ე ო ფ ა ნ ე თ ი და “ილარიონ ქართ-  
ველის ცხოვრების” სხვა მთარგმნელზე – ეფთვიმე ათონელზეც გამახვილა  
ყურადღება (ემარგებოდა ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერს – A558-  
ს, რომელშიც შედიოდა სენებული თხზულების ვრცელი რედაქცია).<sup>8</sup>

საიდან გაჩნდა ა. ცაგარლის ნაშრომში თეოფილეს ნაცვლად თეოფინე, ძნელი  
საოქმედია. თავად მეცნიერი გ. ბროსეს ზემოსენებულ წიგნს იმოწმებს, მაგრამ იქ  
ასეთი რამ არ წერია. ერთი კი არის, თეომურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატა-  
ლოგში, რომელიც მისი გამომცემლის, ს. იორდანიშვილის აზრით, შედგენილია  
თეომურაზის გარდაცვალების შემდეგ (1846წ.), “ილარიონის ცხოვრების” მთარგმნე-  
ლად მოხსენიებულია ქართველი თ ე ო ფ ა ნ ე მთარგმნელი. თუმცა კატალოგს  
დართულ შენიშვნებში (№63.%) ეს სახელი გასწორებულია თ ე ო ფ ი ლ ე დ.<sup>9</sup>  
საინტერესოა, რომ ცაგარლის მიერ გამოქვეყნებულ იმავე თეომურაზის წიგნსაცავის

<sup>4</sup> ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმილია, II, კ კ ე კ ე ლ ი ი ს ა და ა ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქტორით, 1948 წ., გვ. 175. მცრაუ უწყებაზე გრიფებით მართველთაგან (XVI-XIX სს.), გამოსუმას მოამზადა, გმირებულება, კანონისტურება, დოკუმენტთა დარღვევა, 1982 წ., გვ. 169-170.

<sup>5</sup> M. Brossat, Histoire de la Georgie, I partie, S. – Peterbourg, 1849, p. 273, not. I. შრდ.: P. Peters, S.Hilarion d'Iberie, Anlecta Bollandiana, T. XXIX, Bruxelles, 1913, p. 237.

<sup>6</sup> ბ ა ბ უ შ ტ რ ი ა ს ა ქ ა რ ა მ ი ძ ი ს გამოცემა, ნაწ. I, ტკ., 1885 წ., გვ. 125, შენ. 2.

<sup>7</sup> А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Православный палестинский сборник, т. IV, вып. I, С. - Петербург, 1888г., стр. 41.

<sup>8</sup> მ. ათონის იურიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღმებით, მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1901 წ., გვ. 69-108.

<sup>9</sup> თეომურაზ ბატონიშვილის წიგნთაცავის კატალოგი, დამზადა გამოსაცემად, წინასტუკაობა და შენიშვნები დაურიონ ს. ო ა დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1948 წ., გვ. III-VIII; 19-20; 47.



კატალოგში, რომლის დედანიც თვით სწავლულ ბატონიშვილს შეუფლენულუ ჟენე  
ნებული ნაწარმოების მთარგმნელად თეოფილე ქართველია გამოცხადეს.<sup>10</sup>

თეოფილეს მოღვაწეობას შეეხნენ აგრეთვე პ. იოსელიანი და მ. საბინინი.

პ. იოსელიანი ანტონ I კათალიკოსის “წყობილი ტყვაობის” შენიშვნებში წერდა:  
“თეოფილე ჰესტოვრებდა 1050 წელს აღზრდილი ათონის მთასა, შევიდა მუნ  
მონაზონად და შეიქმნა მიტროპოლიტია ტარსის ქალაქისა და მუნიც აღსრულდა. ამან  
გარდამოილო ბერძნულიდამ: 1) ლიტურგია მოციქულისა პეტრესი 2) ლიტურგია მო-  
ციქულისა იაკობისა 3) ც ხ თ ვ რ ე ბ ა წ მ. ი ლ ა რ ი თ ნ ქ ა რ თ უ წ ლ  
ი ს ა, თარგმნილი ბერძნულით. ცხოვრება ესე იყო ბერძნულად აღწერილი მოწაფისაგან  
მისისა ვასილისა, ბრძანებითა იმპერატორისა ვასილი მაკედონელისა”<sup>11</sup>.

მ. საბინინიც დაბეჭითებით მიუთითებს, რომ “ილარიონ ქართველის ცხოვრება”  
ქართულად თარგმნა თეოფილე მონაზონმა, რომელიც შემდგომ მიტროპოლიტი გახდა  
აზისის ქალაქ ტარსისისა; თან ამატებს, თარგმანი შესრულდა დავით III აღმაშენებლის  
(1089-1025წწ.) ბრძანებითა და სურვილითო.<sup>12</sup>

ეპისკოპოსი კირიონი თავის წიგნში<sup>13</sup> თითქმის მთლიანად იმეორებს ა. ცაგარლის  
მოსაზრებას ვინმე თეოფანეს მიერ “ილარიონის ცხოვრების” ქართულად თარგმნის  
შესახებ, ხოლო თავად თეოფილეს აიგვებს ტარსუს მიტროპოლიტ თეოფილესთან,  
სადაც უკვე ემყარება მ. საბინინისა და პ. იოსელიანის შრომებს.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევრებმა თეოფილე ხუცეს-  
მონაზონი მიიჩნიეს “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მთარგმნელად და მისი სახელი  
დაუკავშირებს გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში” მოსსენიებულ  
თეოფილეს. ეს უკანასკნელი ესწრებოდა 1057 წელს ანტიოქიაში გამართულ ცნობილ  
სარწმუნოებრივ პაექტორის გიორგი მთაწმიდელსა და პატრიარქ თეოდოსის (1057-  
1076 წწ.) შორის. “ცხოვრების” მიხედვით, როდესაც გიორგიმ ქართული ეკლესიის

<sup>10</sup> А. А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, Санктпетербург, 1894г., стр. 164.

<sup>11</sup> წყობილი ტყვიამა, ქმნილი ან ტონ ნისგან პირ უ წ ლ ი ს ა, კათოლიკოს - პატრიარქი ს ა კოლი საქართველოსა, პ. იოსელი ე ლ ი ა ნ ი ს გამოცემა, ტუ, 1853 წ, გვ. 259., შენ. 138.

<sup>12</sup> საქართველოს სამოსე, მ. ს ა ბ ი ნ ი ს გამოცემა, პეტერბურგი, 1882 წ, გვ. 371, შენ. 1.

<sup>13</sup> Е п и с к о п К и р и о н, Культурная роль Иверий в истории Руси, Тифлис, 1910г, стр. 31; 40-41.

ავტოკეფალობის საბუთად „შიმოსვლა ანდრია მოციქულისა“ დაასახელა ფერწერის გადაცემის დროის მიზანით. ამ დროის მიზანით ანდრია მოციქულისა და მისი მოღვაწეობის საბუთად დაასახელა ფერწერის გადაცემის დროის მიზანით.

თეოფილე ხუცესმონაზვნისა და თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტის იღენტიფი-  
კაცია არასწორად მიიჩნია კ კეჩილიძემ 1920 წელს გამოქვეყნებულ ნარკვეში:  
“ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველის)”:<sup>15</sup>  
მკვლევარი წერდა: ჩვენმა ისტორიაშ თრი თეოფილე იცის: ერთი ტარსუს მიტრო-  
პოლიტი, მეორე ხუცესმონაზვნი. პირველი მოსენიებულია გიორგი მთაწმიდლის  
“ცხოვრებაში”, რომელიც დაწერილია ბაგრატ IV სიცოცხლეში, 1066-1072 წლებში.  
მას მიტროპოლიტობა 1072 წლამდე მიუღია. ხოლო მეორე თეოფილე, როგორც მისი  
ერთ-ერთი შრომის მინაწერიდან ჩანს, 1081 წელსაც ხუცესმონაზონი ყოფილა. ტარ-  
სუს მიტროპოლიტი თეოფილე არაფრითაა ცნობილი ქართულ მწერლობაში, რაც  
შექხება ხუცესმონაზონ თეოფილეს, მას შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მწიგნო-  
ბრობის ისტორიაში, რადგან უთარეგმნია არა ნაკლებ 46 მეტაფრასისა. შესაძლებე-  
ლია, ილარიონის “ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციაც მსხვევ დაწერილი იყოს.<sup>16</sup>

1918 წელს, ქართული ჰეგიოგრაფიული ძეგლების გამოცემისადმი წამდლვარებულ გამოცემებში, ა კეკლიძე პირველად შექმნა თეოფილეს მთარგმნელობით მოღვაწეობას.<sup>17</sup> საზოგადოდ კი მის სახელთანაა დაკავშირებული ამ მწერლის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა. მკლევარმა რ. ბლეიკის მიერ გამოცემული “ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კატალოგის”,<sup>18</sup> განსაკუთრებით კი ათონის №20 ხელნაწერის შესავლისა და ანდერძის საფუძვლიზე განსაზღვრა თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო, მიუთითა

<sup>14</sup> ქველი ქართული აგონიტაციული ლიტერატურის ქველები, წიგნ II (XI-XVს.), ა. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელ-ბიბისა და რედაქტორის, თბ., 1967 წ., გვ. 153-154.

15 კ მ ე კ ე ლ ი ძ ე . მ ღ უ ლ ე ბ ი ჰ ვ ლ ი ქ ა რ უ ლ ა ლ ი ტ ე რ ი ს ს ტ რ ი ს ი ა ნ , IV, თბ., 1957 წ., გვ. 134-158 (ნაჩ ე ც ი დ ე ბ ი რ ი ლ ი ა რ ი დ ე ბ ი ს უ ნ ი რ ი ს ი ტ ე რ ი ს მ ა შ ი ი ა ნ -I, 1920 წ., გვ. 39-67).

<sup>16</sup> ຂ ຈ ດ ດ ແ ດ ອ ດ ດ, ເຖິງລະບອບ, IV, ພ. 148. ໜັງ: ມ ອ ສ ອ ຕ ດ ຖໍ່ລະດ ປໍ່ນຕູ້ລູ ລ ອໍ່ຫຼົກສິ່ງ ສັນຕິພາວ, I, ພ. 244-245.

<sup>18</sup> R. Blaek, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris, 1932-34.



მისი მთარგმენტობითი საქმიანობის დასაწყისზე, გაარკვევა მთარგმენტობის შემთხვევაში და მიმართულება და მიუჩინა მას საონადო აღვილი ქართული მწერლობის აღმოჩენის შემთხვევაში.

ამონინდა, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი, რომელიც ყოფილა მოწაფე გიორგი  
მთაწმილლისა, მოღვაწეობდა XI საუკუნის II ნახევარში, ლიტერატურული საქმიანობა  
დაუწყია გიორგი მეფის ბრძანებით, ე.ი. არაუადრეს 1073 წლისა. თეოფილეს ნაყო-  
ფიერად უმუშავა ჰომოლეტიკურ, დოგმატიკურ-პოლემიკურ, ასკეტიკურ-მისტიკურ  
თუ ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში. ამ უძრებილან გას არაერთი თვალსაჩინო ძეგლი  
უთარგმნია ქართულად. და მანც, ყველაზე მეტი მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის დარ-  
გში გაუკეთებია. მარტო ის რად ღირს, რომ მის ნაწერებს შემოუნაბავთ უნიკალური  
ცნობები, რომლებიც ბერძნული მეტაფრასტიკის წარმოშობას, ხასიათს და მისი მამამ-  
თავრის – სვიმეონ ლოლოთეტის მოღვაწეობას ეხება. თავად თეოფილეს გადმოულია  
ბერძნულილან ქართულ ენაზე სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავები  
მთლიანად, ხოლო ნოემბერ-დეკემბერი ფრაგმენტულად (ყოველ შემთხვევაში, ამ  
თვეების საკითხავები არასრულადაა ჩვენამდე მოღწეული). ეს გარემოება, აღნიშნავდა  
ჯ კეცელიძე, საქაო საბუთს იძლევა დაისვას საკითხი: ხომ არ თარგმა მან სვიმეონის  
მთვლი კრებული? კლევის პროცესში მეცნიერმა სხვა არაერთი აქტუალური პრობ-  
ლემა წამოჭრა ქართული მეტაფრასტიკის ისტორიიდან და თავისებურადაც გააშუქა.  
მაგალითად, რატომ ანიჭებს თეოფილე თავის თავს პრიორიტეტს მეტაფრასული  
ლიტერატურის თარგმაში? ანდა, რითაა გამოწვეული ამ დარგში პარალელური  
ქართული თარგმანების არსებობა თა ა. შ.<sup>19</sup>

თეოფილეს ცალკეული თარგმანები განიხილეს რ. მიმინოშვილმა<sup>20</sup> და მ. დვალიმა,<sup>21</sup> ხოლო მწერალს, როგორც „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ერთ-ერთ შესაძლო მთარგმნელსა თუ ავტორს, შეენიშნა ბ. კილანავა და მ. დოლაშვილი.

<sup>19</sup> ჰ ე მ ე ლ დ გ ე ქრისტული ნათარებში აღიღტრავთ, B. შეტატრასული რედაქტორ, ეროვნული, V, თბ., 1957 წ., გვ. 140-158 (პრეცედენტ გენერალური სათავურის: „ზორანტონი შეტატრასტოფა და ქრისტული აღიღტრავთ“) – თსუ შემოქმედი, XXIX ბ, 1947 წ., გვ. 19-95). მ ი ს ი კ ე დ ე ქრისტული ლოტენსტრუნის სტურია, I, გვ. 243-246.

<sup>20</sup> რ. მ ი გ ი ნ ი შ ვ ი ლ ა მშენის შემოქმედებების „უსტატრების“ ახლი რედაქტორი ქრისტულ შეტატრასტი, საქ. სარ ქული აკადემიის მრავალშე, XXIII, თბ. 1959 წ., №6, გვ. 753-757.

<sup>21</sup> შეტატრასტის ნოველების ძველი ქრისტული თარგმნები, I, რეპიტი გამოსაზემად მრავალშე, ამინისტრაცია და თამაზ-



ბ. კილანავამ განიხილა XIX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში შეასრულებული მოსაზრება, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს “ილარიონის ცხოვრების” მთარგმნელად აცხადებდა და, ბუნებრივია, უარყო. მანვე კრიტიკულად შეაფასა კ კველიძის თვალსაზრისი თხზულების ატრიბუციასთან დაკავშირებით.<sup>22</sup>

მ. დოლაქიძე უკვე სპეციალურად შეეხო “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორობასა და შექმნის ოდგილს. მისი აზრით, ხსენებული რედაქცია გარეჯის უღაბნოს მოღვაწის მიერ არის დაწერილი, მაგრამ არა საქართველოში, არამედ პალესტინაში, იერუსალიმის მიღამოებში მდებარე მონასტერში. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ავტომატურად მოიხსნა თეოფილეს ავტორობის საკითხიც. თეომურაშ ბატონიშვილისეული წიგნისაცავის კატალოგის ცნობების კრიტიკულმა განხილვამ მკვლევარის აზრი თითქოს უფრო სარწმუნო გახდა,<sup>23</sup> მაგრამ ამან მაინც ვერ გააბათილა პირველადი ბიბლიოგრაფიული წყაროს – სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერ H22-ის (XII-XIII სს.) მინაწერის ჩვენება, რომ ილარიონის მეტაფრასული “ცხოვრების” ავტორი არის თეოფილე თარგმანი, ე. ი. ხუცესმონაზონი.

კონსტანტინოპოლის ქართულ სამწერლო კერებთან დაკავშირებით თეოფილე ხუცესმონაზონს მოიხსენიებს ლ. მენაბდე.<sup>24</sup>

1980 წელს გამოქვეყნდა ჭ. აუციაურის წიგნი “გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდელის ცხორება”. მკვლევარი შეეცადა გაღაესინჯა გიორგი მცირის თხზულების დაწერის ტრადიციული თარიღი (1066-1068წწ.) და კვლავ დასვა თეოფილე ხუცესმონაზენისა და თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტის იგივეობის საკითხი. მნ დამოწმა პ. იოსელიანისა და მ. საბინინის ცნობილი მოსაზრებანი ხსენებული ორი თეოფილეს იდენტურობაზე, შემდეგ სცადა გაეტათილებინა კ კველიძის მყარად არგუმენტირებული თვალსაზრისი, რომელიც XIX საუკუნის მკვლევართა მოსაზრებას მცდარად მი-

<sup>22</sup> ბ. კ ლ ა ნ ა ვ ა, ღლარიონ ქართველის ცხოვრების ატრიბუცია – წიგნში ქართული დაწურულობის სათავებთან, თბ., 1990 წ., გვ. 281-317 (გაღმომებულილია თუ შრომების ლიტერატურასთვის დაწერების სტატიდან – 191, 1977 წ., გვ. 81-93; 194, 1979 წ., გვ. 55-66).

<sup>23</sup> გ. დ ლ ა ჭ ი ძ კ, ღლარიონ ქართველის ცხოვრების ძეველი რედაქციები, თბ., 1974 წ., გვ. 83-88. შრო: ი. ლ ო ლ ა შ ი ლ ი „ღლარიონ ქართველის ცხოვრების“ ერთულ და მიუღებ რედაქტურისათვისთვის, მარკებულებელი, თბ., 1984 წ., გვ. 54 (გაღმომებულილია „ძეველი ქართული შეტრანსლისა და რესთაველობის საკითხებიდან“ – VII-VIII, თბ., 1976 წ., გვ. 24-28).

<sup>24</sup> ლ. მ ე ნ ა ბ დ დ ე, ძეველი ქართული მწერლობის კრები, 11, თბ., 1980 წ., გვ. 249.



იჩნევდა და თავის მხრივ, ამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ მოტექსტი მიშენდა საბუთები:<sup>25</sup>

1. გიორგი მთაწმიდელი, რომელიც იყო თეოფილე ხუცესმონაზნის “შზრდელი და მოძღვარი”, სრულიად დასაშეგებია ყოფილიყო იგივე თეოფილე ტარსუს მიტროპოლიტის მოძღვარი.
2. “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორის პოზიციაში ქართველთა სარწმუნოებრივი სიწმიდის მიმართ შეინიშნება გამოძახილი გიორგი მთაწმიდელის ცნობილი დისტუტისა, რომლის მოწმე თეოფილე (მომავალში ტარსუს მიტროპოლიტი) ყოფილა.
3. თეოფილე ხუცესმონაზონი, რომელიც აღმა 1057 წელს დაემოწავა გიორგი მთაწმიდელს, განსხვავებით გიორგი მცირისაგან, მთლად ზუსტად ინფორმირებული არ არის თავისი მოძღვრის ლიტერატურულ საქმიანობაზე, რადგან ამ უკანასკნელის სამწერლო მოღვაწეობის უფრო დიდი მონაკვეთი აოონზე მოდის.
4. 1098 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა თურქებს წარმოვეს ანტიოქია და იერუსალიმი, თეოფილე ქართველმა კათოლიკებული მიიღო. ამ აქტთან დაკავშირებით უნდა მომზადარიყო გაკათოლიკებული თეოფილეს ტარსუს მიტროპოლიტად დანიშვნა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაწერილიყო “გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაც” (ნაშრომის სხვა აღგილებში გიორგი მცირის თხზულების დაწერის თარიღად XI საუკუნის 80-იანი წლები თუ 1089 წლის შემდგომი პერიოდია გამოცხადებული).

კ აფერისურის ნაშრომში თავალშისაცემია ფაქტებისადმი აშკარა ძალადატანება: ჰკვლევარი გრძნობს, რომ მის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება გიორგი მცირის თხზულების დაწერის ტრადიციული თარიღის შესაცვლელად აშკარად არასაკმარისია. ამიტომ იგი ეძებს ახალ საბუთებს, რომლებიც მის მოსაზრებას განამტკიცებს. აი, აქ ამოტივტივდა სწორედ XI საუკუნის ორი თეოფილეს იდენტურობის მივიწყებული და უარყოფილი ვერსია. ასე რომ, ერთ, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელ პაპოზებს დაემატა მეორე არასწორი პიპოთეზა და დასკვნაც შესაბამისი გამოვიდა: “გიორგი მთაწმიდელის

<sup>25</sup> გ. ა ფ ც ი ა უ რ ი, გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდელის ცხორება”, თბ., 1980 წ., გვ. 36-42 ჭრ.: მ ი ს ი - 3 კ, გიორგი აოონშილის ცხოვრების დაწერის თარიღისათვის, მანქ. ენისა და ლიტერატურის სკრია, თბ., 1967 წ., №1, გვ. 173-187.



ცხოვრება” დაწერილია 1089 წლის შემდეგ, რაღაც საკვლევი ტეგლის რენატოს და თეოფილე ხუცესმონაზონი ერთი და იგივე პირია; და პირიქით, რაკი ეს ორი თეოფილე ერთი და იგივე პირია, მაშააღამე, “ცხოვრებაც” 1089 წლამდე აღრც ვერ დაიწერებოდა.

ქ. აუცილურის წიგნს გამოქმნაურა ი. ლოლაშვილი. მან სრულიად დამაჯერებლად დაასაბუთა “გიორგი მთაწმილის ცხოვრების” დაწერის ტრადიციული თარიღის დაასაბუთა “გიორგი მთაწმილის ცხოვრების” დაწერის ტრადიციული თარიღის ვითომ-ცდა გაკათოლიკების მცდარი ვერსია, რის ფაქტიც საკრთოდ არ არსებობს ძველ ქართულ თუ უცხოურ წყაროებში.<sup>26</sup>

ი. ლოლაშვილის ნაშრომით – “ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი”, იწყება თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული კვლევის ახალი ეტაპი. მან პირველმა შეისწავლა თეოფილეს ავტოგრაფთა მიკროფილმები (A1-20, 29, 36, 37), გამოამზეურა ახალი, ჩვენი მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი მასალები (განსაკუთრებით წინაბჭები, ანდერძები და მინაწერები), რის შედეგადაც გაირკვა თეოფილეს მშობლების ვინაობა, დაზუსტდა მისი მოღვაწეობის ცალკეულ მხარეები, გამოიკვეთა მწერლის მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი თავისებულებანი, ახლებურად იქნა გააზრებული ზოგიერთი საკვანძო საკითხი ქართული მეტაფრასტურის ისტორიიდან. უმთავრესი კი მაინც ის იყო, რომ მკვლევარმა გამოავლინ თეოფილეს უცნობი პოეტური თხზულებები – 10 და 16 მარცვლიანი ორიგინალურ ლექსები და მისცა მათ პირველი მეცნიერული შეფასება, რითაც კიდევ უფრო შეასრულა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა მწერლის ლიტერატურული მექანიზრების შესახებ.<sup>27</sup>

მეტაფრასტიკასთან დაკავშირებით თეოფილეს მოღვაწეობას შეეხნენ: ვ. ბააკა-

<sup>26</sup> ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 39-40. შედრ.: მისი ვაკე როდის დაწერის ტრადიციული ცხოვრების, მრავალურებით, გვ. 64-72 (გამომცემულია უცნობი ქანც და ლოტერატურული სკოლაში); თბ., 1968 წ., №3, გვ. 56-59); გიორგი გორგაძე გიორგი მთაწმილეობის ტექსტი გამოსაცემად მომზადა, გამოკვლეულა და ლექსიკონი დაუტოვოთ ი. ლოლაშვილი, გვ. 11-12.

<sup>27</sup> ი. ლოლაშვილი, მე-11 საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი ათონის ივერის მონასტრის სელნაწერების კლებურიდან, მათობი, №5, თბ., 1982 წ., გვ. 152-161. შედრ.: მისი ვაკე ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 36-57.



შვილი,<sup>28</sup> ე. ხინთიბიძე<sup>29</sup> და რ. სირაძე<sup>30</sup>

კ კეკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივმა დაწყო-შეტაციასული ლიტერატურული ძეგლების სისტემური გამოქვეყნება. უკვე გამოვიდა სექტემბრის თვის საკითხავები.<sup>31</sup> მისმა გამომცემელმა, ნ. გოგუაძემ, მოაზრდა გამოსაცემად ამავე თვის შეტაცრასების თეოფილე ხუცესმონაზენისეული თარგმანი, ხოლო ლ. ახობაძემ და მ. კვაჭაძემ – ნოემბრისა და დეკემბრის თვის საკითხავი მასალა. ნ. გოგუაძემ დაწერა აგრეთვე ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ხასიათის საყურადღებო გამოკვლევები შეტაცრასტიკაზე და თეოფილეს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე – “შეტაცრასული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის”, “სექტემბრის თვის შეტაცრასების ათონური ნუსხა”, “გრიგოლ სომებთა განმანათლებლის “ცხოვრების” თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი”,<sup>32</sup> “შეტაცრასების ქართულად თარგმნის პრინციპები”<sup>33</sup> და სხვ. ლ. ახობაძემ კი ორი წერილი მიუძღვნა თეოფილეს შემოქმედებას – “ნოემბრის თვის შეტაცრასების ორი ათონური ნუსხა” და “ითანე ოქროპირის ცხოვრების” თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი”<sup>34</sup>.

ითანე დამასკელის “ღვთისმშობლის შობის” ერთ-ერთ ქადაგებას შეისწავლის ქ. სალადაა, რომლის კვლევის სფეროში ამ ძეგლის თეოფილესეული თარგმანიც მოექცა.<sup>35</sup>

თეოფილე ხუცესმონაზენის ერთ-ერთი თარგმანის (“საბა განწმენდელის ცხოვრება”) ფონზე განიხილავს თ. გრძელიძე მეტაფრასტიკის თეორიისა და პრაქტი-

<sup>28</sup> კ. ბ. ა. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ქართულ-ბიზანტიური შეტაცრასული ფილორაციის ურთიერთმიმართება და მიზიალუ თავისებურებაში, ძეგლი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII), თბ., 1977, გვ. 3-19.

<sup>29</sup> კ. ხ. ი. ნ. თ. ი. გ. მ. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982 წ., გვ. 98-101.

<sup>30</sup> ჩ. ს. ი. ა. ა. ვ. ქართული ქართული აზრის ისტორიისათვის, თბ., 1978 წ., გვ. 140-162.

<sup>31</sup> ძეგლი შეტაცრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გმილაცემად მოაზრდა, კამენტარები და საძიებულებები ნ. გ. ი. გ. უ. ა. პ. ე. მ. თბ., 1986 წ.

<sup>32</sup> კ. მაკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მჩავალთავი, XI, თბ., 1985 წ., გვ. 3-12; XII, თბ., 1986 წ., გვ. 101-113; XVII, თბ., 1992 წ., გვ. 38-58.

<sup>33</sup> სახარელოვანი კვლევით, ქართული სახულისრო შეტაცრობისა და ქაისტანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, სეტებრცხვლობის მიღწევით პრეველ სამეცნიერო კონფერენციის მსალები (11-13 ოქტომბერი, 1995), თბ., 1998 წ., გვ. 133-137.

<sup>34</sup> კ. მაკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მჩავალთავი, XV, თბ., 1989 წ., გვ. 32-37; XVII, გვ. 59-68.

<sup>35</sup> ტ. ს. ა. ლ. ა. ი. ა. ითანე დამსკელის “ღმრთისმშობლის შობის” ჰომილის ძეგლი ქართული თარგმანები, თსუ ახლოების ფილორის შობის კრებული, I, თბილისია-ბათუმის, 1998 წ., გვ. 21-25. მ. ი. ს. ი. ვ. ე. თეოფილე ხუცესმონის ქრისტიანობის ინარქიული მიმღებელი კრებული მოღვაწეობის მსალები (11-13 ოქტომბერი, 1995), თბ., 1998 წ., გვ. 133-137.



კის ზოგიერთ ასპექტს.<sup>36</sup>

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის “ორიონის” თანამშრომლებმა – თ. ცქიტიშვილმა და თ. ცოფურაშვილმა გამოსაცემად მოამზადეს ითანა აქტოპირის “დაბადების” კომენტარების თეოფილესული თარგმანი, რომელიც მაღა იხილავს მზის სინათლეს.

უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა ე. მეტრეველის საინტერესო გამოკვლევა თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და მოლვაწეობის შესახებ.<sup>37</sup> მაგრამ ამ ნაშრომს სპეციალურად უკვე ჭრისთვის, თეოფილეს ცხოვრებისადმი მიძღვნილ საგანგებო თავში შევეხებით.

თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და მოლვაწეობის შესახებ მაგრამ ამ ნაშრომს სპეციალურად უკვე ჭრისთვის, თეოფილეს ცხოვრებისადმი მიძღვნილ საგანგებო თავში შევეხებით.

თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და მოლვაწეობის შესახებ მაგრამ ამ ნაშრომს სპეციალურად უკვე ჭრისთვის, თეოფილეს ცხოვრებისადმი მიძღვნილ საგანგებო თავში შევეხებით.

<sup>36</sup> ი. გ. რ. ძ. ე. ლ. ი. ძ. ე. მეტრეველის თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი, ლიტერატურა და ხელოვნება, №5, ობ., 1991 წ., გვ. 46-61.

<sup>37</sup> ი. გ. რ. ძ. ე. ლ. ი. ძ. ე. მეტრეველი ათონის კულტურულ-საგანგებო მინისტრის ინტერიერი, ობ., 1996 წ., გვ. 226-250.

## თ ა ვ ი I

 თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრება და მოღვაწეობა  
 ცხოვრების გზა

ცნობები თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ  
 ძირითადად დაცულია მისავე ავტოგრაფულ ხელნაწერებში: At 20-ში, 29-ში, 36-37-  
 ში და A 1105-ში. ღლეს ეს ხელნაწერები, მათი ანდერძ-მინაწერები კარგადაა  
 ცნობილი ჩვენს მეცნიერებაში.<sup>1</sup> თეოფილეს ცხოვრების გზის შესასწავლად  
 განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნია ე. მეტრეველმა ათონური №29 ნუსხის  
 ანდერძი, რომელიც ერთვის იოანე ოქროპირის “თარგამანებად დაბადებისას”  
 თარგმნს. მისი ტექსტი ხელნაწერში საკმაოდ დაზიანებული ჩანს, თუმცა  
 მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც იყითხება ფოტოპირზე. აი, ეს ანდერძიც:

“ითარგმნა უკუმ წმინდამ ქსე და დიდებად ჭოველთა ეკლესიათა წიგნი  
 ღმრთისა მიერ და მისთა მათ აურაცხმლთა მოწყალებითა და მეოხებისა ყოვლად  
 წმიდისა ღმრთისმშობელისა დედისა ღმრთისამთა, მაღლითა წმიდათა მამათა და  
 მათობთა სოფლისათა ამსვე დიდსა ოქროპირსა თანა წმიდისა მამისა ეფთვემესითა და  
 დიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა, აღმზრდელისა, აღმზრდელისა  
 ჩემისამთა, მწირისა გლახეკისა, და იბრისა, ლოცვითა მოძღუართა და მშობელთა და  
 ლოცვითა ჟოველთა ქართველთა მთა, ლოცვითა წმიდათა მამათა და  
 დიდისა მამათა და დიდთა ბერთა იოანე რესუს ძისა და ბერისა საბახეს თუსარს მოღვაწეობა,  
 ბერისა კლიმი მეცნიერებნობა და ნეტარისა ბას  
 ღლი ულუ [მბი] ელისა, მოძღურისა ჩემისამთა,

<sup>1</sup> ა. ღლაშვილი, ათონურ გართულ ხელნაწერთა საბჭეონ, თბ., 1982წ., გვ. 36-57; ნ. გოგუაძე  
 სერებრიძის თვის მეტაფრასტის ათონური ნუსხა, კ. მეტლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მუვლითავი, XII, თბ.,  
 1986 წ., გვ. 101-113; გართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კალექცია, I, თბ., 1986 წ., გვ. 63-79, 99-103;  
 გართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კუთხით საკულტო მუზეუმის (A) კალექცია, IV, თბ., 1954 წ., გვ. 86-90.



რომელთა ყოველთა იყავ [ნერთ] ბაჟუჭუკუშულება  
კუნომცი საქსენებელი და კურთხევის პირულისა

რამეთუ [კითარცა] უკუმ ქმითილ იპოების ჩემ-ცოდვილსა ამას ზედა, [პირველ] ყოვლისა აურაცხმლოთა დიდებულებათა და სიმღიდრეთა ღმრთისათა, უფსკრულთა მათოს ვრცელთა მათ და განუვლელთა წყალობათა სიტყვერებითა სულგ[რძელებითა], მერმე[ცა] და შემდგომად... მადლითა და ლოცვითა არს ამათ წმიდათა მამათი ეთა, რომ ელნი ვაქსე [ნენ]. თუ არა მე, არათუ თარგმნასა წმიდათა [წერილ]თა და საღმრთოეთა ბრძანებულსა, არამედ [წიგნთა] კითხვისა [ცერ შემძლებელ ვიყავ]...

დაინუსხა უკუმ კელითა ცოდვილისა თეოფილესი სი თუ ფილესითა ქუეყანასა ელადისასა და მთაწმიდას სრული ქმნა, სადაც იგი შეიწირა, საფილებელად ღმრთისა და საცხონებლად სულისა ცოდვილისა...<sup>12</sup>

ე. მეტრველი სამართლიანად შენიშნავს, რომ წარმოდგენილი ანდერძი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ხოლო მისი ცნობები თეოფილეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპის ამსახველ პირველწყაროს წარმოადგენს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რა ემოციურად გადმოგვცემს მწერალი თავის დამოკიდებულებას გიორგი მთაწმიდლის მშობლებისადმი სექტემბრის თვის მეტაფრასში (At.20), მაშინ შესაძლებელი ხდება თეოფილეს ცხოვრების მთელი გზის აღდგენა.

მკვლევარმა ქრონილოგიური თანმიმდევრობით განიხილა თეოფილე ხუცესმონაზვნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდები, რომლებიც მოყლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ბავშვობის პერიოდი, როდესაც ადრე დაობდებულ თეოფილეს ჯერ გიორგი მთაწმიდლის მშობლებმა უპატრონებს, ხოლო შემდეგ ხახულში დაბრუნებულ იმავე გიორგის მიაბარეს აღსაზრდელად (1034 წ.). 2. ყრმობისა და განსწავლის პერიოდი, როდესაც გიორგი მთაწმიდლელს ის უნდა მიებარებინა კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლაში განათლების მისაღებად (1040-

<sup>12</sup> შრო: ი. ლ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ათონიურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 54.

1056 წწ.). 3. იერუსალიმსა და ანტიოქიაში ყოფნის პერიოდი, როდესაც ის აზლდა გიორგი მთაწმილელს (1056-1060 წწ.) და მისი შემწეობით დაემოწავა. ჯერ ისახუ რეხუეს ძეს ჯვრის მონასტერში, ხოლო შემდეგ – საბა თუხარსელს შავ მთაზე (ზემოთ დამოწმებული ანდერძის პირველი ორი წმინდა მაბა). 4. საქართველოში ყოფნის პერიოდი, როდესაც ის აქ ჩამოჰყავა გიორგი მთაწმილელს (1060 წ.) და დაუახლოვდა ბაგრატ მეოთხის ძეს, გიორგი მეორეს, რომელმაც შესთავაზა მას ხელი მიეკო ბერძნულიდან ქართულად თარგმნისათვის. 5. კონსტანტინოპოლიში ყოფნის პერიოდი, როდესაც ის იქ გაიგზავნა გიორგი მეფის მიერ ბაგრატ მეფის ასულის მართას გადედოფლებასთან დაკავშირებით (1073-1081 წწ.), ქართველი დედოფლის მეშვეობით დაქვემდრა ტრიანდაფლივის სამეფო მონასტერში და გარკვეულწილად მისივე შემწეობით თარგმნა სექტემბრის თვის მეტაფრასი. 6. ელადის თემის ერთ-ერთ ქართულ სამონასტრო დასახლებაში, ე. წ. უდაბნოში ყოფნის პერიოდი, როდესაც ის დაემოწავა კლიმი მეუღლებნოეს (მესამეს თეოფილეს მოღვარ-მასწავლებელთა სიაში), მისი ბრძანებით გაღმოილო ქართულად ბერძნული “პატერიკი”, ხოლო შემდეგ შეუდგა “დაბადების” იოანე ოქროპირისისული კომენტარების თარგმნას (1081-1085 წწ.). 7. ათონის ივერთა მონასტერში ყოფნის პერიოდი, როდესაც ის, ევგენის თხოვნით, ბერი კლიმთან ერთად დაბრუნდა მთაწმინდზე იოანე ბუქასძის მამობის დროს (1085-1104 წწ.), გაასრულა “დაბადების” კომენტარების გადმოთარგმნა ქართულად, ამავე დროს კლიმის გარდაცვალების შემდეგ გაიჩინა ახალი, ეტყობა, უკანასკნელი მოძღვარი – ბასილი ულუმბოელი. 8. ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, როდესაც ის სად წავიდა ათონიდან, უცნობია, თუმცა არა გამორიცხული, რომ საქართველოში დაბრუნდა რუს-ურბნისის საკულესიო კრებაზე დასასწრებად 1105წ.).<sup>3</sup>

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება თხზულება, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზვნის „ცხოვრებასა“ და „მოქალაქეობას“ მოგვითხრობდა, რის გამოც მისი მოღვაწეობის ური ფაქტი ჩვენთვის უცნობია. ამ ფონზე განსაკუთრებით აქტუალობას იქნის

<sup>3</sup> ე ტ ჩ ე ვ ე ლ ი, ნარკევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნდის მიერთობა, ა. 2000 წ. 226-238. ზორა: მისუვა, ფეოფილ იერომონახ (Материалы к биографии), ვедомство Делописов и второго международного симпозиума "Грузия в контексте историко-литературных взаимосвязей востока и запада", Тб., 1988 г., стр. 48-52.



ე. მეტრევლის სსენებული ნაშრომი, რომელიც თეოფილეს ბიოგრაფიული ჩატვარების ბუნდოვან მხარეს სრულიად ახლებურად აშუქებს. მაგრამ არის რიგი გარემოებათ რომელიც უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ მწერლის ცხოვრების გზის აღდგენისას.

მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით.

სექტემბრის თვის მეტაფრასის ანდერძის მიხედვით (At.20), მართლაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თეოფილე კარგად იცნობდა გიორგი მთაწმიდლის შშობლებს, რაც შეუნიშნავი არ აჩება ე. მეტრეველს და სათანადო ადგილას იძოვებს კადეც: “მოიქსენენ, უფალო, მოიქსენენ პირ ვეღლ და ძინებ ულ ნი მონანი შენი, მშობელი სანატრელისა და წმიდისა მამისა გეორგი მთაწმილე ისანი – მარიამ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რად ესე იქმნა; და კუალად უნდონიცა იგი მშობელი ულირსებისა ჩემისანი – მარიამ და იოვანე ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღწერე ესე”. (გვ.78).<sup>4</sup> ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც მწერლის სხვა ანდერძ-მინაწერებსაც ვეცნობით: “საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევად ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდებლისა და მოძლურისა ჩუენისა გიორგი მთაწმილე ისა, ახლისა ოქროპირისაც და მშობელი და მშობელი და მის ამ, ამინ!” (A1105, 333 v.), ანდა: “[კურ]თხეულ ყავნ სული ნეტარისა მამისა გიორგი მთაწმილე ისა და მშობელი და მშობელი და მის ამ, ამინ!” (A1105, 448r).<sup>5</sup> მაგრამ წარმოდგენილ მაგალითები მაინც არ გვაძლევს საფუძველს, რომ გიორგი მთაწმიდლის მშობლების რაიმე წვლილი დავინახოთ თეოფილეს აღზრდაში.

დაგიწყოთ იქიდან, რომ ათონური №20-ის ანდერძში დამოკიდებული წინადადება – “რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რად ესე იქმნა”, მიემართება არა მარიამს და იაკობს, არამედ გიორგი მთაწმიდელს. მაშესადამე, ამ კონტექსტში გიორგის მშობლების რაიმე ამაგი თეოფილეს მიმართ არ ჩას. ამავე ანდერძის ტექსტიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ გიორგი მთაწმიდლის მშობლები უფრო

<sup>4</sup> At 20-ის, 36-37-ის ანდერძ-მინაწერებს ყველაგა ვეტითებთ: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კალიგრაფია, ნაკვეთი I.

<sup>5</sup> შრა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საელექციო მუნიციპალიტეტი (A) კოლექციისა, IV, გვ. 88-89.



აღრე გარდაცვალნენ, ვიდრე თეოფილესი, რადგან რიგით ისინუ ჭრულებული  
მოხსენებიან გარდაცვლილთა შორის. ამავე დროს სიტყვები - “პირველ-დამინტებული”  
“დაძინებული” შესძლოა გავიაზროთ ერთ კომპოზიტად - “პირველ-დაძინტებული”  
(ე. ი. უწინარეს გარდაცვლილი, პირველად წასული ამ ქვეყნიდან), როგორც ეს  
ესმის ი. ლოლაშვილის.<sup>6</sup> ქრისტიანობის უფრო ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ  
აღმზრდელის მშობლები უფრო აღრე წასულიყვნენ იმ ქვეყნად, ვიდრე აღმზრდილის.  
ამ შემთხვევაში, ცხადია, გიორგის დედმამა აღრე დაობლებულ თეოფილეს ველარ  
უპატრონებდნენ. ასეც რომ არ იყოს და საპირისპირო დავუშვათ, მოძღვართა და  
მშობელთა ლოცვით მოხსენიება, მათი უფლისადმი შევეღრება ერთგვარ ე ტ ი კ ე  
ტ ი ღ ჩანს დაწესებული ივირონის მოღვაწეთა ანდერძებში და მას გადაჭარბებულ  
მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

მოვიყუანო აბამდენიშე ნაწყვეტს ათონელთა ანდერძებიდან.

“შათეს სახარების თარგმანების” გადამწერთა ანდერძიდან:

“ლირმცა აჩს სული მათი წარუგალთა მათ კეთილთა და მოსაქსენებელად  
სულსა მ ო ძ ღ უ ა რ თ ა, მ შ ო ბ ე ლ თ ა და მმათა, ნათესავთა სულიერთა  
და კორციელთა”<sup>7</sup>

“დიდი სუნაქსარის” გიორგი მთაწმიდლისეული ანდერძიდან:

“...ღმერთმან იცის, ფრიადი ღუაწლი მინახაუ ამისსა თარგმნასა სალხინებელად  
ცოდვათა ჩემთა და მოსაქსენებელად მ ო ძ ღ უ ა რ თ ა დ ა მ შ ო ბ ე ლ  
თ ა და ყოველთა თჯსთა და მეცნიერთა ჩემთა”<sup>8</sup> (შდრ.: მისივე “პარაკლიტონის”  
წინაბეჭერი).

“სამოციქულოს” გიორგი მცირისეული ანდერძიდან:

“აწ გევეღრები ყოველთა ღვთის მოყუარეთა, რათა ქსენებულ მუშნეთ წმიდათა  
ლოცვითა თქუწნთა მ ო ძ ღ უ ა რ ნ ი დ ა მ შ ო ბ ე ლ ნ ი ჩემნი და ყოველ-  
ნი ძმინი...”<sup>10</sup>

<sup>6</sup> შდრ.: ი ღ ღ ღ ა შ ვ ი ღ ი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 37.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>8</sup> ქრისტიანობის საქართველოს აღმზრდობისა, ათონური კალვეტა, გვ. 91.

<sup>9</sup> ი ღ ღ ღ ა შ ვ ი ღ ი, დას წიგნი, გვ. 21-22.

<sup>10</sup> ქრისტიანობის და სხვა მსაღლი საქართველოს სატრიროსა, შეკრებილი, ქრისტიანობის დაწყობილი, ამნილი და გამოცემული თ. ე ღ რ დ ა ნ ი ა ს შეკრ., 1, ტფ., 1892 წ., გვ. 231.



ამ შერივ სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების ანდერმინი ჩატარდა თეოფილე გიორგი მთაწმიდლის მშობლებს სახელდებით მოიხსენიებს, არაუკან ცვლის და უფრო მოძღვრისადმი ლრმა პატივისცემის გამოხატულებად უნდა შეფასდეს, რადგან იქვე მწერალი თავისი დედ-მამის სახელებსაც გვამცნობს.

ასე რომ, არსებული მსალებით, რაიმე კავშირი თეოფილესა და გიორგი მთაწმიდლის მშობლებს შორის არ დასტურდება.

რაც შეეხება თეოფილე ხუცესმონაზენის “შწირობას”, “გლახაკობას” და “ობლობას”. ცნება “შწირი და გლახაკი” სახლ-ქარს მოცილებული, მონასტერში მყოფი ბერის რეალური ყოფის კონსტატაციაა, გამოხატავს მის დამოკიდებულებას წუთისოფელთან თუ ღმერთთან და იმავდროულად სრულად შეესაბამება ასკეტური ცხოვრების იდეალს. ეტყობა, შწირობა კიდევ უფრო შძაფრად განიცდებოდა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი წმინდა მამების მიერ, რაც გარკვეულ გამოხატულებას პოულობს გიორგი მთაწმიდლის ცნობილ ანდერმში, რომელიც ერთვის მისავე დაწერილ “იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას”. ამ მისი ტექსტიც:

“შ წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო ე ფ თ ჟ მ ე, შეგვწყვალენ მონანი ესე შენი, მ წ ი რ ნ ი დ ა გ ლ ა ხ ა კ ნ ი, უ ც ხ ო ე ბ ა ს ა ა მ ა ს და გვთხოვე შენდობად შეცოდებათა ჩუქნთა აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა და ამას ცხორებასა დაგულვენ საბრეეთავან ეშმაკისათა და მზაკუვარებათავან კაცთას.”<sup>11</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ თეოფილეს ანდერმ-შესავლებში საზოგადოდ იგრძნობა მისი დიდი მოძღვრის ლიტერატურული გავლენა. სანიმუშოდ, წარმოვადგენთ ერთ მაგალითს.

თეოფილეს სექტემბრის თვის მეტაფრასის (Alt.20) შესავლი:

“შ ა დ ლ ი თ ა მ ო ძ ლ უ რ ი ს ა დ ა გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ს ა ს ა ჩ ი ე მ ი ს ა გ ე ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ა თ ა... ა დ ა ლ ი პ ი რ უ ტ ყ უ თ - ს ა ხ ს შ ე ს ე პ ი რ ი ჩ ე მ ი დ ა კ ჭ ა ლ ი დ მ ე ც ა უ ლ ი რ ს მ ა ნ ამან ვყავ მრავალი მოსწრაფებად ამისთვის და სიყუარული-

<sup>11</sup> ძელი ქართული აფონიერული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XV ს.), ა. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967 წ., გვ. 100.



სათქმას ამათ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნატოკურულობისა... და შეცვალე საქმესა უზეშთავესა ძალისა ჩემისასა, რომელ არა მოგვიანებელი წიგნთად ბერძულისაგან ქართულად (გვ. 74).

გიორგი მთაწმიდლის “პარაკლიტონის” (At.45) წინაბჭე:

“ითარგმნა პარაკლიტონი... კელითა ჩემ გლახაკისა გიორგი ხუცესმონაზონისა მოთა და არა თუ მე ღირს ვიყავ ს სრულყოფად [მ]აღლისა ამის და მიუწოდომელისა საქმისა, არამედ ღმერთმან წყალობისათქმა ნათესავისა ჩუენისა, ლოცვითა და მა დღითა ყოველთა ქართველთა მოთა აღაღო პირი რუტყუთ სახე ესე პირი ჩემი... უკუეთუ კეთილი რამე იპოს ამას ჩუენსა ნაშრომსა შინა, იცოდეთ, რომელ მადლითა წმიდა სა მამისა ჩუენისა ეფთუ მესითა ქმნილა მის გან მაღლმან ააღო პირუტყუთ მსგავსი ესე პირი ჩუენი და იგი იყო შემდგომად ღმრთისა და წმიდისა ღმრთისმშობელისა მოღუაწე და კელისამსყრობელი ჩემი”<sup>12</sup>.

დამოწმებულ ტექსტებში მარტოოდენ ფრაზეოლოგიურ თანხვედრებთან არ უნდა გვექონდეს საქმე. აქ ყურადღებას იქცევს, ერთი შეხედვით, უცნური დამთხვევა: როგორც გიორგი მთაწმიდელი აფასებს ეფთვიმეს ღვაწლს თავის ლიტერატურულ საქმიანობაში, ზუსტად ისევე გადმოგვცემს თეოფილე გიორგის როლს მის მთარგმნელობით მოღვაწეობაში. ამას კი ერთადერთი ასწავა აქვს: როდესაც გიორგი მთაწმიდელმა სამწერლო საქმიანობა დაიწყო, ეფთვიმე უკვე გარდაცვლილი იყო, ისევე როგორც, როდესაც თეოფილემ სექტემბრის თვის მეტაფრასები თარგმნა, მისი მოძღვრი წასული იყო ამ ქვეყნიდან. როგორც ჩანს, როდესაც თეოფილე ხუცესმონაზონი სერიოზულ მთარგმნელობით მოღვაწეობას შეუდგა, გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ უნდა ღავეთანხმოთ ნ. გოგუაძის მოსაზრებას, რომ ანდეგრძების მიხედვით, გიორგი მთაწმიდელი არსად იგულისხმება, როგორც ცოცხალი და უშეულო ხელმძღვანელი თეოფილეს მთარგმნელობით-ლიტერატურული შემოქმე-

<sup>12</sup> ი. ლოლა შვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სისხლეში, გვ. 20-22.



დებისა. ის უფრო მაღლიერი შეგირდი და მოწაფეა, რომელსაც არასდრულად და მასწავლებლის ამაგი.<sup>13</sup>

გიორგი მთაწმიდლის, როგორც აღმზრდელისა და მოძღვრის თემა, "დაბადების" კომენტარების (At.29) ანდერძში უკავშირდება თეოფილეს ობლობას. როგორც აღნიშნეთ, "მწირი და გლახაკი" ბერის (განსაკუთრებით უცხოეთში მყოფი ბერის) თვითმახასიათებელი ატრიბუტია, რაც შეეხება "ობოლს", ის უკვე კონკრეტულად თეოფილეს ცხოვრებას უნდა ასახავდეს. აქ უნდა გავიხსნოთ ცნობილი ფაქტი გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან, თუ როგორ აიყვანა გიორგი მთაწმიდელმა საქართველოში 80 ობოლი ყრმა აღსაზრდელად და განსასწავლად. უნდებლიერ ჩნდება მოსაზრება, რომ თეოფილე ამ 80-დან სწორედ ერთ-ერთი ობოლთაგანი უნდა იყოს.

სხენებულ მოსაზრებას თითქოს ხელს უშლის ითანე რეზუს ძისა და საბა თუხარსელის დასახელება ათონური 29-ის ანდერძში. ე. მეტრევლის მართებული შენიშვნით, მათ, როგორც მასწავლებლებს, რაღაც წვლილი შეუტანიათ თეოფილეს სწავლა-განათლებაში. მაგრამ აუცილებელი არაა ეს მომხდარიყო იერუსალიმში ან ანტიოქიაში, რაკი ითანე ჯვრის მონასტრის მოღვაწეა, ხოლო საბა – შავი მთის.

საქმე ისაა, რომ ამ წმინდა მამათა ცხოვრების შესახებ ბევრი არათერი ვიცით. საბა თუხარსელი ცნობილია შავ მთაზე თავისი მწიგობრული საქმიანობით. ის აქ ჩნდება დაახლოებით XI საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ეფრემ მცირის გარშემო იკრიბება მთელი წრე ქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც ზრუნავენ ეროვნული მწერლობის წინსალასა და განვითარებაზე. იგი არის ამ წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისხამდგმელი, ეფრემის მასწავლებელი, მისი ლიტერატურული საქმიანობის შემწე და წარმართველი.<sup>14</sup> განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი მეტაფრასული თხზულებების ქართულად თარგმნაში, რასაც სათანადოდ აღნიშნავს ეფრემი სვიმეონ ლომოთეტისთვის დაწერილ მცირე "მოსაქსენებელში".<sup>15</sup> რაც შეეხება

<sup>13</sup> ნ. გ თ გ უ ა ძ ე. სკექტებრის თვის მეტაფრასების თანური ნუსა, კ. კლიმიძის სამ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი, XII, გვ. 106-107.

<sup>14</sup> დ. მ ე ნ ა ბ დ ე. ძველი ქართული მწერლობის ყრები, II, თბ., 1980 წ., გვ. 162-167.

<sup>15</sup> კ კ კ ე ლ ი ძ ე. პოლუდები ძველი ქართული ლიტერატურის ძალის განვითარება, V, თბ., 1957 წ., გვ. 225-226.



იოანე ჩრისტეს ძეს, მის შესახებ წერილობითი წყაროები ძალზე მწირია, ხელ-გურიაშით, მხოლოდ იმის გარევევა ხერხდება, რომ ის არის XI საუკუნის II ნახევრის ჯვრის მონასტრის მოღვაწე.<sup>16</sup>

ნაკლებ სარწმუნოა, რომ თეოფილეს შეხვედრა ამ მწიგნობრებთან მომხდარიყო იერუსალიმსა და შევ მთაზე და ი რატომ: ჩვენ არ ვიცით იმყოფებოდნენ თუ არა იოანე ჩრისტეს ძე და საბა თუხარსელი ამ სამონასტრო კერებში XI საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც გიორგი მთაწმიდელი დაბრუნდა ანტიოქიაში, ხოლო შემდეგ მცირე ხნით იერუსალიმშიც გაემგზავრა. დანამდვილებით არც ის ვიცით, თან ახლდა თუ არა მას ამ დროს თეოფილე. ჩაც მთავარია, თეოფილე ხუცესმონაზვნის განსწავლისა თუ მოღვაწეობის არანარი კვალი სირია-პალესტინაში არ დასტურდება. და ბოლოს, მისი ცხოვრების იმ ქრისტიანობით, რომელიც წარმოდგენილი აქვს ე. მეტრეველს, მწერლის აქ ყოფნა გაუმართლებელი ჩანს.

ამიტომ მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თეოფილეს დამოწაფება სენეტულ წმინდა მამებთან დაკავშირებულია გიორგი მთაწმიდლის პედაგოგიურ მოღვაწეობასთან საქართველოში. მართალია, ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ გიორგი მხოლოდ თვითონ აწავლიდა და წვრთნიდა თავს შეგირდებს, ყოველგვარი თანაშემწების გარეშეო, მაგრამ, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, აქ უბრალოდ წმინდანის ღვაწლის გაზვადებასთან, მისი სახის განსაკუთრებულ წარმოჩენასთან გვაქვს საქმე, ჩაც ჰავითოგრაფიული მწერლობისათვის ჩვეულებრივი მოვლენა; შეუძლებელია, ერთმა კაცმა, დამხმარე მოძღვარ-მასწავლებელთა გარეშე, ასწავლოს 80 მოწაფეს, რომლებიც ამავე დროს დაყოფილნი არიან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.<sup>17</sup> უნდა დავუშვათ, რომ იოანე ჩრისტეს ძე და საბა თუხარსელი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ეხმარებოდნენ გიორგი მთაწმიდელს 80 ობლის აღზრდაში. ყოველ შემთხვევაში, ისინი თეოფილეს უნდა შეხვედროდნენ მას შემდეგ, რაც გიორგიმ მომავალი მწერალი აღსაზრდელად აიყვანა, ე. ი. 60-იანი წლების I ნახევარში.

<sup>16</sup> ვ. მ. გ. ტ. რ. ე. ვ. ე. ლ. ი., ნახუკვები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ერის სტორინდ, გვ. 239-250.

<sup>17</sup> გ. ი. ი. რ. გ. ი. მ. ც. ი. რ. ე. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ტექსტი გამოსაცემად მააშზარა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოთ ი. ლ. თ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. მ. ა. თბ., 1994 წ., გვ. 187; 231.



იოანე ოქროსტატის ძის პედაგოგიურ საქმიანობაზე ვერაფერს ვიტყვით<sup>17</sup> დაც შეკვეთა  
საბა თუხარსელს, ის რომ ჩინებული მოძღვარი ყოფილა, ბერძნული ენისა და  
ბერძნული საკულტოი "წიგნების კითხვის" შესანიშნავი მცოდნე, ამას ეფრემ მცირის  
ზემოსენებული "მოსაქსენებელიც" ადასტურებს. მას შეეძლო მნიშვნელოვანი  
დაბმარება გაეწია გორგი მთაწმიდლისათვის, რომელიც ობოლ მოწაფეებს ათონზე  
გასამგზავრებლად ამზადებდა და, ბუნებრივია, ელემენტარული ბერძნული განათლების  
მიღებას მათვის საჭიროდ თვლიდა. გავიხსენოთ, როგორ განაციფრეს ბიზანტიის  
იმპერატორი კონსტანტინე დუკა (1059-1067 წწ.) გორგისა და მისი თანამშრომლების  
მიერ განსწავლულმა ობლებმა, როდესაც მათ ფილოპატიის ველზე ბრწყინვალედ  
შეასრულეს ბერძნული გალობანი.<sup>18</sup>

გამორიცხული არაა, რომ პირველად სწორედ საბას გაელვიძებინა თეოფილეს  
ინტერესი მეტაფრასტიკისადმი, რაც შემდგომში მწერლის შემოქმედების ძრითადი  
ორიენტირი გახდა.<sup>19</sup> და ეს უნდა მომზარიყო მანამდე, სანამ ის სვიმეონ ლოლოთეტის  
ცალკეული თბზულების თარგმნას შეუდგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეფრემს  
რამე ინფორმაცია მანც ექნებოდა საბა თუხარსელისაგან, რომ თეოფილე  
ხუცესმონაზონიც იმ მთარგმნელთა შორის მოესხენებინა, ვინც მეტაფრასული  
საკითხავები ქართულ ენაზე გაღმოილო.<sup>20</sup>

რასაკვირველია, გორგი მთაწმიდლის მოწაფეებს შორის კონსტანტინოპოლიში  
თეოფილეც იქნებოდა, ხოლო მოძღვრის გარდაცვალების (1065 წ.) შემდეგ, ისიც თან  
გაპყვებოდა სამგლოვიარო პროცესის ათონის ივერიის მონასტერში.

როგორც ჩანს, თეოფილე ხუცესმონაზონი იყირონში დიდხანს არ გაქერებულა,  
ათონური მეტაფრასის (№20) ზემოსენებული შესავლის ტექსტში ყურადღებას იქცევს  
მწერლის სიტყვები: "დაუტევე ზრუნვად სულისა ჩემისად და ტირილი ცოდვათა  
ჩემთაა" და შევბედე წიგნების თარგმნას ბერძნულისაგან ქართულადო (გვ.74). ის  
დაბრუნებულა კონსტანტინოპოლიში, მარიამ დედოფლისა და მისი გარემოცვის

<sup>18</sup> იქვე, გვ. 120, 241-242 (ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ამცვე წიგნში იხილე ძრითადი სამცცირო ლიტერატურა, რომელიც გორგი მთაწმიდლის პედაგოგურ მოღვაწეობას ქრება საჭართველოში, გვ. 136-137).

<sup>19</sup> შედეგი: კ. მ. ე. ტ. ჩ. ე. ვ. ე. ლ. ი. დ. დ. წიგნი, გვ. 230.

<sup>20</sup> ის: კ. ე. კ. ე. ლ. ი. დ. ე. ე. ტ. ი. ლ. ბ. ზ. (ე. ფ. ჩ. ე. მ. ც. ი. რ. ვ. მოსაქსენებელი მცირე სემუნისათვს ლოლოთეტისა), გვ. 225.



მეშვეობით გაუღრმავებია ბერძნული განათლება და დაუწყისა მონასტრების საქმიანობა.

ეს უნდა მოხდარიყო 1066 წლის ახლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ბაგრატის ასული მართა ჩამოიყვანეს კონსტატინოპოლიში, ოფიციალურად დანიშნეს მიხეილ დუკაზე, მომავალ იმპერატორზე (1071-1078 წვ.) და უწოდეს მარიამი<sup>21</sup>. ამის საფუძველს იძლევა "პატაპის ცხოვრების" (K5, 118r-123r)<sup>22</sup> ცნობილი ანდერძი, რომელშიც თეოფილე გვაუწყებს: "შეისწავეთ, რამეთუ სიჭაბუ უკეთ სიჭაბუ მეთარგმნა და მარიამს დედოფლი ფავორის ყავთ თეოფილესთვე".<sup>23</sup> ამ ანდერძიდან გამომდინარეობს შემდეგი: 1. თეოფილე ჭაბუკობიდანვე შესღომია მთარგმნელობით მოღვაწეობას. 2. მის პირველ თარგმნილ თხზულებებს კითხულობდა მარიამ დედოფალი და, ეტყობა, მორალურად და მატერიალურად ახალისებდა ახალგაზრდა მთარგმელს. 3. მისი ეს პირველი თარგმანები მეტაფრასული საკითხები იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1081 წლის ანდერძში (At.20) თეოფილე ახალგაზრდობის ასაკს კარგა ხნის გადაცილებული ჩანს ("ცოდვათა სიჭაბუ უკი სიჭაბუ უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიქცენდ! (გვ.77),<sup>24</sup> მაშინ მას ლიტერატურული საქმიანობა უკვე XI საუკუნის 60-იან წლებში (უფრო ზუსტად, 1066-1070 წწ.) უნდა დაეწყო.

თეოფილე ხუცესმონაზვნის მოღვაწეობის მომდევნო პერიოდი, როდესაც ის იმავე მარიამ დედოფლის მფარველობითა და შემწეობით დამკიდრდა კონსტანტინოპოლის ტრიანდაფლივის სამეფო მონასტერში და გიორგი მეფის (1073-1089 წწ.) "ბრძანებითა და მოღუაწებით" შეუდგა სვიმეონ ლომოთეტის მეტაფრასული წიგნების სისტემატურ გადმოღებას ქართულად, კარგადაა ცნობილი სექტემბრის თვის მეტაფრასის (At.20). ანდერძ-მინაწერებიდან, ერთ-ერთ ასეთ ანდერძში ის ითან ღვთისმეტყველს გიორგი მეფის მფარველობას ევედრება: "...მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა გორგო მეფე უსი და კეთაროს და

<sup>21</sup> И. М. Иоани, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, ბიბიკოლურული ეტულები, თბ., 1978 წ., გვ. 149.

<sup>22</sup> ჟურანის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ. 1953 წ., გვ. 36-37.

<sup>23</sup> კეთევლი იგ იგ კეთევლი, V, გვ. 153.

<sup>24</sup> შრა.: 6. გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა, მავალთავი, XII, გვ. 107.



დაიცვე იგი ყოველთაგან სავნებელთა სულიერთა და ქორციელთა, მინაშენებელთა სხვა მინაშერში მწერალი უკვე მართა-მარიამს მოიხსენიებს სასოებით: "საყუარელნო ღმრთისანო, ვისაცა მოიწიოს და ვინცა მიემთხნეთ წმინდასა ამას წიგნსა, ლოცვა ყავთ სანატრელისა მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა თ ჯ ს, ბაგრატის ასულისა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატისა ფასი მ..." (გვ. 66). საფიქრებელია, რომ თეოფილესა და გიორგი მეფის დაახლოება იწყება მაშინ, როდესაც ბაგრატ IV ყრმა უფლისწულს გიორგი მთაწმიდელს მიაბარებს ალაზრდელად და განსასწავლად (ე. ი. 1060-1065 წწ.). რაც შეეხება მარიამ დედოფალს, რომელიც ყურადღებით აღვნებს თვალს მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდეგშიც არ იშურებს მისთვის მეცნიატობასა და მზრუნველობას.

1081 წელს ტრიანდაფლივის მონასტერში თეოფილე ხუცესმონაზონშა დაასრულა სვიმეონის 12 კრებულიდან პირველის – სექტემბრის თვის მეტაფრასის თარგმნა და გადანუსვა. თეოფილესვე თქმით, ეს მოხდა ნიკიფორე ბოტანიატესისა (1078-1081 წწ.) და ალექსი კომნენტოსის (1081-1118 წწ.) მეფობის ხანაში, ე. ი. მაშინ, როდესაც აჯანყებულმა კომნენტოსებმა დაამხეს ნიკიფორე III და გამეფდა ალექსი I. შემდეგ მწერალი კიდევ უფრო აზუსტებს: "მას უაშსა, ოდეს ბ ა გ რ ა ტ ი ს ა ს უ ლ ი მ ა რ ი ა მ დ ე ლ ი ფ ა ლ ი ა ღმოსავლეთით კონსტანტი[ნო]პოვლეს შემოვიდა" (გვ. 79).

ეს ფრიად საინტერესო უწყებაა!

როგორც ჩანს, თავისი მეორე ქმრის, ნიკიფორე ბოტანიატესის, ტახტიდან ჩამოვლების შემდეგ (1081 წლის აპრილი), მარიამი სასწრაფოდ ჩამოსულა სამშობლოში. ვიზიტის მიზანი ნათელია: მას შემდეგ, რაც მან დედოფლობა დაკარგა, საქართველოს სამეფო კარს სასწრაფოდ უნდა შეემუშავებინა ახალი პოლიტიკური კურსი ბიზანტიის მიმართ და დედოფლალყოფილისათვისაც ერჩია, თუ როგორ მოქცეულიყო. მარიამი მალევე დაბრუნებულა კონსტანტინოპოლიში. ცნობილია, რომ მან დატოვა სასახლე და კონსტანტინე მონომახის მიერ აგებულ სამეფო პალატებში დაშევიდრდა, მანგანის მონასტრის მახლობლად. ისტორიკოს იოანე ზონარის ცნობით,



გარკვეული ხნის შემდეგ აქვე აღიკვეცა მონაზვნად.<sup>25</sup> ბიზანტიის ფედერაციული დატრიალებული პოლიტიკური ქარტეხილების მიუხედავად, თეოფილები ქრისტიან აქ უნდა დარჩენილიყო.

თეოფილე სუკესმონაზვნის ცხოვრების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ათონის ივერთა მონასტერთან (ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროების მიხედვით, ის ათონელ ქართველ მოღვაწეთა წრეში ჩანს). აქ ის თარგმნის ბერძნულ “პატიერიკი”, რომლის სათაურია: “წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათათვს და მოქალაქობათა”. თხზულების შემკვეთია ბერი კლიმი. მთარგმნელის ანდერძში ვკითხულობთ: “დ ო ბ ო რ ო კ ლ ო მ ო აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა მისთა, მისითა მოღვაწებითა ითარგმნების წმიდამ ესე და სულთა საცხორებელი წიგნი. საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევამ მისი, ამინ” (A 1105, 163 v.).

ვინ არის ბერი კლიმი და რა ვიცით მის შესახებ?

ათონის №29 ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ბერი კლიმი, რომლის ზედწოდებაა “შეუდაბნოე”, თეოფილეს მოძღვარი გამშდარა. ის მოღვაწეობდა ივირონში იოანე ბუქაისძის წინამდლვრობის დროს (1085-1104წწ.). მისი ინიციატივითა და “საქმარით” გადაუწერიათ ათონზე გიორგი მთაწმილლის მიერ თარგმნილი “ზატიკი” (A1.63). კლიმის გარდაცვალების შემდეგ იოანე ბუქაისძეს და ნიკოლა პროტოსვინგელოზს მის სახელზე განუწესებით აღაპი (№41) იმ დიდი შეწირულებისათვის, რაც მას ათონის ივერთა მონასტრისათვის გაულია.<sup>26</sup> აშკარაა, კლიმი მეუდაბნოის სამოღვაწეო ასპარეზი სიცოცხლის მიწურულს ათონის მთა ყოფილა.

ამიტომ ვერ გავიზიარებთ ე. შეტრეველის მოსაზრებას, თითქოს თეოფილე კონსტანტინოპოლიდან წავიდა ელადის თემის ერთ-ერთ ქართულ, უდაბნოდ წოდებულ სამონასტრო დასახლებაში, სადაც ის დაემოწავა ბერ კლიმს.

<sup>25</sup> И. М. Н о д и я, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, მიზანტრიონოლოგიური ეტოლები, გვ. 153. შედრ.: ჭ კ ე კ ე ლ ო ბ კ, ქრთველ ქალთა კულტურულ-საგამძნალებლო ფრები საშუალო სუსტერეთ მასლაბელ აღმისავლებოში, ეტოლები, IV, თბ., 1957 წ., გვ. 205.

<sup>26</sup> ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ო, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგამძნალებლო კურის ისტორიიდან, გვ. 236-237.



დამოწმებული ანდერძის მხედვით, ორი ვერსია უნდა დავუშვათ: 1. ევგენის დამოწმებული ანდერძის მხედვით, ორი ვერსია უნდა დავუშვათ: 1. ევგენის თეოფილე უპოვია და წაუყვანია ათონზე, სადაც მას კვლავ გაუგრძელება ლიტერატურული მოღვაწეობა; კერძოდ, შესდგომია ბერძნული “პატერიკის” ქართულ ენაზე გადმოღებას. ანდა: 2. კლიმის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით XI საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, შეუწყვეტია “პატერიკიზე” მუშაობა და საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, შეუწყვეტია “პატერიკიზე” მუშაობა და დროებით დაუტოვების ივრიონი. ის მოუქებნია ევგენის, ჩამოუყვანია ათონზე და დახმარებია თხზულების გასრულებაში. მართალია, მწერლის ცნობაში ათონის ივრით დახმარებია თხზულების გასრულებაში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერი კლიმი მონასტერი არსალაა ნახსენები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერი კლიმი ათონელი მოღვაწეა, ხოლო ევგენი მოგვიანებით ივრიონის წინაშძლვარი ხდება (ე. მეტრეველის ვარაუდით, 1104-1108 წლებში),<sup>28</sup> ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, ტრიანდათლივს შემდეგ თეოფილე სწორედ ათონის მთაზე გადადის სამოღვაწეოდ.

<sup>27</sup> Հիմնական խորհրդական գործընկերության, պատուղա և սպառական մշտեցների (Ա) քաղաքական, IV, Ց. 88-89-90.



არამართებულად გვეჩვენება ე. შეტრეველის ახალი შეხედულებით ითვალისწინებული გვენიშ თეოფილე ხუცესმონაზონი საქართველოდან დაბრუნა კონსტანტინოპოლში და დიდად შეუწყო მას ხელი იქაურ ქართველ მოღვაწეთა წრეში ლიტერატურული საქმიანობის გასაგრძელებლად.<sup>29</sup> ჯერ ერთი, ნაკლებ სავარაუდოა XI საუკუნის 80-იან წლებში თეოფილეს კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ჩამოსვლა და შემდეგ კლავ უკან მიბრუნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს არის პერიოდი თურქთა დიდი შემოსევებისა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ე.წ. “დიდი თურქობის” ხანა, როდესაც საქართველო მთლიანად აღმოჩნდა მოწყვეტილი ბიზანტიისგან. მეორეც, როგორც აღინიშნა, თეოფილე “პატერიკის” თარგმნის ათონელ ქართველ მწიგნობართა გარემოცვაში. რაც შეეხება ტრიანდაფლივის სამეფო მონასტერს, სადაც მან სექტემბრის თვის მეტაფრასული კრებული გადმოილო ქართულად, აյ მის თანამშრომლებად სულ სხვა პირები ჩანან. ესენი არიან: მიქაელ მღვდელი – “ორნი დრაპენნი პრთავნან აქა მისნი” (გვ.67), მღვდელი საბა – “შემიმოსა ესე წიგნი” (გვ.79), ხუცესი ხრისტოდულე, ებრაელყოფილი – “ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას უკაზმავს” (გვ.79).

ასე რომ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, თეოფილე ხუცესმონაზონი კონსტანტინოპოლიდან წასულა ათონის ივერთა მონასტერში; ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნის 80-იანი წლების II ნახევრიდან ის უკვე იქ ჩანს. არაა გამორიცხული, რომ თეოფილეს გადასვლა ათონის მთაზე მარიამის დასტურითა და თანხმობით მომხადრიყო. გავიხსენოთ, როგორ მფარველობდა და ეხმარებოდა ქართველი დელოფალი ათონის ივერთა მონასტერს და საზღვარგარეთის სხვა ქართულ სავანებს.

“პატერიკის” თარგმანის დასრულების შემდეგ თეოფილეს დაუწყის ითანე რქობირის “თარგმანებამ დაბადებისამს” ქართულ ენაზე გადმოლება.

თარგმანის შემკვეთის შესახებ ხელნაწერის (At.29) დაზიანებული ანდერძი არაფერს გვაუწყებს. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მარიამის განსაკუთრებული ინტერესს ამ უარის თხზულებების მიმართ (ცნობილია, რომ მისი “ზრდანებით”

<sup>29</sup> ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დას. წიგნი, გვ. 120.



დაწერა თეოფილაჭტე ბულღარელმა ითანხმა “განმარტებად სახატეზმაში”<sup>30</sup> მის ურთიერთობას თეოფილე ხუცესმონაზონთან, მაშინ ქართული თარგმანი ინიციატივა შესაძლოა მას ეკუთხნოდეს.

ჩაც შეეხება “დაბადების” კომენტარების თარგმნის ადგილს, ამის შესახებ ანდერძი გვაუწყებს შემდეგს: “დაინუსხა უკუე ქელითა ცოდვილისა თეოფილესთა ქუეყანასა ელადი ისა და მთაწმიდას სრულ იქმნა, სადაცა იგი შეიწირა”.

მაშასაღამე, თეოფილეს თხზულების თარგმნა დაუწყისა “ქუეყანასა ელადისასა”, ე.ი. საბერძნეთში. მაგრამ სად? რომელ მონასტერში?

ზოგად ცნობებს საბერძნეთში ქართული მონასტრების არსებობის შესახებ გვაწვდის “ქართლის ცხოვრება”. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ “ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ნ ი ც ა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი... ალავსნა კვთილითა.”<sup>31</sup> ასეთივე ქველმოქმედებით გამოიჩინდა საზღვარგარეთის, კერძოდ, საბერძნეთის მონასტრების მიმართ, “ისტორიანისა და აზმანის” ავტორის თქმით, თამარ მეფე: მან “...ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ს დ ა ყ ო ვ ე ლ ს ა ე ლ ა დ ა ს – შ ი ნ ა ნ ი მონასტერნი უხუად წყალობა-მიფენილ ყვნა-ო.”<sup>32</sup> ამასვე იმეორებს თამარის მეორე ისტორიკოსი: მეფე-ქალი ქმარებოდა “კერძოთა ე ლ ა დ ი ს ა თ ა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკიისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა...”<sup>33</sup>

უკანასკნელ ხანს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ნიკოსი ხელმძღვანელობდა, საბერძნეთის თრაკიაში გამოავლინა ქართული მონასტერი. იგი მდებარეობს როდოპის მთების სამხრეთ კალთებზე, ე.წ. პაპიკიონის მთაზე, სადაც ბიზანტიური წყაროების მიხედვით, XI-XIV საუკუნეებში ძლიერი სამონასტრო ცენტრი არსებობდა. გათხრების შედეგად მიკვლეული მასალის მიხედვით, ცხადი გახდა

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ს ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბ., 1955 წ., გვ. 353.

<sup>31</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ს ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, თბ., 1959 წ., გვ. 91.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 142.



ბიზანტიის დედოფლის, მარიამ ბაგრატის ასულის, თრავიაში მოღვაწეობის დრა გარდაცვალების ფაქტი. მონასტერში აღმოჩნდა მართა-მარიამის გასაიღზუმლებული სამარხი, მასში სასწაულებრივად გადარჩენილი ბერძნულწარწერიანი ოქროს ბეჭედი-საბეჭდავი და ქრისტორული გამოსახულება მთავარი კელესის კედლის მხატვრობაში.

საქართველოს ისტორიისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ქარველ საზოგადოებას ამცნო ა. მიქაბერიძემ.<sup>33</sup> საბერძნეთში აღმოჩნდილი პაპიკონის ქართული მონასტერი, რომელიც მარიამ დედოფლის სახელთანაა დაკავშირებული, საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ “დაბადების” კომენტირების ძირითადი ნაწილის თარგმანი თეოფილეს სწორედ აქ შეესრულებინა. ვვარაუდობთ, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა თუ 90-იანი წლების დასაწყისში მარიამს კვლავ მიუწვევია მწერალი თავის ახალ, კერძო მონასტერში სამოღვაწეოდ. მასაც მიუღია ეს მიწვევა და ლიტერატურული საქმიანობაც წარუმართავს.

ყოველივე ზემოთქმული პაპიკონის ახლადაღმოჩენილ მონასტერს სულ სხვა დატვირთვას აძლევს. ის მწიგნობრობისა და კულტურის კერაც ყოფილა, რაც უთუოდ დააზრულებოთ საქართველოსა და საბერძნეთის სამეცნიერო წრეებს.

მაგრამ რატომ გაწყვიტა ელადაში თეოფილემ თხზულებაზე მუშაობა? რამ გამოიწვია თარგმანის ათონზე დასრულების საჭიროება?

ვფიქრობთ, რომ ეს ამბავი დაკავშირებული უნდა იყოს ამ პერიოდში ბიზანტიაში მოშედარ პოლიტიკურ მოვლენებიან. 1094 წელს მარცხით დამთავრდა ნიკიფორე დიოგენის მიერ მოწყობილი შეთქმულება იმპერატორ ალექსი პირველის წინააღმდეგ. შეთქმულებაში გარეული აღმოჩნდა მარიამ დედოფლი, რომელსაც, როგორც ჩანს, იძულებითი გადასახლება მიუსაჯეს კუნძულ პინკრიპოზე.<sup>34</sup>

<sup>33</sup> ა. მიქაელ გრიგორი ქართველი უფლისწელის ცარიელი სამართლოს როლობის მთებში, გვ. „საქართველოს იუსტიციული“, 1996 წ., 9. II. №226. იხ. ავ. გმირმარტინა ს. გ. ა. ხ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. პაპიკონის მითი აღმოჩენა, გვ. „ლიტერატურული საქართველო“ 1997 წ., 21-28., XI. №47. შედ.: ს. გ. ა. ხ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. თეოფილის მოგრაფიული ერთობის უცრული, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის იმპიტოზის ლიტერატურული ძებნი, XIX, თბ., 1998 წ., გვ. 117-122.

И. М. Н о а и я, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, ბიზანტიის ულტრანისტი ეტიუდი, გვ. 154.



თეოფილეს ათონზე დაბრუნების შემდეგ, ეტყობა, მისი და მარიამ დაქვრიცლის გზები საბოლოოდ გაიყარა. მწერალს აქ გაუგრძელებია ლიტერატურული მუშაობა. როგორც “ჰატაპის ცხოვრების” ზემოთ დამოწმებული ანდერძიდან ჩანს, უკვე მოხუცებულობაში უთარგმნია სვიმეონ ლოლოთეტის დეკემბრის თვის საკითხავები. მაგრამ მარიამისაგან უკვე შორს ყოფილა.

ტრადიციული გადმოცემით, თეოფილე ხუცესმონაზონი სიცოცხლის ბოლოს საქართველოში დაბრუნებულა.

დასასრულ, მოკლედ წარმოვადგენთ თეოფილეს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს:

თეოფილე ხუცესმონაზონი უნდა დაბადებულიყო XI საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ან 40-იანი წლების დასაწყისში. მისი მშობლები ყოფილან მარიამ და იოანე.

60-იანი წლების დასაწყისში ობოლი თეოფილე აღსაზრდელად აუყვარია საქართველოში ჩამოსულ გიორგი მთაწმიდელს, რომელიც მისი მოძღვარიც გამხდარა. მოწაფეობის პერიოდში (1060-1065 წწ.) ის უნდა დაახლოებოდა გიორგი შეორეს, ბაგრატ მეოთხის ძეს, რომელიც შემდგომში მისი თარგმანების ერთ-ერთი დამკვეთი და ინიციატორი გამხდარა.

მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში თეოფილეს მოძღვარ-მასწავლებლები ყოფილან: იოანე რეხუეს ძე, საბა თუხარსელი, კლიმი მეუღლებოვანი და ბასილი ულუშმიელი.

თეოფილე უნდა ყოფილიყო იმ 80 ობოლ მოწაფეთა შორის, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა თან წაიყვანა 1065 წელს კონსტანტინოპოლში, ხოლო მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ ისიც უნდა გაჰყოლოდა სამგლოვიარო პროცესის ათონის ივერთა მონასტერში.

1066-1070 წლებში თეოფილე უნდა დაბრუნებულიყო კონსტანტინოპოლში, მარიამ დედოფლისა და მისი გარემოცვის შესვეობით გაეღრმავებინა ბერძნული განათლება და დაეწყო მთარგმნელობითი საქმიანობა.

XI საუკუნის 70-იან წლებში იმავე მარიამ დედოფლის, ბაგრატ მეოთხის ასულის,



მფარველობითა და შეწეობით ის დაქვიდრებულა კონცენტრინგით  
ტრიანდაფლივის სამეფო მონასტერში და გიორგი მეფის (1073-1089წწ.) “ბრძანებით  
და მოლუაწებით” შესდგომია სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული წიგნები  
სისტემურ გაღმოღებას ქართულად.

1081 წელს ტრიანდაფლივის მონასტერში თეოფილე ხუცესმონაზონ  
დაუსრულებია სვიმეონის 12 კრებულიდან პირველის – სექტემბრის თვის მეტაფრასი  
თარგმნა და გადანუსხვა.

XI საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში თეოფილე წასულა ათონის ივერია  
მონასტერში. ის მოუძებნია და აქ ჩამოუყვანია ეგვენის, ომელიც შემდგომში ამავე  
მონასტრის წინამდღვარი გამზღარა. ივირონში ბერი კლიმის შეკვეთით თეოფილეს  
უთარგმნია ბერძნული “პატერიკი”.

80-იანი წლების ბოლოს თუ 90-იანი წლების დასაწყისში მარიამ დედოფალს  
ჰდევ მიუწვევია მწერალი თავის ახალ, პაპიკონის კერძო მონასტერში სამოღვაწეოდ.  
აქ, ელადაში, მას დაუწყია იოანე ოქროპირის “თარგმანებად დაბადებისას” ქართულ  
ენაზე გაღმოღება და გადანუსხვა. შემდეგ დაბრუნებულა ათონზე, იქ გაუსრულებია  
თხზულების თარგმნა და იქვე შეუწირავს იგი.

თეოფილეს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ლიტერატურული მუშაობა.  
უკვე საქმიანდ ხანდაზმულს უთარგმნია სვიმეონ ლოლოთეტის დეკემბრის თვის  
საკითხავები.

XII საუკუნის დასაწყისში, თავისი ცხოვრების მიწურულს, მწერალი უნდა  
ჩამოსულიყო საქართველოში და აქვე უნდა ეპოვა სამუდამო განსასვენებელი.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ი ბ ა

თეოფილე ხუცესმონაზვნის ლიტერატურული მემკვიდრეობა საქმიანდ მდიდარი  
და მრავალფეროვანია. მოუწედავად იმისა, რომ მისი ნაწერების ერთი ნაწილი  
დაკარგული ჩანს, ის, რაც შემორჩენილია, უაღრესად ფასეულია ქართულია



მწერლობის ისტორიისათვის. თეოფილე ორიგინალური ხელშეკრის შემთხვევით პოეტი, რედაქტორი და მწიგნობარი. და მანც, იგი, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერი მთარგმნელია, თავისი დიდი მოძღვრის, გიორგი მთაწმიდლის, ბეჭითი მოწაფე და მისი ლიტერატურული სკოლის ლირსეული წარმომადგენელი. შემთხვევითი არც ისაა, რომ მწერალმა თავის ზედწოდებად “თარგმან”, ანუ მთარგმნელი შეაჩინა.

თეოფილემ გაამდიდრა ქართული სულიერი კულტურა ბიზანტიური ლიტერატურის პირველხარისხოვანი ძეგლების თარგმანებით, ნაყოფიერად იღვაწა საეკლესიო მწერლობის არაერთ ჟანრში:

ე გ ზ ე ტ ი კ ა და ჰ ი მ ი ლ ი ტ ი კ ა. თეოფილემ ქართულ ენაზე გაღმოიღო იოანე ოქროპირის ისეთი ფუნდამენტალური ნაშრომი, როგორიცაა “თარგმანებამ დაბადებისათ”. იგი შეიცავს როგორც ბიბლიური ტექსტის კომენტარებს, ისე ზენოსწავლულებითი ხასიათის ქადაგებებს. მანვე თარგმანა გამოჩენილი წმინდა მამათა – იოანე დამაკელის, კირილე აღეჭანდრიიელის, ანასტასი სინელის და იმავე იოანე ოქროპირის სადლესასწაულო ჰომილიები.

ა ს კ ე ტ ი კ ა - მ ი ს ტ ი კ ა. ამ დარგში მწერალმა თარგმანა ბერძნული “პატიერიკი”, ეწ. ამბოხ აგიას წებლის, რომელიც წარმოადგენდა ბერძონაზონთა ერთგვარ სახელმძღვანელოს. გარდა ამისა, ძირითადად ეფოვიშეს თარგმანებზე დაყრდნობით შეაღინა იოანე ოქროპირის “უწავლათა” მეტად ორიგინალური კრებული.

დ ი გ მ ა ტ ი კ ა - ჰ ი ლ ე მ ი კ ა. ეპიფანე კვიპრელის “ოთხმეოცთა წვალებათათაუს” და თეოდორიტე კვირელის “აღსარებაას” ქართული თარგმანები, როგორც ჩანს, ერთდროულად და ერთი მიზანდასახულებით შეასრულა მწერალმა – ეს იყო კიდევ ერთი ცდა “წყარო ცოდნისა”-ს მსგავსი ოხულების შემოტანისა ძევლ ქართულ მწერლობაში.

ჰ ი გ ი თ გ რ ა ფ ი კ ა. თეოფილეს მთარგმნელობით მეტყვიდრეობაში გამსაკუთრებული აღგიღი მანც პაგიოგრაფიას, უფრო ზუსტად, მეტაფრასულ ჰავიოგრაფიას უჰირავს.



როგორც აღნიშნეთ, თეოფილემ მთარგმნელობითი მოღვაწეობა შეტაცულად ტუკიდის ნიმუშების ქართულად გადმოღებით დაიწყო; ახალგაზრდობაშივე თარგმას მან “პატაის ცხოვრება”. საფიქრებელია, რომ 1081 წლამდე შეასრულა მწერალმა ცალკეულ ჰაგიოგრაფიულ და პომილეტიკურ საკითხავთა თარგმანები; მაგალითად, მისი სახელით მოღწეული ზოგიერთი სადღესასწაულო ქადაგება. არც ისა გამორიცხული, რომ შემოქმედების აღრეულ ეტაპზევე თარგმა დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებებიც.

1073 წლიდან თეოფილე ხუცესმნაზონი შეუდგა სვიმეონ შეტაცრასტის წიგნების თანმიმდევრულ გადმოღებას ქართულად. მის მიერ თარგმნილი სექტემბრის თვის შეტაცრასი შეიცავს შემდეგ საკითხავებს:<sup>35</sup>

1. ცხორებად და მოქალაქობად სუმეონ მანდრელისად (1.IX),
2. წამებად და ღუაწლი წმიდისა მამამისი (2.IX),
3. ღუაწლი და სიმწე მღდელ-მოწამისა ანთიმომისი (3.IX),
4. ღუაწლი ბაბილა ანტიოქელ მთავარ-ეპისკოპოსისად (4.IX),
5. წამებად ევდოქსიოს, რომულე, ზინონოს და მაკარისი (6.IX),
6. ღუაწლი წმიდისა სოზონისი (7.IX),
7. წამებად წმიდისა სევერიანომისი (9.IX),
8. წამებად მინადორა, მიტროდორა და ნუმფოდორამისი (10.IX),
9. ცხორებად და მოქალაქობა და ღუაწლი თეოდორა ალექსანდრიელისად (11.IX),
10. ღუაწლი მღდელ-მოწამისა ავტონომომისი (12.IX),
11. საქმედ სასწაულთად და აღსრულებად კორნილიოს ასისთავისად (13.IX),
12. წამებად წმიდისა ნიკიტამისი (15.IX),
13. წამებად წმიდისა ეფთიმიამისი (16.IX),
14. წამებად სოფია და ასულთა მისთა — პისტი, ელპიდი და ალპისი (17.IX),
15. წამებად ტროფიმე, საგატი და დორიმენდომისი (19.IX),

<sup>35</sup> A1.20. ქართულ ხელნაწერითა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 63-74.



16. წამებად ევსტრატი სტრატილატისამ და თეოპისტისი და ორთა ქეთუ, მესტუ გენერალური აღაპი და თეოპისტომი (20.IX),
17. ასტერიოს ამასიელ ეპისკოპოსისა მიერ აღწერილი შესხმად მღდელ-მოწამისა ფოკამის” (22.IX),
18. ღუაწლი წმიდისა თეკლა იქონიელისამ (24.IX),
19. ცხორებად და მოქალაქობად და მოღუაწებად წმიდისა ევფრონიუნემის (25.IX),
20. შესხმად და ქსენებად წმიდისა იოვანე ღმრთისმეტყუელისამ (26.IX),
21. წამებად წმიდისა კალისტრატესი და მოყუასთა მისთამ (27.IX),
22. ცხორებად და მოქალაქობად აღმსარებელ-მოღუაწისა ხარიტონისი (28.IX),
23. ცხორებად და მოქალაქობად და მოღუაწებად წმიდისა კარიაკოს განშორებულისამ (29.IX),
24. ცხორებად და მოქალაქობად და წამებად მღდელ-მოწამისა გრიგოლი დიდისა, სომხითისა ეპისკოპოსისამ (30.IX),
25. თქუმული იოვანე დამასკელისამ, შობისათვეს ღმრთისმშობელისა მარიამისა (8.IX),
26. მისივე იოვანე დამასკელისამ, საკითხავი შობისათვეს ღმრთისმშობელისა მარიამისა (8.IX),
27. თქუმული წმიდისა ბასილისი, ამაღლებისათვეს ჯუარისა, თ ა ჩ გ მ ა ნ ე ბ უ ლ ი ე ფ თ კ მ ე ს ი (14.IX).

ოქტომბრის თვის მეტაფრასები, რომლებიც უთუოდ უნდა ეთარგმნა თეოფილეს, დღეს დაკარგულია.

- ნოემბრის თვის საკითხავებიდან ჩევნამდე მოღუაწეულია შემდეგი ტექსტები:<sup>36</sup>
1. ცხორებად და მოქალაქობად და მიცვალებად კოზმინ და დამიანესი (1.XI),
  2. ღუაწლი მოწამეთა აკინდვნუ, პილასიუ, ანემპოდისტო, აფონიუ და ელპიდიფორმისი (2.XI),
  3. ცხორებად და მოქალაქობად და წამებად ღალაკტიონ და ეპისტიმისი (5.XI),
  4. ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა პავლე აღმსარებლისამ (6.XI),

<sup>36</sup> At.37 და At.36. ჭართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექტი, I, გვ. 99-103.



5. ცხორებად და მოქალაქობად დედისა თეოქტისტი მეუღაბნომასა (10.XI),
6. წამებად წმიდისა მინამისი (11.XI),
7. ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა იოანე მოწყალისა, ალექსანდრიელ მთავარ-პისკოპოსისად (12.XI),
8. ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსისად (13.XI).

ათონის №37 ხელნაწერს, რომლის გაგრძელებაა At.36, უძლვის ზანდუკი. მასში აღრიცხულია ნოემბრის საკითხავები. მათ შორის დასახელებულია დამატებით ორი თხზულება – “წამებად წმიდისა იერონომისი” (7.XI) და “ცხორებად და მოქალაქობად მატრონამასი” (9.XI), რომელთა ტექსტები ამჟამად აღარ არის დაცული კრებულებში. ლ. ახობაძის აზრით, თეოფილეს მიერ ეს საკითხავებიც არის თარგმნილი. ისინი გამოტოვებულია მხოლოდ ათონური №36 ნუსხის გადამწერის მიზეზით.<sup>37</sup>

თეოფილეს მიერ თარგმნილი დეკემბრის თვის საკითხავებიდან ძველ ქართულ ხელნაწერებში (At.2, K5), დაცულია მხოლოდ რამდენიმე. მათ აქვთ მინაწერი “თარგმნილი თეოფილესი”. ესენია:<sup>38</sup>

1. წმიდისა მამისა ჩუქნისა ამბროსისთვის, მედიოლანელ ეპისკოპოსისა (7.XII),
2. ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა პატიპისი (8.XII. თარგმნილია თეოფილეს მიერ ორჯერ),
3. წამებად წმიდისა მღლელ-მოწამისა ელევოერისი (15.XII),
4. ღუაწლი წმიდისა გინიფანტე პრომისად (19.XII).

გარდა ამ პაგიოგრაფიული თხზულებებისა, შესაძლებელია თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ არის თარგმნილი “ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა საბამისი” (5.XII).<sup>39</sup> თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერალს ეკუთვნის კიდევ ექვსი სადლესასწაულო პომილის თარგმანი, რომლებიც გელათურ №8 მეტაფრასშია

<sup>37</sup> ლ. ა ხ თ ბ ა გ დ ე, ნოემბრის თვის შეტატრასების ორი ათონური ნუსხა, კ კეკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მუნიცილითა, XV, თბ., 1989 წ., გვ. 32-37.

<sup>38</sup> ქართულ ხელნაწერთა ღმრთილობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 16-33; ქუთაისის სახელმწიფო მარიამელი მუზეუმის ხელნაწერთა ღმრთილობა, I, გვ. 35-38.

<sup>39</sup> ქართული ფილიგრაფიული ძეგლები, ნაწ. I, კომენტ. ტ. II, გამოსცა კ კ კ კ ლ ი ძ გ მ, თბ., 1946 წ., გვ. 118, ს. 3.



დაცული,<sup>40</sup> გამოდის, ჩვენამდე მოღწეულია მისი თარგმნილი 45-მდე ტრადიციული საკითხავი.

თეოფილეს მიერ ქართულად გადმოღებული მეტაფრასული ობზულებების ერთი ნაწილი რომ დაკარგულია, ამას მოწმობს კიდევ ერთი ფაქტი. თეომურაშ ბატონიშვილის უწყებით, პლატონ იოსელიანს უნახავს ერთი ძველი კრებული, სადაც “წმიდა ნიკიფორეს წამებას” ბოლოში ასეთი მინაწერი ჰქონია: “უწყებულ იყავნ ყოველი, რომელი მიემთხვიოს წამებას ამას წმიდისასა, რომელ ახლად თარგმნილი არს ეს მეტაფრასისაგან ბერძულისაგან ქართულად ფრისად ცოდნულისა მიერ თ ე თ ფ ი ღ ე ს, რეცა ხუცეს მონაზონისა, ღმერთმან გარწმუნოს. ლოცვა პყავთ მისთვის, რათა ჰყოს მის თანა წყალობა ღმერთმან, რომლისა არს დიდება უუნისამდე, ამინ”. (S 3637, 156v).<sup>41</sup> საგულისხმოა, რომ დიდმოწამე ნიკიფორეს ხსენება ეკლესიის 9 თებერვალს ჰქონდა დადებული. გაშასადამე, მწერალს “ზამთრის” თვეთა ცალკეული მატაფრასებიც ჰქონდა თარგმნილი.

ასე რომ, თეოფილე ხუცესმონაზონს მართლაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ბიზანტიური მეტაფრასული ჰავიოგრაფიის ქართულ ენაზე გადმოღების საქმეში.

პ ო ე ზ ი ა. თეოფილე პოეტური ნიჭით დაჭილდობული მწერალია. უკვე მის ანდერძ-მინაწერებში ჩანს ღრმა ლირიზმი, რიტმულობის შეგრძნება, მხატვრული და წყობილი სიტყვისადმი შემოქმედის დამოკიდებულება. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს მისი ანდერძებიდან.

სექტემბრის თვის მეტაფრასის (At. 20) ანდერძიდან:

“უოდგათა სიჭაბუკისა და უშეცრებისა ჩემისათა ნუ მოიქსენებ!

მიწყალე მე, უფალო, მიწყალე და ულხინე ჭირვეულსა სულსა ჩემსა!

განსეთქე, მეუფეო, განსეთქე კელით-წერილი ბრალთა ჩემთაა!

დამიწერე მე, მაცხვარ, დამიწერე კელით-წერილი იგი ლხინებისა და გამოქარისად!

<sup>40</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 48-56. ჭ კ ე გ ე ლ ი ძ გ დ გ ვ ლ ი, ქართული ლიტერატურის ძალისა, I, თბ., 1980 წ., გვ. 245-246.

<sup>41</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კოსტენი გამგრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, V, თბ., 1967 წ., გვ. 109.



მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნდოებასა ზედა ჩემსა დაუგურულებული თუალნი სულისა ჩემისანი!” (გვ.77).

ბერძნული “პატერიკის” თარგმანის მინაწერი:

“სული ყოველთა ქრისტიანეთა განსუმნებულ-ყავ, უფალო!

სული მოძღვართა და მშობელთა ჩუენთა სანატრელ-ყავ, უფალო!

სულსაცა ჩემსა მრავალშეცოდებულსა – ნუვე გასწირავ, უფალო!” (A 1105, 391 r).<sup>42</sup>

პირველი ნიმუში გამოიჩინა ფსალმუნური ინტონაციებით, ხოლო მეორე – რითმიანი ლექსივით იკითხება.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ თეოფილეს ავტოგრაფულ ხელნაწერებში – At.20-სა და At.29-ში აღმოჩნდა მწერლის 10 და 16 მარცვლიანი პოეტური თხზულებები, რომლებიც პირველად შეისწავლა და გამოაქვეყნა ოლოლაშვილმ.<sup>43</sup>

სექტემბრის თვის მეტაფრასში (At.20) დაცულია ერთი ათმარცვლიანი ლექსი: “აღმალლდი უფროს ცნობითა”:<sup>44</sup> იგი შეიცავს 53 სტრიქონს, მისი თავი და ბოლო ასოები იტყვიან: I. “აქებდით ყოველნი არსნი უფალსა! გეორგი მეფე დაიცევ, ქრისტე, ამინ. II. აცხოვნე, ღმერთო ტყბილო, აცხოვნე, ცოდვილი თეოფილე ჩეცა თარგმანი”. თავად ტექსტი შედგება ორი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში შექებულია ქვეყნის შემოქმედი მამა-ღმერთი, მისი წატი – კაცობრიობის მხსნელი ქრისტე და საქართველოს მეფე გიორგი II. ძალზე შთამბეჭდავია პოეტის ლოცვა-ველრება – ღმერთმა დაიცეს და დაიფაროს მისი ქვეყნის სულკურთხეული ხელმწიფე:

“ფრიად სულგრძელო, შენ ექმენ შემწე

აღმოსავალთა ქუელსა მეფესა,

ლალვად არიდე, აცოცხლე მიმდემ,

სული უცხოვნე, მიეც მსა ძალი

აწ და ოდესვე, მერმეცა! ამინ.”

<sup>42</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, IV, გვ. 89.

<sup>43</sup> ი. ლ. ო. ლ. ა. შ. გ. ი. ლ. ი., თორნურ ქართულ ხელნაწერთა სისტემი, გვ. 44-48, 54-57.

<sup>44</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თორნური კოლექცია, I, გვ. 71-72.



ლექსის მეორე ნაწილი წარმოადგენს საველრებელ აღსარებას და კირზულ წყალობას სთხოვს უფალს და “გლახჭირვეული” სულის გადარჩენას ვველოება:

“ეპა, უფალო, ასუ თეოფილეს წყალი

იგი ცხოველი უკუნისამდე!”

ითანე ოქროპირის “დაბადების” კომენტარებში (At.29) ჩართულია ორი ლექსი, რომლებიც წინ უძღვის მთარგმნელის ანდერძს. ისინი წარმოადგენენ 10 და 16 მარცვლიან კიდურწერილობიან იამბიკოებს.

პირველი იამბიკოს კიდურწერილობაა: “ღმერთო ცხოველო, დიდება, ჰომ შენდა! ამენ. მაცხვარ, აცხოვნე სული ცოდვილი”. კიდურწერილობიდან უკვე ჩანს, რომ ლექსი წარმოადგენს საველრებელ ჰიმნს, სადაც ავტორი, ერთი მხრივ, ხოტბას აღვლებს უფლისადმი, როგორც ქვეწიერების სურათმოძღვრისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, შესთხოვს მას თანადგომას და მოწყალებას, როგორც გლახაკი “უბადრუები, მონად ცოდვილი, ნივთი ცეცხლისა გეჰენისად”.

მეორე იამბიკოს კიდურწერილობაა: “მოსეს და იოგანეს ნეტართას ნატრის ცოდვილი ფილოთეოს”. “ფილოთეოსი”, რაღა თქმა უნდა, არის იგივე თეოფილე და ნიშნავს ღვთისმოყვარეს. ის მიღებულია ავტორისეული სახელის შემადგენელი სიტყვების უბრალო გადანაცვლებით. ლექსში შექებულია ებრაელთა რჯულმდებელი და წინასწარმეტყველი მოსე, რომელსაც მიეწერება “დაბადება” (იგივე “შესაქმე”), და კომენტატორი ითანე ოქროპირი. პოეტი შენატრის მოსეს, რომელიც გახდა ღირსი უფლის ხილვისა და მისი “სჭულის სიტყვის” გაცხადებისა, იხსენებს მის ზოგიერთ სასწაულს, აღნიშნავს: არსთა შემოქმედს შვენის ქება, რომ

“აღამის ქეთა დიდებად ღმერთი კორცითა ვიხილეთ,

რომელსა პრეზან “ქე მაღლის”, ღმრთისა მარჯუენით მჯდომარე”.

დასასრულ, ის მოსე წინასწარმეტყველსა და ითანე ოქროპირს სთხოვს მეოხებასა და სულთა ლხებას:

“თეოფილეს გლახ-ცოდვილსა მეოხ ექმნენით, წმიდანო,

აღმატებულო ოქროპირ ჩჩეულსა თანა მოსეის,

სავსე კნინ წულილი ძლუენი ზოგად ორთავე მიიღეთ



და მითხოვეთ ლხენა სულთა დღესა მას დიდია  
სასჯელისასა. ამინ.”

ამრიგად, თეოფილე სუცესმონაზონი გვევლინება არა მარტო მთარგმნელ-პროზაიკოსად, არამედ ჩინებულ პოეტად, ქართული აქროსტიკული ლექსის ვერსიფიკატორად. კლასიკურ ხანაში აქამდე ცნობილი არ იყო, რომ სასულიერო ლექსები იწერებოდა 10-მარცვლიანი საზომით. ამ შერივ, ის არის გერგერომით პირველი მწერალი, რომელსაც მოეპოვება აღნიშნული საზომით შეთხზული ჰიმნები. რაც შეეხება მის იამბიკოს – “შესხმა მოსე წინასწარმეტყველისა და იოანე ოქროპირისა”, ფილიპე ბეთლემელის საგალობლის შემდეგ ის უკვე მეორე პოეტური ძეგლია, რომელიც 16 მარცვლიანი საზომითაა შექმნილი. მაშესადამე, იმხანად ეს საზომი პოეზიაში უკვე დამკვიდრებული იყო.

თეოფილეს მიეწერება კიდევ ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება – “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქტია, საკითხის სირთულის გამო ღირს მასზე საგანგებოდ შევჩერდეთ.

### თეოფილე სუცესმონაზონი – “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქტიის ავტორი

XIX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, პ. იოსელიანი, მ. საბინინი და სხვ.) გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ “ილარიონ ქართველის ცხოვრება” თავდაპირველად დაიწერა ბერძნულად ბასილი მონაზონის მიერ, ხოლო შემდეგ ითარგმნა ქართულად თეოფილეს მიერ.

საიდან გაჩნდა ეს ვერსია? რატომ დაუკავშირდა თეოფილეს სახელი “ილარიონ ქართველის ცხოვრებას”?\*

ამ ვერსიის შექმნის საფუძველია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თეიმურაზ ბატონიშვილისული ხელნაწერი H 22. იგი ნაწერია



ქალალდზე ნუსხურით; შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს, მათ შორის წმინდანის „*კარტველების ცხოვრების*“ მეტაფრასულ რედაქციის. ამ რედაქციის შემცველი ნუსხურიდან კარტველების საუკუნეებით, თხზულებას სათაურის შემდეგ ყველაზე ძველია, თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. თხზულებას სათაურის შემდეგ ტექსტისავე ხელით აქვს მინაწერი: “თარგმანი თეოფილე”.<sup>45</sup>

ხელნაწერ H22-ს მონაცემები შესულია თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის ხელნაწერ H22-ს მონაცემები შესულია თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში. მასში წარმოდგენილია ილარიონ ქართველის მოკლე ბიოგრაფია, რომელსაც ერთგვის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხსიათის ზოგიერთი ცნობა წმინდანის “ცხოვრების” შექმნის შესახებ; კერძოდ, აქ ნათქვამია: “ზოლო ვ ხოვ ვ წმინდანის “ცხოვრების” შექმნის შესახებ; კერძოდ, აქ ნათქვამია: “ზოლო ვ ხოვ ვ რ ე ბ ა მისი აღიწერა ბ ა ს ი ლ ი ს ვისიმე მიერ მ თ ნ ა ზ თ ნ ი ს ა რ ე ბ ა მისი აღიწერა ბ ა ს ი ლ მ ა კ ე დ თ ნ ე ლ ი ს ა, ბერძნენთა ბერძნენთასა, ბრძანებითა ვ ა ს ი ლ მ ა კ ე დ თ ნ ე ლ ი ს ა, ბერძნენთა იმპერატორისათა; ვინავთგან ვ ა ს ი ლ ი ი გ ი მ თ ნ ა ზ თ ნ ი ი ცნობდა სიცოცხლესავე შინა მისა წმიდასა ი ლ ა რ ი ო [ ნ ] ჭ ა რ თ ვ ე ლ ს ა, და უწყოდა ყოველნი საქმენი სათნოებისა მისისანი. ხოლო ბერძნულისაგან გარდამოითარგმნა ქართველიდ ლირისია თ ე თ ფ ა ნ ე მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ ქართველისა”<sup>46</sup> (ბრძანება და ცაგარლის მიერ გამოცემულ კატალოგებში თეოფილეს ნაცვლად იკითხება თეოფილე<sup>47</sup>).

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ როგორც ილარიონის ბიოგრაფიის გადმოცემისას, ისე მასზე შექმნილი თხზულების ავტორ-მთარგმნელზე ცნობების მოწვდისას, თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ითვლება საკუთარი წიგნსაცავის კატალოგის თვალპირველი ვარიანტის შემდგენლად, სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ H22 ხელნაწერის მონაცემებით.

გავიხსენოთ, რას გვამცნობს “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქცია ავტორის შესახებ. თხზულების დასასრულს აქ ვკითხულობთ:

“ზოლო ეს არს ცხოვრებად მამისა ჩუქინისა წმიდისა ილარიონისი. ეს არს მოქა-

<sup>45</sup> ქ. დ თ ლ ა ქ ი ძ ე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძელი ჩედაქციები, თბ., 1974 წ., გვ. 13; 86.

<sup>46</sup> ოფეტების ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, დამზადა გმირსცმად, წინამოღვვეობა და შენიშვნები დაურიმა ს ი თ რ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1948 წ., გვ. 19-20.

<sup>47</sup> M. Brosset, Catalogue des livres géorgiens, tant imprimés que manuscrits, anciens et modernes, S-Pt., 1838, p. 141. A. A. Цагарелли, Сведения о памятниках грузинской письменности, Т. I, вып. III, Санкт-Петербург, 1894 г., стр. 164.



ლაქონია კაცისა მის საყუარელისა და სიმწენე ახოვნებისა მისისად და შეოლენებაზე გრძელი აჩუქნა მან ქუცანასა ზედა, რომელი ჭებითა ტრადიციულ გისა მთა პატივი და უმ იქმნა ბრძანებითა ბასილი მეფისა მთა ბასილი მიერ მონაზონის სა ბასილის მიერ მონაზონისა, რომელი დიდად განთქმულ იყო და ბრწყინვალე სიბრძნითა”.<sup>48</sup>

თუ ამ ცნობას დავუმატებთ “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის სათაურის მინაწერს – “თარგმანი თეოფილე”, მივიღებთ მონაცემებს, რომელთაც ემყარება თეომურაზისული ვერსია ნაწარმოების შექმნისა და წარმომავლობის შესახებ.

სხვა საკითხია, რამდენად სწორად გააანალიზა სწავლულმა ბატონიშვილმა მისივე კუთვნილი H 22 ნუსხის მონაცემები.

როგორც ჩანს, “ილარიონის ცხოვრების” სათაურისული მინაწერი – “თარგმანი თეოფილე”, თეომურაზმა გაიგო, როგორც მთარგმნელი თეოფილე, ანდა თეოფილეს თარგმანი (არადა, “თარგმანი” თეოფილეს ზედწოდებაა, სწორედ მას იყენებს ილოლაშვილი ხუცესმონაზვნის ნაცვლად.<sup>49</sup>). რაკიდა მან ქართველი მწერალი თხზულების მთარგმნელად მიიჩნია, აქედან წარმოაშვა მისი სხვა ვარაუდები თუ დამატებანი: ბასილი მონაზონი ჩათვალა ბერძენ ავტორად, რომელიც კარგად იცნობდა ილარიონის მოღვაწეობას და ბერძნულად აღწერა წმინდანის ცხოვრება, ხოლო თეოფილემ ქართულ ენაზე გადმოთარმნა იგიო.

ხელნაწერი H22, რომელიც თავისი სიძველის გამო პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა, ასეთი კატეგორიული დასკვნების გაკვეთების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა. ამ ნუსხის მიხედვით, ილარიონის “შესმა” შეთხზულია ბასილი მეფის ბრძანებით ბასილი მონაზონის მიერ, რომელიც განთქმული და სიბრძნით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. რაც შეეხება იმას, რომ ბასილი ეროვნებით ბერძენი იყო, კარგად იცნობდა ილარიონ ქართველის მოღვაწეობას და თხზულებაც თავდაპირველად ბერძნულ ენაზე დაიწერა – მხოლოდ თეომურაზ ბატონიშვილის ვარაუდებია და სხვა

<sup>48</sup> ტევლი ქართული ფოგრატული ლიტერატურის ძეგლები, წიგნ III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII ს.), ი. ა ბ უ ლ ა შ ი ს ს ხელმძღვანელობითა და ჩედაქციით, თბ., 1971 წ., გვ. 247-248.

<sup>49</sup> ი. ლ რ ლ ა შ ვ ი ლ ი ა, თაონურ ქართულ ხელნაწერთა ხასხლები, გვ. 36.



არაფერი. დღეს უკვე გარკვეულია, რომ თეიმურაშის ხელთ ჰქონდა „*ცეკვის მინიჭების ცხოვრების*“ მეტაფრასული რედაქცია. თეოფილე უნდა ჩავთვალოთ ამ რედაქციის ავტორად და არა მთარგმნელად.

ეს მოსაზრება სრულიად დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ უფრო ძველი – მოკლე და ვრცელი ათონური რედაქციები. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი, მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარდა, ორიგინალურ შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა. თუ ამას დავუმატებთ იმ უკველ ფაქტსაც, რომ თეოფილე განსაკუთრებული წელილი შეიტანა სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული კრებულების ქართულად გადმოღებაში, გაშინ ამ მწერლის მიერ „ილარიონის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის შექმნა სავსებით კანონზომიერი გამოჩნდება.

ამრიგად, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმკოლნეობის ინსტიტუტის H22 ხელნაწერის მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკრათ: ილარიონის „შესხმა“ ბასილი შეფის ბრძნებით წარმოუთქვამს თუ დაუწერია ბასილი მონაზონს, ხოლო მისი „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია შეუქმნა თეოფილე თარგმანს, იგივე ხუცესმონაზონს.

კ კველიძემ თავისი აზაჩვეულებრივი ინტუიციის წყალობით სწორად შეაფას H22 ნუსხის ცნობები, ნდობა გამოუცხადა მათ და სრულიად სამართლიანად ჩათვალა თეოფილე ხუცესმონაზონი „ილარიონის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორად.<sup>50</sup> თუმცა მეცნიერს მცირე უზუსტობა მაინც გაეპარა. როგორც ჩანს, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმკოლნეობის ინსტიტუტის ხსენებული ხელნაწერი მას ხელთ არ ჰქონდა. ამ ხელნაწერის დახასიათებისას იგი ეყრდნობოდა მ.ბრასეს, რომელსაც თავის მხრივ იმოწმებდა პ.პეტერესი.<sup>51</sup> შევლევარი წერდა: „პეტროგრადის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელნაწერში ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“ დართული აქვს შენიშვნა: ამბობენ, რომ ილარიონის ცხოვრება აღიწერა

<sup>50</sup> კ კ ე ე ლ ი ძ ე ნაწევეტი ქართველი აგიოგრაფიის სტურიოდან (ცხოვრება ილარიონ ქართველის), ეტიუდები ძვლია ქართველი ლოტერეტურის სტურიოდან, IV, თბ., 1957 წ., გვ. 148; 152; 158.

<sup>51</sup> P. Peeters, S. Hilarion d' ibérie, Analecta Bollandiana, T. XXXII, Bruxelles, 1913, p.237.



ბერძნულად, ბასილი იმპერატორის ბრძანებით, ბასილის მიერ მონაზონიშვილის ქართულად თარგმა თეოფილემ".<sup>52</sup>

როგორც აღნიშნეთ, ეს შენიშვნა თეიმურაზის კატალოგისეული ცნობაა და არა მისი კუთვნილი ხელნაწერისა. მ.ბროსეც ამ ცნობის მოყვანისას მისსავე ფრანგულ ენაზე ნათარგმნ თეიმურაზის კატალოგს უთითებს.<sup>53</sup>

დარწმუნებულნი ვართ, კ. კეკელიძეს რომ თავად თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერი ან მისი ზუსტი აღწერილობა ენახა და ამ ნუსხის მინაწერის – “თარგმანი თეოფილე” – არსებობა სცოდნოდა, მაშინ ის უყოფმანოდ გამოაცხადებდა “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასულ რედაქციას თეოფილე ხუცესმონაზვნის შემოქმედების ნაყოფად. სწორედ ამგვარი მინაწერის მიხედვით, მიაკუთვნა მან ბერძნულიდან თარგმნილი ზოგიერთი მეტაფრასი სხენებული მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძემ ზუსტად მიუთითა “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორის ვინაობაზე; მეტიც: განსაზღვრა აა ამ რედაქციის შექმნის მიახლოებითი თარიღი, ამით მან დამატებითი არგუმენტი შესძინა თეოფილეს ავტორობის საკითხს. მეცნიერი წერდა: “შეტაფრასული რედაქცია გამოსულა 1074-1100 წლებში, სწორედ მაშინ, როდესაც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდა ხუცესმონაზონი თეოფილე; ამიტომ ვამბობთ, შესაძლებელი და ღასაჩერებელია – აღნიშნული რედაქცია მართლაც ეკუთვნოდეს ამ თეოფილეს”.<sup>54</sup>

ბ. კილანავაშ სიტყვასიტყვით გაიმეორა კ. კეკელიძის უზუსტობა ისე, რომ არ შეუძლიშებია პირველწყაროები – ბროსესა და პეტერის ნაშრომები და “ჭვა ჭვაზე არ დატოვა” თეიმურაზის წიგნსაცავის კატალოგის ცნობებიდან, რომლებიც მას, ბუნებრივია, სანკტ-პეტერბურგული ხელნაწერის შენიშვნა ჰქონია. მოვიყვანთ ვრცელ მონაწერს მისი ნაშრომიდან:

“ათონის 1074 წლის აღაპებიანი ხელნაწერი კრებულის გამოქვეყნებამდე (1901) მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოექცა მეტაფრასული რედაქცია თხზულებისა,

<sup>52</sup> კ კ კ კ ლ ი ძ კ, ეტიულები, IV, გვ. 147. იბ. აგენტურა, გვ. 142.

<sup>53</sup> M. Brossat, Histoire de la Géorgie, I partie, S-Péterbourg, 1849, p.273, not.1.

კ კ კ კ ლ ი ძ კ, დას. ნაშრომი, გვ. 152.



ამდენად, მისი ავტორის ვინაობის დადგენა იმ დროისათვის საზოგადოდ შეუწილესი გადაჭრასაც გულისხმობდა. ასეთ პირობებში გადამწყვეტი რეალი როგორიცაა „ცხოვრების” შემცველი ერთი (თემურაზ ბატონიშვილისეული) ხელნაწერის „შენიშვნაში: ‘ამბობენ, რომ ეს ცხოვრება დაიწერა ბერძნულად, ბასილი იმპერატორის ბრძანებით, ბასილი მონაზონის მიერ, ხოლო ქართულად თარგმნა თეოფილემ’.”

„კელევის პირველ ეტაპზე შემუშავებულ თვალსაზრისს მრავალი გაუცემობა ახლდა. უწინარეს ყოვლისა გაუთვალისწინებელი დარჩა ხელნაწერის შენიშვნის ახლდა. იგი აშენად გვიანდელია და დასმულ პრობლემაზეც გადაწყვეტით არათერს რაობა; იგი აშენად გვიანდელია და დასმულ პრობლემაზეც გადაწყვეტით არათერს ამბობს. სხვა ღროსაც დაგვჭირდება ამ აზრის განმეორება, რომ კომენტატორი, ვინც არ უნდა იყოს იგი, კარგად იცნობს თხზულების მეტაფრასულ რედაქტის (მისი შენიშვნა სწორედ მას ეხება!), მაგრამ ამ უკანასკნელში იგი ვერ პოულობს ისეთ ცნობას, რომელიც რამენარიად მაინც არყვევდეს ავტორის ან მთარგმნელის ვინაობას. ამდენად, შენიშვნა საკუთრივ ტექსტის გაგებიდან არ გამომდინარეობს, ყველ შემთხვევაში, აქ არსადა ნახსენები ვინმე თეოფილე – მთარგმნელი ბერძნული ენიდან, ხოლო ბასილ მონაზონი მეტაფრასული რედაქტის ისეთ კონტექსტშია ნახსენები, რომ, ჩინს, იგი კომენტატორს ორნავადაც არ აძლევდა საფუძველს მსგავსი დასკვნის გამოსატანად. ამიტომაც იმეორებს შენიშვნის ავტორი სხვათა ნათევაში, წერილობითს ან ზეპირ გადმოცემას: “ა მ ბ თ ბ ე ნ... თეოფილემ”.<sup>55</sup>

თემურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგისეული ცნობის ფრანგულად მოყვანისას მ. ბროსეს უწერია შემდეგი: გადმოცემის თანახმად, ილარიონის ცხოვრება, ბასილი იმპერატორის ბრძანებით, თავდაპირველად დაუწერია ბერძნულად ბასილი მონაზონს, რომელიც კარგად იცნობდა წმინდანს, ხოლო შემდეგ უთარგმნია ქართულად ვინმე თეოფილეს.<sup>56</sup> თუ საიდან გაჩნდა ეს ცნობა, რა მიმართება მასა და „ილარიონის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქტის შემცველ სანკტ-პეტერბურგული ხელნაწერის მონაცემებს შორის, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ბ. კილანავა ცელნაწერის მონაცემება გაეუბრალოებინა, გაებათილებინა ხსენებული დოკუმენტის დღილობდა, რაც შეიძლება გაეუბრალოებინა.

<sup>55</sup> ბ. კ. ი. ლ. ა. ვ. ა. „ღრაზონ ქართველის ცხოვრების“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა ჩატვირტებულისათვის (ნარკევები და მსალები) მ. წიგნში: ქართული დამწერლობისა და შექროლობის სათავებით, თბ., 1990 წ., გვ. 282-283.

<sup>56</sup> M. Brosset, დას. ნაშრომი, გვ. 273, შენ. I.



ეს ყველაფერი კი ერთ მიზანს ემსახურებოდა: საფუძველი გამოსცლოდა კულტურული მოსაზრებას “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორის ვინაობის შესახებ<sup>57</sup> და, საერთოდ, მის დებულებებს ამ ჰავოგრაფიული ძეგლის რედაქციათა ურთიერთმიმართებასა და წარმომავლობაზე.

ბ. კილანავის მცდარი მსჯელობა სათავეს იღებდა იქიდან, რომ ის არ იცნობდა თეომურაზ ბატონიშვილის კუთვნილი ხელნაწერის ჩვენებებს. უცნაურია, კაცი, რომელიც დაუცხრომლად იკვლევდა “ილარიონ ქართველის ცხოვრების” ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს (თხზულების ატრიბუციას, რედაქციათა ურთიერთმიმართებას, ავტორის ვინაობას და სხვ), რომელსაც სტრიქონ-სტრიქონ ჰქონდა დაანგარიშებული თითოეული რედაქცია და მათი მოცულობითი მიმართების პროცენტულობა, რომელიც შეუპოვარ პოლემიკას აწარმოებდა ოპონენტებთან საკუთარი შეხედულებების დასაცავად, ზოგჯერ ასეთ უგულისყურო დამოკიდებულებას იჩენდა პირველწყაროების მიმართ.

1974 წელს გამოვევინდა მ. დოლაქიძის წიგნი: “ილარიონ ქართველის ცხოვრების ჭელი რედაქციები”. ნაშრომი ეხება ილარიონის სახელზე შექმნილ თხზულებათა ციკლის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების საკითხთა შესწავლას და ამ ძეგლთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის გარკვევას. მანამდე მკვლევარმა გამოსცა “ილარიონ ქართველის ცხოვრების” ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციები.<sup>58</sup> მანვე წარმოადგინა თხზულების თითოეული რედაქციის შემცველი ხელნაწერების სრული ნუსხა და მათი მოკლე დახსინათება,<sup>59</sup> მათ შორის, ხსნებული სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის H22 ნუსხისა. მაგრამ ამ ხელნაწერის სათაურის მომდევნოდ გაკეთებული შენიშვნა – “თარგმანი თეოფილე”, მ. დოლაქიძემ არასაკმარისად მიიჩნია “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორის ვინაობის დასადგენად. მეცნიერის არგუმენტები ასეთია:

1. მეტაფრასული რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერთაგან არც ერთს არ გააჩნია

<sup>57</sup> ბ. კილანავის მცდარი მსჯელი, წიგნი, გვ. 285.

<sup>58</sup> ძველი ქართული ავოგორაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV ს.), ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967 წ., გვ. 9-37.; წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII ს.), გვ. 208-248.

<sup>59</sup> მ. დოლანავის მცდარი მსჯელი, წიგნი, გვ. 13-16.



მინაწერი - “თარგმანი თეოფილე”. 2. თეომურაზ ბატონიშვილის „შეგნუახულებულის ცნობები “ილარიონ ქართველის ცხოვრების” შესახებ არ შექსაბამება სინამდვილეს.<sup>60</sup>

კვლავ უნდა გავიმეოროთ: X I I - X I I I საუკუნეების სანკტ-პეტერბურგში ხელნაწერი არის პირველი რისხოვანი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყარო და საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ მის მინაწერს, რომელიც “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორად თვითვილე თარგმანს, იგივე ხუცესმონაზონს აცხადებს. ამ გზით რომ ვითროთ, ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ თეონფილეს პაგინგრაფიული და ჰომილეტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ზემოთქმულის შემდეგ, თავისთავად იხსნება მ. დოლაქიძის ვერსია, რომ თითქმის “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქცია გარეჯის უდაბნოს მოღვაწის მიერ არის დაწერილი, მაგრამ არა საქართველოში, არამედ პალესტინაში, იერუსალიმის მიდამოებში მდებარე მონასტერში.<sup>61</sup>

ჩვენ ეროვნების შევაღარეთ “ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის შესავლის ნაწილი, სადაც სარწმუნოების სიმბოლოა გადმოცემული და თეონფილეს თარგმნილი „აღსარებად მართლისა და უბიწოდსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისად”, რომელიც მიეწერება თეოდორიტე კვირელს.

ამგვარი შედარება მეთოდოლოგიურად გამართლებულია, რაკიდა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყაროებით ცნობილია, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე მწერლის ორ შემოქმედებით ნიმუშთან; თანაც შესაღარებლად ავიღეთ მეტაფრასულ ჰავიკურაფიულ ქველში შესული ისეთი დოგმატიკური ნაწყვეტი, რომელიც უანრობ-

<sup>60</sup> გ. დოლაქიძე, დას. წევნი, გვ. 86-88.

<sup>61</sup> იქნ. გვ. 86.

რივი თვალსაზრისით არ განსხვავდება თარგმნილი თხზულებისაგან.



“ილარიონის ცხოვრების” შესავლისა და “აღსარებას” ურთიერთშედარებამ საინტერესო შედეგი მოგვია. აღმოჩნდა, რომ პირველი თხზულების ლექსიკს, იქ, სადაც გადმოცემულია ქრისტიანული მრწამსი, მთლიანად ფარავს მეორე, თარგმნილი თხზულების ლექსიკა; მეტიც: რიგ შემთხვევაში ფრაზეოლოგიური დამთხვევებიც კი შეიმჩნევა. და, მიუხედავად იმისა, რომ დოგმატიკური ხასიათის ძეგლებში ლექსიკს და თვით ფრაზეოლოგის საქმაოდ კანონიზებული სახე აქვს, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოს გადმოცემას, აქ მაინც შეუძლებელია არ დავინახოთ ერთი და იმავე მწერლის ხელწერა.

მოვიყვანთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ლექსიკური და ფრაზეოლოგიური პარალელების ნიმუშებს ”ილარიონის ცხოვრების” და ”აღსარებას” ტექსტებიდან:

“ცხოვრებამ ილარიონ ახლისამ”

(ძეგლები, III, გვ.208-209)

1. “წ მ ი დ ა თ ა მ ო ც ი ქ უ  
ლ თ ა და ლ მ ე რ თ - შ ე მ  
ო ს ი ლ თ ა მ ა მ ა თ ა მ ს ა”.

2. “ს ა მ გ უ ა მ ო ვ ნ ე ბ ა.”

3. “ს ა მ ე ბ ა ს ა ადიდებს ე რ თ-  
ა რ ს ე ბ ი თ და ე რ თ - ა რ  
ს ე ბ ა ს ა სამეტით.”

4. “სამ - ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ბ ა.”

5. “ე რ თ უ ფ ლ ე ბ ა.”

“აღსარებამ სარწმუნოებისამ”

(Jer. 23, 339r-343v)

“წ მ ი დ ა თ ა მ ო ც ი ქ უ ლ  
თ ა დ ა ლ მ ე რ თ - შ ე მ ო  
ს ი ლ თ ა მ ა მ ა თ ა გ ა ნ”.

“ს ა მ გ უ ა მ ო ვ ნ ე ბ ა.”

“ს ა მ ე ბ ა ს ა თაყუანისვცემ  
ე რ თ ა რ ს ე ბ ი თ, ე რ თ -  
ა რ ს ე ბ ა ს ა - სამგუამოვნად.”

“სიტყუა - ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე -  
ბ ა.”

“ე რ თ ს ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა.”



6. “ერთსა არსებასა,  
ერთსა ძალსა, ერთსა  
მეუფებასა”.

“ერთსა არსებული  
თსა ძალსა, ...ერთსა  
მეუფებასა”.

7. “ღმრთივ-შუენიერად”

“ღმრთივ-შუენიერად”

8. “შხოლოდ - შობილისა  
ძისა ღმრთისასა”.

“შხოლოდ - შობილი იგი  
ძე ღმრთისა”.

9. “განკაცება”

“განკაცებული”

10. “შშობელი მისი  
უხრწნელად დაიცვა”.

“ქალწულებამ მშობლისა  
დაიცვა უხრწნელად”

11. “გუამი”

“გუამი”

12. “ბუნება”

“ბუნება”

13. “ნება”

“ნება”

14. “ორთა საჭმოთა,  
ურთიერთას გუამი  
თა შეერთებულთა”.

“ორთა საჭმოთა ურ  
თიერთას გუამთა შე  
ერთებულსა”.

15. “მოემშია და მოეწ  
ყურა”.

“ნებით მოემშია და ნებით  
მოეწყურა”.

16. “ღმრთევება”.

“ღმრთევება”



17. “და რამეთუ ხრწნილებიცა იგი კორცთა მისთამ უხრწნელებელ ადგარდაცვალა”.

18. “და ზეცად აღიყვანი და მარჯუენით მა მისა დასუა, რომლითა მოვიდეს კუალად განკითხვად ცხოველთა და მკუდართა”.

“და რამეთუ ჭრულებულები მისთა არა იხილეს ხრწნილება ა, არამედ არსებად კაცთამ უხრწნელებელ - ყო”.

“და აღიყუანი იგი ზეცად მის თანა და დაჭდა იგი მარჯუენით მა მისა მოვიდეს კუალად ... განშეად ცხოველთა და მკუდართა”.

ამრიგად, მოხმობილი მასალა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ “ილარიონ ქართველის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციის ავტორი არის თეოფილე სუცესმონაზონი.

“ილარიონის ცხოვრების” მეტაფრასული რედაქცია გამოიჩინა ამ ლიტერატურული მიმართულებისათვის დამასახიათებელი დაწვეტილი სტილითა და ერთიანი იდეურ-მხატვრული კონცეფციით. ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებათა შესასწავლად, თეოფილეს, როგორც ორიგინალური შემოქმედის, ხელწერის წარმოსაჩენად საჭიროა “ცხოვრების” პირველადი კიმენური ტექსტის გამოვლენა, მისი ძველი რედაქციების – მოკლე და ვრცელი ათონური რედაქციების ურთიერთმიმართების საბოლოო დადგენა და მეტაფრასულ რედაქციასთან მათი დამკიდებულების განსაზღვრა. ეს კი ერთი ვრცელი თემაა და სცილდება ჩვენი პლევის ფარგლებს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ “ილარიონის ცხოვრების” მხოლოდ ერთ ასპექტზე – ქართულ მესინისტურ იდეაზე, რომელიც წითელ ზოლად გასდევს როგორც ძველ რედაქციებს, ისე მეტაფრასულს. ბასილი პროტოასიკრიტმა, რომელსაც მიეწერება წმინდანის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტის შექმნა, ეტყობა, იმთავითვე ჩადო სსენებული იდეა თავის თხზულებაში, რითაც მან სათავე დაუდო



ქართული მესიანიზმის იდეოლოგიური საფუძვლების შემზადებას. მაგრამ მესიანიზმის ნაწერილან გადავიდა სხვა რედაქციებშიც. ასე რომ, მესიანიზმი საუბრისას მხედველობაში გვექნება იღარიონზე დაწერილი და ჩვენამდე მოღწეული სამივე ოზუღება (მოკლე ათონური,<sup>62</sup> ვრცელი ათონური და მეტაფრასული), ხოლო მათ შორის არსებული იდეური სხვაობის ცალკეულ შემთხვევებს საგანგებოდ აღნიშნავთ.

“იღარიონ ქართველის ცხოვრების” სამივე რედაქციაში ქართული მესიანისტური იდეა ეფუძნება ბერძნების ცოდვისანობის მოტივს. იმპერატორი ბასილი I არაერთხელ აცხადებს, განსაკუთრებით მოკლე და ვრცელი ათონური რედაქციების მიხედვით, რომ ის ცოდვილია. ცოდვა და “უმჯავრებაა” ამიმებს მის სამეფოსაც.

მაინც რას ემყარება ბერძენთა ცოდვიანობის შეგნება?

ცნობილია, რომ საუკუნეზე მეტხანს (VIII-IXს.) ბიზანტიაში მძვინვარებლა ხატმებრძოლება, რომელსაც, ზოგიერთი გამონაცლისის გარდა, მხარს უჭირდა ოფიციალური სასულიერო და საერო ხელისუფლება.<sup>63</sup> ამას თან ერთოდა სხვადასხვა ჯურის მწვალებელთა და სექტანტთა მომძლავრება იმპერიის ცალკეულ ნაწილებში; მაგალითად, ბასილი პირველი (867-886წწ.) მხოლოდ უდიდესი ძალისხმევით შეძლო პავლიერინელთა მოძრაობის განადგურება IX საუკუნის 70-იან წლებში. თავად ბასილი მაკედონელი სისხლიანი გადატრიალებების შედეგად აღმოჩნდა იმპერიის საჭესთან, რაც ბიზანტიელთა წარმოდგენით, სრულიადაც არ აყენებდა ჩრდილს იმპერატორის ძალაუფლების ღოთაებრიობას, მაგრამ ეს ფაქტი სულ სხვაგვარად შეიძლება აღმტელიყო ქართველი ბერების მხრიდან. ბასილის მართველობის პერიოდზევე მოდის ივნატისა და ფოტის ცნობილი დაპირისპირება კონსტანტინეპოლის საპატირიარქო ტახტისათვის და მასთან დაკავშირებული ინტრიგები ბიზანტიის უმაღლეს სასულიერო და საერო წრეებში.<sup>64</sup>

ერთი სიტყვით, მრავალი მიზეზი არსებობდა იმისათვის, რომ “იღარიონ ქართველის ცხოვრებაში” თქმულიყო ბასილი პირველის ცოდვებზე, იმპერიაში

<sup>62</sup> მუკლე ათონური ჩედაჭერის ტექტი დამტღვეობის პ. ქლანავას წიგნში: ქართველი დაწერულობისა და მწერლობისა სათავეების, გვ. 409-200.

<sup>63</sup> История Византии в трех томах, т.2, М., 1972 г., стр. 49-79.

<sup>64</sup> და. წიგნი, გვ. 172-178.



გამეფებულ უღმრთოებასა და უკანონობაზე. ცოდვა კი ღმერთის მიერ აუცილებლად განისხება და ცოდვილთაც სასჭელი ელოდებათ. ეს კარგად ჩნდს ეფუვიშე შეყენებულის (მეტაფრასული რელაქციით – დაყუდებულის) გამოცხადებაში. სენებული ეპიზოდი უფრო ვრცლად და ხატოვნადაა გაღმოცემული მეტაფრასულ რელაქციაში:

ეფუვიშემ იხილა ბნელ აღგიღას ანთებული უზარმაზარი ცეცხლი, რომლის კამლი ცასა სწვდებოდა (დახატული სურათი ძალზე გამჭვირვალეა და ჭოჭოხეთის ბუნებრივ ასოციაციას იწვევს). მას ეუწყა, რომ ეს ცეცხლი ბასილი მეფის ცოდვების გამოა აღვზნებული...

ვინ ჩაუქობს ჭოჭოხეთის მშურვალე ალს? ვინ გაღარჩენს ცოდვილ ბიზანტიას?

ა, ის კითხვები, რომელებზედაც პასუხს გვცემს “ილარიონ ქართველის ცხოვრება”. ეს პასუხი ფაქტობრივად განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ ჩანაფიქრს. სამივე რელაქციის მიხედვით, წმინდა ილარიონი და მისი მოწაფეები ის ძალა, რომელიც ბიზანტის და იმპერატორ ბასილს ხსნად მოუვლინა უფალმა. ასე რომ, ილარიონ ქართველის მოგზაურობა ბიზანტიურ-რომაულ სამყაროში საღვთო მისიის მატარებელია და ის ერიც, რომლის წიაღიძანაც იშვა წმინდანი, ღმერთის მიერ არის რჩეული.

რა ნიშნებით გამოარჩია უფალმა ქართველები სხვა ერებისაგან?

ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებები “ილარიონის ცხოვრებაში” ასე არის წარმოჩენილი:

1. ქართლი მართლმორწმუნე ქვეყანაა, მისი მევიღრი მტკიცე მართლმადიდებლები არიან და მათ ჩრდინას წვალების ღვარძლი არასოდეს შერევია (ეს დებულება განსაკუთრებით გამოკვეთილია მეტაფრასულ რელაქციაში).
2. ქართველ ერს ღვთისმშობელი მფარველობს, ე.ი. ის კურთხეულია უფლის მიერ. ამიტომ ქართველების წინააღმდეგ მოქმედება, მათი შეუწყნარებლობა ღვთისმშობლის მტრობას ნიშნავს და ღმერთის მიერ ისჯება.
3. ქართული ენა, ბერძნულის მსგავსად, შეწყნარებულია უფლის მიერ, ე.ი. ის ბერძნული ენის სწორპატივცემულია. მეტიც: მასში დაფლულია ჰერმარიტი ჩრდინის



მადლი და ამ მადლთან ზიარება მხოლოდ ქართული ენის მეშვეობისათვის შესაძლებელი. ამიტომ მიჰყავს ბასილი მაკელონელს თავისი შვილები – ლეონი და ალექსანდრე რომანას ქართულ მონასტერში, ამიტომ სთხოვს ის ქართველ ბერებს: “ასწავეთ წიგნი და ენად თქუენი, რათა იყვნენ ეგვ შვილნი ლოცვისა თქუნისანი”<sup>65</sup> (ეს ადგილი მეტაფრასულ რედაქციაში გადასხვაფრატულია და მასში ჩადებული იდეაც ოდნავ გაფერმკრთალებული: აქ ლეონი და ალექსანდრე მონაწილეობას იღებენ რომანას მონასტერში ილარიონის ნეშტის გაღმოსვენების ცერემონიალში და მხოლოდ ასე ეზიარებიან წმინდანის მადლს).

ამრიგად, ილარიონ ქართველი და მისი მშობელი ერი შემცულია უფლის მიერ განსაკუთრებული ღირსებებითა და სათნეებებით. ამიტომ არის, რომ ლმერთმა სწორედ ილარიონი და მისი მოწაფეები გამოარჩია, ისინი წარმოგზავნა ცოდვილი ბიზანტიის გადასარჩენად.

ეს მსოფლმხედველობა ჩადებულია “ილარიონის ცხოვრების” რედაქციათა კომპოზიციასა და შატრულ სტრუქტურაში. მისი ანალიზი, ვრცელი აოონური რედაქციის მიხედვით, წარმოდგენილია ბერნალეტ მარტენ-პისარის წერილში – “ქართველი მონაზვნის ილარიონის მოგზაურობა IX-ს-ში”, რომელიც დაიტებდა “ბედი ქართლისას” 39-ე ნომერში. მკვლევრის თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ:<sup>66</sup>

სამი ღრო ქმნის ილარიონის ცხოვრების ტექსტს. პერველი პერიოდი (აღმოსავლეური) მიმდინარეობს საქართველოსა და პალესტინაში; მეორე (დასავლეური) – რომაულ-ბიზანტიურ იმპერიაში; მესამის (მისი სიკვდილის შემდგომი) თვალთახედვის არეა კონსტანტინოპოლი. ამ პერიოდთაგან თითოეული შემდეგნაირად არის აგებული: დიდება, დიდებისაგან წასვლა, ანუ მოგზაურობა და დაბრუნება დიდებაში. ასევე აგებული ტექსტი მის მოლიანობაში: აღმოსავლეთში შეძენილ დიდებას ილარიონი მიჰყავს დასავლეთში, სადაც იგი საბოლოოდ საზეიმო განლიდებას იღებს.

<sup>65</sup> ძველი ქართული აეთინებული ლატერატურის ქველები, წიგნი II (XI-XVსს), ა. ა. ბ. უ. ა. ძ. ი. ს. ხ. ხელმძღვანელობის და რედაქციით, გვ. 33.

<sup>66</sup> ის: მ. დ. ი. ღ. ა. ქ. ე. თავალი ნამრავანი ილარიონ ქართველის ცხოვრების შესახებ, კ კულტურის სახ. სელნაწერთა იმსტურულის მრავალთავი, X, თბ., 1983 წ., გვ. 250-257.



აღმოსავლურ პერიოდში ავტორი სამგზის მიგვანიშნებს წმინდანისა და ქრისტეს ცხოვრების ანალოგიაზე. მოსეს მსგავსად, ილარიონ ქართველი გვევლინება “წინამძღვრლად და კანონმდებლად”: დასავლურ პერიოდში ილარიონი გვეცხადება უკვე, როგორც “მოციქული და მწყემსი”. მისი მოდელია პეტრე და პავლე მოციქულები. ლმერთის მიერ ილარიონისათვის განსაზღვრული საბოლოო მიზანი, პეტრესა და პავლეს მსგავსად, არის მისწრაფება რომის იმპერიის სატახტო ქალაქისაკენ, მაგრამ ეს ქალაქი არის არა რომი, როგორც ოდესაც იყო, არამედ – კონსტანტინოპოლი.

საზოგადოდ კი, ილარიონ ქართველის სიცოცხლე შთაგონებულია ქრისტეს მაგალითით: მე ღვთისამ დატოვა პირველყოფილი დიდება, გამოვიდა ადამიანებში, გახდა მწირი და გლახაკი იმ მიზნით, რომ წაეყვინა ისინი მამის დიდებისაკენ. ტექსტის სტრუქტურაში (დიდება, მოგზაურობა, დაბრუნება დიდებაში) გადმოტანილი და განმეორებულია ქრისტეს ცხოვრების წესი. თესალონიკეში, უკანასკნელ წუთებში, ილარიონი ამჟღავნებს მაცხოვართან მიახლოების ტენდენციას თავისი ფერისცვალებით, გამოსამშვიდობებელი საუბრის შინაარსით, უკანასკნელი “ჟაიდუმლო სერობით”. როგორც მაცხოვარი ბრუნდება მამის დიდებაში, ილარიონიც განდიდებული იქნება და ამ განდიდებას ადგილი ექნება კონსტანტინოპოლიში.

რაკი ანალოგიებზე ესაუბრობთ, ყურადღება უნდა მიგეჭიოთ “ილარიონ ქართველის ცხოვრების” კიდევ ერთ მოდელს, რომელსაც უკვე ქართული ქრისტიანობის სათავეებთან მივყაროთ. ლაპარაკია იმაზე, რომ თხზულების ავტორი, ბასილი პროტოასიკრიტი, შთაგონებულია “ნინოს ცხოვრებით” და ილარიონის ერთ-ერთ ძირითად არქეტიპს სწორედ ქართველთა მოციქული და განმანათლებელი წმინდა ნინო წარმოადგენს.

ილარიონის გამგზავრება იერუსალიმსა და პალესტინაში – ეს არაა ოდენ მორჩმუნის ტრადიციული სწრაფვა წმინდა აღიღილისაკენ, ან თუნდაც სიმბოლურად იღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან ერთგვარი დამშვიდობება. ესაა, ერთი მხრივ, ქართული ეკლესიის პირველსაფუძველთან დაბრუნება, მეორე მხრივ, ქრისტიანობის წილთან, მის ძირთაძირთან მისვლა. აქ ილარიონი ღვთაებრივ მადლს უნდა ეზიაროს,



წმინდანის ძალისილებით უნდა აივსოს. ისევე, როგორც წმინდა ნინომ მუშავი თემის უნდა დაიწყოს მისიონერული მოღვაწეობა.

შვიდი წელი დაჲყო ილარიონ ქართველმა იორდანის უდაბნოებში. დაუცხომელი აჟეტური მოღვაწეობით, როგორც ვრცელი ათონური რედაქცია ვამცირდს, მონაზენური სისრულის მესამე საჩისს მიაღწია. ამის შემდეგ მთელი მისი არსება საღვთო მისიის მოღვადინითაა აღსავსე. და აპა, მასაც ისევე, როგორც წმინდა ნინოს, ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა საშშობლოში დაბრუნება. გამოცხადების დროს ილარიონი თითქოს ზეთისხილის მთაზე იყო ასული, იქ, სადაც იქსო ქრისტე ამაღლდა ზეცად და მამის ღვთაებრივ წიაღს დაუბრუნდა.

მაშასადამე, ილარიონის ხილვა წინასწარმოსწავებითია და წმინდანის ახალი გზის დასაწყისზე მიუთითებს. ეს გზა – სამისიონერო და სამოციქულო მოღვაწეობის გზაა განვიდებისა და ღვთაებრივი ამაღლებისაკენ მიმავალი.

ილარიონი ბრუნდება საქართველოში. აქ მისი ძალისხმევა, ვითარცა ახალი მოციქულისა, სარწმუნოების განტკიცების, მონასტრული ცხოვრების დამკიდრებისა და სულიერების აღორძინებისაკენ არის მიმართული. მაგრამ, წმინდა ნინოსაგან განსხვავებით, ქართლი არა მისი სამისიონერო მოღვაწეობის მთავარი მიზანი. მისი გზა დასავლეთისაკენ მიღის, მისი უმთავრესი ორიენტირი ბერძნულ-რომაული სამყაროა.

ილარიონის მოგზაურობა კონსტანტინოპოლისა და რომში ღვთის ნებითა და ღვთისმშობლის მფარველობით ხორციელდება. აქ, ბიზანტიაში, ის გვევლინება, როგორც ახალი ნინო, რომელსაც ნებისმიერ წინააღმდეგობას ღვთისმშობელი დააძლევინებს. მისი პირველსახეა არა მარტო პეტრე და პავლე მოციქულები, არამედ მოციქულთა სწორი წმინდა ნინო. მის მსგავსად ილარიონი კურნავს ავაღმყოფებსა და ხეიბართ, ახდენს სხვადასხვა სასწაულს, ზოგჯერ ნინოს ანალოგიურსაც კი (მაგალითად მთავრის ძის განკურნება).

საბოლოოდ კი, წმინდა ილარიონის კულტმა იგივე მინშვნელობა უნდა შეიძინოს ბერძნულ-რომაული იმპერიისაოგის, რაც წმინდა ნინოს ჰქონდა ქართლისათვის, მან იგივე ფუნქცია უნდა შეასრულოს ბასილი პირველისა და მისი მემკვიდრეებისათვის.

რაც უცხო ტყვე-ქალმა იკისრა მირიანისა და მისი ჩამომავლებისათვის; წმინდანის  
ნეშტის საბოლოო ადგილსამყოფელი - რომანას მონასტერი უწყვეტეს  
ბერძნთათვის მართლმადიდებლობის დაუშრეტელი წყარო, მარადიულ უწლეულების  
და განახლების წმინდათაწმინდა ადგილი, ანუ ის, რაც იყო ქართველთათვის  
სვეტიცხოველი და ბოდბის მონასტერი.

ასე აღადგენს ილარიონ ქართველის მოგზაურობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს  
შორის ჩატეხილ ხიდს, ასე აკავშირებს მისი პიროვნება უხილავი სულიერი ძაფებით  
იერუსალიმს კონსტანტინოპოლით და რომს კონსტანტინოპოლით, ასე აერთიანებს  
და კრავს ის მთელ ქრისტიანულ სამყაროს. ეს გზა კულტურული მსოფლიოს,  
ოკუმენის, გამთლიანებისა ქართლზე გადის, რაღაც წმინდანი აღმოსავლეთში კი  
დაიბადა, მაგრამ “სათნოებათა ელვითა დასავალისა მყოფი განანათლა”.

წმ. ილარიონის ცხოვრება და მოღვაწეობა სანიმუშო მაგალითი იყო  
საზოგადოებით მყოფი ქართველი ბერძნისათვის. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო  
მისი კულტი ათონის ივერითა მონასტერში. აქ შეიქმნა მისი “ცხოვრების” სხვადასხვა  
რედაქტირები, აქ დაიწერა მის სახელზე საგალობელი. საგულისმოა, რომ თეოფილე  
ხუცესმონაზონმა “გარდაკაზმულ” “ილარიონის ცხოვრებას” მოლიანად შეუნარჩუნა ის  
ეროვნული ძალები, რითაც დამუხტული იყო თხზულების თავდაპირველი რედაქტირები.

ეს არცაა საკვირველი!

თეოფილეს სასულიერო და მწიგნობრული მოღვაწეობა გამთბარი იყო  
სიყვარულით “ყოველთა ქართველთა ნათესავისა” მიმართ. თავისი მრავალფეროვანი  
ლიტერატურული მემკვიდრეობით მან მართლაც დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული  
თვითშეგნების განმტკიცების, მშობლიური მწერლობის წინსვლისა და, საზოგადოდ,  
ქართული კულტურის განვითარების საქმეში.



## თეოფილე ხუცესმონაზონი და მეტაფრასული ლიტერატურის საკითხები

ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭ კეცელიძეს ბიზანტიური და ქართული მეტაფრასული ლიტერატურის კვლევაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მეტაფრასტიკის შესწავლა შეუძლებელია მისი ისეთი პირველხარისხში ნაშრომების გარეშე, როგორებიცაა: “Симеон Метафраст по грузинским источникам”, “Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста”, “ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია”.<sup>1</sup> მეცნიერის ბოლო გამოკვლევა ძირითადად თეოფილე ხუცესმონაზნის მოღვაწეობას ქვება. ეს შემთხვევითი არ არის.

თეოფილეს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მეტაფრასული ლიტერატურის ისტორიაში. მან არა მარტო ერთ-ერთმა პირველთაგანმა თარგმნა ქართულ ენაზე სვიმეონ მეტაფრასტის პაგიოგრაფიული საკითხევების მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც დიდი ამავი დასდო მშობლიურ მწერლობას, არამედ შეაძვი ისინი პირველხარისხში ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით, რითაც უაღრესად გააფართოვა ჩვენი თვალსწირი როგორც ზოგადად მეტაფრასტიკაზე, ასევე ამ რედაქციის ლიტერატურის ქართულად თარგმნის ისტორიაზე.

ამ მხრივ უნიკალურია სექტემბრის თვის მეტაფრასული კრებულისათვის (At. 20) დართული თეოფილეს შესავალი და ანდერძი. რ. ბლეიკის მიერ გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლა და განალიზა ჭ კეცელიძე, შემდგომშიც არაერთი მკვლევრის ყურადღების ცენტრში ექცევა (ი. ლოლაშვილი, ნ. გოგუაძე და სხვ.). მაგრამ რჩება რიგი საკითხებისა, რომლებიც დღემდე საკამათოა მეცნიერებაში, დაზუსტებასა თუ ახლებურ გააზრებას მოითხოვს.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს კიდევ ერთხელ განვიხილოთ თეოფილეს “შესავალი” და “ანდერძი”, მისი ცნობები მეტაფრასული ლიტერატურის შესახებ შევუპირის-

<sup>1</sup> ჯ კ ე კ ე ლ ი ჭ ე ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957 წ., გვ. 140-241.



პიროვთ სხვა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, გამოვყოთ აქტუალურ ცალბლებათა წრე, ერთგვარად შევავსოთ და შევაჯამოთ ჩვენს მეცნიერებაში ამ კუთხით ჩატარებული მიებანი.

## მეტაფრასული ჰაგიოგრაფის ისტორიული და თეორიული საფუძვლები

თეოფილე ხუცესმონაზვნის ცნობებს მეტაფრასტიკის შესახებ ასებს და აფარ-თოებს ეფრემ მცირის “მოსაქსენებელი მცირე სუმეონისათვის ლოლოთეტისა (A 90, K4) და იოანე ქსიფილინოსის “მოსაქსენებელი დიდისა მეფისა აღექსის მიმართ” (K1). ქართული დოკუმენტები, რომლებიც გამოაქვეყნა კ კეკელიძემ, ქმნის ერთიან და სრულყოფილ სურათს მეტაფრასული ლიტერატურის წარმოშობასა და განვითარებაზე, რაობასა და ხასიათზე. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ისინი მეტ ინფორმაციას გვაწვდიან ამ ახალ ლიტერატურულ მიმართულებაზე, ვიდრე ბერძნული წყაროები (მიქაელ ფსელოსი და სხვ.). ამასთან, თუ თეოფილე ხუცესმონაზონი მეტაფრასტიკას უმთავრესად ჰაგიოგრაფის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში წარმოადგენს, ეფრემ მცირე ამ ლიტერატურულ მოვლენას უფრო მისთვის ჩვეული თეორიული მსჯელობებით ახასიობს. ამიტომ მეტაფრასულ ლიტერატურაზე საუბარს თეოფილეს “შესავლის”<sup>2</sup> გადმოცემით დავიწყებთ:

რომში, იულიუს კეისრიდან მოყოლებული, ასებობდა კანონი, რომლის თანახმადც პროვინციის მთავართ უნდა ეწარმოებინათ განსახველთა გასამართლების ზუსტი აქტები და ყოველი წლის ბოლოს ერთგვარი ანგარიში წარედგინათ იმპერატორის სამეფო კარისათვის, რათა რამე უსამართლობას არ ჰქონდა ადგილი სახელმწიფოში. სამართლწარმოების ეს პრაქტიკა რომის იმპერიიდან მემკვიდრეობით გადავიდა ბიზანტიის სამეფოშიც. “ამით უკუს წესითა იწერებოდეს ღუაწლნიცა წ მ ი დ ა თ ა მ ო წ ა მ ე თ ა ნ ი და პალატად სამეუფოდ შეკრბებოდა ყოვე-

<sup>2</sup> ოთხის №20 ხელნაწერის შესავლისა და ანდერძის ტექსტს ყველგან ვიმოწმეთ: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თაონთური კრალეჭერა, I, თბ., 1986 წ., გვ. 74-79 (ხელნაწერი აღწერა ნ. გ ო გ უ ა ქ ე მ).

ლივე იგი სრული და ჰერმარიტებად საქმისად”.

რაც შეეხება ტელ “წ ა მ ე ბ ა თ ა წ მ ი დ ა თ ა”, ისინი იქმნებოდა ქრისტიანთა დევნილობის პერიოდში, რომლის დროსაც მათი ერთი ნაწილი გაწყვიტეს ხოლო მეორე – ლტოლვილებად აქციეს. ბუნებრივია, მოწმენი თავად ვერ დაწერდნენ თავიანთი თავის შესახებ, ხოლო იმ ქრისტიანებს, რომლებიც შეშის გამო მოებში იყვნენ გახიზნულნი, ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა ქალაქებში; ამიტომ მარტვილთა ცხოვრების აღწერისას კმაყოფილდებოდნენ “მდაბიო ვინმე და ლოტონი” კაცის გაღმონაცემით. ასე რომ, პირველი “ჭამებანი წმიდათანი” იწერებოდა მარტვილ და უბრალოდ, “ვ ი თ ა რ ც ა ნ ა კ შ ი რ ი თ ა ხ ა ტ ი გ ა მ ა ს ა ხ უ ლ ი”, “ზ ი ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ნ ი ი გ ი დ ა მ თ ა ვ ა რ თ ა მ ი ე რ ი ლ წ ე რ ი ლ ნ ი მ ი ი ხ უ ნ ი ს პ ა ლ ა ტ მ ა ნ დ ა ს ა უ ნ ჯ ე მ ა ნ ს ა მ ე უ ფ ი მ ა ნ”. აი, ამგვარად აღიწერა ძელი “ც ხ ო რ ე ბ ა ნ ი წ მ ი დ ა თ ა ნ ი”, რასაც დაემატა ისიც, რომ შემდგომში ისინი მწვალებლებმა გარყვნეს და დამახინჯეს.

და არავინ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც ექნებოდა სულიერი მადლი და სიბრძნე, ხორციელი დიდება და ძალაუფლება, “რამთამცა გამოეხუნეს იგინი საგან-სიბრძნე, ხორციელი დიდება და ძალაუფლება”, სამორჩილებელი სამოჩნდა ასეთი საკვირველი კაცი, ს კ მ ე ო ნ ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი, ს ა ღ მ რ თ ი დ ა კ ა ც ი ბ ნ ე ს”. მაგრამ ბ ა ს ი ლ ი ს მ ე ფ ი მ ი ს ა ს გ ა მოჩნდა ასეთი საკვირველი კაცი, ს კ მ ე ო ნ ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი, ს ა ღ მ რ თ ი დ ა კ ა ც ი ბ ნ ე ს ი თ ა ს ი ბ რ ე ნ ი თ შ ე მ კ ი ბ ი ლ ი, რომელიც დიდი გაულენით სარჩეო გებლობდა სამეფო კარზე, რადგან ეკავა ლ ი ლ ი თ ე ტ ი ს თანამდებობა. მან აღუწერა ქრისტიანებს “ა თ ა რ მ ე ტ ნ ი ე ს ე წ ი გ ნ ნ ი მ ე ტ ა რ ა ს ნ ი” და მიანიჭა საბერძნეოს კულტურული უ ს ა ს ყ ი დ ლ ი ა ე ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი”. მას აქ ყველა ეკლესიაში კითხულობენ, ამით ნათლდებიან და სახარების სწორ პატივს სცემენ (“შესავალი”, გვ. 74-76).

დამოწმებული ტექსტი საქამაოდ ნათლად და ზუსტად გაღმოვცემს ჰაგიოგრაფული ლიტერატურის ჩასახვისა და განვითარების უმთავრეს ეტაპებს.

როგორც თეოფილე გვაუწყებს, ჰაგიოგრაფია თავდაპირველად წარმოდგენილი იყო წმინდანთა “წამებანის” (“მარტივილობანის”) აღწერით, რაც დაკავშირებული ეკლესია ქრისტიანების დევნილობასთან რომის იმპერიაში. ამ პირველ “წამებათა” ტექსტები, მისივე თქმით, იყო “მდაბიო” და “ლიტონი”, რაც გავრცელებული თეორიული მოსაზრება XI საუკუნის ბიზანტიურ და ქართულ მწერლობაში. მაგალითად, ეფრემ მცირე ძევს “მარტივილობებსა” და “ცხოვრებებს” ახასიათებს, როგორც “ლიტონს”, “მარტივს”, “სოფლურსა” და “უშუერს”,<sup>3</sup> ხოლო იოანე ქსიფილინოსი – როგორც “ლიტონსა” და “შოთლელს”<sup>4</sup> (შრ. მიქეალ ფელოსისეული ψιλός და εύτελης<sup>5</sup>). “პირველ ღირებობა აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა” კი ქართულად “კიმენი” ეწოდებოდა, როგორც ეს განმარტებულია “შინა მეგრულის წამების” ანდერძში, ალბათ ეფრემის მიერ.<sup>6</sup>

მაშასადამე, ტერმინ “კიმენში” მოიაზრება “ლიტონი”, “მარტივი”, “მდაბიო”, “სოფლური” და “უშუერი” სიტყვით აღწერილი “ძუელი იგი მოწამეთამ”, ხოლო ეტიმოლოგიურად, ეფრემისვე სიტყვით, იგი ნიშნავს “მდებარეს”. ამ ტერმინის მნიშვნელობას კიდევ უფრო აფართოებს იოანე ქსიფილინოსის “მოსაქსენებელი” (თუ მისი მოარგმენტი): “... ძუელი თა კი მენთა ესე იგი არს მრავალ თა ვა დ წოდებულსა წიგნსა შინა შემო კლებით და ლიტონად აღწერილთა წამებათა...” აქ ახალი ისაა, რომ “კიმენი” გაგებულია იგივე “მრავალთა-გად” და გაზრდებულია, როგორც “შემოკლებით” აღწერა, შემოკლებული ტექსტი.<sup>7</sup>

“შესავლის” დასწყისში, სადაც თეოფილე საუბრობს ჰაგიოგრაფიის ჩასახვაზე, ასევე – თუ რა ვითარებაში იწერებოდა წმინდანთა მარტივილობები, იყენებს ტერმინს “წამებანი” წმიდათანი. ხოლო შემდევ, როდესაც უკვე ლაპარაკობს კიმენური ტექსტების შერყვნაზე მწვალებელთა მიერ, ხმარობს ტერმინს “ცხორებანი” წმიდათანი.

<sup>3</sup> ჭ ე კ ე ლ ი ძ ჭ ე ტერებები, V, გვ. 149, სქ. 3 და ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე მოსაქსენებელი მცირე სკომინისათვე წლოლოსტება, რომელსაც ყველაზე გიმეტმეტ ასევე წიგნს მიხედვით, გვ. 223-226.

<sup>4</sup> ღ ი ა ნ ე ჭ ს ი ფ ი ღ ი ნ ღ ს, მოსაქსენებელი დოდისა ალექსის მიმართ, ასეც და შემოტევიც გიმოწმებოთ ჭ ე კ ე ჭ ლ ი ღ ი ს გამოცემის მიხედვით – ეტოლები, V, გვ. 235-241.

<sup>5</sup> ჭ ე კ ა ე ლ ფ ს ე ღ ღ ი ს, წერილი სკომინ მეტარაგასტრისადმი, J. P. Migne, P.G., t. 114, col. 181-200.

<sup>6</sup> S 384, 318. ჭ ე კ ე ლ ი ძ ჭ ე ტერებები, V, გვ. 232.

<sup>7</sup> ტერმინების – კიმენისა და მეტარაგასტრის შესახვები ას. აგრეთვე გ. ა ღ ი ბ ე გ ა შ ვ ი ღ ი ს საკანდიდო ნაშრომი უზრუნველის ტერმინის ლიტერატურული შეხედულებაზი, თბ., 1988 წ., გვ. 129-131. შრ. მისივე, ეფრემ მცირე ისტორიი მეტაფრასტიკი, ვ. კრებულის საკანდიდო ნაშრომი, თბ., 1992 გ., стр. 22-23.



ვფიქრობთ, აქ ტერმინთა უბრალო ჩანაცვლებასთან არ უნდა გვქონდეს უსაშემცირებელი ბილია, რომ რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (325წ.), მარტვილობანი მოლინად თუ არ შეწყდა, ყოველ შემთხვევაში, შენელდა. სამაგიეროდ, გზა გაესხნა ჰაგიოგრაფიული მწერლობის სხვა სახეს, ე. წ. ნელდა. სამაგიეროდ, გზა გაესხნა ჰაგიოგრაფიული მწერლობის სხვა სახეს, ე. წ. უცხოვნება-მოქალაქეობას”, რომელიც არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. მწვალებელთა ხელი შეეხო როგორც “შარტვილობებს”, ისე “უცხოვნებებს”. ამასთან, “უცხოვნებანი” წმიდათანი უფრო ტევადი ტერმინია და თავის თავში მოიცავს წმინდანთა წამებასაც. ასე რომ, როდესაც თეოფილე წერს ძევლ ჰაგიოგრაფიულ ტესტის შემტებში მწვალებლური აზრების შეტანაზე, ბუნებრივია, მას მხედველობაში აქვს ამ ქანრის ორივე სახე – “წამებანიც” და “უცხოვნებანიც” ისევე, როგორც ეს უარის კანკევეით აქვს აღნიშნული ეფრემ მცირეს თავის “მოსაქსენებელში”.

თეოფილე სუცესმონაზვნის ცნობით, ძევლი “წამებანი” და “უცხოვნებანი” არას-რულყოფილი იყო როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, რასაც შემდგომში თან დაერთო მწვალებლური იდეებით მათი გახრწნა. მსგავსი აზრი აქვს გატარებული იოანე ქსიფილინოს თავის “მოსაქსენებელში” დიდისა მეფისა ალ-ქისის მიმართ. ხოლო ეფრემ მცირე წერს: “რომელი იგი მაშინ, ვითარცა უამი მის-ცემდა, თხობის სახედ ოდენ აღი წერ რნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანადასხუდომილისა ვისგანმე და არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომ ეღლნიმე მათგანნი განის ყუნეს ცა კაცთა მიერ ბოროტა და მწველთა დარკუნი იგი სიტყუანი მათნი თანა შეკრინეს ლიტონბასა და მას თხობისა და ცრუითა მით მართალიცა შეამრიღვეს და საეჭუშლ-ყველა”.

როგორც ჩანს, კიმენური ჰაგიოგრაფიის მთავარ ნაკლ ძევლი ავტორები მაინც მის მხატვრულ-სტილისტურ ხარვეზებსა და დაუტვეწაობაში ხელავლენ. მიქაელ ფსელოსის გადმოცემით, მარტივ საკითხავებს, რომლებიც წმინდანთა მოსახსენებლად იყო დაწესებული, უკვე ველარ ეგუებოლენ; გადმოცემული ამბები ზოგიერთებს სოცილს ჰგვრიდა. მათში არ იყო არც მოხდენილი კომპოზიცია, არც აზრის თანმიმდევ-



რობა; გულუბრყვილო გამოთქმები კი არც თუ საამო მოსასმენი იყო და უცხოებენ შეკობის ნაცვლად, უფრო მეტად უნდობლობას აღვივებდა.<sup>8</sup> ამასვე აღნიშნავს ითანე ქსიფილინისი კიმენურ ტექსტებთან დაკავშირებით: “საეროდ და მიმოზრასულად შემრაცხელნი სათქმელსა ზედა მსმენელნი მათნი. და უმეტესადღა მელრამმატიკოსენი შეურაცხჰოფლენ და უკანასკრევდენ მათ”.

მიქაელ ფსელოსის თქმით, კიმენური თხზულებები მეტაფრასტიკისათვის იყო “პირველსახენი” (Τὰ ἀρχέτυπα). მათ ახასიათებდათ “გამოთქმათა გულუბრყვილობა”, ანდა “სტილის სიმარტივე” (Τὸ τῆς λέξεως εύτελές). ეს შეესატყვისება ეფრემის “ლიტონობას თხრობისას” და “თხრობის სახედ ოდენ აღწერნას”. რ. სირაძის აზრით, ჭართველი მწერალი ნაკლად თვლის, თუ ნაწარმოები ოდენ თხრობითი (ფაბულური) ელემენტია, ე.ი. თუ მასში “ამბავი” მხოლოდ საინტერესო და არა მხატვრული აზროვნება.<sup>9</sup> ხოლო თეოფილე კიმენს განმარტავს, ვითარცა “ზაქშირითა ხატს გამოსახულს”, რითაც უკვე მეტაფორულად მოიაზრებს მის არს: ძველი ავტორი ჰაგიოგრაფიაში ქმნის ამზის “ზატს”, სურაოს, მაგრამ ეს “ზატი” არაა სრულყოფილი; უფრო ზუსტად, ეს არცაა ხატი, რადგან აკლია მთავარი — მხატვრული გამა და ფერადოვნება.

თეოფილეს ფრაზაში — კიმენი იყოო “ზაქშირითა ხატი გამოსახული”, იქითხება შორეული გამოძახილი ხატმბრძოლობის დასასრულისა ბიზანტიაში. ამ მოვლენამ, როგორც ცნობილია, უკვე X საუკუნეში გზა გაუხსნა მეტაფრასული ლიტერატურის აღმოცენებას. მარტივი კიმენური ტექსტები ვეღარ აქმაყოფილებდა იმდროინდელი ქრისტიანული ორთოდოქსის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნებს. დაიწყეს ძველ “წამებათა” და “ცხოვრებათა” გადამეტაფრასება, რაც მათი ტექსტების გადამუშავება-განახლებაში გამოიხატა.

ეფრემ მცირის განმარტებით, ტერმინი “მეტაფრასი” ჭართულად მიშნავს “გარდაკაზმულს”<sup>10</sup>, ხოლო “გარდამეტაფრასება”, ძველი ჭართული წყაროების მიხედვით, იგივეა, რაც: “კაზმვა”|| “შეკაზმვა” ||“გარდაკაზმვა”, “შეწყობა”, “სიტყვა განშუენება”

<sup>8</sup>J. P. Migne, P. G., t.114, col. 192.

<sup>9</sup> რ. სირაძე ა. ე. ჭართულ ქსიფილები აზრის ისტორიიდან, თბ., 1978 წ., გვ. 154.

<sup>10</sup> ჯ კ ე კ ე ლ ი დ ე ე ტ უ ლ ე ბ ი, V, გვ. 149, ს. 3.



და “შექობა”. იოანე ქსიფილინოსი ამ მნიშვნელობებს ამარტინს აღრუსავს “განვრცელებას” ტექსტისას (“გარდამეტაფრასება, ესე იგი ასს განვრცელებაა”).

მაშესაღამე, კიმენური ტექსტის გადმეტაფრასება, ოვით ტერმინის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ გადამუშავებას, მის პოეტურ დაზვეწასა და გამშვენიერებას. მეტაფრასტი ავტორები ძირითად ყურადღებას აქცევდნენ ფორმას, ენასა და სტილს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თხზულების შინაარსს ისინი უცვლელად ტოვებდნენ. ზოგჯერ აქაც შეპქონდათ მათ ინტერპოლაციები. ამას სვიმეონ მეტაფრასტის წყაროებზე დაკვირვებაც აღისატურებს.

მეტაფრასტიკის წყაროებთან მიმართების საკითხი ქართულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გარკვეული აქცს კ კველიძეს.<sup>11</sup> ეფრემ მცირის უწყებით, სარწმუნო მასალების გარეშე სვიმეონ ლოლოთეტი არაფერს წერდა. იგი იყვნებდა, უპირველეს ყოვლისა, წმინდანთა კიმენურ ტექსტებს. გარდა ამისა, სარგებლობდა “საკელებით თხრობანითა და ხრონოლრაფებით”. მეტაფრასტიკის ორ ძირითად წყაროზე მიუთითებს იოანე ქსიფილინოსიც. ამას უნდა დავუმატოთ მესამე წყაროც, რაზეც აქამდე ყურადღება არ გაუმახვილებიათ ჩვენს მეცნიერებაში. ესაა მ თ წ ა მ ე თ ა ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ქ ტ ე ბ ი, რომელსაც საგანგებოდ გამოყოფს თეოფილე ხუცესმონაზონი. მწერალი გვაუწყებს, რომ ბასილის მეფობამდე არაგინ იყო ისეთი კაცი, რომელიც სამეფო საგანგურიდან გამოიტანდა ჭეშმარიტ ცნობებს წმინდა მოწამეთა შესახებ, შეუწყობდა და შეუკაზმავდა ძველ ტექსტებსო. ასეთი საკვირველი კაცი აღმოჩნდა სვიმეონ ლოლოთეტი, რომელმაც შეძლო ამისი გაკეთება. რასაკვირველია, ამგვარი მასალების გამოყენება მეტაფრასტის მიერ უკვე თავისთავად გულისხმობდა შინაარსობრივი ცვლილებების შეტანასაც კიმენში.

სვიმეონის მუშაობის მეორეს უფრო დაწვრილებით ახასიათებს ეფრემ მცირე: “პირველად შეაძირ უშესრებად სიტყვსამ, ხოლო არა ეგრეთ, ვითარმცა სხუად ძალი შემოელო, არამედ იგივე ძალი პირველადწერილისა სიტყვსამ შეაძირ და აღწერა

<sup>11</sup> ჰ კ ე კ ე ლ ი ძ ე დამ. წიგნი, გვ. 142; 217; 227; 232.

უბრტყინვალესად. და კუალად შემქობასა თანა უშუმრისასა იღუაწა სრულიად განგვიდებად სიტყვასა საეჭუმლისად და მწვალებელთა მიერ შეძინებულისად. უფრო ამონებული ნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა წამებასა წმინდათასა, რამეთუ იფჰლი განწმენდილ ყო ლუარძლისაგან და ყოვლილი შუშნიერად შეცალნა უშუმრისა განგვიდებან". როგორც ვხედავთ, ტექსტის მხატვრულ გადამუშავებასთან ერთად, აქ უკვე სრულიად გარკვევით აღნიშნულია დოგმატიკური ხსიათის ის ცვლილებები, რომელიც მეტაფრასტის შეპქონდა კიმენურ ძეგლში.

მიქაელ ფსელოსისა და ეფრემ მცირის ცნობები ერთმანეთის თანმხვედრია იმ ნაწილში, რომელიც კმენის მხატვრულ გადამუშავებას ეხება. სვიმეონ ლოდოთეტი-საღმი მიძღვნილ "ენკომიაში" ის წერს, რომ მეტაფრასტი არ ეხებოდა ძეგლ წყაროთა საგნობრივ არსს, არ ცვლიდა თხზულების მასალას, არ შეპქონდა მასში ახალი აზრები, არამედ მხოლოდ გარეგნულად გარდასახავდა ნაწარმოებს, ასწორებდა ენობრივ ნაკლოვანებებს და იყენებდა გამოხატვის ახალ ხერხებს.<sup>12</sup> გასაგებია, რომ აქ მიქაელ ფსელოსი სვიმეონ მეტაფრასტის უმთავრესი მიზანდასახულობის წარმოჩენას ცდილობს. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მეტაფრასულ კრებულში შესულ თხზულებებს უნდა ერთიანი ენობრივ-სტილისტური სახე ჰქონოდათ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გარკვეულ კომპოზიციურ ცვლილებებს და ტექსტობრივ შესწორებებს სვიმეონი ვერ ასცდებოდა. მას აღარ სჭირდებოდა შეეტანა მეტაფრასტში ზოგიერთი ძველი თხზულების ვრცელი, ხშირად ერთმანეთის მსგავსი შესავლები, პათეტიკური დასკვნები თუ უხვისიტყვაობანი შუა ნაწილში, ტოვებდა ან ძალიან ამოკლებდა თხრობებს იმ სასწაულებსა და ზებუნებრივ ქმედებებზე, რაც ხდებოდა წმინდანის გარდაცვალების შემდეგ და ა.შ.<sup>13</sup> ეს მოსაზრება სავსებით დაადასტურა პრაქტიკულმა კვლევით. მაგალითად, კიმენურთან შედარებით მოკლე, გამოკრებილ თხზულებებს წარმოადგენებ "საბა პალესტინელის ცხოვრების"<sup>14</sup> და "ილარიონ პალესტინელის

<sup>12</sup> J. P. Migne, P. G., t. 114, col. 196.

<sup>13</sup> В. Г. В а с и л ь е в с к и й, О жизни и трудах Симеона Метафраста, Ж. М. Н. Просв., CCXII, С-Петербург, 1880 г., Ноябрь-Декабрь, стр. 392-393.

<sup>14</sup> ძართული აგიოგრაფიული ქვემდება, ნაწ. I, ემენი, ტ. II, გამოსუა კ კ ე კ ლ ი ძ ე მ, თბ., 1946 წ., გვ. 118.



ცხოვრების” მეტაფრასული რედაქციები.<sup>15</sup>

ახლა შეგვიძლია შევაჯამოთ, რა ნიშანდომლივი თავისებურებებით გამოიჩინა სვიმეონ ლოლოთეტის მუშაობა? რა ცვლილებები მოიტანა მეტაფრასულშა ჰაგიოგრაფიაშ კიმენურთან შედარებით?

ცვლილებები შემდეგი ხასიათისაა: 1. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ - ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ი, ე. ი. ქველი თხზულების მხატვრულად და სტილისტურად დახვეწია, ანუ “ლიტონად” აღწერილ “ცხოვრება-წამებათა” მეტაფრასულ შეცვლა; 2. ი დ ე ვ ლ ი ს ტ უ რ ი - დ ი გ მ ა ტ ი კ უ რ ი, ე. ი. მწვალებლურ მიმღინარეობათა ნაკვალევის აღმოფხვრა, ნაწარმოებთა გაცხრილვა პრიმიტიული და არაორთოდოქსული აზრებისა-გან;<sup>16</sup> 3. შ ი ნ ა ა რ ს თ ბ რ ი ვ - ფ ა ქ ტ ი ლ ი გ ი უ რ ი, ვ. ი. შეუსაბამობათა და უზუსტობათა გამწორება ტექსტში, ფაქტობრივი მასალის გამოკლება ან შეტანა თხზულებაში.<sup>17</sup> ერთადერთი, რასაც არ ცვლის მეტაფრასტი, ესაა ქველი ავტორების თხრობის თანმიმდევრობა, რითაც ინარჩუნებს კიმენური ძეგლის ძირითად ძარღვს.

აქვე გარვევით უნდა ითქვას, რომ იდეოლოგიური და შინაარსობრივი ხასიათის შესწორებებისათვის სვიმეონ ლოლოთეტის მხოლოდ ცალკეული, განსაკუთრებული შემოხვევებისათვის უნდა მიემართა, როცა ამის საჭიროებას თავად ქველი ტექსტი აუკრიბდა.<sup>18</sup> ამ მხრივ მისი ოთოხული მეტაფრასი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ეფრემ მცირე თავის “მოსაქსენებელში” კიდევ უფრო აკონკრეტებს მეტაფრასტიკის სტილისტურ ნიშან-თვისებებს. ესენია: “შეწყობილებად სიტყუად”, “არა გავრცელებად თქმულისა”, “კეთილადეკუმებად საქმითთა და ხედვითთა სიტყუათად”, “როტორებრივი განგრძობად” და “ფილოსოფოსებრივი შემკვაბილებად”.

<sup>15</sup> 6. გ ო გ უ ა ქ ე ა ფილოტრაფოული თხზულების მეტაფრასული რედაქციის მიმართებისათვის კიმენურთან (ილაზიან პალეტრენების ცხოვრების) რედაქციათა მიხედვით), კ კავლიძის სს. ხელნაწერთა ინსტიტუტის მუნიციპალი, II, თბ., 1973 წ., გვ. 62-74.

<sup>16</sup> რ. ს ი რ ა ქ ე კ რისული ქსეტეტერი პრის სტორინდ, გვ. 158. ზღვა: მისივე, Образы и Мысли, Тб., 1989 г, стр. 136-137 და Типология средневековых литератур и метафрастика (Предварительные заметки), Грузинская и русская средневековые литературы, стр. 186-187.

<sup>17</sup> შრო: ვ. ბ ა კ ა შ ე ი ლ ი კ, ქართულ-ბათიშვილი მეტაფრასული ფილოტრაფის ურთიერთობისა და მიზითაღი თავისებურების, ქველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII), თბ., 1977 წ., გვ. 8-10.

<sup>18</sup> შრო: K. Krummbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, München, 1897, S. 201 (სვიმეონ მეტაფრასტიზმი სტატიის აუთორია ა კ რ კ ა რ დ ი).

სენტებული ცნებები განმარტებული აქვს ჩ. სირაძეს.<sup>19</sup> მაგრამ უკუგონებული მათი კიდევ ერთხელ გააზრება მიქაელ ფსელოსის „ენკომიასთან“ მიმართებით, რადგან ეს უკანასკნელიც ეხება სკომეონ მეტაფრასტის სტილისტურ თავისებურებებს.<sup>20</sup>

„შეწყობილებად სიტყვასად“ იგივე უნდა იყოს, რაც ფსელოსისეული „სიმწყობრე (რიტმულობა) და სილამაზე ფრაზისა“ (Ó მათმას კა თ ო კალის თ ო ლეξეა), ანდა იმანე ქსიფილინოსის ტერმინოლოგიით, ეს არის „ლექსითა და შეწყობითა კელოვნად შემკობად“.

„არა გავრცელებამ თქმულისა“ ნიშნავს თხრობის „შემოქლებას“, „ლაკონიურობას“ (ფსელოსისეული რ სუნთომის).<sup>21</sup> ამ ფრაზას მიემართება „ძალი“: „ძალისა არავე დატევებისავე თანა არა გავრცელებისათვეს თქმულისა“. საბოლოოდ, წინადაღება ასე განიმარტება: შინაარსის გამოტოვება არ ხდებოდა თხრობის შემოქლებისას, ლაკონიურობისას.

„კეთილადებულებად საქმითა და ხედვითა სიტყუათად“ გულისხმობს კონკრეტულ და განცენებული აზრების ჰარმონიულ გამოყენებას, ე.ი. როგორც ალსრულებული ფაქტების კარგად ასახვას, ისე მათ თეორიულ წარმოსახვას. აქ უთულდ გაგვასენდება ეფრემისვე ნათქვამი სვიმეონ ლოლოთეტზე, როგორც კაცზე, რომელიც, იყო „ხედვისა და საქმის მოლუაწე“ (თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი).

„რიტორებრივი განგრძობად“ და „ფილოსოფოსებრივი შემკობილებად“, სასურველია, ერთ კონტექსტში განვიხილოთ, რისთვისაც კვლავ მიქაელ ფსელოს უნდა მივმართოთ:

სკომეონ მეტაფრასტი სწავლობდა კონსტანტინოპოლის რიტორიკულ და ფილოსოფიურ სკოლებში. ეს სკოლები ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ამიტომ ზოგიერთი მხოლოდ ფილოსოფიურ განათლებას იჩიევდა გონების საწვრინელად, ზოგიერთი კი მხოლოდ რიტორიკულს – მცენრმეტყველების დასაუფლებლად. სკომეონი იყო ერთი იმ იშვიათაგანი, რომელმაც ორივე სკოლის მონაპოვარი სრულ-

<sup>19</sup> ჩ. ს ი რ ა ძ ე, ქართული ქსოვილები აზრის სტორიოდან, გვ. 159-161.

<sup>20</sup> J. P. Migne, P.G., t. 114, col. 193.

<sup>21</sup> მქენელ ფსელოს სკომეონ მეტაფრასტის სტილის თავისებურებათავამ, „ლაკონიურობასთან“ ერთად, გამოყოფს: „დამაგრებლობას“ (Ó მათმას), „სისადგენს“ (Ó მიტიმის) და „სიცადეს“ (თ ო საფეს).

ყოფილად ათვისა: ენა აზრთან შეაერთა და აზრის ტექსტული კონტენტი უკავშირობით ფილოსოფია პრაქტიკული “უწევისობის აღავსო, ხოლო ფილოსოფიით შეამტკიცება. ასე და ამგვარად, აზრი გააკეთილბმოვანა და ენა გააზრიანა.”<sup>22</sup>

დამოწმებული ტექსტიდან ჩანს, რომ “რიტორებრივი განგრძობა” ენობრივ “გარდაკაზმვას” გულისხმობს, ხოლო “ფილოსოფოსებრივი შემქობილება” – აზრის ბრივს. მეტაფრასტიკამ ენისა და აზრის ერთდროული “გარდაშვენება” მოახდინა, რისთვისაც გამოიყენა ანტიკური ლიტრატურული მემკიდრეობა და ტრადიცია.<sup>23</sup>

ამრიგად, ეფრემის მიხედვით, მეტაფრასტიკას ახასიათებს შემდეგი სტილისტური ნიშნები: ფრაზის რიტმულობა (“შეწყობილებად სიტყვასა”), თხრობის ლაკონიურობა (“არა გავრცელებად თქმულისა”), კონკრეტული და განყენებული აზრების ურთიერთ-შეხამება (“კეთილადებუმევად საქმითთა და ხედვითთა სიტყუათაა”). საზოგადოდ კი, ახალმა ლიტერატურულმა მიმართულებამ ჰაგიოგრაფიაში დაამკვიდრა სიტყვისა და აზრის სიმფონია – ამაღლებული მხატვრული ენა, რაც დამახსიათებელი იყო რიტორიკისათვის და ღრმა აზროვნება, რაც ნიშანდობლივი იყო ფილოსოფიისათვის.

სწორედ “რიტორებრივ განგრძობასა” და “ფილოსოფოსებრივ შემქობილება-სთან” არის დაკავშირებული მეტაფრასის კიდევ ერთი მახასიათებელი – “ულრმესი”. “დიმიტრი თესალონიკელის წამებას” ერთვის ეფრემ მცირის შემდეგი მინაწერი: “გევედრები ყოველთა, რომელიცა მიემოხენეთ წამებასა ამას, რათა უწყებულ იყვნეთ, ვითარმედ არა თუ ამისთვის დაწერილ არა, ვითარცა უმეტესა რასმე მეტყუელი პირველისა, გარნა რამეთუ ყოველთავე ამათ დიდთა მოწამეთა ორ-ორი აქუს წამებაა – უძველესი და უახლესი; არა თუ უმრავდესი და უმართლესი, არამედ უცხადესი და ულრმესი. [ე]გრეთვე აქუნდენ ამასთან მეორე ქსე პირველსავე თანა, რამეთუ ქსე ბერძნოაცა ქსრეთ აქუს, რათა რომელიცა ვის სონდეს, მას იყითვიდეს და ლოცვასა ჰყოფდეს განმეობელთათვს და შენდობასა მკაფიოებელთათვს”.<sup>24</sup> აქ მთარგმნელი

<sup>22</sup> J. P. Migne, P.G., t. 114, col. 185-188. შტრ. B. Г. В а с и л ь е в с к и й . უказ. труда стр. 182-183.

<sup>23</sup> ას: ჩ. ს ი ჩ ა ძ ვ . დას. წევნი, ვგ. 114; 156-157.

<sup>24</sup> ჭრითულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ჭრითულთა ჭორის წერა-ყოთხის გამატულებელი საზოგადოების (გ) კოლექციისა, I, თბ., 1959 წ., ვგ. 465.



კიმენსა და მეტაფრასს შორის ასეთ ზოგად შეპირისპირებას გვთავაზობს: „უძველეს-უძველეს უახლეს „წამებებს“ შორის მიმართება გამოიხატება, როგორც „უ ც ნ ა დ ე ს ს ა“ და „უ ღ რ მ ე ს ს“ შორის და არა, როგორც „უ მ რ უ დ ე ს ს ა“ და „უ მ ა რ თ ლ ე ს ს“ შორისო.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში გავრცელებული თეორიული მოსაზრებით, რომელიც ეფრემ მცირესაც აქვს გამოთქმული თავის „მოსაქსენებელში“, ძველი პაგი-ოგრაფიული თხზულებები იყო მრუდე, არამართალი, ე.ი. ორთოდოქსული და ფაქტოლოგიური თვალსაზრისით დამახინჯებული. ეფრემი განმარტავს, რომ ეს არ არის კიმენის საყოველთაო თავისებურება, ე.ი. ყველა ძველი ტექსტი ასეთი არაა და მათი გამოყენება ისევე, როგორც მეტაფრასისა, მიღებულია საბერძნეთის საეკლესიო პრაქტიკაში.

ეს იწერება XI საუკუნის II ნახევარში – იმ დროს, როცა აღმავლობას განიცდის მეტაფრასული ლიტერატურული მიმართულება, როცა მუშავდება მეტაფრასტიკის თეორიული საფუძვლები და ხდება, კიმენთან შედარებით, მისი უპირატესობის და-საბუთება, როდესაც ძველ „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ ტექსტებს ცვლის და ლი-ტურგიკული პრაქტიკიდან თანდათანობით განდევნის მათი ახალი რედაქციები, როდე-საც სვიმეონ ლომოთეტს უჩნდება ლირსეული მიმდევარი და გამგრძელებელი იოანე ქსიფილინოსის სახით. ამ პერიოდისთვის მეტაფრასტის სახელი უკვე მართლ-მადიდებლური ეკლესიის დიდი მამების – ბასილი კესარიელის, გრიგოლ ლვისმე-ტყველის და იოანე ოქროპირის გვერდით იხსენიება, მისი მოღვაწეობა ცხადდება, როგორც „უცთომელი“ და „შეწყნარებული ყოველთა მიერ ეკლესიათა“ (ეფრემი), ხოლო ლიტერატურული მემკვიდრეობა „უსაყიდლო მარგალიტად“ და „სახარების სწორ პატივცემულად“ ფასდება (თეოფილე).

მაგრამ ასე არ იყო X საუკუნის ბოლოს, როდესაც სვიმეონ ლომოთეტმა ძველ „წამება-ცხოვრებათა“ გადაშემცვევებას მიპყო ხელი. როგორც ყოველგვარ სიახლეს, მა-საც გამოუწენენ მოწინააღმდეგენი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეფრემ მცირის უწყე-ბით, ბასილი II (976-1025წ.წ.) აკრძალა მისი წიგნების კითხვა ეკლესიებში. მხოლოდ იმპერატორის სიკვდილის შემდეგ (მასზე უწინ კი სვიმეონი გარდაიცვალა) გახდა



შესაძლებელი, რომ საღვთო ჩვენების საფუძველზე მეტაფრასული საქონლებებს უდინონიკ ნონიკურობა ეღიარებინათ. ეფრემი ბასილის განრისხების მიზეზად ასანელებს “თვეუკრისტისტე ლეზველის ცხოვრების” იმ აღგილს, საღაც ეწერა: “წარკლინებულ ვიყავ მორწმუნისა მეფისა ლეონისაგან, რომელმან ყოველი განმარტულებამ ბერძნთა მეფობისამ საფლავსა თუსსა თანაშოთფლა”. თუმცა ეს უფრო საბაზი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – მიზეზი. სვიმეონ მეტაფრასტის ნაწერების აკრალვის ჰეშმარიტი მიზეზი, საფიქრებელია, იყო მათი მიუღებლობა ეკლესიის კონსერვატიული წრეების მხრიდან, რამაც, საბოლოო ჯაში, იმპერატორი მათ დასწვავად განაწყო.

პრაქტიკული და თეორიული კვლევის თვალსაზრისით, საგანგებო შესწავლას მოითხოვს სვიმეონ ლოლოთეტის როგორც წინარე,<sup>25</sup> ისე, განსაკუთრებით, მომდევნო პერიოდის მეტაფრასული ლიტერატურის ხასიათი, მისი საერთო გეზი და ორიენტაცია. მაშინ უფრო გაფართოვდება ჩვენი თვალსაწიერი მეტაფრასტიკაზე, როგორც გარევეულ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე.<sup>26</sup> თუმცა ერთის თქმა ახლაც შეიძლება: მეტაფრასული ჰაგიოგრაფის განვითარების მეორე ეტაპზე, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ XI საუკუნე, მოყოლებული 20-იანი წლებიდან (ე.ი. სვიმეონის გარდაცვალების შემდეგდროინდელი პერიოდი), ჩნდება ზოგიერთი არსებითად საპირისპირო ტენდენცია, რის მაგალითოცაა იოანე ქიოლინოსის შემოქმედება. ამ მწერლისათვის გადამეტაფრასება, როგორც აღნიშნეთ, კიმენური თხზულების გავრცობას უკავშირდება, რაც გულისხმობს: ა) ნაწარმოებისათვის შესავლის წამდლვარებას; ბ) მიღრეკილების სასწაულების აღწერისადმი; გ) პარალელების მოყვანას სხვა წმინდანების ცხოვრება-მოღვაწეობიდან; დ) ძველი თხზულების ფაქტობრივი მასალით შევსებას.<sup>27</sup>

და მაინც, მეტაფრასტიკის განვითარების ყველა ეტაპზე საერთო იყო დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი, სწრაფვა ნაწარმოების სტილისტური დახვეწისა და გამშვენიერებისადმი. იოანე ქიოლინოს თავისი მუშაობის შესახებ წერდა: „და ა

<sup>25</sup> ე. წ. წინამეტაურისული პერიოდის ლიტერატურის შესახებ ის: გ. ა. ლ. ი. ბ. ე. გ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ჟორნი მცირის ლიტერატურული შექცელებულებანი, გვ. 161-165.

<sup>26</sup> ის: ჩ. ს. ი. რ. ა. ძ. დ. და. წიგნი, გვ. 158.

<sup>27</sup> ვ. ბ. ა. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. და. ნარკვევა, გვ. 11-12.



ლიტონთა და საეროთა სიტყუათა წეზომისადაც  
თა მაღალმეტყუელებისა მიერ კელოვნებით  
მცობად]. უკეთილშეწყობილებისა მიერ სათქუ  
მელთა შეწყობად და ზეპირ წარმოთქუმად—  
ძნელ და საშრომელ". როგორც დამოწებული ციტატიდან ჩანს,  
მეტაფრასტები ტექსტის მხატვრულობას "ზეპირწარმოთქმითაც" ამოწებდნენ. მეტა-  
ფრასული საკითხავი, პირველ ყოვლისა, ეკლესიაში წასკითხად იყო გამიზნული. მას  
ემოციური ზემოქმედება უნდა მოედინა მსმენელზე, მიენიჭებინა მისთვის ქსოვილი კიამოვნება.

სწორედ ქსოვილი გაღრმავებას, მხატვრულობის ამაღლებას ემსახურე-  
ბოდა მეტაფრასტიკის შეტანა ჰაგიოგრაფიაში. და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ შეა-  
საუკუნეების ბიზანტიური ლიტერატურის ამ თვალსაჩინო მოვლენამ უმაღლესია ასახვა  
და გამოძახილი ჩვენს ძველ მწერლობაში.

### სვიმეონ ლოლოთეტის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის

სვიმეონ ლოლოთეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გამორჩეული აღგილი  
უჭირავს ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში. მისი შემოქმედება, რომელიც ჰაგი-  
ოგრაფიის განახლების სულისკვეთებითაა აღმეცდილი, ერთი ის დიდი შენაკადთაგანია,  
რამაც ბიზანტიურ კულტურას "რენესანსული" სული შთაპბერა. მართლ-  
მადიდებლურმა ეკლესიამ სვიმეონი იმთავითე უდიდესი წმინდა მამების გვერდით  
დააყენა, რითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება მისი მოღვაწეობისადმი. XI საუ-  
კუნის მწერლების დახასიათებით, დრომოსის მაგისტროსი დაჭილდოებული იყო  
დეოსიგან ბოძებული განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით, რათა ეტვირთა ლიტ-  
ერატურის რეფორმატორის მძიმე ჭაპანი, ახალი სული ჩაედგა საეკლესიო მწერლო-



ბისათვის, მოქმედინა მისი გადამუშავება ეპოქის გემოვნებისა და მროვლებრივობის  
შესაბამისად.

თეოფილესა და ეფრემის თქმით,<sup>28</sup> სვიმეონ ლომოტი იყო კაცი ერთნაირად შემ-  
კული საღმრთო და კაცობრივი სიბრძნით. თეოფილე ხუცესმონაზენის მიხედვით,  
საღმრთო სიბრძნე განსაკუთრებულ სულიერ სიბრძნესა და მაღლს ნიშნავს, ხოლო  
ეფრემ მცირე მასში “ზედვით”, თეორიულ მოღვაწეობის გულისხმობს, განსხვავებით  
კაცობრივი სიბრძნისაგან, რომელიც “საქმით” ანუ პრაქტიკული მოღვაწეობის  
სფეროს მოიცავს. ეფრემისვე თანამად, კაცობრივი სიბრძნის წყაროა “საწარმართო  
და გარეშე სიბრძნეში” სრულყოფილი განსწავლულობა, “საეკლესიოთა წიგნთა  
ძუშვისა და ახლისა სჯულისათა” ზედმიწევნით ცოდნა, ხოლო საღმრთო სიბრძნის –  
სულიერი სათნოებების ჩაღენაში კარგი გამოცდილება.

სწორედ ამ ორი სიბრძნის – საღმრთოსი და კაცობრივის – პარმონიულმა შერ-  
წყმამ ერთ პიროვნებაში, რასაც, თეოფილეს სიტყვით, დაემატა სვიმეონის მაღალი  
სახელმწიფო თანამდებობა, მისი ლომოთეტობა ბასილის სამეფო კარზე, შეაძლებინა  
მას მეტაფრასული წიგნების შექმნა. ეფრემ მცირე კიდევ უფრო დააზუსტა სვიმეონ  
მეტაფრასტის “სახელმვანი აღმწერლობის” დასაწყისი, განსაზღვრა რა იგი ბასილის  
მეფობის (976-1025წ.) მეექვსე, ე.ი. 982 წლით. ეფრემმავე მიუთითა, რომ სვიმეონი  
გარდაიცვალა ბასილი მეფეზე ადრეო.<sup>29</sup> ამ ქრონოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნო-  
ბით, რასაც მხარს უჭერდა იაქია ანტიოქიელის “ქრონიკა” (დაიწ. 1025 წ.),  
კ კეკელიძემ სვიმეონ ლომოთეტის ლიტერატურული მოღვაწეობა ბასილი მეორის  
იმპერატორობის ხანით შემოსაზღვრა და 982 წლიდან X საუკუნის დასარულამდე,  
არაუგვიანეს XI საუკუნის პირველ ათეულამდე პერიოდით დაათარიღა.<sup>30</sup>

მნიშვნელოვანი კამათი იყო მეცნიერებაში სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის  
ქრონოლოგის იჩვლივ მეტიც: ადრინდელ გამოკვლევებში მისი ცხოვრების ხანა  
VII-XIV საუკუნეებს შორის მერყეობდა.<sup>31</sup>

<sup>28</sup> თეოფილეს “შესავლის” (At.20) და ეფრემის “მოსაქსენებლის” ტექსტები იჩილე და შეადარფ კ კ კ ე ლ ი ძ ე გ ტ ი უ დ ბ ი ხ, V, გვ. 145 და 223.

<sup>29</sup> კ კ კ კ კ ლ ი ძ ე გ ტ ი უ დ ბ ი ხ დ ა მ წ ე წ ნ ი, გვ. 224.

<sup>30</sup> K. К е к е л и д ჟ e, Симеон Метафраст по грузинским источникам, ეტიულები, V, გვ. 216. შრა.: გვ. 142; 147.

<sup>31</sup> H. G. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, Munchen, 1959, S. 571.

სვიმეონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლა შეცნიერულ წილადში დააკეთებულია XVII საუკუნის სწავლულმა ლ. ალაციუსმა, რომელიც მას X საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევდა. ალაციუსი, რომელმაც გამოსცა მიქაელ ფსელოსის მეტაფრასტი-საღმი მიძღვნილი “შესხმა” და ლიტურგიკული “კანონი”, ემარტებოდა ამ მწერლის გადმოცემას, რომ “თეოქტისტე ლეზველის ცხოვრება” არის სვიმეონის შექმნილი პირველი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები. ხოლო ამ თხზულების დაწერის დროის მიხედვით, ისე გამოდიოდა, რომ მეტაფრასტი უნდა ყოფილიყო ლეონ ბრძენის (886-912 წწ.) თანამედროვე და შეიძლება ეცოცხლა კონსტანტინე მეშვიდის (945-959 წწ.), რომანოზ მეორისა (959-963 წწ.) და ნიკიფორე ფოქას (963-969 წწ.) იმპერატორობის პერიოდშიც კ.

ლ. ალაციუსის მოსაზრება გაიზიარეს XIX საუკუნის მკვლევრებმა – არქიეპისკოპოსმა ფილარეტმა და იეროდიაკონმა თეოფილე იოანემ. რუსმა შეცნიერმა ა. კუნიკმა სვიმეონ მეტაფრასტი და სვიმეონ ლოლოთეტი, “ქრონიკა” ავტორი, სხვადასხვა პირად გამოაცხადა. მას დაეთანხმა გერმანელი მკვლევარი ფ. პირში. მან შეუძლებლად მიიჩნია X საუკუნის დასაწყისში მცხოვრებ სვიმეონს დაეწერა “ქრონიკა”, რომელიც შეოხულია ამავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. 1886 წელს ა. ი. პაპადოპულო-კერამეგმა გამოავლინა კადევ ერთი წყარო -- ეფესოს მიტროპოლიტის, მარკოს ევგენიელის მიერ სვიმეონ მეტაფრასტზე შეთხული სვინაქსარი, რომელშიც ეწერა: სვიმეონი დაიბადა ლეონ ბრძენის მეფობის პერიოდში, წარჩინებული და დიდებული მშობლების ოჯახში. ლოგოთეტის თანამდებობა ეკავა ნიკიფორე ფოქას, იოანე კომისხის (969-976 წწ.) და ბასილი ძოწიომოსილის (976-1025 წწ.) სამეფო კარზე. სიცოცხლის ბოლოს კი ბერად აღიკვეცა. <sup>32</sup>

ცნობილმა რუსმა ბიზანტიისტმა ვ. ვასილევსკიმ თრი სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა სვიმეონ ლოლოთეტს – ”სვიმეონ მეტაფრასტის ცხოვრებისა და შრომების შესახებ” და ”მეტაფრასტის სინოდალური ნუსხა”. ამ გამოკვლევებში მეცნიერი

<sup>32</sup> В. Г. В а с и л е в с к и й, О жизни и трудах Симеона Метафраста, Ж. М. Н. П., ССХII, Ноябрь-Декабрь стр. 380-381; 397-398. ვ ი ვ ა ვ ა, Синодальный кодекс Метафраста, Ж. М. Н. П., ССХI, С.-П.б., 1897 г., Июнь, стр. 335-338; 344-347; 376-377. ჰორ.: К. К е к е л и ძ ე, Симеон Метафраст по грузинским источникам, ეტიუდები, V, ვგ. 213.



ამტკიცებდა, რომ სვიმეონ ლოლოთეტი და სვიმეონ შეტაფრასტი ერთობლივ დაუდგინდნენ. პიროვნება იყო, ცხოვრიბდა და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა X საუკუნის შემთხვევაში, უფრო ზუსტად, ამ საუკუნის მიწურულს. მისი მოსაზრება ძირითადად ემყარებოდა თეოქტისტე ლეზელის, პავლე ლატრელის, სამფსონ უცხოთშემწყნარებლის ”ცხოვრებათა” კრიტიკულ განხილვას და მიქაელ ფელოსის, მარკოს ევგენიკოსის, იაქია ანტიოქელის ცნობათა ანალიზს. განსა-კუთრებით საგულისხმო მონაცემებს შეიცავდა იაქის ”ქრონიკა”, რომელშიც ეწერა: ბასილის შეფობის შეოთხე წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა ნიკოლოზი. საპატრიარქო ტახტი ეპყრა მას სიკვდილის ბოლომდე, 12 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში სახელი გაითქვა სვიმეონმა, მდივანმა და ლოლოთეტმა, რომელმაც შეადგინა საკითხავები წმინდანებსა და მათ ღღესასწაულებზე. გამოდიოდა, რომ სვიმეონ ლოლოთეტი, როგორც შეტაფრასტი, ცნობილი გამხდარა ბასილის შეფობის შეოთხე, ე.ი. 980 წლიდან, როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი დაუკავებია ნიკოლოზს.<sup>33</sup>

ცნობილმა ბოლანდისტმა ი. დელეპემ 1893 წელს გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: ”ცხოვრება წმ. პავლე ლატრელ ახლისა (†956) და შეტაფრასტის ქრონოლოგია”,<sup>34</sup> რომელშიც კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ვ. ვასილევსკის პირველ ნარკვევთან დაკავშირებით, მათ შორის, იაქია ანტიოქელის ცნობების სანდოობის შესახებაც. ამ შენიშვნებს დასაბუთებული პასუხი გასცა რუსმა მეცნიერმა,<sup>35</sup> რაც სათანადო აისახა კიდევ ი. დელეპეს საბოლოო, განზოგადებული ხასიათის გამოკვლევაში შეტაფრასტის თვენის შესახებ. აյ მან თითქმის იგივე შეხედულებები განავითარა სვიმეონის მოღვაწეობის ქრონოლოგიზე, რაც ვ. ვასილევსკიმ.<sup>36</sup>

გამოჩენილი გერმანელი მკვლევრები კ. კრუმბახერი და ა. ერპარდი სვიმეონს თვლიდნენ X საუკუნის შეორება ნახევრის მოღვაწედ. ოღონდ ერპარდს მიაჩნდა, რომ

<sup>33</sup> В. Г. Васильевский, О жизни и трудах Симеона Метафраста, Ж. М. Н. П., ССХII, стр. 436-437. მდრ: К. Кекелиадзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, ვთუდები, V, გვ. 213-214.

<sup>34</sup> La vie de saint Paul Jeune (†956) et la chronologie de Metaphraste par Hippolyte Delehaye, Revue des questions historiques, Juillet, 1893, p. 49-85.

<sup>35</sup> В. Г. Васильевский, Синодальный кодекс Метафраста, Ж.М.Н.П., ССХI, стр.338-344.

<sup>36</sup> H. Delehaye, De Symeonis Logothetae Menologio, Bib. Hag. Graeca, Bruxellis, 1909, p. 269-271.



ჰაგიოგრაფიული კრებული შეტათრასტს კონსტანტინე პორფიროგენეტიქ (912-959წ.)  
ინიციატივით უნდა შეექმნა.<sup>37</sup>

ვ. ვასილევსკის თვალსაზრისის იზიარებდნენ რუსი მეცნიერები: თ. უსებესკი,<sup>38</sup>  
ვ. ლატიშევი და ი. გოლენიშევ-კუტუზოვი.<sup>39</sup> ლატიშევი მაღალ შეფასებას აძლევდა  
ვ. ვასილევსკისა და ჭ. კაცელიძის ნაშრომებს მეტაფრასტიკაზე<sup>40</sup> და სათანადოდ  
იყენებდა კიდევ მათ "სამეფო" თვენის კალევისას. კაცელიძის მიერ ეფრემ მცირის  
"მოსაქსენებლის" გამოქვეყნებამ თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა საკითხი სვიმეონ  
ლოლოთეტისა და მეტაფრასტის X საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობის  
სასარგებლოდ. ასე მაგალითად, ცნობილი გერმანელი ბიზანტიისტი ჰ. ბეკი 1959  
წელს სვიმეონის შესახებ წერდა: ის ცხოვრობდა X საუკუნეში. ჯერ კიდევ ლეონ  
მეექესის (886-912წწ.) მეფობის პერიოდში უნდა მოვლენოდა ქვეყანას. მან გაიარა  
ხელისუფლებისაკენ მიმავალი გზა და იყო ლოლოთეტი იმპერატორების – ნიკიფორე  
ფოკას, იოანე კიმისხისა და ბასილი მეორის დროს. სიცოცხლის მიწურულს ბერად  
უნდა აღკვეთილიყო და დაახლოებით საუკუნის დასაჩულს გარდაცვლილიყო.<sup>41</sup>

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რუსი მეცნიერის ნაშრომში დღვდე გხვდება  
უზუსტობანი თუ დაუსაბუთებელი მოსაზრებანი სვიმეონის ლიტერატურული  
მოღვაწეობის დროისა თუ ხასიათის შესახებ. ა. კაუდანი,<sup>42</sup> ე. გრანსტრემი,<sup>43</sup> ტ.  
პოპოვა<sup>44</sup> სვიმეონ მეტაფრასტისა და სვიმეონ ლოლოთეტის იგივეობის საკითხს. ლიად  
ტოვებენ ან ეჭვს გამოთქვემენ მათი იდენტურობის მართებულობაზე: კაუდანი სვიმეონ  
ლოლოთეტის ლიტერატურულ მოღვაწეობას X საუკუნის შუა წლებს მიაკუთვნებს,  
ხოლო სვიმეონ მეტაფრასტის – X საუკუნის მიწურულს. ტ. სოკოლოვა<sup>45</sup> მეტა-

<sup>37</sup> K. Krumbacker, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 178; 200.

<sup>38</sup> Θ. И. Успенский, Константинопольский Собор 842 года и утверждение православия, Ж. М. Н. П., СПб., 1891 г., Январь, стр. 96.

<sup>39</sup> И. Н. Голенищев - Кутузов, Средневековая латинская литература Италии, М., 1972 г., стр. 199-200.

<sup>40</sup> В. В. Латышев, Византийская "Царская" Минея, (Записки Акад. Наук, VIII серия, т. XII, №7) Петроград, 1915 г., стр. 79-86.

<sup>41</sup> H. G. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, S. 571.

<sup>42</sup> А. П. Карадаин, Хроника Симеона Логофета, Византийский Временник, XV, М., 1959 г., стр. 129, прим. 24.

<sup>43</sup> История Византии, т. II, М., 967 г., стр. 461, прим. 18.

<sup>44</sup> Памятники византийской литературы IX-Xв. в., М., 1969г., стр. 67; 80.

<sup>45</sup> Краткая литературная энциклопедия, т. I, М. 1962 г., стр. 959.



თურასტუ X საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ თვლის და ა.შ.

აღარაფერს ვამბობთ ბერძენი შეკვლევრის ს. ეკატერინიდეს შესახურავი, რომლის მხედვითაც სვიმეონ ლოლოთეტი სულაც XI საუკუნის მწერალია.<sup>46</sup>

ამგვარი მცდარი შეხედულებანი გამოწევეულია მეტაფრასტიკის საკითხების არასრულყოფილი შესწავლით, ამ სფეროში მომუშავე ცნობილ სპეციალისტთა გამოკლევების იგნორირებით, ქართული მასალების გაუთვალისწინებლობით ან მათი მნიშვნელობის შეუფასებლობით.

სამწუხაროდ, რუსულ თუ უცხოურ ცალკეულ სამეცნიერო გამოცემებსა თუ კურნალებში დღემდე ადგილი აქვს ქართველ მკვლევართა ნაშრომების უგულე-ბელყოფას, რასაც სვიმეონ მეტაფრასზე შექმნილი ლიტერატურის ზემოთ წარ-მოდგენილი მოკლე მიმოხილვაც მოწმობს.<sup>47</sup> ამიტომ ქართველოლოგის ვალია, წინ აღუდეს ასეთ პროცესებს, უფრო მეტად იზრუნოს, რათა მისი მიღწევები ხელმი-საწვდომი იყოს მსოფლიოს ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

მეტაფრასტიკის კიდევ ერთი საცილობელი საკითხია, რამდენი წიგნისაგან შედგებოდა სვიმეონ ლოლოთეტის ჰაგიოგრაფიული კრებული და წლის რომელ თვეთა საკითხავებს შეიცავდა იგი?

იოანე ქიოფილინოსის “შოსაქსენებელი” გვაუწყებს, რომ სვიმეონს დაუტუშევებია, ანუ “შეუტკვნია” “არა სრულისა წელიწადისა საკითხავნი, არამედ რაოდენთა უკუკე წმიდათა საქსენებელნი იდლესასწაულებიან ზამთრისა თოუეთა”, სახელდობრ: სეჭტებ-ბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის თვეთა საკითხავები. იოანესვე თქმით, მეტაფრასტს ეს მოუმოქმედებია წმინდა ლიტურგიული, პრაქტიკული მოსაზრებით: ზამთრის გრძელ ღამეებში სასიამოვნო მოსამენი იყო უფრო ვრცელი, მეტაფრასული ტექსტების კითხვა. გაზიათხულ-ზათხულის პერიოდში კი, ღამეების სიმ-კირისა და ათამიანზე “ძილისა ბუნებითად მძღვვლობისა” გამო, უსარგებლოდ ჩათვა-



ლა ამ დროის თვეეთა წმინდათა ცხოვრებების გარდაქმნა-შემკობაო <sup>48</sup>

თეოფილე ხუცესმონაზვნის “შესავლის” მიხედვით კი, სვიმეონ მისამართის ნაშრომი 12 წიგნისაგან შედგებოდა: “ამან სანატრელმან ალუწერნა ქრისტიანეთა ოორმეტინი ესე წიგნი მეტაფრასი და მიანიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსას-ყიდლოდ ესე მარგალიტი.”<sup>49</sup>

ტრადიციულად გავრცელებული იყო აზრი, რომ სვიმეონ მეტაფრასტის სა-კითხავები შეადგენდა 12 წიგნს, რომლებიც წლის 12 თვის შესაბამისად იყო გა-ნაწილებული. პირველად ა. ერკარდიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ სვიმეონის ნაშრომი შედგებოდა 150 “ცხოვრებისაგან”, ფსალმუნთა რიცხვის შესაბამისად, და 10 წიგნად იყო გაყოფილი.<sup>50</sup> ეს მოსაზრება გაიზიარა ვ. ვასილევსკიმ, რომელმაც მოსკოვის სი-ნოდალური კოდექსის მინაწერისა და იოანე ატალიატის წესდების ინვენტარზე დაყრდნობით სცადა მისი დასაბუთება.<sup>51</sup> მეტაფრასტის ჰაგიოგრაფიული კრებულის 10 წიგნად არსებობას (148 შემცველი ტექსტით) შეარი დაუჭირა პ. გ. ბეკმაც.<sup>52</sup>

კ კეკლიძემ კატეგორიულად უარყო ვასილევსკის შეხედულება სვიმეონის შრო-მის 10 წიგნად არსებობის შესახებ. მან სამართლიანად მიუთითა, რომ თეოფილეს ცნობა არ იყო მოკლებული ჭეშმარიტებას და სცადა დაემტიკიცებინა, რომ მეტა-ფრასტის საკითხავები 12 წიგნს შეადგენდა.<sup>53</sup> მაგრამ მკვლევარმა ძალაში დატოვა ვ. ვასილევსკის ერთი დებულება, რომ წიგნთა რიცხვი (ამ შემთხვევაში 12) წლის თვეთა რიცხვს არ შეესაბამებოდა. თუმცა აქ ლაპარაკი შეიძლება არა იმდენად რუსი ბი-ზანტიისტის გავლენაზე, რამდენადაც იოანე ქსიფილინოსის უწყებაზე, რომლის მიხედ-ვითაც სვიმეონს გადაუმეტაფრასებია მხოლოდ “ზამთრის” თვეთა საკითხავები.

იმ დროს, როცა კ კეკლიძე ბიზანტიური და ქართული მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის საკითხებს იკვლევდა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი თეოფილეს ან-დერძ-მინაწერები სრული სახით; მეტიც: ათონური ხელნაწერები, რომლებშიც დაცუ-

<sup>48</sup> К. Кекелиадзе, Иоан Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, ეტულები, V, გვ. 228-229, 239-240. შლრ.: გვ. 142.

<sup>49</sup> ქართულ ხელნაწერია აღწერილია, ათონური კოლექცია, I, გვ. 75-76.

<sup>50</sup> A. Ehrhard, Die Legenden Sammlung des Symeon Metaphrastes und ihr ursprünglicher Bestand, Festschrift zum 1100 Jahr Jubiläum des deutschen Campo Santo in Rom, Freiburg, 1897, S. 46-82.

<sup>51</sup> В. Г. Васильевский, Синодальный кодекс Метафраста, Ж.М.Н.П., СССХI, стр. 349-354.

<sup>52</sup> Н. Г. Векслер, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, S. 572.

<sup>53</sup> კ კ კ კ ლ ი ძ ბ ქართული ნათარგმი აღიაღრაფია (В. მეტაფრასული რედაქცია), ეტულები, V, გვ. 148-150.

ლია ამ მწერლის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი მეტაფრასული სა-  
კითხავები, მიუწვდომელი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის. დღეს, როდესაც კუთხით ხდება  
ნაწერთა მიკროფილმები თბილიშია და კარგა ხანია ქართველ მკვლევართა  
კურადღების ცენტრშია მოქცეული, ზოგიერთი ძველი დებულება გადაისწიგა ან  
კიდევ უფრო დაზუსტდა.

6. გოგუაძემ სამართლიანად მიუთითა, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი სვიმეონ  
ლოლოთეტს თვლის მთელი წლის (12 თვის) მეტაფრასების ავტორად.<sup>54</sup> მართლაც,  
At.20 ხელნაწერის შესავლისა და ანდერძის ტექსტიდან აშკარად ჩანს, სექტემბრის  
თვის მეტაფრასული კრებული მიჩნეულია ერთ თორმეტთაგანად: “ა თ ო რ მ ე ტ  
თ ო მ ა თ გ ა ნ ე რ თ ო ე ს ე გ ა მ თ მ ი ღ ი ა”. “შომეც მე, მესნელო,  
ძალი იგი ორკეცი და შეპროექ ე რ თ ს ა ამას თანა ა თ ე რ თ მ ე ტ ნ ი  
ი ღ ი”. ამასვე ადასტურებს At. 37 ხელნაწერის ზანდუკი, რომელიც თეოფილეს  
ხელით არის დაწერილი და ნოემბრის თვეს მესამე წიგნად თვლის. მისი დასაწყისი  
ასეთია: “შადლითა წმიდისა და ცხოველისა სულისა სამწმიდა არს ღმრთისა ჩუენისა-  
ჟთა. წ ი გ ნ ი მ ე ს ა მ ე თ უ ს ნ ი ე მ ბ ე რ ი. ცხორებანი და წამებანი  
წმიდათანი”.<sup>55</sup> მაშასადამე, პირველი წიგნი სექტემბერია, მეორე – ოქტომბერი,  
რომელიც, სამწუხაროდ, დაკარგულია, ხოლო მესამე – ნოემბერი, რომლის საკითხავე-  
ბის მხოლოდ ნაწილიღა შემოუნახავს At.36-37 ნუსხებს.

როგორც ვხედავთ, თეოფილე ხუცესმონაზვნის ანდერძ-მინაწერებიდან გამომდი-  
ნარებს უცილობელი დასკვნა, რომ სვიმეონ მეტაფრასტს შეუშმია 12 წიგნი,  
რომელიც წლის 12 თვის მიხედვით ყოფილა განაწილებული. სხვათა შორის, ასევე ეს-  
მის თეოფილეს ცნობების მნიშვნელობა ი. ლოლაშვილს, თუმცა ის ხსენებულ საკითხს  
საგანგებოდ არ გამოყოფს.<sup>56</sup> ღ. ახორებე ცდილობს დაიცვოს კეკელიძისეული მო-  
საზრება სვიმეონის 12 წიგნის წლის ცალკეულ თვეებზე არააღვევატური გადანაწილე-  
საზრება სვიმეონის 12 წიგნის წლის ცალკეულ თვეებზე არააღვევატური გადანაწილე-

<sup>54</sup> ნ. გ თ ვ უ ა ძ ე ვ მეტაფრასული კრებულების ურთიერთმშორებისათვის, კ კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუ-  
ტის მრავალთავი, XI, თბ., 1985 წ., გვ. 6. მ ი ს ი ვ კ ს ე ქ ტ ე მ ბ რ ის თვის მეტაფრასების თორმეტი ნუსხა, მჩავალთავი,  
ტის მრავალთავი, XI, თბ., 1986 წ., გვ. 105.

<sup>55</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თომაშვილი კარებული, I, გვ. 76; 78; 102.

<sup>56</sup> ი. ლ რ ლ ა ჭ ვ ი ლ ი. თომაშვილ ქართულ ხელნაწერთა საბაზონი, თბ., 1982 წ., გვ. 42-43.



ბის შესახებ, მაგრამ ამის დამაღატურებელი ახალი საბუთები შევლევარს უკავშირდებოდა ვერ მოჰყავს.<sup>57</sup>

ამრიგად, XI საუკუნის ათონური ქართული მასალები მყარ საფუძველს უქმნიან ტრადიციულ თვალსაზრისს სვიმეონის ნაშრომის მოცულობასა და შედგენილობაზე. მაგრამ აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ შევათანხმოთ ეს ტრადიციული თვალსაზრისი იოანე ქიოფილინოსის ცნობებთან? ნუთუ არასწორ ინფორმაციას გვაწვდის მწერალი, როცა ასმდენჯერმე აღნიშნავს, რომ სვიმეონმა მხოლოდ “ზამთრის” თვეთა პაგიოგრაფიული საკითხავები გადაამუშავა, ხოლო თავად მან დანარჩენი, “ზაფხულის” შეიდი თვის მასალა “გარდაქაზმა”? აյი ქართულად შემოგვრჩა კიდეც მისი სახელით მოღწეული მეტაფრასული კრებულები?

ვფიქრობთ, საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს:

სვიმეონ ლოღოთეტმა სრული სახით დაამუშავა მხოლოდ ხუთი თვის – სექტემბერ-იანვრის საკითხავები. დანარჩენი, გაზაფხულ-ზაფხულის თვეთაგან, როგორც ბერძნული მასალების შესწავლიდან ირკვევა, მან მხოლოდ თითო-ორიოდა პაგიოგრაფიული საკითხავი გადაამეტაფრასა: თებერვალში – 8, მარტში – 3, აპრილში – 3, მაისში – 1, ივნისში – 3, ივლისში – 4, აგვისტოში – 4 (სულ 26).<sup>58</sup> ასე რომ, საბოლოო ჯამში მან გადაამუშავა წლის 12-ვე თვის მასალა, ოლონდ 5 თვე სრულად, 7 თვე – არასრულად. ამგვარ არათინაბარ განაწილების მეტაფრასულ კრებულში “ზამთრისა” და “ზაფხულის” თვეთა პაგიოგრაფიულ ტექსტებს შორის, ჰ. გ. ბეკი სინური აღრეული ღვთისმახურების შემოკლების შესაძლო რეფორმით ხსნის.<sup>59</sup>

ასე თუ ისე, სვიმეონ მეტაფრასტის პაგიოგრაფიულმა კრებულმა ძალიან მაღლ იცვალა თავდაპირველი სახე. იმთავითვე გამოჩნდნენ სვიმეონის მიმბარებელები და გამგრიელებლები, რომლებმც დაიწყეს ახალი შეტაფრასული საკითხავების შეთხზვა, რედაქტორებმა ხელი მიჰყვეს მის წიგნებში ახალი ტექსტების შეტანას, მისი შეტაფრასების შესწორებასა და გადასხვათვერებას.

<sup>57</sup> ლ. ა ხ ბ ა ძ ე, ნომებრის თვის შეტაფრასტის ორი ათონური ნუსხა, კ კეკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალათვე, XV, თბ., 1989 წ., გვ. 32-37.

<sup>58</sup> H. De lech a y e, De Symeonis Logothetae Menologio, BHG, p. 275-292. შდრ.: კ კ ე კ ე ლ ი ძ ვ ე ტ ი უ დ ე ბ ი, V, გვ. 149.

<sup>59</sup> H. G. B e c k, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, S. 572.



საფიქრებელია, რომ XI საუკუნის II ნახევარში სვიმეონ ლოლოთეტიშვილი და მეტად  
ფრასტის სახელით ცნობილ კრებულებში სრულად იყო წარმოდგენილი მთელი წლის  
ჰავით გოგრაფიული მასალა. ეს კრებულები სხვადასხვა ჩედაქციით გრცელდებოდა. საქა  
იქამდე მივიდა, რომ უკვე 1081 წელს თეოფილე ხუცესმონაზონს სექტემბრის თვის  
მეტაფრასული საკითხაცებისათვის დართულ ანდერძში საგანგებო აღნიშვნა უხდება,  
რომ თარგმანი სანდო, საიმედო დედნიდან არის შესრულებული („ვითარცა ბერძუ-  
ლად მიპოვია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესროვე ქარ-  
თულად დამიწერია“<sup>60</sup>). ეტყობა, ამავე ღროისათვის უკვე მყარი ტრადიცია შექმნილა,  
რომ სვიმეონის ნაშრომი თავდაპირველი სახით 12 წიგნისაგან შედგებოდა, რაკიდა მას  
გარკვეულწილად თორმეტივე თვის ჰავით გოგრაფიული მასალა ჰქონდა დამუშავებული.

ააც შექება იოანე ქიოთილინოს, მას, როგორც სასახლის ერთ-ერთ უგანათლე-  
ბულეს მწიგნობარს და ეკლესიასთან დაახლოებულ პირს (გავიხსენოთ, რომ მისი ბიძა  
კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო), უფრო ზუსტი წარმოდგენა ჰქონია სვიმეონ  
ლოლოთეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. იოანეს, ვითარცა ნიჭიერ ქრისტიან  
მწერალს, უტვირთავს სვიმეონის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება და, როგორც  
ქართულ ენაზე დაცული მისი ნაწერები მოწმობს, ლირსეულადაც დაუსრულებია იგი.

### მეტაფრასული ლიტერატურის ქართულად თარგმნის ისტორიისათვის

თეოფილე ხუცესმონაზონის At.20 ხელნაწერის შესავლის ბოლო ნაწილი სვიმეონ  
ლოლოთეტის მეტაფრასული საკითხაცების ქართულად თარგმნის ისტორიას ეხება.  
იმათ გასაგონად, ვისაც შესაძლოა გასჩენდა კითხვა: ეკლესიისათვის აგრერიგად  
სასურველი მეტაფრასების 12 წიგნი რატომ არ თარგმნეს ეფოვოშე და ვიორგი მთაწ-  
მიდლებმაო? – მწერალი უპასუხებს: “რამეთუ კაცი რაუამს სიყრმილითა პურისათა

<sup>60</sup> ქართულ ხელნაწერთა ოლტერიკობა, ათონური კოლექცია, I, გვ. 78.

მომქმნარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანოვაგეთა არა სცალს; რამეთუ უფრო საჭირო ართაგან არა სცალდა და ამისთვის დაშორებული უთარგმანოდ.”<sup>61</sup>



ჭ კეკელიძე დამოწმებულ ამონაწერს ასეთ კომენტარს უკეთებდა: “ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პრიორიტეტს ამ საჭმელი თვით ავის თავს თავის აკუთვნებს. მართალია, მთლიანად სვიმეონის მეტაფრასები არც ეჭითიმეს უთარგმნია და არც გიორგის, მაგრამ თქმა იმისა, რომ მათ არაფერი უთარგმნიათ მეტაფრასტის კრებულიდან, არ შეიძლება. ეჭითიმე, როგორც გარკვეულია უკვე, დამწყებია ქართულ ლიტერატურაში მეტაფრასული მიმართულებისა, მას ათამდე მეტაფრასი გაღმოულია ქართულად; ესევე უნდა ვთქვათ გიორგი მთაწმიდლის შესახებაც. მიუწერდავად იმისა, რომ ის უშუალო მოწაფე კი ყოფილა გიორგისა, მას არ სცოდნია საქმის ნამდვილი ვითარება ამ ხაზით”<sup>62</sup>.

როგორც აღნიშნულია ჩვენს მეცნიერებაში, ჭ კეკელიძის მისაზრება დაზუსტებას მოითხოვს.<sup>63</sup> მართებულად შენიშნავს მკვლევარი, რომ თეოფილებზე აღრე ცალკეული მეტაფრასები თარგმნეს როგორც ეფთვიმემ, ისე გიორგი მთაწმიდელმა. მაგრამ თეოფილე ხუცესმონაზონი “შესავალში” ლაპარაკობს სვიმეონის მეტაფრასული საკითხავების არა ცალკეულ თარგმანებზე, არამედ მისი მთლიანი კორპუსის გაღმოღებაზე (“ათონიმეტი ესე წიგნი მეტაფრასინი”). ამ მხრივ კი პრიორიტეტს მას მართლა ვერ დაუკარგავთ. ამას ადასტურებს იმავე “შესავლის” მომდევნო ნაწყვეტი: “რომელთაგან მე უღირსსა ამას თეოფილეს რეცა ხუცესმონაზონსა, მოწაფესა გეორგი მთაწმიდლისასა, რომელ არა ღირს ვარ მოწაფე წოდებად მისა, ა თ ა რ მ ე ტ ა მ ა თ გ ა ნ ე რ თ ი ე ს ე გ ა მ რ მ ი ღ ი ა. უკუეთუ გაპმარჯოს ღმერთმან სხუათათვისცა კეთილ, და უკუეთუ არა, ამისთვის ლოცვა ყავთ.”

1081 წელს თეოფილეს მთლიანად უთარგმნია სექტემბრის თვის მეტაფრასული კრებული და განზრახული ჰქონია სვიმეონ ლოლოთეტის დანარჩენი 11 წიგნის თარგმაც. ამისათვის შესთხოვს ის At. 20-ის ანდერძში ღმერთის “ორკეც ძალას”,

<sup>61</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონეზი კოლექცია, I, გვ. 76.

<sup>62</sup> ჭ კეკელიძე ქართული ნათარგმი ავიოგრაფი (B. მეტაფრასული რედაქცია), ეტიუდები, V, გვ. 150.

<sup>63</sup> ა. ლ კ ლ ა შ ვ ი ლ ი, ათონეზი ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 42.

რათა სრულყოს დაწყებული საქმე და “სრულისად სრულსა შინა ცოდნული მდგრადი ბოლის სრული იგი სახელი წმიდისა სამებისაა.”<sup>64</sup>

აյ რომ, პირველობას საკუთარ თვის თეოფილე სვიმეონის ცალკეულ მეტაფრასულ წიგნთა სრული თარგმნის დაწყებაში აკუთვნებს.

### არც ტყუი!

დღეს გარკვეულია, რომ სეტემბრის თვის მეტაფრასული კრებულის თარგმნი შემდეგ თეოფილეს გაუგრძელებია ამ კუთხით მუშაობა და თანმიმდევრულად გად მოულია ქართულად ოქტომბრის (დღეს დაკარგულია), ნოემბრის და დეკემბრის თვეთა ჰაგიოგრაფიული საკითხავები, რომელთაგან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჩვენამდე მოაღწია ოთხ ათეულზე მეტამ თხზულებაში.<sup>65</sup> ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კ კეპელიძეს, როდესაც წერდა: ხომ არ თარგმნა მან სვიმეონ მეტაფრასტის მოელი კრებული?<sup>66</sup> სამწუხაროდ, ამ კითხვაზე გადაჭრელი პასუხი დღესაც არ გვაძეს, რაღაც თეოფილეს მიერ თარგმნილი იანვრის თვის მეტაფრასტის კვალი არ ჩანს.

ეფრემ მცირე თაგის “მოსაქსენებელში” გვაწვდის ცნობებს მეტაფრასტის პირველი ქართველი მთარგმნელების შესახებ. თუმცა, როგორც აღნიშნულია, ის სრულად არ ასახელებს იმ “გარდაკაზზულ” თხზულებებს, რომლებიც მის შინამორბედებს გადმოულიათ ქართულად.<sup>67</sup> ეფრემის უწყებით, დავით ტბელს უთარგმნია “წამება წმიდისა არტემისი და კრიტელთად და ელევთერისი”, გიორგი მთაწმიდელს – “წამება წმიდა გიორგისი”, “წამება წმიდა თეოდორესი” და “სასწაული წმიდისა თეოდორესი”, სტეფანე სანანოს ძეს – “საკითხავი დაუკლომელთად”, “ცხორება თეოკტისტე ლეველისად” და სხვ., ეფთვიმე ათონელს “წამება წმიდა კლემენტოს, პრომთა პაპისა” და “წამება წმიდისა პროკოპისი”.

ამრიგად, მეტაფრასტიკის აღრეული წარმომადგენლები ქართულ მწერლობაში არიან: ეფთვიმე ათონელი, დავით ტბელი, სტეფანე სანანოს ძე და გიორგი მთაწმი-

<sup>64</sup> ქართულ ხელნაწერთა აღმწერილობა, ათონერი კოლექცია, I, გვ. 78.

<sup>65</sup> შედრ.: ი. ლოლა ა ჭ ვ ი ლ ი, ათონერი ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, გვ. 42-43. ნ. გ ო გ უ ა ქ კ მეტაფრასტული კრებულების ურთიერთობისათვის, კ კეპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი, XI, გვ. 6-7. კ კ რ ი ლ ი ძ ე, უტიუბები, V, გვ. 154.

<sup>66</sup> კ კ ე კ ე ლ ი ძ ე, დამ. წიგნი, გვ. 150-151.



დელი.

მანც რომელია სვიმეონ მეტაფრასტის ის თხზულება, რომელიც – არა კარგმნა ითარებულად და ვინაა მისი მთარგმნელი?

ჩ. სირაძის დაკვირვებით, მეტაფრასტიკის პირველი შემომტანი ქართულ მწერლობაში ეფოვიმე ათონელია. ხოლო პირველი მეტაფრასული ნაწარმოები, რომელიც ჩვენმა ლიტერატურამ გაიცნა (990 წლამდე), არის მის მიერ თარგმნილი “წმ. გიორგის წამება”.<sup>68</sup>

აღსანიშნავია, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ეფოვიმე ათონელის შემოქმედებას. მან სექტემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავებში 14 რიცხვით შეიტანა “ამაღლებისათვის პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯუარისა”, რომლის სათაურშივე მიწერილია – “თარგმანებული წმიდისა მამისა ჩუქნისა ე ფ თ ჯ მ ე ს ი” (აქ ეს თხზულება ბასილი კესარიელს მიეწერება, თუმცა მისი ნამდვილი ავტორია ანდრია კრიტელი). “ანდერძში” ამ საკითხავის შესახებ მწერალი ასეთ განმარტებას იძლევა: “ამას წიგნსა შინა ქართულითგან, ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლად არარამ წერილ არს, თ ჯ ნ ი ე რ ჯ უ ა რ ი ს ა ს ა კ ი თ ხ ა ვ ი ს ა, სხუამ ყოველივე ახალი არს”.<sup>69</sup>

ასევე ყურადღებით ეპყრობოდა თეოფილე მეტაფრასულ თხზულებათა აღრინდელ ქართულ თარგმანებს, თუკი ის ამის შესახებ რაიმე ინფორმაციას მანც ფლობდა. მაგალითად: ნოემბრის მატაფრასული კრებულის თარგმნისას მან ღიად დატოვა თვის 3 და 4 რიცხვის საკითხავები, რადგან ეს მასალა, მისივე თქმით, სხვა წმინდა მამების მიერ იყო გადმოღებული ქართულად და გაფორმული.<sup>70</sup>

ეს ფაქტები საშუალებას გვაძლევს დაგასკვნათ: თეოფილე ხუცესმონაზონს კარგად სცოდნია, რომ ცალკეულ მეტაფრასულ ძეგლებს მისი წინამორბედი სხვა მწერლებიც თარგმნიდნენ და საჭიროების მიხედვით იყვნებდა კიდეც ასეთ თარგმანებს.

მიუხედავად ამისა, თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სვიმეონის მეტა-

<sup>68</sup> ჩ. ს ი ჩ ა ქ, ქართული ქართველების აზრის ისტორიიდან, გვ. 148.

<sup>69</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონელი კოლექტურა, I, გვ. 70; 79.

<sup>70</sup> 6. გ ი გ უ ა ქ უ მეტაფრასტის ქართულად თარგმნის პრინციპები (რამდენიმე შენიშვნი), საქართველოს კულტურის სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998 წ., გვ. 134. შრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონელი კოლექტურა, I, გვ. 102.



ფრასული საკითხავების უმეტესობას ჩვენს ძველ მწერლობაში ექვემდებარება რომელთა მთარგმნელები სხვადასხვა ქართველი მწერლები არიან. ესენია:

1. “ცხორებად და მოქალაქობად და წამებად ღალაქტიონ და ეპისტომესი” (5.XI) თეოფილეს გარდა, უთარგმნია ვიღაც სხვა პირსაც (S 384, გვ. 572-582).
2. “ცხორებად და მოქალაქობად დედისა თეოქტისტი მეუღლაბნოვსად” (10. XI) უთარგმნია სტეფანე სანანოს ძესაც (S 384, გვ. 597-612).
3. “წამებად წმიდისა მოწამისა მინავსი” (11. XI) უთარგმნია ეფრემ მცირესაც (S 384, გვ. 635-643).
4. “ცხორებად და მოქალაქობად იოანე ოქროპირისად” (13.XI) უთარგმნია აგრეთვე ეფრემს (S 384, გვ. 12-123).
5. “ცხორებად და მოქალაქობად ამბროსი მედიოლანელისად” (7.XII) ეფრემის მიერაც უნდა იყოს თარგმნილი (A 90, 111-126)

6. “ცხორებად და მოქალაქობად პატაპისი” (8.XII), რომელიც თეოფილეს ორგერ უთარგმნია, სხვა თარგმანითაც არის შემორჩენილი (A 90, 126-135). საფიქრებელია, ესეც ეფრემ მცირისა იყოს.

7. “წამებად მღდელმოწამისა ელევთერიისი” (15.XII) უთარგმნია აგრეთვე დავით ტბელს (A 90, 207-222).

ამგვარი სიის გაგრძელება კვლავაც შეიძლება, განსაკუთრებით სექტემბრის თვეს მაგალითზე. აქ კიდევ უფრო მეტია ასეთი პარალელური თარგმნის ნიმუშები. მაგრამ დამოწმებული ძეგლებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ XI საუკუნის მეორე ნახევარში მეტაფრასული თხზულებების თარგმაში შეინიშნება ერთგვარი პარალელიზმი, რასაც პირველმა ყურადღება მიაქცია ა კეკელიძე.<sup>71</sup> იგი აღნიშნავდა, რომ თეოფილეს მიერ თარგმნილ სექტემბრისა და ნოემბრის თვეთა საკითხავებს, რომლებიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა, საფიქრებელია საქართველომდე არც მოულწევია. თვით ეფრემ მცირეს, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასების ქართველ მთარგმნელთა ვინაობის შესახებ, არაფერი სცოდნია მისივე თანამედროვე თეოფილეს საჭმიანობაზე ამ სფეროში. “უს, ალბათ,

<sup>71</sup> კ კ კ კ ლ ი ძ გ ა პლილები, V, გვ. 154-156.

ასხენება იმით, რომ, როდესაც თეოფილემ მუშაობა დაიწყო (1073 წლებან), კუთხით  
დიდი ხნის წასული იყო კონსტანტინოპოლიდან შავს მთაზე”.<sup>72</sup>

ი. ლოლაშვილი იზიარებს კ კეკელიძის ამ მოსაზრებას და თავის მხრივ  
ამატებს: “დიდმა თურქობამ შეკრა გზები, კავშირი გაწყვიტა ათონელ და შავმთელ  
ქართველ მოღვაწეთა შორის. საქართველოც მოწყდა საზღვარგარეთის ლიტერატუ-  
რულ ცენტრებს. ამიტომაც კონსტანტინოპოლში მყოფმა თეოფილემ არ იცოდა, თუ  
რა ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა ეფრემ მცირე, და, პირიქით, შავ მთაზე  
მყოფ ეფრემს წარმოდგენა არ ჰქონდა თეოფილეს მოღვაწეობაზე”.<sup>73</sup>

ორივე მეცნიერი საქმაოდ ლოგიკურად ხსნის მეტაფრასების პარალელური თარგ-  
მანების არსებობას ძევს ქართულ მწერლობაში. მეტის თქმაც შეიძლება: თუ არა  
“სივერაგესა უამთასა”, რაშიც უთუოდ დიდი თურქობაც იგულისხმება, აბა, რას უნდა  
მივაწეროთ ის ფაქტი, რომ თეოფილეს მიერ 80-იან წლებში შესრულებულ თარგ-  
მანთა უმეტესობა თითო ეგზემპლარის სახითლაა შემორჩენილი საქართველოს თუ  
საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში (ანდა სულაც დაკარგული ჩანს)?! თავი რომ  
დავანებოთ სექტებრისა და ნოემბრის მეტაფრასულ კრებულებს, ასევე ერთადერთი  
ავტოგრაფული ნუსხით მოაღწია იოანე ოქროპირის “თარგმანებად დაბადებისას”  
თეოფილესულმა თარგმანმა (At.29), ერთადერთ ხელნაწერსდა შემოუნახავს მის მიერ  
შედგენილი ასკეტიკური ხასიათის კრებული – იოანე ოქროპირის “უწავლანი” (A.143),  
რომელიც ჩვენს ლიტერატურაში “ასკეტიკონი” სახელით იყო ცნობილი.<sup>74</sup> ეს მით  
უფრო სავალალოა, რომ თეოფილე ხუცესმონაზენის სახით ჩვენ გვყავს მართლაც ნი-  
ჭიერი მწერალი, ათონის ლიტერატურული ტრადიციების ბეჭითი გამგრძელებელი.

თეოფილე ცდილობდა არა მარტო ეთარგმნა სრულად სვიმეონის პაგიოგრაფი-  
ული კორპუსი, არამედ ზრუნავდა იმაზეც, თუ როგორ წაეკითხათ და გამოეყენებინათ  
პრაქტიკულად მეტაფრასული საკითხავები ქართულ ეკლესიაში. At. 20 ხელნაწერის  
ანდერძში იგი წერდა:

<sup>72</sup> კ ე კ ე ლ ი ძ კ დას. წიგნი, V, გვ. 156-157.

<sup>73</sup> ი. ლ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ათონურ ქართულ ხელნაწერისა სიახლენი, გვ. 44. შდრ.: 6. გ თ გ უ ა ძ კ. მეტაფრასული წერტილების ურთიერთმშემართვებასთვის, მსაგალთარა, XI, გვ. 3-5.

კ ე კ ე ლ ი ძ კ დელი ქართულ ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980 წ., გვ. 226.



“ესრეთვე კუალად ვევედრები წინამძღვანობა და დეკანოზთა, რამთა უფრო ტფცხეს გადასახლება, არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განპყოფენ საეკლესიად ჰქონიან, არამედ – მეცნიერთა ზედა და ღმრთისმოშიშთა. და ესე წესი იპყარნ მანცა, რომელი უპყრიეს ეკლესიათა საბერძნებისათა, რამთა პირველსა დღესა მიეცემოდის წიგნი და დღე ყოველ დაიწუროთოს მკითხველმნ ცისკრად წარსაკითხავი ივი საკითხავი.

რამეთუ თუთლა თქუენ განბჭეთ და განიკითხეთ, თუ არა სირცეელ არსა ესე ჩუენდა, უკუეთუ ბერძნენი ესოდებისა მას სიბრძნესა ზედა და წურთილებასა და წერილთა მათთა სიკეთესა და აღნიშვნასა კუალად დაიწურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა თუთ ენად მას ზედა ამოუღგამს. და ჩუენ ჩუენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდით ამას”.<sup>75</sup>

როგორც ვედავთ, თეოფილე მიმართავს ეკლესიის წინამძღვრებსა და დეკანოზებს, რათა “ტანსა”, “წუერთა” და “ყბათა ზედა” ნუ გაპყოფენ ეკლესიაში წასაკითხავ გასალას, არამედ გაანაწილონ ის მცოდნე და ღვთისმოსავ აღმიანებზე (აშკარაა, რომ აქ ჩამოთვლილი სპეციალური ტერმინები ან ხელნაწერი თხზულების სპეციფიკურ რაღაც ნაწილებს აღნიშვნავენ, ან პაგიოგრაფიული საკითხავების ლიტურგიკულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ რაიმე ცნებებს გამოხატავენ). შემდეგ ის იუწყება საბერძნების ეკლესიებში დანერგილ ერთ ფრიად გავრცელებულ წესზე: მკითხველს წინამწარ აძლევდნენ წიგნს, რათა მას ყოველდღიურად დაესწავლა ცისკრისათვის წასაკითხავი შესაფერისი ტექსტი. თქვენ თვითონ გამსაჯოთ, — ამბობს მწერალი, — ბერძნები, მიუხედავად ამდენი სიბრძნისა და განსწავლულობისა, მიუხედავად თავიანთი საუკეთესო ნაწერებისა, მათ შესწავლას და დამასოვრებასაც კეტევიან, ჩვენ კი, ჩვენი უსწავლელობისდა მიუხედავალ, განა სირცევილი არ არის, რომ ამასაც არ ვაკეთებთო?!

თეოფილე ხუცესმონაზენის სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის ბერძნებთან შექმნარის, მათთან თავის გატოლებისა თუ მეტოქეობის შეგრძნება, ამ კულტურულად დაწინაურებული ერისაგან ყოველივე საუკეთესოს ჩვენში გაღმოლებისა და დანერგვის სურვილი, რასაც შექმნის დღიდანვე, მოყოლებული იოანესა და ეფთვიმეს მოღვაწეო-

<sup>75</sup> ქრისტულ ხელნაწერთა ღრმულობა, ათონური კალვეტია, I, გვ. 78.

ბიღან, თავდაუზოგავად ახორციელებდა ათონის ლიტერატურული სკოლა: თემა-ფილეც, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ამ სკოლის მიზანი არმლად ზრუნავდა მშობლიური მწერლობის წინსვლისა და სრულყოფისათვის.





## თ ა ვ ი III

თეოფილე ხუცესმონაზვნის ჰომილეტიკური  
და ეგზეტიკური ხასიათის თარგმანები

თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ თარგმნილი ჰომილიები შეტაფრასულ კრებულებშია დაცული, ე.ი. შეტაფრასული რედაქციისაა: სექტემბრის თვის საკითხავებში წარმოდგენილია იოანე ღამასკელის ორი ქადაგება ღვთისმშობლის შობისათვის და ასტერიოს ამასიელის შესხმა ფოკასი; სული წმინდის მოსვლის წინა კვირადღეს იყითხება კირილე ალექსანდრიელის ჰომილია ღვთისმშობლისა და ეფესის კრების შესახებ; დიდმარხევის საკითხავებშია შეტანილი ანასტასი სინელის ქადაგება მარხვის შემოსვლისა და მეექვეს ფსალმუნისათვის და იოანე ოქროპირის ოთხი სიტყვა – ერთი ბზობაზე და სამიც მაცხოვრის ვნების შესახებ. გარდა ამისა, არსებითად ჰომილიებს წარმოადგენს იოანე ოქროპირის “დაბადების” კომენტარები და ამ ძეგლის თარგმნისას თეოფილემ, ბუნებრივია, ეს ეგზეგეტიკური ქადაგებებიც გადმოიღო ქართულად.

სანამ უშუალოდ ჰომილეტიკური და ეგზეტიკური თხზულებების თეოფილესულ თარგმნებს განვიხილავთ, მანამდე უნდა გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს შეტაფრასული ჰომილეტიკა? ჩვენი ამოცანებიდან გამომდინარე, გზადაგზა იმის ჩვენებაც მოგვიწვევს, თუ რა კავშირია ჰომილეტიკასა და ეგზეგეტიკას, შეტაფრასტიკასა და ეგზეგეტიკას შორის? ამ საკითხების გაანალიზება, უპირვეველეს ყოვლისა, მათ თეორიულ გააზრებას მოითხოვს. ჩვენც აქედან დავიწყოთ.

შეტაფრასული ჰომილეტიკის გაგებისათვის

ჩვენს მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებით, შეტაფრასტიკა შექმნა ძველი ქართული საექლესიო ლიტერატურის ორ უანრს: ჰაგიოგრაფიას და ჰომილეტიკას. შეტაფრასულ კრებულებში ერთადაა წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური საკითხავები. “შეტაფრასული ჰომილეტიკა უფრო განვითარდა შეტაფრასულ



აგიოგრაფიასთან ერთად,” – წერდა პ. კმავლიძე. იქვე მიუთითებდა, უკუმა ფუტაშვილი ტურის ახალ მიმართულებას მიზნად ჰქონდა დასახული ნაწარმოებთა გალარეზებიც და გამშვენება ენის მხრივ. ასეთ ქადაგებათა სტილი ხელოვნური იყო, ისე აღვილად აღარ იკითხებოდა, როგორც ძველად თარგმნილი პომილიებისა.<sup>1</sup>

თუ მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიაზე ბევრი რამ გარკვეულია, ამას ვერ ვიტყვით მეტაფრასულ პომილეტიკასთან დაკავშირებით. ჩნდება რიგი კითხვებისა, რომელიც უთუოდ მოითხოვს პასუხის გაცემას; კერძოდ: თავსდება თუ არა პომილეტიკა მეტაფრასტიკის ჩარჩოებში? უარის სპეციფიკად გამომზინარე, რა თავისებურებებით გამოიჩინა ის იმავე მეტაფრასული ჰაგიოგრაფიისაგან? რა ურთიერთმიმართება არსებობს მეტაფრასული და კიმენური რედაქციის ქადაგებებს შორის, გარდა ენობრივ-სტილისტური ნიშნებისა? ანდა, კონკრეტულად რა ახალი ენობრივ-სტილისტური ნიშნებია ეს და ახსიათებს კი ისინი მეტაფრასულ კრებულებში შესულ ყველა ქადაგებას? და, საერთოდ, შედიოდა კი სვიმეონ ლოლოთეტისა და მისი გამგრძელებლების მიზნებში პომილეტიკური ლიტერატურის გადამუშავება?

სსენებულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს მოქლედ მაინც შევეხოთ პომილეტიკის, როგორც საკლესიო ლიტერატურის დარგის, რაობასა და ხასიათს.

ჰ ე რ ი ლ ე ტ ი კ ა სასულიერო მწერლობის უძველესი უანრია. ტერმინი ნაწარმოებია ორი სიტყვისაგან: “პომილისაგან”, ე.ი. ქადაგებისაგან (ზმნიდან ბმალენ – შინაური საუბრის წარმართვა) და არსებითი სახელისაგან “ეტიკა” (უფრო ზუსტად, ჩრდილი – ზნეობრივი ფილოსოფია). ასე რომ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით პომილეტიკა ნიშნავს ქადაგების ეთიკას.

პომილიის ცნების ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ყველანაირი სიტყვა, ქადაგება, რომელიც წარმოითქმება კელების მრევლის წინაშე. ქადაგება – მოძღვრება სწორედ იმით გამოიჩინა ქრისტიანული სწავლების სხვა სახელმწიფოსაგან, რომ ის წარმოითქმება მსმენელთა კრებულის წინაშე ღვთისმსახურების (ან არა ღვთისმსახურების) დროს და, რაც მთავარია, წარმოითქმება ზეპირად ამიტომ განმარტავს ეფრემ მცირე პომილის, როგორც “ზეპირად პირის პირი”

<sup>1</sup> ჰ ე რ ი ლ ე ტ ი კ ა ქედი ქართული ლიტერატურის სტორია, I, თბ., 1980 წ., გვ. 555.



თ ქ უ მ ა ს” (A 292, ფ.319).

ამ თავისებურებების გამო ქადაგებაში ორ მხარეს გამოყოფები: როგორც ლეცხალი რ უ ლ ს დ ა ს ა ე კ ლ ე ს ი ო - რ ე ლ ი გ ი უ რ ს. როგორც ლეცხალი ზეპირი სიტყვა, რომელიც მიმართულია ხალხისადმი, ქადაგება არის ორატორული ნაწარმოების სახე, ხოლო, როგორც სახარების, ღვთაებრივი სიტყვის ერთგვარი გაგრძელება და ასწავა, ის ითვლება რელიგიური მსახურების აქტად.

რაკიდა ქრისტიანული ქადაგება ორატორული ნაწარმოების სახეა, უფრო ზუსტად, ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ ჭ ე გ რ მ ე ტ ჲ კ ე ლ ე ბ ა ს წარმოადგენს, მას აქვს ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ამ უძველეს ხელოვნებას. ეს ნიშნებია: საჯაროობა, ზეპირობა, ცხოვრებისეულობა, მიზანმიმართული ქმედება მსმენელზე და განსაკუთრებული მგზნებარება.

ქველი ორატორები თავიანთი ხელოვნებისათვის სავალდებულოდ თვლილნენ სამი მოთხოვნილების შესრულებას – docere, delectare, movere (სწავლება, მოწონება, გულისშეძვრა). ამის მიხედვით ქადაგებაში სამ ელემენტს გამოყოფდნენ: დიდაქტიკურს, მხატვრულს და ზნეობრივს. ეს სამი ელემენტი ჰარმონიულ ერთიანობაში უნდა ყოფილიყო სრულყოფილ ორატორულ ქმნილებაში.

ნეტარი ავგუსტინე ”ქრისტიანულ მეცნიერებაში” გამოთქვამდა სურვილს, რომ მოქადაგეს ესაუბრა არა მარტო ჰეკვიანურად, არამედ მჟევრმეტყველურად.

მაშასადამე, შეადაგებლისათვის აუცილებელია არა მარტო დამოძლვრა ბრძნულად (“ბრძნადმეტყველება”), არამედ ამ მოძლვრებისათვის მაღალმხატვრული ფორმის მიცემა, ე.ი. შესაბამისი გამომსახულობითი საშუალებების შერჩევა; თუ ამას დავუმატებთ პათოსს, იგივე აღფრთვოვანება – მგზნებარებას, როგორც წარმატებული ორატორული ქმედების ერთ-ერთ მთავარ პირობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქადაგებამ თავისი დანიშნულება შეასრულა – მსმენელი დაარწმუნა წარმოთქმული სიტყვის სინამდვილესა და სისწორეში.

ცნობილია ქადაგების შედეგების 4 მეთოდი თემატიკური საკითხების შერჩევისა და წყაროებზე დამოკიდებულების მიხედვით: ეგზეგტიკური, ლიტურგიკული, კიტენიზტური და პუბლიცისტური. შესაბამისად გამოიყოფა მისი 4 ძირითადი სახე:

1. ს ა კ უ თ რ ი ვ ჰ თ მ ი ლ ი ა ანდა ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ჭ ბ ჩ ტ ე ჟ ე ბ ი გ ა მ ა რ ი ს ა უ ბ ა რ ი, რომლის უშუალო ჭ ტ ე ჭ ბ ი გ ა მ ა დ გ მ ა რ ი ს ა უ ბ ა რ ი, რომელიც შინაარსს იღებს საეკლესიო წლის იდეიდან და იგება ლიტურგიული კალენდრის თითოეული დღის შესაბამისად; 2. ს ი ტ ყ ვ ა, რომელიც შინაარსს იღებს საეკლესიო წლის იდეიდან და იგება ლიტურგიული კალენდრის თითოეული დღის შესაბამისად; 3. კ ა ტ ე ხ ი ზ ტ უ რ ი ჭ ა დ ა გ ე ბ ა (დ ა რ ი გ ე ბ ა), რომელიც გადმოგვცემს ელემენტარულ გაკვეთილებს ქრისტიანული რწმენის, ზნეთსწავლულებისა და ღვთისმსახურების შესახებ; 4. პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ უ რ ი ჭ ა დ ა გ ე ბ ა, რომლის ამოსავალი წერტილი, წინა სამი სახეობისაგან გნიხვევებით, არის არა ბიბლია და ეკლესის რწმენა, არამედ თანამე-ლროვე ცხოვრების ნაკლოვანებები, საზოგადოების მანკიური მხარეები და ზნეობრივი გადაცდომები. დანიშნულების მიხედვით ქადაგება შეიძლება იყოს აგრეთვე: 1. დ თ გ მ ა ტ ი კ უ რ ი ზ ნ ე თ ს წ ა ვ ლ უ ლ ე ბ ი თ ი, 2. ზ ნ ე თ მ ხ ი ლ ე ბ ი თ ი და 3. ა პ ო ლ ი გ ი ტ უ რ ი მ ი ს ი ო ნ ე რ უ ლ ი.

მართალია, ქადაგება ძირითადად ზეპირად წარმოითქმებოდა, მაგრამ ზოგჯერ მას კითხულობდნენ კიდევ. ცნობილია, რომ იოანე ოქროპირი ზეპირად ქადაგებდა, რა-საც იწერდნენ მაშინდელი სტენოგრაფები. ბუნებრივია, ჩაწერილ პომილებში უკვე აღარ ჩანდა ორატორის ქმედება, მაგრამ რჩებოდა ქადაგების ენა, სტილი და მხატ-ვრული ფორმა, როგორც ლიტერატურული ფაქტი. პომილეტიკური თხზულებების სტილი გამოიჩინება თხრობის ბუნებრიობითა და უზრალოებით, გადმოცემის გულწრფელობითა და მერქობიარობით, გამოსახვის მხატვრულ საშუალებათა მრა-ბლფეროვნებით — ეპითეტებით, შედარებებით, შეპირისპირებებით, მეტაფორებით, პოეტური ფიგურებით, აფორისტული გამოთქმებით, კითხვებით, გამეორებებით, შე-ძახილებით და ა. ვ.<sup>2</sup>

პომილეტიკის ამ მოკლე დახსინათებიდან უკვე ჩანს, რომ ის “გარდაკაზმვას” არ საჭიროებდა. მეტაფრასტიკის უპირველესი ამოცანა ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური დახვეწია და გამშვენიერება იყო. ხოლო ჭეშმარიტი ქადაგება, ვითარცა

<sup>2</sup> В. О. П е в н и ц к и й, Церковное красноречие и его основные законы, С.-Пб., 1908 г.; Г. Б у л გ а к о в, Теория православно-христианской пастырской проповеди (этика гомилии), Курск, 1916 г.; И. Т р и о д и н, Принципы красноречия и проповедничества, Екатеринослав, 1915 г.

ორატორული პროზის ნიმუში, ვითარცა საეკლესიო მჭევრმეტყველება, იმითვითვე  
გულისხმობდა გამართულ სტილს და მაღალმხატვრულ ფორმას. მწარმოებელი  
გამოსახველობითი ხერხებით. მით უმეტეს, “შეძა-ცხოვრებათაგან” განსხვავებით,  
იგი არ მოითხოვდა განსაკუთრებულ შინაარსობრივ ჩარევას – შეუსაბამობათა თუ  
უზუსტობათა გასწორებას თუ ტექსტის ახალი ფაქტობრივი მასალით შევსებას, რად-  
გან მისი ამოსავალი წერტილი, ძირითადი წყარო წმინდა წერილი იყო.

უფრო დასაშვები ჩანს ძველი ჰომილიების, განსაკუთრებით დოგმატიკური ხასიათის ქადაგება-მოძღვრებათა იდეოლოგიური გადამუშავების შესაძლებლობა, ე.ი. მწვალებლურ მიმდინარეობათა ნაკალევის ტექსტიდან აღმოფხვრა, მისი გაცხრილვა პრიმიტიული და არაორთოდოქსალური აზრებისაგან. მაგრამ ამის განხორციელება გარემოში ლიტერატურული მიმართულების ფილივისა და მიმართულების ფარგლებში ნაკლებ სავარაუდო ჩანს. თანაც, პაგიოგრაფიისაგან განსხვავებით, როგორც ეტყობა, ჰომილეტიკა ნაკლებ დაზარალდა.

სხვათა შორის, ეფრემ მცირე “მოსაქენებელში” წერს, რომ მწვალებელთა მიერ ყველაზე მეტად მოციქულთა “მიმოსვლანი” იქნა ხელყოფილიო: “ზოლო წმიდათა მოციქულთა, ვინახოგან ჰეშმარიტებით მომთხრობელი ც ხორება ა სრულიად დაფარულ იყო და მათ წილ იჭუნეულითა და სრულიად განდრეკილითა მიმოსლვისა მათისა მაუწყებელითა საკითხავებითა ეკლესია აღსცებულ იყო, ამისა-თუსცა მწვალებელთა მიერ განდრეკილად აღწერილნი იყო მიმოსლვანი განყარნა და თუთ თავით თუსით “საკლესითა თხრობა თავის და ხრონი და ხრონი თაფთა” მცირედ-მცირედი საკითხავები შექმნა და “შოსაკსენებელ” უწოდა”.<sup>3</sup> მართლაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ მოციქულთა “აქტიბი” უმთავრესად პატრიტული ხსიათისაა.

ანლა საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ.

ქართულ და ბიზანტიურ ნწერლობაში გავრცელებული თეორიული ნაზრევი მეტაფრასტიკის შესახებ შეხება მხოლოდ და მხოლოდ პაგიოგრაფიის და მათში სიტყვაც კი არ არის ნათელობი ჰომილეტიკასთან დაკავშირებით. ამასთან, როდესაც

<sup>3</sup> კ კ კ ე ლ ი ძ პ. ეტიუდები ძეველი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, V, თბ., 1957 წ., გვ. 223-224.

ეფრემი “შოსაქენებელში” ჩამოთვლის თავისი წინამორბედების მიერ თარგმნილ სვიმეონ ლოლოთვეტის მეტაფრასებს, არც ერთ პომილეტიკურ ძეგლს ვა მოვალეობა ნუთუ შემთხვევითია ეს? იქნებ ჰავიოგრაფიაზე თქმული ავტომატურად პომილეტიკაზეც ვრცელდება, რაკილა მეტაფრასულ საკითხავებში ქადაგებებიც არის შეტანილი?

შესაძლებელია, ამ კითხვებზე პასუხის ერთგვარი გასაღები იყოს “გარდამოცემის” წინასიტყველის ის ადგილი, სადაც ეფრემ მცირე გამარტავს, თუ რომელი თხზულებების გადამეტაფრასება არ შეიძლებოდა. იგი წერს: “კუალად ქსეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაათა სხვა ვისგანმე შეკაზმულად ვპერნებდეთ წიგნსა ამას (ე.ი. ”გარდამოცემას” – ს.მ.), ვითარ-იგი გუასმიეს სუმეონ ლოლოთვეტისა და სხუათა მეცნიერთა ბერძნებთაგან კაზმვად წიგნებისა, გარნა უწყიოსტეა, თუ რომელთა წიგნთა ეგების კაზმვად, ანუ რომელთად ულონოდ არს... ვითარ-იგი უმრავლესთა წმიდათა წამებანი თანადანდომილთა მონათა ვიეთგანმე აღწერილ იყვნენ, მას შეკაზმვენ ესევითართა სიტყუთა, რომელი მსვე პირსა იტყოდის და არა შეკმატებდეს, ანცა დააკლებდეს საჭმეთა. ხ ო ლ ო წ მ ო დ ო თ ო თ ქ უ მ უ ლ ს ო და მ ო რ თ ლ მ ო დ ო დ ე ბ ე ლ თ ო მ ო მ ო თ ო ა ღ წ ე რ ი ლ ს ო ვ ე რ ვ ი ნ . ი კ ა დ რ ე ბ ს შ ე ხ ე ბ ა დ, ვითარცა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენცა ლიტონითა სიტყუთა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფრომასდა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესისაგან.”<sup>4</sup>

როგორც ჩანს, ყველა ძელი თხზულების გადამეტაფრასება არ შეიძლებოდა. მეტაფრასტის ხელი არ უნდა შეხებოდა იმ ძელ ტექსტებს, რომელთა ავტორი წმინდანად იყო შერაცხილი კლემისის მიერ ან მართლმადიდებლობის ცნობილი ავტორიტეტი იყო. წმინდა მამათა ლიტერატურული მემკვიდრეობის “გარდაკაზმვა”, რაოდენ დაბალი შატრვრული ლირსებისაც არ უნდა ყოფილიყო ნაწარმოები, ტოლიასი იყო “სახარებისა” და “პავლენის” ხელყოფისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქადაგებათა უმრავლესობა ეკლესის დიდ მამებს ეკუთვნოდა (ან მიეწერებოდა), გამო-

<sup>4</sup> ი თ ა ნ ე დ ო მ ა ს კ ე ლ ო დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამსაცა, გამკვლევა და ლექსიკი დაურთოთ მ. ჩ ა ფ ა ვ ა მ, თბ, 1976 წ, გვ. 68(8-9); კ კ ე კ ე ლ ო ი ძ ე, ეტოლები, V, გვ. 149, ს. 3.

დის, მათი გადამეტაფრასება არ შეიძლებოდა. ამრიგად, მეტაფრასტიკის, მდგრანდასტულობიდან გამომდინარე, არანარი საფუძველი არ აღსებოდა, რომ ასაკი ტურული მიმართულება პომილეტიკასაც შეხებოდა. ამიტომ შუა საუკუნეების მწერლობის თეორიულ აზროვნებას ამის საჭიროება არ დაუყენებია.

მაგრამ ერთია თეორიული მოთხოვნა, სულ სხვაა ლიტერატურულ-შემოქმედებითი პრაქტიკა. ნიკიტა-დავით პაფლალონიელს (IXს.) ეკუთვნის “პარაფრასი” გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებისა – “ეპიტაფიად ბასილისა სტიქოსნი იროკონი”. ეს და მსგავსი ფაქტები, რ. სირაძის აზრით, არის თეორიულ პრინციპთა დარღვევა<sup>5</sup> (რაკი მწერალს, იმ დროისათვის გავრცელებული შეხედულებით, გრიგოლ ნაზიანზელის ნაწარმოების გადამუშავების უფლება არ ჰქონდა). მკვლევარი ნიკიტა ფილოსოფოსს პომილეტიკური მეტაფრასტიკის აღრეულ წარმომადგენლად მიიჩნევს.<sup>6</sup>

ვფიქრობთ, რ. სირაძის მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

ნიკიტა-დავით პაფლალონიელის “პარაფრასი” წარმომადგენს გრიგოლ ნაზიანზელის პოეტური ფრანგული სტიქოსნი იროკონი” გადმოცემის გამო. ეს საზომი კი უკვე არა-ბუნებრივი იყო IX საუკუნის მეოთხეული საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, გრიგოლის თავისთავად მაღალმხატვრული ლექსის შინაარსის პროზად გადმოცემა და მისი ნიკიტასეული კომენტირება თეორიულ პრინციპთა ხელყოფად ვერ ჩაითვლება.

ნიკიტა ფილოსოფოსის სსენტებული თხზულების კონტექსტში საგულისხმოა ტერმინი “პარაფრასის” “მეტაფრასთან” შეპირისპირება. მათ შორის სერთოა ის, რომ ორივე გადაკეთება, პერიფრაზირება, მაგრამ პირველი განმარტების, ხოლო მეორე – “სიტყვა განშუქნების” მიშვნელობით. ამგვარად, ეს ორი ტერმინი, ფუნქციი-

<sup>5</sup> რ. სირაძე გ. ქართული ქართულებური აზრის სტუკიიდან. თბ., 1978 წ., გვ. 152.

<sup>6</sup> რ. სირაძე გ. დას. წიგნი, გვ. 144.

<sup>7</sup> ის: ქ. ბ. ე. ზ. ა. რ. ა. გ. ი. ლ. ი. გ. გორგარი მთამინდელის მიერ ნათარჯიში “ნიკიტას პარაფრაზი” გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეტაპე მცრავისულ კოექტურებში, უკ. კ. ჰელლის დაბავების 120 წლისავავსადმი მიძღვნილი კეტებული, თბ., 1999 წ., გვ. 19-39. მ. ი. ს. ი. ვ. გ. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზის კომენტარების ქართული კრიტიკული კურსის მიერ თარგმნილი “ნიკიტას პარაფრასი”, გულანი, თბ., 1989 წ., გვ. 126-159 (აქვე წარმოდგენილია ტექსტი – გვ. 151-158).

ური დატვირთვის მიხედვით, მანც განსხვავდება ერთმანეთისაგან: “პარატრაპი”<sup>8</sup> გარდათქმა-კომენტირებაა, ხოლო “შეტაფრასი” – გარდათქმა-გამშვენება<sup>9</sup> გარდათქმა-კომენტირებაა.

ჰომილეტიკური ძეგლების “გარდაკაზმვა” მეტაფრასტიკას არც თეორიულ და არც პრატიკულ მიზნად არ დაუსახავს ისევე, როგორც ეს მოხდა ჰაგიოგრაფიასთან დაკავშირებით. ამიტომ აღრეულ მეტაფრასულ დაუკავშირებით მოქმედების მიხედვით, მთლად მართებული არ გვეჩვენება.

რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული თითო-ოროლა ჰომილის გადამეტაფრასების შესაძლებლობა. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ქადაგებებს, რომელთაც ჰაგიოგრაფიული საფუძველი აქვთ (“ენკომიები”, “ეპიტაფიები”). სვიმეონ ლოლო-თეტის შეტაფრასულ კორპუში, ი. დელეპეს მიხედვით, სამიღლე ენკომია დასტურდება: ასტერიოს ამასიელის “ფოკას შესხმა” (22 სექტემბერი), გრიგოლ ნოსელის “სტეფანე პირველმოწამის შესხმა” (27 დეკემბერი), “ვასილი ამასიელის შესხმა” (26 აპრილი).<sup>8</sup> ცნობილია, რომ თხზულებები, რომელთაც ავტორები ჰყავთ (მაგალითად, “ფოკას შესხმა”), ძირითადად უცვლელად არის ჩართული სვიმეონის ჰაგიოგრაფიულ კრებულში.<sup>9</sup> დადგენილია ისიც, რომ მეტაფრასტის სინოდულურ ნუსხაში შესული 12 საკითხავიდან ორი – ისება ფლავიოსის მაკაბელთა მეოთხე წიგნი და კონსტანტინე ძოწითმოსილის ხელთუქმნელი ხატისათვის – საერთოდ არ არის გადამუშავებული.<sup>10</sup> ასე რომ, დასხელებულ ძეგლებს შესაძლებელია სარედაქციო სამუშაოები არც ჩატარებით (ყოველ შემთხვევაში, ამის დასადგენად კონკრეტული კვლევა-ძიებაა საჭირო).

რაც შეეხება საღლესასწაულო ჰომილიებს, ისინი მეტაფრასტის თავდაპირველ კრებულში ნამდვილად არ იყო და აქ მოგვიანებით, მისი გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა, რაც კლესის პრატიკული საჭიროებით იყო განპირობებული. საუფლო-საღვთისმობლო ღლესასწაულებზე მატაფრასულ საკითხავებში შეპქონდათ ცნო-

<sup>8</sup> H. De lech a y e, De Symeonis Logothetac Menologio, Bib. Hag. Graeca, Bruxellis, 1909, p. 275-292.

<sup>9</sup> ი. დ ე ლ ე პ ე კ ე დ ს ნ ნ შ რ ი მ ბ გ 272. შრტ.: В. В. А т ы ш е в, Византийская “Царская” Минея (Зап. Акад. Наук, VIII серия, т. XII, №7), Петроград, 1915 г., стр. 87.

<sup>10</sup> В. Г. В а с и л е в с к и й, Синодальный кодекс Метафраста, Ж.М.Н.П., СССХI, С.-Пб., 1897 г., Июнь, стр. 395-396; 399-401.



ბილ ავტორთა სხვადასხვა ქადაგება-მოძღვრებანი, რაც ხშირად გადამზრდებული გვიშაფა ნებისა და პირადი შეხედულების მიხედვით ხდებოდა. ამგვარად, პომილეტიკური მასალის ჩართვა მეტაფრასულ კრებულებში ნაკარნახევი იყო არა ახალი ლიტერატურული მიმართულების მიზანდასახულობით, არამედ – ლიტერატურული აუცილებლობით.

ამ მხრივ საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა თეოფილე ხუცეს მონაზენის მიერ თარგმნილი სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული კრებულები (At. 20, At. 36-37).

დღეს გარკვეულია, რომ სექტემბრის თვის მეტაფრასების თარგმნისას თეოფილე სარგებლობდა ბერძნული კრებულის ორგვარი მოდელით: პირველი არ შეიცავდა 8 და 14 სექტემბრის სადღესასწაულო პომილების, ხოლო მეორე პირიქით – 8 სექტემბერზე აქ მოდიოდა იოანე დამასკელის ორი ქადაგება ღვთისშობლის შობის შესახებ, ხოლო 14 სექტემბერზე – ანდრია კრიტელის ქადაგება ჯვრის ამაღლების შესახებ. მას პირველი მოდელის მიხედვით შეუსრულებია სექტემბრის თვის საკითხავების ქართული თარგმანი, რომლისთვისაც ბოლოში დაურთავს უკვე მეორე მოდელიდან თარგმნილი სადღესასწაულო პომილიები, “ზანდუქა” და “ანდერძში” კი გაუკეთებია საგანგებო მითოება, რომ კრებულში შეტანილი პომილეტიკური მასალა თავის აღვილას გამოიყენეთო”.<sup>11</sup> თუ გავითვალისწინებთ, რა დიდი სიფრთხილითა და მონღომებით არჩევდა თეოფილე სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების ბერძნულ დედნებს, რაზედაც გარკვევით წერს At.20-ის ანდერძში, მაშინ აშკარაა, რომ მას უპირატესობა მიუნიჭებია სვიმეონ ლოლოთეტის ისეთი კრებულისათვის, რომელშიც სადღესასწაულო პომილიები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ სათანადო დასკვნა: თეოფილეს აზრით, სვიმეონის სექტემბრის თვის მეტაფრასების თავდაპირველ კრებულში არ უნდა ყოფილიყო შესული სადღესასწაულო პომილები, ე.ი. მეტაფრასტის ისნი არც გადაუმუშავებია. თუმცა ქართველ მთარგმნელს ანგარიში გაუწევია ბერძნული ტრადიცი-

<sup>11</sup> ნ. გ თ გ უ ა ძ ე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური წესსა, კ ყველითის სახ. სერაწერთა ინსტიტუტის მრავალთანა, XII, თბ., 1986 წ., გვ. 101-105. ზღვრ.: ძველი მეტაფრასული კრებულები (სულტენის საკითხავები) – ტექსტები გმოსაცემად მოაზიარდა, კომეტარები და საძებლები დაურთონ ნ. გ თ გ უ ა ძ ე შ. თბ., 1986 წ., გვ. 17.



ისათვის და სადღესასწაულო ქადაგებანი ბოლოში მაინც დაურთავს მის მიერა თარგმნილი სვიმეონ ლოლოთეტის შეტაფრასული კრებულისათვის, რითაც უცუკნოდ უჩვენებია განსხვავება შეტაფრასტის შემოქმედებასა და შემდგომდროინდელი რედაქტორ-გადამწერების ნახელავს შორის.

საგულისხმოა, რომ ქადაგება-მოძღვრებანი საერთოდ არ არის წარმოდგენილი თეოფილეს მიერ თარგმნილ ნოებზრის თვის შეტაფრასულ საკითხავებში. ერთი სიტყვით, თეოფილე ხუცესმონაზენის შემოქმედება უთუოდ ანგარიშგასაწევია სვიმეონ ლოლოთეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

ჰომილეტიკაშ პაგიოგრაფიისაგან განსხვავებული ვზა განვლო. მოყოლებული IV საუკუნიდან, როცა შეიქმნა დიდი საეკლესიო მამების (ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ომანე ოქროპირის და სხვ.) ლიტერატურული მემკვიდრეობა, ის მუდმივ განახლებას განიცდიდა. დროის შესაბამისად იცვლებოდა ჰომილიათა ენა და სტილი. ანონიმი ავტორების მიერ იწერებოდა ახალი ქადაგებანი, რომლებიც წმინდა მამებს მიეწერებოდა. ამასთან, რედაქტორებს ექლესიის ცნობილ ავტორიტეტთა სიტყვა-მოძღვრებებში შექმნდათ ტექსტობრივი ცვლილებები. ამის გამო არის, რომ ჰომილეტიკას ადრინდელი ნიმუშები ხშირად რამდენიმე რედაქციით იყო წარმოდგენილი “მრავალთავებში”. ასე რომ, სასულიერო ლიტერატურის ეს უანრი მუდმივ გადამუშავებას განიცდიდა. და თუ ტერმინ “შეტაფრასში” მის პირდაპირ მნიშვნელობას – “გარდათქმას” ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ჰომილეტიკა საუკუნეთა მანძილზე უწყვეტად განიცდიდა გადამეტაფრასებას.

შეტაც შეიძლება ითქვას: ჰ მ ი ლ ე ტ ი კ უ რ მ ა ს ა კ ი თ ხ ა ვ ე ბ მ ა, მ ა ლ ა ლ ი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი რ ს ე ბ ე ბ ი ს გ ა მ ა, გ ა რ კ ვ ე უ ლ წ ი ლ ა დ მ ო ა მ ზ ა დ ა ნ ი ა დ ა გ ი ხ ს ა ჭ კ უ ნ ე შ ი მ ე ტ ა ფ რ ა ს უ ლ ი ჰ ი გ ი თ გ რ ა ფ ი ი ს ა ლ მ ა ს ა ვ ე ნ ე ბ ლ ა დ.

ვფიქრობთ, სადღესასწაულო ჰომილეტიკურმა საკითხავებმა სახელწოდება “შეტაფრასი” მიღეს გარკვეულ თვეთა შეტაფრასული რედაქციის “წამება-ცხოვრებათა” შემცველი კრებულების ანალოგით. როგორც აღვნიშვნეთ, ასეთი კრე-



ბულები უმთავრესად შერეული ხასიათისა იყო და ძირითად ჰაგიოგრაფულ მატერიალითან ერთად ცალკეულ ქადაგება-მოძღვრებებსაც შეიცავდა. ეს პომილეტიკური საკითხები სულაც არ იყო სავალდებულო მაინცდამანც ახალი რედაქციის ყოფილიყო (მით უმეტეს, მეტაფრასტიკის, ოფორც ლიტერატურული მიმართულებისა თუ მიმდინარეობის ტრადიციული გაგებით). ამიტომ უნდა დაზუსტდეს ტერმინები – “შეტაფრასული” და “შეტაფრასი” პომილეტიკასთან მიმართებაში. ეს ცნებები აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა ოფორც ლიტერატურულ-თეორიული, არამედ – წმინდა ტექნიკური ტერმინები (კ. კეკლიძე) – მეტაფრასული პერიოდის პომილეტიკის, მეტაფრასულ საკითხავთა კრებულებში შესული პომილიების აღსანიშნავად.

აქ წარმოდგენილი თეორიული დებულებები მეტაფრასული პომილეტიკის შესახებ ფაქტობრივი მასალის კონკრეტულ ანალიზს მოითხოვს. ამგვარი სამუშაო ჩვენს მიერ ჩატარებულია ითანა იქნიობირის “ჭურათა აღმრობის” საკითხავის მაგალითზე.<sup>12</sup> მისი ორი თარგმანია შემონახული ქართულ მწერლობაში. პირველი, ძველი რედაქციის, დაცულია “სინურ მრავალთავში” და მეორე, მეტაფრასული რედაქციის, წარმოდგენილია სექტემბრის თვის საკითხავებში.<sup>13</sup> სინური თარგმანის ავტორი უცნობია, ხოლო ე.წ. მეტაფრასული რედაქციის ტექსტის მთარგმნელად ეფრემ მცირეა მიჩნეული. ამ ფსევდოოქროპირისეული თხზულების ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია მინის “პატროლოგია გრეკაში”.<sup>14</sup>

პომილის ქართული თარგმანების შედარებაშ და მათგა შეპირისპირებაშ ბერძნულ ტექსტთან გამოავლინა შემდეგი:

მასალის დაშუშვების თვალსაზრისით, წმინდა წერილიდან დამოწმებული ციტატების მიხედვით, სამივე ტექსტი ერთნაირია. ასევე ემთხვევა ერთმანეთს თხრობის ძირითადი ძარღვი და თანმიმდევრობა. მოცულობით “შეტაფრასი” თარგმანი შედარებით ვრცელია სინურზე. პომილის შუა ნაწილიდან მოყოლებული “შეტაფრასული”

<sup>12</sup> ს. მ. ა. ხ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ითანა იქნიობირის “ჭურათა აღმრობის” საკითხავის ქველ და მეტაფრასულ რედაქციათა ურთიერთმიმართებასთავის, თუ სილნილის (ქაფის შემახის) ფრილასის პრივეტურა-შესწავლებლთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომებში, III, თბ., 2001 წ., გვ. 95-98.

<sup>13</sup> სინური მავალთავი 864 წლისა, სატბოლო მოაზრალის კონკრეტულ წევრებში, ა. შ. ა. ნ. ი. ი. ს. რედაქციით, წინასიტყვამით და გამოყვალებით, თბ., 1959 წ., გვ. 232-236; ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), გვ. 322-327.

<sup>14</sup> J. P. Migne, Patrologia Graeca, t. 59., col. 679-682.



ალაგალაგ ავრცობს მსჯელობებით ტექსტს, რაც ბოლოში მნიშვნელოვნებულ ტექსტები არის. სამაგიეროდ, ე.წ. მეტაფრასულ რედაქციას აკლია “სინურ მრავალთაგებრი წარმოდგნილი ერთი მოზრდილი პასაუი, რომელიც ასევე დასტურდება ბერძნულ ტექსტში. საზოგადოდ კი, ეს რედაქცია მეტ სიახლოვეს ამღავნებს მინის მიერ გამოცემულ ფსევდოოქროპირის ქადაგებასთან, თუმცა დასაწყისში თუ აკლებს ტექსტს, ბოლო ნაწილში მნიშვნელოვნად ამატებს.

ამრიგად, “ჭუართა აღპყრობის” საკითხავის სინური თარგმანის დედნის რედაქციულ გადამუშავებას წარმოადგენს “პატროლოგია გრეკაში” დაბეჭდილი ბერძნული ტექსტი, ხოლო მის შემდგომ სახეცვლილებას – პომილის ე.წ. მეტაფრასული რედაქცია. ფსევდოოქროპირის თხზულების სამივე ტექსტი დაახლოებით თანაბარი მხატვრული ძალისა. სინური თარგმანის ფრაზეოლოგია უფრო ლაკონიური და გამჭვირვალეა, მინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტში და “შეტაფრასულში” აშკარად შეინიშნება მეტი გატაცება მჭვევრმეტყველებით. მიუხედავად ამისა, ამ პომილის რამე გადამეტაფრასებაზე ლაპარაკი ისევე, როგორც ეს ჰავიოგრაფიაშია მიღებული, არ შეიძლება.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ პომილეტიკის რედაქციების შესწავლა პრაქტიკული კლევა-ძიების თვალსაზრისით, სასურველია, კვლავაც გაფრძელდეს.

### სადღესასწაულო პომილიათა თეოფილესეული თარგმანები

თეოფილე ხუცესმონაზენის მიერ გადმოღებულია ქართულად ცნობილ საეკლესიო მწერალთა სიტყვები, რომლებიც წარმოთქმულია რომელიმე ქრისტიანულ დღესწაულთან დაკავშირებით. განვიხილოთ თითოეული პომილია ცალ-ცალკე.

“თ ქ უ მ უ ლ ი წ მ ი დ ი ს ა დ ა ნ ე ტ ა რ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ღ ი ს ა მ ა შ ა მ ა ს ა თ კ ს ყ მ ვ ლ ა დ წ მ ი დ ი ს ა უ ს რ წ ნ ე ლ ი ს ა, უ ფ რ თ ხ ს ა დ კ უ რ თ ხ ე უ ლ ი ს ა დ ე დ ღ ფ ლ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ღ მ რ თ ი ს მ შ ა მ ბ ე ლ ი ს ა დ ა მ ა რ ა დ ი ს ა



ქალწულისა მარიამისა". ჰომილია იწყება ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის მნიშვნელობის გაცხადებით. შემდეგ ავტორი წმინდა ქალწულის შესხმათან ერთად გზადაგზა აშუქებს მისი დაბადების უდიდეს მისტერიასთან დაკავშირებულ ქრისტოლოგიურ საკითხებს.

ღვთისმშობელი გაჩნდა ბერწი შშობლებისაგან, იოვაკიმისა და ანასაგან, რაშიც ღვთაებრივი აზრი იყო ჩადებული: პირმშოდ უნდა შობილიყო შშობელი, რომლისგანაც აღმოცენდებოდა "პირმშო" ყოველი დაბადებულისა. ქალწული მარიისაგან უნდა ამობრწყინებულიყო "შე სიმართლისად", ორბუნებოვანი – ღვთაებრივი, როგორც უნივერსა და უხორცო და კაცობრივი, როგორც ღვთისმშობლისაგან განხორციელებული. შემდეგ მას, ვითარცა გმირს "სრბად გზას მას ბუნებისა ჩუქნისასა და ვნებათა მიერ თვისთა მიმავალად სიკუდილისა მიმართ", "შეცოომილი იგი ცხოვარი" კვლავ ზეცისაკენ უნდა მიემართა. და ქრისტეც მოევლინა ქვეყანას, როგორც "კარი დიდი", "აღმოსავალ სახელი მისი", "მარგალიტი", "ტარიგი" და "ემმანუელ" – შემოქმედის პირველნათლისაკენ ადამიანთა მიახლებისა და დაბრუნების გზა.

თხზულებაში მრავლად გვხვდება ციტატები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. ნეტორიანთა საპირისპიროდ, ავტორი ვრცლად წარმოაჩენს ერთ-ერთ მთავარ ქრისტიანულ ღოგმას – ყოვლად წმინდა მარიამის ქალწულების შესახებ, სადაც ის, როგორც ერთყობა, ძირითადად გრიგოლ ღვთისმეტყველის ნაშრომებს ეყრდნობა. იმანე დამასკელი გარკვეულ ადგილს უთმობს აგრეთვე ღვთისმშობლის სიმბოლური სახეების ჩვენებას: ის არის: "კიბე იაკობისა" – სულიერი კიბე, შემაერთებელი ცისა და ქვეყნისა, "მთად ღმრთისად", იგივე "მთად სინაა" – სულიერი მთა, რომლისგანაც ღვთის "სიტყვის" განკაცება მოხდა; მისით იჩრდილება "კარავი მოსესი" და "კარავი აბრაჟამისა" – სულიერი და სიტყვიერი კარავი უფლისა, რაღაც იგი იქმნა სამკვიდრებელი "ბუნებითი გუამოვნებისა ძისა" და სხვ.

ნაწარმოები შექულია ქალაგებისათვის დამახასიათებელი შხატვრული სახეებით, უხვი პოეტური ფიგურებით, შედარებებით, განმეორებებითა თუ მიმართვებით. ავტორი იყენებს ღვთისმშობლის სახის ტრადიციულ ეპითეტებსა და მეტაფორებს. იგი არის: "ასული შუენიერებისა და სიტყბოებისად", "შროშანი სულნელებისად", "ასული

სწორიღისამ", "ვარდი საწადელი", "ასული ადამისი", "დედა ლმრთისამ", "კურთხული ლმრთივ-სასურველი", "ასული კურთხეული", "ეგან აღმართებაშ", "ცეკვა აქტუალური", "ასული მეფისამ და დედამ", "ძეგლი სალმრთო სულიერი", "ტაძრი ლმრთისამ", "ცათა მიმსგავსებული ეკლესიამ", "სიქადული მღლელთამ", "სიმტკიცე მეფეთამ", "სალმრთო ნერგი იოაკიმისა და ანადესი" და ა. შ.

"ღვთისმშობლის შობის" თეოფილესული თარგმანი დაცულია At.20-სა (171r-177v) და H1760 (XV ს.) ხელნაწერებში. გარდა ამისა, არსებობს მისი ეფოვიმე ათონელისეული თარგმანი, რომელიც შემონახულია S3648 გვიანდელ ნუსხაში და ეფრემ მცირისეული, რომელიც შემორჩენილია K4, H1347, A182, Jer.23 და სხვა ხელნაწერებში.<sup>15</sup> პომილის ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია მინის "პატროლოგია გრეკაში".<sup>16</sup> მასთან შედარებით თეოფილეს თარგმანი გარკვეულ სხვაობებს ამჟღავნებს, განსაკუთრებით შემატების თვალსაზრისით. ეს შემატებანი უფრო თვალშისაცემია IV, V თავების ბოლოს და ქადაგების დასასრულს. მეოთხე თავის ერთი ასეთი შემატებული ადგილი ქ. სალალაის მთარგმნელის ჩანართი ჰერნია.<sup>17</sup> ეს მოსაზრება დამაჭერებელი არ ჩანს: ჯერ ერთი, ამგვარი სხვაობები ქართულ თარგმანში სხვაგანაცვესდება, მეორეც, თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდი საქმაო სიზუსტით გამოირჩევა. ამიტომ აშკარაა, რომ მას ხელთა აქვს განსხვავებული დედანი, ვიდრე ეს მინის მიერ გამოცემული ტექსტია. ამ მხრივ, ეფრემ მცირის თარგმანი გაცილებით ახლოს დგას ბერძნულ ორიგინალთან.

თეოფილეს თარგმანში გვხვდება ზოგიერთი ლექსიკური ბერძნიზმი:

"კოხლომ" – ო კόχλος (ეფრემის თარგმანით – "ბაზმაკ").

"პროვატიკე" – ო προβατική.

კომპოზიტები ძირითადად წარმოებულია ბერძნულის კვალობაზე:

<sup>15</sup> ძვლი მეტაფრასული კურთხულები (სეკტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომერციაზები და სამიერებელი დაურთოთ ნ. გ. თ. გ. უ. ა. ე. მ., გვ. 115-125; 505. ქ. ს. ა. ლ. ა. ი. ა., იმანე დამსკულის "ლმრთის-შემოწყვლის შობის" პომილის ძვლი ქართული თარგმნები, იფ. ჩავაზაშვილის სახ. თუ ამაღლების ფოლიალის შრომების კურთხული, 1, თბილის – ათენის 1998 წ. გვ. 21-25.

<sup>16</sup> J. P. Migne, P. G., t. 96, col. 661-680.

<sup>17</sup> ქ. ს. ა. ლ. ა. ი. ა., თეოფილეს ხუცუმინიაზნის ერთი ჩანართი ითანხმება დამსკულის "ლმრთის-შემოწყვლის", თუ კლასიკური ფოლიალის, ბაზარინისტიკასა და ნეოგრეკუსტიკას იმსტურულის კურთხული Metá-nata, ეძღვნება გრიფოლ წირულის დაბალების 130 წლისთვეს, თბ., 2001 წ., გვ. 162-166.



"ცხოველ-მყოფელი" – ცაოპიტის.

"ღმრთივ-გუამოვანი" – მეოუფისტატის.

"შუცელ-ქუმული" – კუფირზეს (ეფრემის თარგმანით – "შუცლად-ლებული")

და სხვ.

"შისი ვე წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე და მას კელისა და საკითხი ვი შობისათ ჯს ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალ წულისა მარიამისა." პომილია პირობითად ორ ნაწილად იყოფა.

პირველ ნაწილში თვალშისაცემია თეოლოგიური ნაკადი. ავტორი ხშირად იმოწმებს ბიბლიურ პატრიარქებსა და წინაწარმეტყველებს. როგორც წინა ქადაგებაში, აქაც ღვთისმშობლის სახის გასახსნელად იოანე დამასკელი იყენებს ქველ აღთქმისეულ სიმბოლოებს. იგი არის "კუროთხი ძირისა იქსესი" (ესაია 11,1), "სადგური ღმრთისა იაკობისი", "ადგილი წმიდად ყოვლად წმიდისა სიტყვასა" – "სახლი ღმრთისა" და "ბჭეზეცისა" (ღაბ. 28, 17). წმინდა ქალწულის დაბადება მომაწავებელია ქვეყნის კუროთხვისა და კაცობრიობის გამოხსნის დასაწყისისა. იგი ნიშანია ევას მიერ წარწყმედილი, ცოდვით დამზიმებული ადამის მოდგმის განახლებისა, რაღაც მარიამისაგან იშვება ძე ახალი, ძე ღვთისა, რომელიც აღადგენს ღარღვეულ სულიერ კავშირს მიწას და ზეცას შორის. ამას მოჰყვება ქრისტეს შბრძოლთადმი მიმართული ავტორისეული პოლემიკა იქსოს ორი ბუნების, მათი შეურევლობის, ძე ღმერთის განხორციელებისა და გამოხატვის შესახებ, რაც გამოძახილია ქალკედონისა და ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებებისა (451 წ. და 787 წ.).

პომილის შეორე ნაწილი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ "გიხაროდენის" პოეტურ პიმის წარმოადგენს. აქ იოანე დამასკელი ძირითადად "ქებათა-ქების" ციტატებს მიმართავს. ის თითქოს ერთად უყრის თავს ყველა იმ ეპითეტს, მეტაფორასა თუ სიმბოლოს, რაც წმინდა ქალწულის უკვდავ სახეს ჯეროვნად წარმოაჩენს. იგი არის: "ღმრთივ-სანატრელი", "ღეღოფალი დაბადებულთავ", "ზმირნი ზღვასა", "შაყუალი ცეცლ-თხზული", "კიდობანი ღმრთივ-აღშენებული", "კუროთხი ღმრთივ-დანერგული",



"ტაკუკი, ოქრო-თხზული ჭურჭელი", "კარავი ღმრთივ-შემზღვებული და ბრძოლის გამარჯვებული", "სასაკუმევლე იქროხსახ, ჭურჭელი ყოვლად პატიოსანი", "ტრაპეზი ღმრთის დაგებული", "ტაძარი წმიდად ღმრთისად", "შროშანი წმიდად, ღმრთივ-აღმოცენებული", "აღგილი წმიდად ღმრთისად და ღმრთივ-დაფუძნებული ჭურჭანად", "სახლი ღმრთისად", "ბჲევ წმიდად, აღმოსავალით მხედველი", "ცახ სიტყვერი", "საყ-დარი სიწმიდისად", "ქერობინებრი გონებად ცეცხლისად", "დედად უქორწინებელი", "ქალწულებით მშობელი", "ბეჭედი საუთლოდ", "წიგნი დაბეჭდული", "ახალი ქარტად სადლუმლოდ", "წყაროდ დაბეჭდული", "მტილი დაქშული", "ვარდი დაუჭრობელი", "ვაშლი სულნელი და საწადელი, ბერწთაგან აღმოცენებული ნაყოფი ღმრთივ-შეუნიერი", "შროშანი შეუნიერი", "ყუავილი საწადელი", "ნარდი ნარდოვნებისად", "შტახი რჩეული", "კინამომე", "ასული ყოვლად შემკული, ქალწული, ბჲევ ზეცათად და უხრწელებათა პატივცემული", "დად კეთილისა მის დისტულისა მოსავრედ და მოსახელედ", "სხალი რჩეული", "მიპრონი პატიოსანი და ყოველთავე სათონებათა ბევრ-წილი შესაკრებელი", "სასაკუმევლე სულნელი", "ოქროდ წმიდად", "ძელი ულ-პოლევლი", "ძმწეული სამეუფოდ", "ბისონი გრეხილი", "იაკინთი ცეცხლის-ფერი და ქალწულებისა მარეშუმი", "ღრუბელი სულმცირედ", "ყოვლად უხრწელი და უბიწოდ ძეგლი ქალწულებისად", "მხოლოდ უბიწოდ", "ურნატი დაუთესველი", "უხრწელი და ყოვლისაგანვე ბიწისა თავისუფალი", "მხოლოდ ღირსი ღმრთისად", "გელეონის საწმისი, სახედ ძლევისად", "აღგილი წმიდად ღმრთისად", "დედად ღმრთისად", "სავანე ღმრთი-სად და შემწყნარებელი საღმრთოხსა მის ბუნებისად", "ღმრთისმშობელი ქალწული", "სასძლოდ შეუნიერი", "ტარიგი უშვილოდ", "ღრუბელი ნათლისად", "სასანოლე იქროხსა, ყოვლად პატიოსანი ჭურჭელი ქალწულებისად", "სიხარულევანი და ყოვლისავე სიხარულევანისა საქმისა და სახელისა უაღრესი და უმთავრესი", "სამოთხედ ღმრთისად, უსანატრელესი ედემსა", "ქალაქი დიდისა მის მეუფისად".

იმანე დამასკელის "ღვთისმშობლის შობის" მეორე ჰომილის თეოფილესული თარგმანი დაცულია ასევე At.20-ში (178r-184r).<sup>18</sup> არსებობს მისი სხვა თარგმანიც,

<sup>18</sup> ორივე ჰომილის ქრისტიანული ტექსტი დიდულოვნად მოგვაწოდა ქალბატონში ნ. 8 2 3 7 1 8 9 8, რომელსაც გამოისაცემად მზადა აქტუალუს მიერ თარგმნილი სექტემბრის თვის შეტარებას.



რომელიც წარმოდგენილია K4, A182, Jer.23 და სხვა ხელნაწერებში (ჩემ თხზულების ავტორად შეცდომით ოქონორე სტუდიელია დასახელებული). მთარგმნელი უცნობია.<sup>19</sup> ქადაგების ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია "პატროლოგია გრეკაში".<sup>20</sup> მასთან შედარებით ოქონილეს თარგმანი უფრო მეტ სხვაობებს ამჟღავნებს, ვიდრე მეორე თარგმანი. ეს სხვაობა აქაც ძირითადად ტექსტის გავრცებითა და გადასხვაოვერებით გამოიხატება. თავებად დაყოფაც მათ შორის განსხვავებულია. ერთი სიტყვით, მინის მიერ გამოცემული ტექსტი ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ოქონილეს დედინ არ არის.

ოქონილეს თარგმანში დასტურდება ბერძნული ორიგინალიდან გაღმოსული ლექსიკა:

"ზმირნი" – ή σμύρνα.

"ტრაპεზი" – ή τράπεζα.

"ზარდი" – ή νάρδος.

"შტახსი" – στακτός (მეორე თარგმანით – "სტახსი" || "სტაკტი").

"კინამომი" || "კინამონი" – τὸ κινυάμωμον (მეორე თარგმანით – "კინამოء").

"კალამი" – ὁ κάλαμος (მეორე თარგმანით – "ლერწამი").

"მჰკრონი" – τὸ μύρον.

"ზისონი" – ή βύσσος.

"პორფირი" (|| "ძოწეული") – ή πορφύρα.

"იაკინთი" – ὁ ὑάκινθος (მეორე თარგმანით – "ჟაკინთი").

კომპოზიტები ძირითადად ბერძნულის გავლენითაა შექმნილი:

"შტულ-კეთილობაء" – ή εύνομία.

"შრავალ-საგალობელი" – πολούμηνητος.

"კაცო-მოყუარეე" – ὁ φιλαιθρωπότατος.

"ცეცხლ-თხზული" – πυρέπλοκος (მეორე თარგმანით – "ცეცხლ-მგზნებარე").

<sup>19</sup> ძვლი მეტაფრასული კრებულები (სეჭრების საკითხავები), გვ. 102-114; 504-506.

<sup>20</sup> J. P. Migne, P. G., t. 96, col. 681-697.



"ოქრო-თხზული" – ხასტილასთი, ხასტილიკოს (მეორე თურქმენული პირი თავისი დანართისას  
"ოქრო-ცხებული").

"აღმოსავალით-შედველი" – ერთობლივი მართვის მეთოდი.

"ბევრ-წილი" – მურიტიმის.

"ცეცხლის-ფერი" – ფლიგიფანეს (მეორე თარგმანით – "ცეცხლიფერ-მყოფელი").

განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ტექსტში "ღმრთისაგან" ნაწარმოები რთული სიტყვები:

"ღმრთივ-დაქუსული" – მთავრობის.

"ღმრთის-მეცნიერებად" – ერთობლივი მთავრობის.

"ღმრთივ-დანერგული" – მთავრობის.

"ღმრთივ-აღმენებული" – მთავრობის.

"ღმრთივ-შემზადებული" – მთავრობის.

"ღმრთივ-დაგებული" – მთავრობის (მეორე თარგმანით – "ღმრთივ-განვითარებული").

"ღმრთივ-აღმოცენებული" – ერთობლივი მთავრობის.

"ღმრთივ-დაფუძნებული" – მთავრობის (მეორე თარგმანით – "ღმრთივ-განრთხმული").

"ღმრთივ-შუენიერი" – მთავრობის.

"ღმრთივ-სანატრელი" – (ბერძნული შესატყვისი არა აქვს).

"წმიდისა მამისა ჩუენისა კურილე ალექსანდრი მთავარეპისკოპოსისა და საკითხავი თქმული ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელი ისათვის და წმიდათა მამათა ეფესოსა კრები სათა, რომელნი შეკრბეს დამკობისათვის და განდევნისა უშკულოსა ნისტორისა. ხოლო იკითხვების ესე დღესა კურიაკესა, უწინარეს სულისა წმიდისა მოსლვისა." სათაურიდანვე ჩანს, რომ



ჰომილია გამოძახილია იმ სარწმუნოებრივი ბრძოლისა, რომელსაც ტრილი აღმისავალი დრიელი (412-444 წ.წ.) ეწეოდა ნესტორიანელთა წინააღმდეგ.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნესტორი (428-431 წ.წ.) აცხადებდა: ქრისტეში შეურევლად არსებობს ორი ბუნება, ორი პირი – ღვთაებრივი და აღამიანური. ისინი არასოდეს ერწყმიან ერთმანეთს. ღმერთი-სიტყვა დაბადებულია ღმერთი-მამისაგან. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ მარად არსებული ქრისტე შობილია ქალწული მარიამისაგან. ის ბაღებს მხოლოდ ქრისტე-აღამიანს. ამიტომ მარიამი არის არა ღვთისშობელი, არამედ კაცის (ე.ი. ქრისტეს) შშობელიო. ეს იყო სერიოზული თავდასხმა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე და მის დასაცავად ერთ-ერთმა პირველმა აღმალდა ხმა აღექმანდრიის მთავარეპისკოპოსმა.

429 წელს კირილემ დაწერა სააღდგომო ეპისტოლე, რომელშიც პირველად გთილაშერა კონსტანტინოპოლის პატრიარქის წინააღმდეგ. მან მიმმხრო პაპი კალუსტინ I, რომელმაც რომში გამართულ სინოდზე (430 წ.) დაგმო ნესტორის მოძღვრება. შედეგ აღექმანდრიის ეპისკოპოსმა მოწინააღმდეგებს მიმართა ე. წ. "12 ანათემატიზმით" (შეჩვენებით), დაემუქრა მას ეკლესიიდან განკვეთით, თუკი ის 10 დღის განმავლობაში არ უარყოფდა შეცდომებს.

ნესტორის წინააღმდეგ დაწერილ თხზულებაში კირილე ამტკიცებდა: დაუშვებელია ლაპარაკი ქრისტეში ღვთაებრივი და კაცობრივი ერთიანობის არ არსებობის შესახებ. აღამიანშიც განსხვავებულია ბუნებით პატრიალური და სულიერი საწყისი, მაგრამ ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან – "კაცო-მკვლელი" იმავდროოულად "სულთა-მსახურალიც" არის.

431 წელს ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსი მეორემ (408-450 წ.წ.) ეფესოში მოიწვია III მსოფლიო საეკლესიო კრება. პირველსავე სხდომაზე, რომელსაც კირილე აღექმანდრიელი ხელმძღვანელობდა, ნესტორი ანათემას გადასცეს და მისი მოძღვრება ღვთისშობლის უარყოფის შესახებ პავლე სამოსატელის წვალების ტოლფასად გამოაცხადეს. თუმცა არც ნესტორიანელები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ანტიოქიის პატრიარქმა ითანემ, რომელიც 4 დღის მოვეიანებით ჩავიდა ეფესოში, მოაწყო ახალი სხდომა, სადაც, პირიქით, აღექმანდრიის მთავარეპისკოპოსის გადადგომის განჩინება

გამოიტანეს. თეოდოსი მეორემ თრივე სხდომის გადაწყვეტილება კანონიერად ცნო და თრივე პატრიარქი პატრიარქბაში აიყვანა. მხოლოდ ხანგრძლივი მრავალი წელი შემდეგ გახდა შესაძლებელი კირილეს გათავისუფლება. რაც შეეხება ნესტორს, ის ჯერ გადაასახლეს ანტიოქიის ერთ-ერთ მონასტერში, ხოლო შემდეგ, 436 წელს, გადაიყვანეს ეგვიპტეში, სადაც აღსრულა კიდეც არა უაღრეს 451 წლისა. ეფესოში აღმოცენებული საეკლესიო განხეთქილების დაძლევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 433 წელს, როდესაც შეიქმნა ორივე მხარისათვის მისაღები ერთიანი რწმენის სიმბოლო (ვარაუდობენ, რომ მისი ავტორი იყო თეოდორიტე კვირელი).<sup>21</sup>

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰიმილიაშიც კირილე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ნესტორისა და მისი მოძღვრების განქიქებას; ამასთანვე, ხოტბას ასხამს წმინდა ქალწულ მარიამს და განადიდებს ეფესოს კრებას, რომელმაც ის მწვალებელთა ხელყოფისაგან იხსნა, აღადგინა თავის უფლებებში (ე.ი ღვთისმშობლის დოგმა ჭეშმარიტებად აღიარა). მხატვრული თვალსაზრისით ქადაგება არაფრით გამოიჩინა, ისევე, როგორც ამ მწერლის სხვა ნაწარმოებები.

თხზულების თეოფილესული თარგმანი შემორჩენილია At.7 (XI ს.), Jer.23 (XII-XIII ს.ს.), Jer.39 (XIII-XIV ს.ს.), K8 (XVI ს.), A140 (XII-XIII ს.ს.) და სხვა ხელნაწერებში. მას ერთვის მთარგმნელის ანდერძი: "ყოვლად წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო, მეოხედავ ცოდვილსა თეოფილეს, ამისსა თარგმანსა, დღესა მას დიდსა საშინელსა სჭულისასა, და მათ მამათაცა და ქმათა, რომელთა წმიდათა ამათ საკითხავთა თარგმანებამ მიმდანეს" (At7, 160v). სხვათა შორის, მსგავსი ანდერძი ახლავს იოანე დამისკელის "ღვთისმშობლის შობის" პირველი ქადაგების თეოფილეს მიერ შესრულებულ თარგმანსაც.<sup>22</sup> იერუსალიმში ხელნაწერ №151-ში (XI ს.) აღმოჩნდა კირილე ალექსანდრიილის ჰიმილის სხვა ქართული თარგმანი, რომელიც აშკარად განსხვავებული რედაქციისაა. მისი სათაური ასეთია: "თქმული წმიდისა კურილე ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისად წმიდისა ღმრთისმშობელისათვს და წმიდათა

<sup>21</sup> B. Altaner, A. Stuiber, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, Freiburg. Basel. Wien, 1978, S. 283-288, 336-338; Православная богословская энциклопедия, X, М., 1909 г., стр. 246-279; История Византии, в трёх томах, т. I, М., 1967 г., стр. 189-192 (ჭვთავის ვეტოზია გ. ი ი უ ზ ი მ ი ვ ი ს ი 2).

<sup>22</sup> ჭრა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თომინტრი კოლექცია, I, თბ., 1986 წ., გვ. 70, 25 (ჭრ. 1.).



მამათა, ოომელნი ეფესოსა წმიდასა კრებასა შემოკრძეს უსაზღვროსა წილებით დასტურდეს" (67r).

ქადაგების ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია "პატრიოლოგია გრეკას" 76-ე  
ტომში,<sup>23</sup> ოომელშიც მას შემდეგი სათაური აქვს: "შესმა წმინდისა მარიამ  
ღვთისმშობლისა". თეოფილეს თარგმანის მასთან შედარება ცალკეულ ტექსტობრივ  
სხვაობებს ავლენს, უმთავრესად კი მატება შეინიშნება. ეს ნიშნავს, ოომ ქართველ  
მწერალს ხელო ჰქონდა ისეთი დედანი, ოომელიც განსვავდებოდა მინის მიერ გამო-  
ცემული ტექსტისგან (ამჯერადაც ვერ დავეთანხმებით ქ. სალალიას, ოომელსაც ქად-  
აგების ბოლოს წარმოდგენილი ერთი ღოგმატიკური ფრაგმენტი) თეოფილეს ნახ-  
ელავად მიაჩინა<sup>24</sup>).

თეოფილეს თარგმანში ზოგჯერ გვხვდება ბერძნული ლექსიკური ერთეულების  
ქართულად გადმოტანის სანტიკრისო შემთხვევები. მაგალითად:

η ῥύμη (=ვიწრო ქუჩა) თარგმნილია ორი მონათესავე მნიშვნელობის სიტყვით  
(ე.წ. პლეონაზმი) – "ალაგი და ურაკარაკი".

Θέατρον τραγωδίας (=ტრაგედიის თეატრი) გაღმოქართულებულია შემდეგნაი-  
რად: "საჩუმნებელ იქმა და საბარავ".

ტექსტში დასტურდება ბერძნული ენიდან შემოსული სიტყვები:

"თეატრო" – τὸ θέατρον.

"ეთერი" – ἡ αἰθήρ.

"რიტორი" – ὁ ρήτωρ.

"შოგა" – ὁ μάγος.

"იპატოსი" – ὁ ὑπάτος.

"კომისი" – ὁ κομήτης.

"მაგისტროსი" – ὁ μαγίστρος.

რომელი სიტყვებიც უმთავრესად შედგენილია ბერძნული ორიგინალის გავლენით:  
"შრავალ-სახე" – τὸ πολυειδός.

<sup>23</sup> J. P. Migne, P. G., t. 76, col. 1029-1040.

<sup>24</sup> ქ. ს. ა. ლ. ა. ლ. ა. ი. ა. თეოფილე ხუცესმონაზონის ერთი ჩანართი ითანება დამსკულის "ღმრთისმშობლის შობის პომილიაში", Μετάνοια, გვ. 166-169.



"მრავალ-ფერი" – ო პილიკლიოს.

"შეუდროება-შემოსილი" – ო ყალიმიფირის.

"ხუროთ-მოძღვარი" – ო არქიტექტონი.

"თანა-მოსაგრე" – ო სუსტენის.

"კეთილად-განშუმნებული" – ო კალიეპის.

"ღმრთივ-შუშნიერი" – მთელი მომართვის.

"შლდელთ-მოძღვარებად" – ო არქიერასტის.

"თაფლ-მწოლვარე" – მელიერების.

"სარწმუნოება-შემოსილი" – ო პისტოფირის.

"დიდების-მეტყუელებად" – მინისტრის და სხვ.

"თ ქ მ უ ლ ი ა ნ ა ს ტ ა ს ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს ა ს ი ნ ე ლ ი ს ა მ . შ ე მ ო ს ლ ვ ი ს ა თ კ ს მ ა რ ხ ვ ა თ ა ხ ს ა დ ა მ ე ე ქ უ ს ი ს ა თ კ ს ფ ს ა ლ მ უ ნ ი ს ა ." მექენიკური ფსალმუნში გამოხატული უძლეურება და უსასოება ცოდვილი აღამიანისა, მისი ურვა, ღალადისი და ლოცვად აყრობილი ხელები უფლისაღმი შეცოდებათა შესანდობად ანასტასი სინელის (VII ს.) ქადაგებაში "შეშმარიტთა მონანულთა უტყუველ სიმდაბლედ" არის გამოცხადებული. ფსალმუნის თითოეული მუხლი და ფრაზა, მასში ჩაქსოვილი ყოველი აზრი ქრისტიანი ავტორის გონიერებაში თანდათანობით ასოცირდება, კიდევ უფრო გაღრმავდება, შინაარსობრივად გაიშლება, ახალი ულერადობით დატვირთება და ერთ გაბმულ მონოლოგად მიეწოდება მკითხველს. აღამიანის გადარჩენა, მისი სულის ხსნა მხოლოდ ჭეშმარიტ სინანულს შეუძლია – ამ ზოგადერისტიანული აზრის ნათელსაყოფად ჰომილის დასასრულს მწერალს მოჰყავს ორი ეპიზოდი, რომლებშიც ორი სხვადასხვა ავაზაკიმთავრის ცხოვრება მოოხრობილი: მათი აშბავი ერთმანეთსა ჰგავს – ჩადგნილ ცოდვათა მონანიება, აღსარება და დიდი ცრემლი მათ გადაარჩენს და აღგილს უმკვიდრებს სასუფეველში. ცხადია, ეს ეპიზოდები სახარებისეული (ჯვარზე გაყრული და სიტყვით ცხონებული) ავაზაკის სახის შთაგონებითა შექმნილი.

ქადაგების მხატვრულ სტილს ძირითადად განსაზღვრავს განმეორებანი.

ჰომილიის თეოფილესული თარგმანი შემონახულია XII-XIII საუკუნეების ტელე<sup>25</sup> ნაწერ A129-ში (152r-161r), ასევე A182 (XIII ს.), A5 (1756 წ.), K8 და ასეთ რენაპრინტის მინი ბერძნული ტექსტი სათაურით: "სიტყვა მეექვსე ფსალმუნზე" დაბეჭდილია მინის "პატროლოგია გრეკაში".<sup>25</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო სხვაობებს, რაც გადამწერთა მიზეზით უნდა აისნას, თარგმანი იმდენად ზუსტად მიჰყვება მინის მიერ გამოცემულ ორიგინალს, რომ ქართული ტექსტი უშუალოდ მისგან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს.

ქართულ თარგმანში დასტურდება ცალკეული ბერძნული სიტყვების სინონიმური ან მონათესავე მნიშვნელობის წყვილებით გადმოღების ნიმუშები:

χείμαζόμενος – "ღელვა-გუმშული".

ό βασιλεύς – "მეფე-კელმწიფე".

εὐφημέω – "კება-შესმულ ქმნას".

ἡ φυλακή – "დეტი და მსტარი".

ქართულ ტექსტში გვხვდება თითო-ოროლა ბერძნული ლექსიკური ერთეული:  
"ტალანტი" – τὸ τάλαντον.

"სალპინი" – ἡ σάλπιγξ (=მილი).

"ქარტავ" – ὁ χάρτης.

"ფაქეოლი" – τὸ φακιόλιον.

კომპაზიტები აქაც ბერძნული ენის კვალობაზეა წარმოებული:

"სიძვის-მოყუარევ" – ὁ φιλόπορος.

"კაცო-მოყუარევ", "კაცო-მოყუარებავ" – ὁ φιλάντρωπος, ἡ φιλαντρωπία.

"ვეცხლის-მოყუარებავ" – ἡ φιლαργυρία.

"დიდების-მოყუარებავ" – ἡ κενიδοξεῖα.

"გემოთ-მოყუარებავ" – ἡ γαστრιმარγίა.

"ქ'რის-ქ'ენებავ" – ἡ μηთიკაκίა.

"ავაზაკო-მთავარი" – ὁ ἀρχιლηστής.

"შკურნალთ-უხუცესი" – ὁ αρχιაτρός.

<sup>25</sup> J. P. Migne, P.G., t. 89, col. 1077-1116.



"კელით-წერილი" – ზო ხეιრόგრაფი.

"შ მ ი დ ა თ ა შ ო რ ი ს მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ი თ ა ნ ე ნ ი ს ი ქ რ ი პ ი რ ი ს ა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ი ლ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ი ს ი ს ა დ ა ს ა ც ი თ ხ ა ვ ი თ ქ მ უ ლ ი ბ ზ ი პ ი ს ა თ კ ს . ჰ ი მ ი ლ ი ა კ მ პ ი ნ ი ც ი უ რ ი კ ი ნ ტ რ ა ს ტ ი ს ს ხ ე რ ხ ი თ ა ა გ ე ბ უ ლ ი . ე რ თ მ ხ ა რ ე ს დ გ ა ნ ა ნ ყ რ მ ა ნ , რ ი მ ლ ე ბ ი ც ი ე ს ი მ შ ი მ ე ს ი ა ს შ ე ი ც ნ ა ბ ე ნ დ ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ტ ა ძ ა რ შ ი შ ე ს უ ლ მ ა ც ხ ო ვ ა რ ს დ ი დ ე ბ ი თ ა დ ა პ ა ტ ი ვ ი თ ხ ე დ ე ბ ი ა ნ , "ო ს ა ნ ა ს " უ ღ ა ღ ა დ ე ბ ე ნ , მ ე ო რ ე ს კ ი - ც რ უ შ მ ა მ ღ ვ ა რ ნ , რ ი მ ე ლ თ ა ც შ უ რ ი თ ა დ ა პ ა ტ ი ვ ი თ დ ა ბ რ მ ა ვ ე ბ უ ლ ე ბ ს ა რ ს ს უ რ ი თ მ ა ს შ ი ლ მ ე რ თ ი ს დ ა ნ ა ხ ვ ა დ ა წ ა რ ს ა წ ყ მ ე დ ე ლ ა დ ა რ ი ა ნ გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ . უ მ ჭ ი ბ ე ს ი ა თ ვ ა დ ა ვ ტ ი რ ს მ ო ვ უ ს მ ი ნ ი თ : "შ ე ი ლ თ ა ი ც ნ ე ს შ ე მ ღ მ ე დ ი დ ა მ შ ი ბ ე ლ ნ ი უ რ ჩ ჩ ი ი ტ ყ უ ა ნ : "ვ ი ნ ა რ ს ი ე ს ე ? " ა ხ ა ლ ი ი გ ი დ ა უ მ ე ც ა რ ი პ ა ს ა კ ი უ გ ა ღ ი ბ ს ლ მ ე რ თ ს ა დ ა დ ა ს უ შ ლ ე ბ უ ლ ნ ი ი გ ი დ ლ ე თ ა ბ ო რ ი ტ ი თ ა ნ ი ი ყ ი თ ხ ე ნ : "ვ ი ნ ა რ ს ი ე ს ე ? " ძ უ ძ უ დ ა ს შ ე რ ვ ა რ ნ ი ლ მ რ თ ი ს - მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ე ნ დ ა მ ა ხ უ ც ე ბ უ ლ ნ ი ჰ გ მ ბ ე ნ . შ ვ ი ლ ნ ი კ ე თ ი ლ ა დ მ ა ხ უ რ ე ბ ი თ მ ლ დ ე ლ ა ბ ე ნ ქ ე ბ ა ს ა დ ა უ მ ლ დ ე ლ ა ნ ი ი გ ი მ ლ დ ე ლ ნ ი გ ა ნ რ ი ს ხ ე ნ ე ბ ი ა ნ . "

ს ა უ ფ ლ ო დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ზ ე წ ა რ მ ი თ ქ მ უ ლ კ ა დ ა გ ე ბ ე ბ ს , უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ყ ვ ლ ი ს ა , ს წ ა ვ ლ ა - მ ი ძ ლ ვ რ ე ბ ი თ ხ ა რ ი ს ა თ ი ა ქ ვ ს დ ა , ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა , რ წ მ ე ნ ი ს გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა ს უ წ ყ ი ბ ს ხ ე ლ ს . ა ი , რ ა შ ე ს ა ნ ი შ ნ ა გ ა დ ა დ ა ზ ი გ ა ღ ე ბ ს მ წ ე რ ა ლ ი ყ რ მ ე ბ ი ს ს ა ქ ც ი ე ლ ს : "უ კ უ ე თ უ ნ ა მ - დ ა ლ ვ ე ძ ე ნ ი ხ ა რ ი ს ი რ ი ს ა ნ ი , თ ა ნ ა გ ა ნ ე წ ყ ვ ე ნ ი თ შ ვ ი ლ თ ა თ ქ უ ე ნ თ ა დ ა გ ე ყ ა ნ თ ქ უ ე ნ მ ი ზ ე ზ ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ა ლ მ რ თ ი ს - მ ა ხ უ რ ე ბ ა დ ა შ ვ ი ლ თ ა თ ქ უ ე ნ თ ა . დ ა ი ს წ ა ვ ე თ მ ა თ გ ა ნ , თ უ ვ ი ნ ა ს წ ა ვ ა მ ა თ ? ვ ი ნ შ ე რ ი ბ ა ნ ი ი გ ი ? ვ ი ნ მ ი ს ც ა მ ა თ მ ი ძ ლ უ რ ე ბ ა დ ა ? ვ ი ნ ა უ წ ყ ა მ ა თ ა ხ ა ლ ი ი გ ი დ ა უ ც ხ ო დ ა ლ მ რ თ ი ს - მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა დ ა დ ა წ ი ნ ა ს წ ა რ - მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა დ ა ? ხ ო ლ ი უ კ უ ე თ უ კ ა ც თ ა გ ა ნ მ ა ნ ა რ ც ა ე რ თ მ ა ნ ვ ი ნ ა ს წ ა ვ ა მ ა თ , ა რ ა მ ე დ თ კ ა თ თ ა გ ი თ თ კ ა ს ი თ ქ ე ბ ა ს ა შ ე წ ი რ ვ ე ნ მ ე უ ფ ე ს ა , უ წ ყ ი დ ე თ , რ ა მ ე თ უ ლ მ რ თ ი ს ა დ ა ს ა ს ქ მ ე ე ს ე ? ".

ა ვ ტ ი რ ი ა რ დ ა ლ ა ტ ი ბ ს თ ა ვ ი ს მ ი რ ი თ ა დ თ ე მ ა ს - ქ რ ი ს ტ ე ს შ ე ს ვ ლ ა ს ი ე რ უ ს ა - ლ მ ე ბ ი დ ა ს ა ხ ა რ ე ბ ა შ ი ა ღ წ ე რ ი ლ ი ა მ ფ ა ქ ტ ი ს ზ ო გ ა ღ ს ა რ წ მ უ ნ ი ბ რ ი ვ გ ვ ა დ ა ზ ი რ ე ბ ა ს ა დ ა კ მ ე ნ ტ ა რ ს , თ უ ა რ ს ა ვ თ ვ ლ ი თ თ ხ უ ლ ე ბ ი ს ე რ თ პ ა ტ ა რ ა მ ი ნ ა კ ვ ე თ ს , ს ა ღ ა ც ლ ა პ ა რ ა კ ი ა ს ა მ ე ბ ი ს დ ღ გ მ ა ტ ზ ე დ ა თ ხ რ ი ბ ა ს ა ც ლ ი ნ ა ღ ნ ა ვ პ ა რ ე ბ ა . ნ ა წ ა რ - მ ი ე ბ ს რ ე ფ რ ე ნ ი ვ ი თ გ ა ს დ ე ვ ს ფ ს ა ლ მ უ ნ ი დ ა ნ ა ღ ე ბ უ ლ ი დ ა ვ ი თ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი



სიტყვები, რომლებიც სახარებაშიც მეორდება: "კურთხეულ არს მომავალი უფლისათა!" ის ჰომილის ბუნებრივად ზეაწეულ, საღლესასწაულო ტომს კიდევ უფრო მეტ კეთილმოვნებასა და მუსიკალობას აძიჭებს.

"ბზობისაოცს" ფსევდოოქროპირისეულ თხზულებად არის მიჩნეული. მისი ქართული თარგმანი დაცულია A129 (282v-287r), A5, K8, Jer.23 და სხვა ხელნაწერებში. ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია მინის "პატროლოგია გრეკაში".<sup>26</sup> მასთან მიმართებით თეოფილეს თარგმანი რამდენადმე საგულისხმო სხვაობას არ ავლებს. მართალია, გვაძეს ტექსტის მატების, კლების და განსხვავებულ წაეკითხვათა ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ისინი ერთი რედაქციის ფარგლებში თავსდება.

თარგმანში შესამჩნევია ბერძნული რთული სიტყვებისათვის შესაფერისი ქართული შესატყვისების მოძიებისა და მისადაგების ტენდენცია:

Τὸ ὑπερκόσμιον – "ზეშთა-სოფელი".

ψευδώνυμος (=ფსევდონიმი) – "ცუდად-სახელდებული".

ἡ ἀρτοτροφία (=დაბურება) – "პურის-ცემა".

μελίρρυτος (=თაფლმდინარე) – "თაფლ-მწოლვარე".

ὅ λογομάχος – "სიტყუა-მბრძოლი".

ἀπροσβλεπτός – "თუალთ-შეუდგამობა".

ὅ περίπατος – "ფრგვ-სლვა".

ზოგიერთი ბერძნული კომპოზიტი სხვადასხვა სინონიმური ლექსიკური ერთეულებითაა გადმოტანილი ქართულში; მაგალითად:

θεοδιδακτός – "ღმრთივ-სწავლული", "ღმრთივ-მოძღურებული".

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბერძნული ენის მიხედვით შექმნილი ის რთული სიტყვები, რომლებმაც საყოველთაო გავრცელება პოვეს ქართულ ენაში:

"ქველის-მოქმედი", "ქველის-მოქმედება"<sup>27</sup> – ი ესერეგეთა, η ესერეგესა.

"საკვირველო-მოქმედი" – ზაჟმათორების.

"კაცთ-მოყუარე" – ი ფილანთროპის (=ფილანტროპი).

"კაცთ-მოძულე" – ი მისანთროპის (=მიზანთროპი).

<sup>26</sup> J. P. Migne, P. G., t. 59, col. 703-708.



"სულ-გრძელი" – ო მაკროტუმის.

"ჭ მ ი დ ა თ ა შორის მამისა ჩუენისა ი ღ ი ა ნ ე ვ  
ო ქ ე რ ი ა რ ი ს ა კ ი ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ი ლ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი  
ს კ ი ნ ს ი ს ა მ ა მ ა რ ე პ ი ლ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი  
შ ა ბ ა თ ს ა: დ ა ი უ დ ა მ ა მ ი ე რ გ ა ნ ც ე მ ი ს ა თ კ ს დ ა  
ვ ნ ე ბ ი ს ა თ კ ს უ ფ ლ ი ს ა". ეს მცირე მოცულობის ქადაგებაც  
ფ უ დ ე ლ ი ს ე რ ი ს ე უ ლ ი ა. ი გ ი ა რ ს ე ბ ი თ ა დ წ ა რ მ ი ა დ გ ე ნ ს ა თ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ თ ხ რ ი ბ ა ს  
მ ა თ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ი ს 26-ე თ ვ ი ს 14-16, 20-23, 25-28 დ ა 47-50 მ უ ხ ლ ე ბ ი ს ა ს, ს ა დ ა ც  
ა ლ წ ე რ ი ლ ი ა ი უ დ ა ს მ ი ე რ ქ რ ი ს ტ ე ს გ ა ც ე მ ი ს გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა, ს ა ი დ უ მ ლ ი ს ე რ ი ბ ა, მ ა ც ხ ვ რ ი ს  
შ ე პ ყ რ ი ბ ა დ ა ა მ ხ ე ბ ი თ ა ლ ძ რ უ ლ ი ა ვ ტ ი რ ი ს ე უ ლ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ე ბ ი ს მ კ ი თ ვ ე ლ ა  
მ ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ვ ი ს გ ა ზ ი ა რ ე ბ ა ს. გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ნ ტ ი მ ს ა დ ა ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ბ ა ს ა ნ ი ჭ ე ბ ს  
თ ხ ტ უ ლ ე ბ ა ს მ ჟ ე რ ლ ი ს კ ი თ ხ ვ ა - მ ი მ ა რ ი თ ვ ე ბ ი, მ ი ს ი ს ა უ ბ ა რ ი წ ა რ მ ი ს ა ხ ვ ა შ ა მ გ ა ც ხ ლ ე ბ უ ლ  
ი უ დ ა ს თ ა ნ. ი ს უ შ უ ა ლ ი დ გ ა მ ც ე მ ს ე კ ა მ ა თ ე ბ ა, მ ი ს ს უ ლ შ ი ც დ ი ლ ი ბ ს ჩ ა ხ ე დ ვ ა ს, თ ი თ ქ ი ს  
მ ი ს გ ა ნ ს უ რ ს პ ა ს უ ხ ი ს მ ი ღ ე ბ ა ჩ ა დ ე ნ ი ლ ი ლ ა ლ ა ტ ი ს მ ი ხ ე ბ ზ ე, რ ა თ ა ბ ი რ ა ტ ე ბ ი ს  
ს ა თ ა ვ ე ს მ ი ა გ ნ ი ს: "მ ი თ ხ ა რ დ ა ა ქ ა, ი უ დ ა, ო დ ე ს ს ი თ ფ ლ ი ს ა მ ე ფ ე ს ა დ ა თ კ ს ა მ ი ძ ლ უ ა რ ს ა  
ს ა ვ ა ჭ რ ი დ ა ა ს დ ე ბ დ ა დ ა მ ა რ ჯ უ შ ნ ე ს ა მ ა ს მ ი წ ე [ა] ფ ე ბ რ ს ა გ ა ნ კ მ ა რ ტ ე ბ დ ვ ი თ ა რ ა ფ ა ს ე ბ დ ა ა ნ უ  
რ ა ს ა ნ ც ვ ა ლ ს ა მ ი ღ ე ბ დ ა მ ი გ ჭ ი რ დ ა შ ე ნ, რ ა მ თ ა ა ლ ი ლ ა შ ე რ ი რ გ ა ნ ც ე მ ა დ  
მ ე უ ფ ე ს ა ზ ე დ ა თ კ ს ა ?! ა ნ უ რ ა მ ა მ ი ს ა უ მ ე ტ ე ს შ ე მ ს ა პ ა ტ ი ვ ც ე მ ა დ შ ე ნ თ ა ნ ა თ ა მ ა თ  
მ ო წ ა ფ ე თ ა დ მ ი ნ ი ჭ ე ბ უ ლ ა დ, რ ა მ ე ლ ე ს რ ე თ უ შ ე უ ლ ი მ გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა დ  
გ ა ნ ი ზ რ ა ხ ვ ა ?!"

რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ა ვ ტ ი რ მ ა ი ც ი ს, რ ო მ ი უ დ ა ს ს უ ლ ი მ ე ტ ა კ ლ ე ბ ა დ უ რ ვ ე ლ  
ა დ ა მ ი ა ნ შ ი ბ ი გ ი ნ ი ბ ა ს. ა მ ი ტ ი მ მ ი ს ი შ თ ა მ ხ ე ჭ დ ა ვ ი ს წ ა ვ ლ ა ნ ი ც ა მ ს ს უ ლ ი ს დ ა ს ა თ რ გ უ ნ ა დ  
ა რ ი ს გ ა მ ი ზ ნ უ ლ ი ა.

ჰ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ა ვ ტ ი რ მ ა ი ც ი ს, რ ო მ ი უ დ ა ს ს უ ლ ი მ ე ტ ა კ ლ ე ბ ა დ უ რ ვ ე ლ  
K8, Jer.4 დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი ა. მ ი ს ი ბ ე რ მ ნ უ ლ ი ტ ე ჭ ს ტ ი გ ა მ ი ც ე მ უ ლ ი ა  
"პ ა ტ ი რ ი ლ ი გ ი ა გ რ ე კ ა შ ი".<sup>27</sup> ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ზ უ ს ტ ა დ მ ი პ ყ ვ ე ბ ა ბ ე რ მ ნ უ ლ ი ს, რ ა ც



იმის მაჩვენებელია, რომ მინის მიერ დაბეჭდილი ტექსტი თეოფროსის წარმოადგენს.

"წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე თქოპირისა და სიტყუადიდისახუთაბათსამ: განცემისათვს იუდაესგან დამიცემისათვს წმიდათა საიდუმლოთადას, დარიათა არა ვიკსენებდეთ ძარსა". ამ პომილიაში, ისევე როგორც წინაში, ერთ-ერთი წამყვანი თემაა იუდას მიერ უფლის გაცემა. მაგრამ თუ იქ ავტორი ამბის თხრობისას საკუთრივ მასში აღძრულ ემოციებსა და განცდებს, თავის უშესალო ნაფიქრ-ნაზრებს უზიარებს მრევლს, აქ პირიქით, იმანე ოქროპირი თითქოს ცდილობს ამოიცნოს ის კიოხვები, რომელიც შეიძლება გასჩენოდა ქრისტიან მორწეულეს (და არაქრისტიანსაც) სახარების იმ ადგილების კიოხვისას, რის გადმოცემასა და "თარგმანებასაც" ეწევა იგი; ამიტომ ის გზადაგზა წამოსწევს ქრისტოლოგის ზოგიერთ ეთიკურ და რელიგიურ საკითხს და მისთვის დამახსიათებელი სილრმითა და ერუდიციით ნათლად და ამომწურავად უპასუხებს. აი, რამდენიმე ასეთი კიოხვა: თუკი იქომ მენელსაცხებლე მეძავი მიზიდა, რატომ ვერ შეძლო საკუთარი მოწაფის გადაჩენა? თუკი მან იცოდა, რომ იუდა გამცემელი იყო, რატომ არ შეაჩერა, რატომ არ აღმოფხვრა მასში ჩასახლებული ბოროტება? რატომ აღასრულა ქრისტემ ჰურიათა პასექი, ხოლო შემდევ რატომლა გააუქმა? რას მოასწავებდა საიდუმლო ზიარება? და ა. შ.

ნუწარმოებში გარკვეული ადგილი უკავია აგრეთვე მრევლისადმი მიმართულ მოწოდება-დამოძღვრას ქრისტიანობის მორალურ-ზნეობრივი პრინციპების დასაცავად: "ნუმცა ვინ არს მუნ შზაკუვარ! ნუმცა ვინ ღრკუ! ნუ[მ]ცა ვინ განგესლებულ ცნობითა, რამთა არა დასაშველად თქსსა მიიღოს... ნუმცა ვინ არს მუნ იუდა ქონებითა გესლსა სიბოროტისასა... ნუმცა ვის ჰქონან შინაგან ბოროტნი გულის-სიტყუანი".

ქადაგების ცალკეული ადგილები და მონაცემები გვალებენ თავისი ხატოვანებითა და მხატვრულობით. აღარებს რა ერთმანეთს ძველსა და ახალ აღთქმას,



პასექსა და ქრისტინულ ზიარებას, იოანე ოქროპირი წერს: "პირველი რეგი აჩრდილი იყო, ხოლო მეორე – ჰეშმარიტება. გარნა ვინავთგან გამოცხადნა მზე სიმართლისამ, მიერითგან დასცხრა აჩრდილი, რამეთუ მზე რამ აღმოკლეს, მიეფარვის აჩრდილი. ამისთვის ერთსა ამას ტრაპეზსა ზედა ორივე პასექი იქმნა – სახისამცა და ჰეშმარიტებისამ. და ვითარცა იგი მხატვარნი მასვე ფიცარსა ზედა დასახვასაცა მოავლებენ და აჩრდილის-მწერლობენ, და ჰეშმარიტებით ფერსაცა წამალთასა ზედა მოურთვენ, ეგრეთვე ქრისტემან-ყო მასვე ტრაპეზსა ზედა, სახოვნებითიცა პასხა დასახა და ჰეშმარიტებითაცა ზედა დასძინა, რომელ-ესე იყო ჰეშმარიტი პასექა". თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჰომილის გარკვეულწილად აკლია კომპოზიციური ერთიანობა და შეკრულობა.

იოანე ოქროპირის ამ სიტყვის ქართული თარგმანი დაცულია A129 (223r-229v), A5, K8, Jer.4 და სხვა ხელნაწერებში. ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია მინის "პატრიოლოგია გრეკაში".<sup>28</sup> მასთან მიმართებით თეოფილეს თარგმანი ცალკეულ სხვაობებს ამჟღავნებს, რაც უპირატესად სახარებიდან დამოწმებული და შემდეგ კვლავ განმეორებული ციტატების გამოტოვებით გამოიხატება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ მინის გამოცემა ქართულის დედნისაგან განსხვავებულ ხელნაწერებს ეყრდნობა.

ქართულ თარგმანში გვხვდება ბერძნული ენიდან შემოსული ზოგიერთი სიტყვა:

"ალაბასტრი" – ო ალაბასტროს.

"ლამპარი" – ო ლამπάს.

"ორლანოა" – το ὄργανον და სხვ.

კომპოზიტების წარმოებაში აქაც იგრძნობა ბერძნული დედნის კვალი:

"სულ-მოკლებამ" – ო რათხმია.

"სახელ-დებული" – ἐπικαλούμενος.

"სიბრძნის-მოყუარებამ" – ო ფილისიფია.

"აჩრდილის-მწერლობამ" – σκιογράφω.

"შვილთ-სხმამ" – ო παιδი-ποιίა.

<sup>28</sup> J. P. Migne, P. G., t. 49, col. 373-382.



"სიტყვა-გებად" – წ აპი-ლიგია.

"ძრის-მოქსენე" – მუხისიკაკოს.

"შოლოდ-შობილი" – მოიცენჩს.

"შშუდობის-მყოფელი" – ო ერეთიკის და სხვ.

თუმცა რთულ სიტყვათა ერთი ნაწილი თარგმანში ბერძნულისაგან  
დამოუკიდებლად არის შედგენილი. მაგალითად:

"ძრი-ხილული" \| "ძრი-ხილულობა" \| "ძრის-ხილვად".

"ბოროტის-მყოფელობად".

"ძრ-მტკიცეობად" (ტკზო).

"გულისტის-ყოფად" (ტ ნόηმა).

"ნუგეშინის-ცემად" (წ პარამუზა).

"ფას-დაუდებელი".

"გულის-სიტყუად" (ტ ლიგისმის) და სხვ.

"ჭ მ ი დ ა თ ა შ თ რ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ი თ ა ნ ნ ე  
ო ქ რ ი თ ა რ ი ს ა , კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ თ ლ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი  
ს კ თ პ თ ს ი ს ა დ . ს ი ტ ყ უ ა დ ვ ნ ე ბ ი ს ა თ ჯ ს მ ა ც ხ თ ვ ა რ ი  
ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ი ე ს კ ქ რ ი ს ტ მ ს ა , ძ ი ს ა ღ მ რ ი თ ი ს ა ,  
დ ა ვ ი თ ა რ მ ე დ დ ლ ე ს ა , რ ა ლ მ ე ლ ს ა გ ა ნ ა ვ ლ ი ნ ა  
ა დ ა მ ს ა მ თ თ ხ ი თ , მ ა ს ვ ე დ ლ ე ს ა შ ე ვ ი დ ა ა ვ ა ზ ა  
კ ი ს ა მ თ თ ხ ე დ ". "გუშინ ალთემულსა მას ვალსა დღეს შეხებს ალსრულებად,  
საყუარელნო, და ვეძებ, თუ საღა დაპტეჭდეთ მაშინ სიტყუად. რამეთუ ესე იყო,  
გაქსოვს განაღა, ვითარმედ განიზრახეს ჰურიათა უფლისათუს, რამთა წარწყმიდონ  
იგი" – ასეთი დასაწყისი აქვს ამ ქადაგებას და, როგორც ვხედავთ, ის აგრძელებს წინა  
ორი პომილის თემატიკას. პირობითად იგი ორ ნაწილად იყოფა:

თავიდან ავტორი მიპყვება კანონიკური სახარების ტექსტს (თუმცა,  
არათანმიმღევრობით) და მოკლედ აღწერს იქსო ქრისტეს შეპყრობას, ანნასა და კიაფა  
მღვდელმოძღვრებთან მის წაყვანას და პილატეს წინაშე წარდგომას, იუდას  
თავგადასავალს, განსხას პილატესთან და მაცხოვრის დასჯას. მეორე ნაწილში კი ის



მირითადად იყენებს ნიკოდიმოსის აპოკრიფულ სახარებას, კერძოდ, მიუღიავთშეცემის ნწილს, რომელსაც ეწოდება: "ქრისტეს ჭოჭოხეთში ჩასვლა"<sup>29</sup> და მასზე დაყრდნობით გადმოგვცემს, თუ როგორ ჩავიდა უფალი ჭოჭოხეთში, როგორ დასაჭა ეშმაკი და გათავისუფლა წინასწარმეტყველნი, როგორ დააბრუნა ისინი სამოთხეში, სადაც მათ დახვედათ ავაზაკი, რომელიც თავის თავგადასავალს უამბობს სამოთხის ახალ ბინადართ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თხზულების ამ მეორე მონაკვეთშიც იყენებს მწერალი ცალკეულ ციტატებს მათქვენ და ლუკას სახარებებიდან თუ ფსალმუნიდან.

ქადაგება ფსევდოპეტროპირისეულია. იგი ინტერესით იყითხება და ჰომილეტიკის უთუოდ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. მისი თეოფილესული თარგმანი შემნახულია A129 (255r-258v), A5, K8, Jer.39 და სხვა ხელნაწერებში. ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია "პატროლოგია გრეკაში"<sup>30</sup> სათაურით: "წმინდასა და დიდსა პარასკევასა, წმინდა ვნებისათვის უფლისა". ქართული თარგმანი ბერძნულთან მიმართებით თვალშისაცმ სხვაობებს ავლენს, განსაკუთრებით შემატების თვალსაზრისით. მაშასადამე, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს თხზულების საბოლოო ტექსტობრივი სახის დასადგენად.

კომპოზიტების წარმოებისას თეოფილეს ამ თარგმანშიც იჩენს თავს ბერძნული დელის კვალი. მაგალითად:

"ცრუ-მოწმევ" – ო ψευδόμαρτυς.

"ძრის-მოქმედი" – κακούργος.

"ქმა-წულილ" – ἵσχυνόφωνος.

"ენა-მძიმევ" – βραδύγλωσσος და სხვ.

და ბოლოს, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საღლესასწაულო ჰომილის, რომლის მთარგმნელის ვინაობის საკითხი საღავოა. ეს არის "თ ქ მ უ ლ ი წ მ ი დ ი ს ა დ ა ნ ე ტ ა რ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ე პ ი ფ ა ნ ე კ უ პ

<sup>29</sup> ნიკოდიმისის წიგნის ეს მეორე ნაწილი, გ. წ. Descensus-ი ქართულ ენაზე არ არსებობს. იხ.: ნიკოდიმისის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გმირებულება და ლექსიკონი დაუზიარ ც. ქ. უ. რ. ც. ი. დ. ე. გ. ბ., თბ., 1985 წ., გვ. 3-7.

<sup>30</sup> J. P. Migne, P. G., t. 62, col. 721-724.



რელ მთავარეპისკოპოსისა და მუცლი ჰუმურის გადასაცემის თანახმად, რაფამს ეხარა შობა და წმიდისა და რთის მშობელისა და მშობელის აქტის საკითხავი მხოლოდ ქართულ ენაზელა შემორჩენილი. იგი ამგვარად იწყება: "რად არს საიდუმლო ესე ახლი და დიდებული, ღმრთისა ქუეყნად გარდამოსლვად და დაძულებულისა მის ბუნებისა ბრწყინვალედ განახლებად ზიარებითა ბუნებასა მას არსა და ოკითოლობელსა?" რიტორიკული სიმძაფრით დამშული ეს კითხვა, რომელიც შემდეგშიც მეორდება, განსაზღვრავს ამ ქადაგების შინაარსსა და თხრობის ძაფს: გაბრიელ მთავარანგელოზი იოვაკიმსა და ანნას ამცნობს, რომ დაეხადებათ ღვთისმშობელი. საიდუმლო ხარება მოასწავებდა მაცხოვრის ქვეყნად მოსვლას და ადამის ნათესავის განახლებას.

საკითხავი პირობითად ორ ნაწილად იყოფა: პირველი ნახევარი უფრო შემცნებითი ხსიათისა და მკითხველსა თუ მსმენელს ანნას მუცლადლების ფაქტს ზოგადსარწმუნოებრივი პოზიციებიდან განუმარტავს. მეორე, ბოლო ნაწილი კა ძირითადად ამგვარი პომილიებისათვის დამახასიათებელ ხოტბა-შესხმით ელემენტს უკავია, განადიდებს და განაზოგადებს დღესასწაულის მინშენელობას ქრისტიანული ეკლესიისათვის. ზოგიერთ ადგილას გაიელვებს ეპიფანესათვის ჩვეული პოლემიკური ტონი: "რამეთუ არათუ კიდესადმე განშორებულ იყვნეს მამისაგან მე და სული წმიდამ, ვითარცა ღმრთის-მოძულებულმან არიოზ გულისქმა-ყო ამაოდ და უგუნურად, არამედ სიტყვა ამის თქმამა, ვითარმედ მოვედით, გამოაჩინებს სამგუამოვნებასა შეურევნელსა". სხვა რამე ხელჩასჭიდი ავტორის სასარგებლოდ, თუ არ ჩაითვლით, რომ ქადაგება მის "თქმულად" ცხადდება, ტექსტში არა გვაქვს. ერთი კი აშკარაა: თხზულებას გვიანდელი გადამუშავების კვალი აჩნევია. მაგალითად, საკითხავის ბოლოს მწვალებელთა შესხებ ვკითხულობთ: "რომელნი არა აღიარებენ წმიდასა ქალწულსა დედად და უთესლოდ მშობელად ძისა ღმრთისა, და შემდგომად შობისა კულად ვგრეთვე წმიდად ქალწულად". ცხადია, აქ იგულისხმებიან ნესტორიანელები, რომელთა მოძღვრება, როგორც აღვნიშნეთ, დაგმო და შეაჩვენა.

<sup>31</sup> ს. მახარაშვილი, გიორგი ქოპტელი ტევლ ქართულ შეტრლობაში, ქართული შეტრლობის საკითხები, ა. ბაგაშვილის დამატების 90-ე წლისთვისადმი მიმღებილი კრებული, თბ., 1993 წ., გვ. 322-323.



ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაშ (431 წ.). ასევე ბუნებრიზონურ ჰითმიცემი სიტყვები არ შეიძლება ექუთვნოდეს ეპიფანე კვიპრელს, რომელიც 403 წელს გარდაიცვალა.

"შუცლადლებისათვს ანახასა" წარმოადგენს ჭეშმარიტი მაღალმხატვრულობით გამორჩეულ ქედს, რომლის დინამიურ თხრობას ელფერს მატებს დიდი გემოვნებით შერჩეული კითხვა-შეძახილები, გაკირვებანი, განმეორებანი, კონტრასტული სიტყვა-თქმანი და სიმბოლურ-მეტაფორული სახეების მთელი აქსესუარი, რითაც ის უთუოდ ენათესავება იოანე დამპსკელის "ღვთისმშობლის შობის" ქადაგებებს. დიდი ოსტატობითაა იგი გადმოღებული ქართულ ენაზეც.

მაგრამ ვინ არის ჰომილის მთარგმნელი?

კ კეკლიძის აზრით, თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზონს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ S 1276 ხელნაწერში თხზულების მთარგმნელად ეფოვიმე ათონელია დასახელებული.<sup>32</sup>

ხელნაწერი S 1276 მეტნიერულად შეისწავლა ე. მეტრეველმა.<sup>33</sup> მან დაადგინა, რომ კრებულის პირველი ნაწილის რედაქტორი და მისი ერთ-ერთი გადამწერი იყო ეფრემ მცირე. მასვე უთარგმნია აქ წარმოადგენილი სექტემბერ-იანვრის საკითხავები, გარდა ეპიფანე კვიპრელის "შუცლადლებისათვს ანახასა". ამ თხზულების ტექსტზე დართულ შენიშვნაში ეფრემი გვაუწყებდა: "შემინდევით, სხუად საკითხავი მუცლად-ლებისად ვერ ვპოე, რომელიმცა მეთარგმნა. ესე მე ეფოუმის თარგმნილად შემო-მატყუეს გა... მგონია თეოდორე მრეკალსა ებრძანებინა" (56r). ეს მინაწერი ე. მე-ტრეველმა ამგვარად განმარტა: "...თეოდორე მრეკალის ცნობის საფუძველზე ეფრემს ეს საკითხავი თავდაპირველად ეფოვიმეს თარგმნილად მიუჩნევია (შესაძლოა უფრო ამიტომაც გაუძედავს კრებულში მისი შეტანა), ხოლო საკითხავს გადაწერის შემდეგ, ამ ცნობის სისწორეში ეჭვი შეპარვია და საჭიროდ მიუჩნევია თავისი ეჭვის გა-მოთქმაც. სხვათა შორის, ეფრემის ეჭვი საფუძველს მოკლებული არ არის. ამ საკითხა-

<sup>32</sup> კ ქ გ ე ლ ი ძ ვ ქართული ნათარგმნი აფიოგრაფია, B. მეტაფრასული რედაქცია, ეტიუდები, V, გვ. 161. შურ.: გვ. 47; 153 (აქ ხელნაწერი S 1276-ის ნაცვლად, შეცდებით მითითებულია S 1217).

<sup>33</sup> ე მ ე რ ხ ე ვ ლ ი ე ფრემ მცირის აფროგრაფია, საჭ. სარ მც. აკადემიის ხელნაწერთა ისტიტუტის მოამზე, I, თბ., 1959 წ., გვ. 115-125.



ვის მთარგმნელად კ კეყლიძე თეოფილეს მიიჩნევს. იერუსალიმის, ტბოთ ხელნაწერი კი საკითხავის მთარგმნელად ეფთვიმეს ასახელებს".<sup>34</sup>

როგორც ვხედავთ, ე. შეტრეველი ეფთვიმეს არ მიიჩნევს ეპიფანეს ჰომილი მთარგმნელად და კ კეყლიძის მოსაზრებას უჭირს მხარს. თუმცა მან მიუთითა კიდევ ერთი ხელნაწერი, სადაც სსენებული საკითხავია დაცული და მისი თარგმანი ასევე ეფთვიმე ათონელს მიეწერება. ეს არის Jer.30 (30r-38r), რომლის მესამე ნაწილი ბოლოს დართულ ზანდუკში იკითხება: "შუცლადღებისა საკითხავი, თქუმშული ეპიფანეკუპრელ მთავარებისკოპოსისა, თარგმნილი მამისა ეთუმესი" (216r).

კ კეყლიძისა და ე. შეტრეველის თვალსაზრისი აღნიშნულ ჰომილიასთან დაკავშირებით არ გაიზიარა ნ. გოგუაძემ. ეფრემ მცირის ზემოთმოყვანილ შენიშვნას მაშემდევი ასენა მისცა: "ძველ ქართულ ენაში "მოტყუება||შემოტყუება" ნიშნავს "მიცემას, შეძენას", ამიტომ მინაწერის ცნობა ასე უნდა გავიგოთ: სსენებული საკითხავი მმოცეს (გადმომცეს) როგორც ეჭვიმეს თარგმანი. აქ დაეჭვება არ უნდა იგულისხმებოდეს".<sup>35</sup> მკვლევრის აზრით, S 1276 შეტაფრასულ კრებულში თეოფილე ხუცემონაზვნის თარგმანის გამოჩენა მოსალოდნელი არ იყო: თურქ-სელჩუკთა შემოსევა XI საუკუნის ბოლოს ანტიოქია მოსწყვეტა ზიზანტიას და ამიტომ შავმთელმა ქართველებმა კონტაქტი დაკარგეს საზღვარგარეთის ქართული კულტურის სხვა კერძოთა – როგორც ათონთან, ისე კონსტანტინოპოლითა (სადაც მოღვაწეობას ეწეოდა თეოფილე).<sup>36</sup>

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რის საფუძველზე ჩათვალა კ კეყლიძემ "შუცლადღებისათვეს ანნახსა" თეოფილეს თარგმანად?

მკვლევარი იმოწმებს სამ ხელნაწერს: A162-ს, K(გელათურ)5-ს და S 1276-ს აქედან A162-ში ეპიფანეს ჰომილის მთარგმნელის ვინაობის შესახებ ცნობა ამოიპოვება. ხელნაწერ S 1276-ში, როგორც აღნიშნეთ, თხზულების მთარგმნელადასახელებულია ეფთვიმე ათონელი. დარჩა შეტაფრასული კრებული K5, რომელიც

<sup>34</sup> ე. შეტრეველი, დას ნაშრომი, გვ. 121.

<sup>35</sup> ნ. გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების ურთიერთიშიმართებისათვის, კ კეყლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავლთავი, XI, თბ., 1985 წ., გვ. 8.

<sup>36</sup> ივე, გვ. 8; 4.



კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის თაოსნობითაა გადანუსხული XVI საუკუნეში<sup>37</sup> ქართველის ქადაგებას აქ წინ უძღვის "პატაპის ცხოვრება", რომელსაც ტექსტის და-სასრულს, მარჯვენა სვეტის გამწვრივ, აშიაზე, აქვს თეოფილეს ცნობილი ანდერძი ("შეისწავეთ, აამეთუ სიჭაბუქესაცა მეთარგმა..."). ამ ანდერძს მოსდევს მინაწერი: "თარგმნილი თეოფილესი" (123r). ხელნაწერის ამავე გვერდიდან იწყება "შუცლადღე-ბისათვს ანნამსა", რომელსაც თავის მხრივ აშიაზე ასეთი მინაწერი აქვს: "ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონ".

ვფიქრობთ, კ კაველიძემ ის მინაწერი, რომელიც ეკუთვნის "პატაპის ცხოვრებას" ("თარგმნილი თეოფილესი"), მექანიკურად დაუკავშირა მომდევნო თხზულებას, ე. ი. ეპიფანეს ჰომილიას და ასე აღმოჩნდა ეს უკანასკნელი თეოფილეს მთარგმნელობით მემკვიდრეობაში.

ამრიგად, ეპიფანე კვიპრელის სახელით ცნობილი საკითხავის – "შუცლადღებისა-თვს ანნამსა", მთარგმნელი ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცული ბიბლიოგრაფიული ცნობების მიხედვით, არის არა თეოფილე ხუცესმონაზონი, არამედ ეფთვიმე ათონელი.

ითანე ოქროპირის "თარგმანებად დაბადებისამას"

ქართული თარგმანი

ჰაგიოგრაფიისა და ჰომილეტიკის გარდა, მეტაფრასტიკა შორეული ფესვებით დაკავშირებულია საკელესიო მწერლობის ისეთ დარგთან, როგორიცაა ეგზეგეტიკა. ჩ. სირაძე მართებულად ამყარებს კავშირს მეტაფრასტულ ლიტერატურასა და "სახისმეტყველებით" ეგზეგეტიკას შორის<sup>37</sup>. მისივე თქმით, მეტაფრასტიკა – ეს იგივე ჰაგიოგრაფიის ეგზეგეტიკაა.<sup>38</sup> მართლაც, აქ სრულიად გამჭირვალე ანალოგიებია როგორც ტერმინოლოგიურ დონეზე, ისე მიზანდასახულებითი თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ეგზეგეტიკა ბიბლიური თხზულების ტექსტის განმარტებას ნიშ-

<sup>37</sup> ჩ. სირაძე, ქართული ქსოვტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 154-156.

<sup>38</sup> ივე, გვ. 156.



ნავს. აქ "შეტაფრასი" ეწოდება ეგზეგეტიურ "გარდათქმას", ხოლო უკონტროლი მირითად ბიბლიურ ტექსტს, რომლის "თარგმანებაც" ხდება. მაშასადამე, "კიმენი" არის როგორც ბიბლიის განსამარტავი ტექსტი, ისე გადასმეტაფრასებული ჰაგიოგრაფიული თხზულება, ხოლო "შეტაფრასი" შესაბამისად - ეგზეგეტიური "თარგმანება" და "გარდაკაზმული" ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები.

ეგზეგეტიური მწერლობის ალექსანდრიული სკოლა, რომელიც ბიბლიის "სახისმეტყველებით" კომენტარს მიმართავდა, ხელს უწყობდა მხატვრული აზროვნების დანერგვას საეკლესიო ტრადიციაში. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც მოქმედებდა, როდესაც მარტივად აღწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულებების გადამუშავებას მიჰყვეს ხელი მათი "გამშვენების" მიზნით. თუმცა იმავე ისტორიულ ჭრილში, მეტაფრასტიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ანტიოქიის სალვითისმეტყველო სკოლის ლიტერატურული ტრადიციები. ეს ეგზეგეტიური სკოლა ბიბლიური წიგნების მხოლოდ და მხოლოდ ჩეალისტურ-ისტორიული "თარგმანებით" ქმაყოფილდებოდა.<sup>39</sup> მისი ერთ-ერთი უთვალსაჩინოები წარმომადგენელი იყო იოანე ოქროპირი. ის არასოდეს ექებდა "სალვოთო წერილში" საიდუმლო და დაფარულ აზრს, არასოდეს მიმართავდა ალეგორიას, სამაგიეროდ, მისი კომენტარები იყო უაღრესად ნათელი და პრაქტიკული ხასიათის, ბიბლიის თითოეული სიტყვა თუ პასაკი განმარტებული იყო საფუძვლინად და რაციონალისტური თვალსაზრისით. ეს ხელს არ უშლიდა იოანე ოქროპირს, რომ მისი ეგზეგეტიური საუბრები ყოფილიყო ორატორული ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მთელი აქსესუარით. მისი ნაწერები მომდევნო ხანის საეკლესიო მწერლობისათვის უნდა ყოფილიყო მშვენიერი მაგალითი პოეტური მეტყველების და მხატვრული აზროვნების დონისა.

იოანე ოქროპირის შემოქმედებაში მოხდა ეგზეგეტიკისა და პომილეტიკის ერთგვარი ჟანრობრივი შერწყმა. მისი კომენტარები - ეს იყო ზეპირად წარმოთქმული ქადაგებანი ბიბლიის ტექსტზე, ე.წ. ეგზეგეტიური პომილები. თუკი

<sup>39</sup> ამ.: ჭ კ ე კ ლ ი ქ. თარგმანებად ეკლესიასტისად მიტოოფანე ზმურნელ მიტოოპოლიტისად, ვტირდები, XI, თბ., 1972 წ., გვ. 180.



ჰომილეტიკამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი მაღალმიხატვულობით  
გარკვეულწილად მოამზადა ნიადაგი მეტაფრასული პაგიოგრაფიის აღმოსაცენებლად,  
გაშინ იოანე ოქროპირის ეზეტიკური ქადაგებანი იყო ეკლესიის ის კლასიკური  
მემკვიდრეობა, რაზეც, უპირველეს ყოვლისა, ორიენტაცია უნდა აეღო  
მეტაფრასტიკას.

იოანე ოქროპირის "დაბადების" კომენტარები ეზეგეტიკური ჰომილეტიკის  
შესანიშნავი ნიმუშია. ფიქრობენ, რომ იგი შექმნილია ანტიოქიაში, დაახლოებით 388  
წელს. თხზულება შედგება 67 ქადაგებისაგან, რომელთაგან 32 წარმოთქმულია  
დიდმარხვის პერიოდში. ვნების კვირას მწერალი დროებით წყვეტს საუბრებს  
"შესაქმის" თემაზე, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ კვლავ აგრძელებს და იმავე  
წელსვე ასრულებს მისი დარჩენილი ნაწილის განმარტებას.<sup>40</sup>

"თანგმანებად დაბადებისად" საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იოანე ოქროპირი  
სარგებლობდა წმ. მოწამე ლუკიანეს რეცენზიით გავრცელებული ბიბლიის ერთ-  
ერთი უძველესი ტექსტით, რომელიც IV საუკუნეში გამოიყენებოდა ანტიოქიისა და  
კონსტანტინოპოლის ეკლესიებში. ამიტომ ხსენებული ძეგლი მნიშვნელოვანია  
სპეციალისტებისათვის ბიბლიის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში ლუკანესული  
ვერსიის დასადგენად. "შესაქმის" ამ უძველესი ვერსიის თეოფილესული თარგმანი  
უთუოდ დააინტერესებოთ ქართველ მეცნიერებსაც. რაკიდა "დაბადების" კომენტარები  
თავებად დაყოფილია სწორედ განსამარტავი ბიბლიური ტექსტის მიხედვით, მოგვავს  
კს ტექსტი მთლიანად ისე, როგორც წარმოდგენილია ქართულ თარგმანში:

### At. 29

წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე  
ოქროპირისა, კოსტანტინეპოლეს  
მთავარეპისკოპოსა

თარგმანება დაბადებისა

<sup>40</sup> J. P. Migne, P. G., t. 53, Praefatio, col. 9-10; B. Altaner, A. Stüber, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, S. 324; Филарет. Архиепископ Черниговский и Нестинский, Историческое учение об Отцах Церкви, т. II, С.-Пб., 1882 г., стр. 204.

[თავი ა]



სიტყვად შემოსლვის] ათას წმიდათა მარხვათახსა.

[თავი ბ]

დაწყებისათვის დაბადებისა: "დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ" (დაბ. I, 1).

[თავი გ]

"და იყო მწუხარი და იყო განთიად დღე იგი" (დაბ. I, 5).

თავი დ

"და თქუა ღმერთმან: იყავნ სამყაროე შორის წყალთა და იყავნ იგი განმაშორებელ შორის წყალთა და წყალთა. და იყო ესრეთ" (დაბ. I, 6).

თავი ე

"და თქუა ღმერთმან: შეკრბედ წყალნი, რომელნი არიან ცასა ქუმშე შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ქმელი" (დაბ. I, 9).

თავი ვ

"და თქუა ღმერთმან: იყვნედ მნათობნი სამყაროსა მას ცათასა მნათობად ქუეყანასა ზედა, რამთა განსწვალებდენ შორის დღესა და შორის ღამესა და იყვნენ სასწაულებად და ჟამებად და დღედ და წელიწადებად" (დაბ. I, 14).

თავი ზ

"და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუმშარმძრომელი მშუნვიერი ცხოველი და მფრინველი ფრთოვანი ქუეყანასა ზედა, მსგავსად სამყაროხსა მის ცათახსა. და იყო ესრეთ. და შექმნა ღმერთმან ვეშაპი იგი დიღნი და ყოველი სული ცხოველი, რომელი გამოიღის წყალთა თესლად თესლადისაებრ მათისა" (დაბ. I, 20, 21).

თავი შ

"და თქუა ღმერთმან: ვემნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსებად. და მთავრობდედ თევზთა ზედა ზღვსათა და მფრინველთა ზედა ცისათა და პირუტყუთა და მეტოთა და ყოველსა ზედა ქუეყანასა და ყოველთა ზედა ქუმშარმავალთა, რომელი ძურებიან ქუმშენასა ზედა" (დაბ. I, 26).



## თავი თ

შემდგომი მისვე სიტყვასამ, ვითარმედ: "ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსებად", და სიტყვს-გებადცა მათდა მიმართ, რომელნი იტყვან: თუ რამათვს დახბალნეს მხეცნი და თუ რამ არს სარგებელი მათითა წარმოჩენითა? და ვითარმედ: უფროსებრი ესე გამოაჩინებს გარდამეტებულსაცა პატივსა კაცისას და აურაცხელსა ღმრთისა კაცთ-მოყუარებასა.

## თავი ი

ჩუევამ მათი, რომელთა პ[რ]ცხუშნის შემდგომად სამხრის[ა] მისლვად ეკლესიად სამწუხროდ, [და] ნეშტი სიტყვასამ მის[ ]: "ვქმნეთ კაცი ხატა[ლ] ჩუენდა და მსგავსე[ბად]"; და ვითარმედ: "შექმნა ღმერთმან [კაცი], ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი" (დაბ. I, 27).

## [თავი ია]

რამეთუ ჯერ-არს ფრიადსა მოსწრაოებასა ყოფად საონოებისათვს და მიმსგავსებამ წმიდათამ, რომელნი-იგი ამისვე ჩუენისა ბუნებისანი იყვნეს და მრავლითა გამოწულლვი[თა] წარპმართეს იგი, რომლისათვს, უკუეთუ უდებ ვიქმნეთ, არცა ერთი რამ მაქუნდეს პასუხი სიტყვს-მიცემისამ.

## [თავი იბ]

"ესე არს წიგნი შესაქმე ცისა და ქუეყნისამ, ოდეს-იგი შეიქმნეს; დღესა მას, რომელსა შინა შექმნა ღმერთმან ცამ და ქუეყნამ" (დაბ. II, 4).

## თავი იგ

"და დასხა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავლისასა და დაადგინა მუნ კაცი იგი, რომელიცა დაპბადა" (დაბ. II, 8).

## თავი იდ

"და მოილო უფალმან ღმერთმან კაცი იგი, რომელი შეზილა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას საშუალებლისასა საქმედ მისა დაცვად" (დაბ. II, 15).

## თავი იე

"ხოლო აღაშს არა ეპოვა შემწე მსგავსი მისი. და დასდვა ღმერთმან განკურვებამ აღაშს ზედა და დააძინა და მოულო ერთი ფერცხალი გუშრდისა მისისამ და



აღმოუვსო იგი ქორცითა. და უშენა უფალმან ღმერთმან ფურცხალი მეტწერის მოულო ადამს, ცოლად" (დაბ. II, 20-22).

თავი ივ

"და იყვნეს ორნივე იგი შიშუმლ, ადამ და ცოლი მისი, და არა პრცხუმნოდა" (დაბ. II, 25).

თავი ივ

"და ესმა ქმად უფლისა ღმრთისამ, ვიდოდა რამ შორის სამოთხმისა მიმწუხრი" (დაბ. III, 8).

თავი ის

"და უწოდა ადამ სახმლი ცოლსა თუსსა ცხორება, რამეთუ ესე არს დედამ ყოველთა ცხოველთამ. და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსმლი ტყავისამ და შეპმოსა მათ იგი. და თქუა: აპა, ესერა ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი" (დაბ. III, 20-22).

თავი ით

"ხოლო ადამ იცნა ევა, ცოლი თუსი, და მიუდგა და შვა კაჭნ. და თქუა: მოვიგე კაცი ღმრთისა მიერ. და შესძინა შობამ მისისა მისისა აბელისი. და იქმნა აბელ მწყემს ცხოვართა, ხოლო კაენ იყო მუშაკ ქუეყნისა" (დაბ. IV, 1,2).

თავი კ

"და პრქუა კაენ აბელს, ძმასა თუსსა: განვიდეთ ჩუენ ველად" (დაბ. IV, 8).

თავი კა

"და იცნა კადნ ცოლი თუსი, და მიუდგა და შვა ენოს. და აღაშენა ქალაქი და სახელსდვა სახელად სახმლსა ზედა ძისა თუსისა ენოსისსა" (დაბ. IV, 17).

თავი კბ

"ესე არს წიგნი შობისა კაცთამსამ. დღესამ მას, რომელსაცა ქმნა ღმერთმან ადამი, ხატად ღმრთისა შექმნა იგინი" (დაბ. V, 1).

თავი კბ

"და იყო ნოე ხუთასის წლის და ესხნეს მას სამ ძმე: სემ, ქამ და იაფეთ. და იყო მაშინ, ოდეს იწყეს კაცთა განმრავლებად ქუეყანისა ზედა, და ასულნიცა იშვენეს



მათდა" (დაბ. V, 32; VI, 1).

თავი კდ

"ხოლო ნოვე პოვა მაღლი წინაშე უფლისა ღმრთისა. ესე არიან უკუც ნოე შობანი. ნოე – კაცი მართალი, სრული ნათესავსა შინა მისსა [ ], სათნო-ეყო [ნოე ღმერთსა(?)]" (დაბ. VI, 8,9).

თავი კე

"ხოლო ნოე შვნა სამ ძმ: სემ, ქამ და იაფეთ. ხოლო განიხრნწა ქუეყანამ წინაშე ღმრთისა და აღიგსო უსამართლოებითა" (დაბ. VI, 10,11).

თავი კვ

"ხოლო ნოვე იყო ექუსასის წლის და წყლით-რღუნამ მოიწია ქუეყანასა ზედა". უფალო, წყალობა ყავ! (დაბ. VII, 6).

თავი კზ

"და მოექსენა უფალსა ღმერთსა ნოე, და ყოველთა მჯეცთამ და ყოველთა პირუტყუთამ და ყოველთა მფრინველთამ და ყოველთა ქუწარმავალთამ, რომელი იყვნეს მის თანა კოდობანსა მას შინა. და მოავლინა ღმერთმან ქარი ქუეყანად და მოაკლდა წყალი" (დაბ. VIII, 1).

თავი კტ

"და უშენა ნოე საკურთხეველი უფალსა, და მოილო ყოველთაგანივე საცხოვა-რთა წმიდათა და შეწირა მსხუმრპლი მრგულიადი საკურთხეველსა ზედა" (დაბ. VIII, 20).

თავი კო

"და პრეჭუა ღმერთმან ნოეს და ძმთა მისთა, და ეტყოდა: აპა, ესე რა მე აღვადგინო ალჟერმამ ჩემი თქუენდამი და თესლისა თქუენისა თქუენ თანა, და ყოველი სულივე სულისა ცხოველისა თქუენ თანა მფრინველთამთვან ვიდრე პირუტყუთალმდე და ყოველთავე მჯეცთა ქუეყანისათა" (დაბ. IX, 8-10).

თავი ლ

"და იწყო ნოე, კაცმან მუშაქმან ქუეყნისამან, და დაასხა ვენაჟი. და სუა ღუნისა მისგან და დამთრო" (დაბ. IX, 20, 21).



## თავი ლა

"და იყო ყოველი ქვეყნად ენა ერთ [ ] და კმა ერთ ყოველთამ" (ჭარბაზურავის)

"დაბადების" კომეტარების ქართული თარგმანი შედგება 31 თავისაგან. თეოფილეს ხელო უნდა ჰქონოდა ზუსტად ამ მოცულობის ბერძნული დედანი, რაზეც მიუთითებს შემდეგი:

1. ზემოთ ითქვა, რომ ქადაგებების პირველი ციკლი "დაბადების" თემაზე ითანებ აქროპირმა წარმოთქვა დიდმარხვის პერიოდში. 31-ე პომილის დასაწყისში კი იგი უკვე აღნიშნავს, რომ ორმოცდანანი მარხვა დასასრულს მიუხსლოვდა და კარს მოგვადგა დიდი დღესასწაულით (ე.ი. აღდგომა): "აპა, ესე რა აღსასრულსა ზედა მოვიწიენით ამიერითგან წმიდათა ორმეოცხასა და მარხვისა იგი სარბიელი წალვლიერ, და ნავსადგურსა დიდსა მის დღესასწაულისასა მოვიწიენით მადლითა ღმრთისათა" (At. 29, გვ. 698).

2. ქართული თარგმანის ტექსტი მიდის აბრაამძე, რაც ბუნებრივი დასასრული შეიძლება ყოფილიყო "თარგმანებად დაბადებისას" პირველი ნაწილისა.

3. თხზულების ბოლოს თეოფილეს მინაწერი გვაუწყებს, რომ მას თარგმანი გასრულებულად მიაჩნია: "დიდება ღმერთსა ს რ უ ლ მ ყ ო ფ ე ლ ს ა ყოვლისა კეთილისასა, ამინ" (At. 29, გვ. 729).

ამრიგად, თეოფილეს თარგმანი უტყუარად მიუთითებს, რომ არსებობდა ისეთი ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც აერთიანებდა დიდმარხვის პერიოდში ითანებ აქროპირის მიერ "დაბადების" თემაზე წარმოთქმულ პირველი ციკლის 31 ქადაგებას.

"დაბადების" კომეტარების ბერძნული ტექსტი გმოქვეყნებულია "პატრილიგია გრეკას" 53-ე და 54-ე ტომებში. შედგენილობის მიხედვით, ქართული თარგმანი პირველი 18 თავის ჩათვლით ემთხვევა ორიგინალს, XIX-XXI თავების დაყოფა კი განსხვავდება მისგან, თუმცა მინის გამოცემაში მითითებულია ზოგიერთი ბერძნული ხელნაწერი, რომლებშიც იგივე მე-19 თავი გამოყოფილია ქართულის ანალოგიურად";<sup>41</sup> დანარჩენი – XXII-XXXI თავები ტექსტობრივად კვლავ თანხვდება ორიგინალს, ოღონდ ერთი თავს მეტობით (ქართულის 22-ე თავი შეესაბამება

<sup>41</sup> J. P. Migne, P. G., t. 53, col. 153, not. a.



ბერძნულის 21-ეს, 23-ე – 22-ეს და ა.შ.). ასე, რომ, საბოლოოდ ურთიერთულებები სარგმანის 31 თავი უდრის მინის გამოცემის 30 თავს.

განსამარტავი ბიბლიური ტექსტების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ ცალკეული სხვაობანი თეოფილეს თარგმანსა და ორიგინალს შორის აქაც აღინიშნება:

1. ქართულ ტექსტს აკლია, ბერძნულში მეტია:

ა) Εἰς τὰ ὑπόλοιπα τοῦ, "Ἐν ἀρχῇ ἐποίησεν ὁ Θεὸς τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν, "εως του... (P.G., t. 53, col. 125).

ბ) Εἰς τὰ ἀκόλουθα τῆς κτίσεως (P.G., t. 53, col. 98).

გ) Εἰς τὴν παράβασιν τῶν πρωτοπλάστων (P.G., t. 53, col. 125).

დ) ... ἄρσεν καὶ θῆλυ ἐποίησεν αὐτοὺς, καὶ ἐπωνόμασε τὸ δύομα αὐτῶν Αδάμ, ἥτις ἡμέρᾳ ἐποίησεν αὐτούς. (P.G., t. 53, col. 175).

ე) "და მოიღო ყოველთაგანივე Καὶ ἔλαβεν ἀπὸ πάντων τῶν κτη-  
საკեოვარτα წმιდაτα" (At 29, გვ. 58). νῶν τῶν καθαρῶν, καὶ ἀπὸ  
πάντων τῶν πατεινῶν καθαρῶν (P.G., t. 53,  
col. 239).

2. ქართულ თარგმანში დასტურდება ერთი განსხვავებული წაკითხვის

მაგალითიც:

"და მოავლინა ლმერთმან ქართული ჭუეყანად და მოაკლდა წყალი" (At 29, გვ. 547)

Καὶ ἐπήγαγεν ὁ Θεὸς πνεῦ  
μα ἐπὶ τὴν γῆν, καὶ ἐκόπασε  
τὸ նմար (P.G., t. 53, col. 229).

ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ თეოფილეს თარგმანის დედანი განსხვავდება იმ ძირითადი ბერძნული ხელნაწერებისაგან, რომლებიც საფუძვლად უდევს "დაბადების" კომენტარების მინისეულ გამოცემს. მაშასადამე, ქართულ ტექსტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ხსენებული ძეგლის ტექსტოლოგიური საკითხების გადასაჭრელად.

რაც შეეხება თავად ეგზეგეტიკურ ჰომილიებს, რომლებიც "თარგმანება დაბადებისას" უმთავრეს ტექსტს შეაღენს, აქ ქართული თარგმანი არსებითად



მოპყვება ორიგინალს. ხოლო ის მცირეოდენი სხვაობები, რაც კლიფტების ქრისტიანული ბერძნული ტექსტების შედარებისას, ძირითადად არის დედნისეული, თეოფილეს ხელთ არსებული ბერძნული ნუსხიდან მომზრინარე ვარიანტული იკითხვისები და არა მთარგმნელის თავისუფალი შემოქმედების ნაყოფი.

შესაძლებელია, ითანე ოქროპირის 4 სიტყვა – ერთი ბზობაზე და სამცი მაცხოვრის ვნების შესახებ თეოფილე ხუცესმონაზონმა თარგმნა დაახლოებით იმავე პერიოდში, როდესაც გადმოიღო ქართულად "შესაქმის" პომილიები. ეს კი XI საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი უნდა იყოს. მაგრამ დღეს ამის გადაჭრით თქმა ძნელია და მხოლოდ ვარაუდით უნდა შემოვიფარგლოთ.

ერთი რამ კი უაშეველია: თავისი შემოქმედების მიწურულს თეოფილემ თარგმნა ითანე ოქროპირის "თარგმანებიც დაბადებისაც" პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს 31 პომილიას. იგი შემოინახა ერთად ერთი – At. 29 ხელნაწერით. მისი გადანუსხვა მწერალმა დაიწყო საბერძნეთში და დაასრულა ათონის ივერთა მონასტერში.

"დაბადების" კომენტარების მეორე ნაწილი – დანარჩენი 37 ეგზეგეტიკური პომილია, არ არის ცნობილი ჩვენს მწერლობაში. მიუხედავად ამისა, ის, რაც გაგვაჩნია თეოფილესული თარგმანის სახით, მრავალმხრივ არის საყურადღებო. მისი გამოქვეყნების შემთხვევაში, იგი უმაღლ გახდება სპეციალისტთა დაკვირვებისა და ფართო შესწავლის ობიექტი.

ამრიგად, თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობითი მუშაობა პომილეტიკასა და ეგზეგეტიკაში მეტაფრასტიკის – ამ ახალი ლიტერატურული მიმართულების სულისკვეთებით იყო აღმდევდილი. მართალია, ეს მიმღინარეობა, პაგიოგრაფიის გარდა, საეკლესიო მწერლობის სხვა დარგებს უშუალოდ არ შეხებია. მაგრამ ის განსაზღვრავდა XI საუკუნის მხატვრული აზროვნების დონეს და ესთეტიკურ გემოვნებას. ამის ერთი ნათელი მაგალითი იყო თავად თეოფილეს შემოქმედება.



## ლიტერატურული პარალელური და ტრადიციები

შემოქმედებითი პარალელიზმი არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა ძველ ქართულ მწერლობაში. ერთი და იმავე საეკლესიო თხზულების განმეორებითი თარგმნა ან ძველი თარგმანის ხელახალი რედაქტირება, უპირველს ყოვლისა, ეპოქის ლიტერატურული მაჯისცემის, გემოვნებისა და მოთხოვნილების მაჩვენებელია. ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ლიტერატურული ტრადიციაც, რაც ძველ ავტორებს ეკლესიისათვის საჭირო და პოპულარული ნაწარმოებების თარგმნისაკენ უბიძგებდა. თუმცადა ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ორი მწერალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთორულად თარგმნიდა ქრისტიანული ლიტერატურის ამა თუ იმ ნიმუშს და ამის შესახებ არაფერი უწყოდა.

ასეა თუ ისე, პარალელური თარგმანების არსებობა განსაკუთრებული ფაქტია ლიტერატურის ისტორიაში. ამ თარგმანების ბერძნულ ორიგინალთან შედარება და სხვა მონაცემების გათვალისწინება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ბიზანტიური მწერლობის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გარკვევას, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა არა მარტო განვაზღვროთ ამა თუ იმ მწერლის მთარგმნელობითი მეთოდი, არამედ ვაჩვენოთ ერთი მთარგმნელი მეორის ფონზე, უფრო ზუსტად წარმოვაჩინოთ მათი შემოქმედებითი პრინციპები, ლიტერატურული მრწავისი, ალლო და გემოვნება, მთარგმნელობითი ხელოვნება, სიტყვასთან დამოკიდებულება, პოეტური ხელწერა და ა.შ.

თეოფილე ხუცესმონაზვნისეულ თარგმანებს ზოგჯერ პარალელები ექვენება სტეფანე სანანოის ძის, დავით ტბელის, ეფთვიმე ათონელის, ეფრემ მცირის და სხვა ანონიმ ქართველ მთარგმნელთა შემოქმედებაში. ამჯერად შევეხებით მხოლოდ თეოფილეს თარგმანების მიმართებას ეფთვიმესა და ეფრემის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან, წარმოვაჩინოთ ამ გამოჩენილ მწერალთა მთარგმნელობითი მოღვაწეობის ცალკეულ ასპექტებს.



## თეოფილე ხუცესმონაზონი და ეფთვიმე ათონელი ურავაზული შემძლობელი

იმანე ოქროპირის “დაბადების” კომენტარების თარგმანის ანდერძში (At. 29), რომლის ტექსტი ზემოთ დავიმოწმეთ, თეოფილე ხუცესმონაზონი თავის მოძღვარ-მასწავლებელთა უწინარეს ეფთვიმე ათონელს ასახელებს. ასევე ბერძნული “პა-ტერიკის” თარგმანის წინასიტყვაობაში (A1105, 1r) მწერალი გიორგისა და ილარიონ-თან ერთად უპირველესად ეფთვიმეს შესთხოვს ლოცვასა და მეოხებას.

ეს შემთხვევითი არაა!

ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი განუზომელი ავტორიტეტით სარ-გებლობდა მის უშუალო მოწაფეებსა თუ მოწაფეთა-მოწაფეებს შორის. მომდევნო თაობის ათონელები ღრმად სწავლობდნენ ეფთვიმეს ლიტერატურულ მემკვიდრეობას, გადანუსავდნენ და ამრავლებდნენ მის ხელნაწერ თხზულებებს, მისი ბრწყინვალე თარგმანებით იწაფებოდნენ ლიტერატურულ და მთარგმნელობით ხელოვნებაში. ამ ნიშნით ეფთვიმე იყო ნამდვილი წინამღლოლი და მოძღვართ-მოძღვარი ყველა თაობის მთაწმინდელი მწიგნობრისა თუ მწერლისათვის.

თეოფილე ხუცესმონაზონის შემოქმედება თავისი ფესვებით უცილობელ კავშირ-შია ეფთვიმე ათონელის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან და ერთგვარად აგრძელებს და ავითარებს მისი დიდი წინამორბედის მიერ ათონზე დამკვიდრებულ სამწერლო ტრადიციებს.

თეოფილემ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილი სვიმეონ ქართულის მეტაფრასული კორპუსის ქართულად გადმოთარგმნას შეალია. ხოლო ქართული მეტაფრასტიკის სათავეებთან, როგორც აღვნიშვნეთ, ეფთვიმე ათონელი იდგა. საგულისმთა ისიც, რომ თეოფილე ხუცესმონაზონმა მის მიერ თარგმნილ მეტაფრასულ კრებულებში არ შეიტანა არც ერთი სხვა ქართველი მწერლის თარგმანი, გარდა ეფთვიმესი (მხედველობაში გვაქს 14 სექტემბრის საკითხავი: “ამაღლებისათვეს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჭუარისა”). ეს ფაქტი საინტერესოა იმ შერივაც, რომ ამ ორი მთარგმნელის ხელწერა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთი-საგან (როგორც ცნობილია, ეფთვიმე ათონელი ე. წ. “თავისუფალი” მთარგმნელო-

ბითი სკოლის წარმომადგენელი იყო, ხოლო თეოფილე ხუცესმონაზონი უკავშირი “წესტი” თარგმანის პრაქტიკის მიმდევარი). ერთი სიტყვით, მთარგმნელობის უძრავი და სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში ბარიერს არ ქმნიდა შემოქმედებითი ურთიერთკავშირი-სათვის, რასაც უთუოდ ხელს უწყობდა ეფთვიმეს უზარმაზარი ლიტერატურული ავტორიტეტიც. ასეა თუ ისე, თეოფილესა და ეფთვიმეს მხატვრულ შემოქმედებას შორის კავშირის სხვა მაგალითებიც არსებობს, რაზედაც ღირს საგანგებოდ შევჩერ-დეთ.

ი ო ა ნ ე თ ჭ რ თ პ ი რ ი ს “ს წ ა ვ ლ ა ნ ი”. კარგა ხანს ჩვენს მეცნიერებაში ითანე ოქროპირის “ასკეტიკონის” სახელით ცნობილი იყო თბზულება, რომლის მთარგმნელად თეოფილე ხუცესმონაზონი იყო მიჩნეული. ქართული თარგმანი შემოუნახავს ერთადერთ – A143 ნუსხას. ამ ხელნაწერის შესახებ პირველი ცნობები მოგვაწოდა თ. უორდანიამ, რომელიც წერდა: “Рукопись переписана в два столбца (по 27 стр. в столбце) алфавитом хуцури почерком XIII в. Заключает в себе: 1) Аскетикон св. Иоанна Златоустого в переводе Феофила, стр. 100 (начало нет) и 2) послания св. Палладия, епископа Каппадокии к Лавсию Препосitu стр. 157 (“Лавсаокон”)<sup>1</sup>

კ კეკლიძემ ერთგვარად შეასრო თ. უორდანის ცნობები. მან აღნიშნა, რომ ითანე ოქროპირის “ასკეტიკონი” შედგებოდა მორალურ-ასკეტიკური და ჰომილეტიკური შინაარსის 19 თავისაგან; მეცამეტე თავის შედევ იკითხებოდა: “тარგმანი თეოფილესი”. მანვე გაგვაცნო თხზულების თითოეული თავის დასათაურება.<sup>2</sup>

ითანე ოქროპირის ე. წ. ასკეტიკონის შინაარსი ასეთია:

1. ნაქლულია.
2. “უწავლად, რამთა ვიღუაწოთ არა ვნებად, არცა ძვრის ზრახვად მოყუასთა, არამედ თავთა თჯოთა განვიკითხვიდეთ”.
3. “ქსენებისათვს ცოდვათამა და სინანულისათვს”.

<sup>1</sup> Ф. Д. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, Тифлис, 1903 г., стр. 150.

<sup>2</sup> ჭ კ ე კ უ ლ ი ძ ე კ ე კ უ ლ ი ქართული ლიტერატურის სტორი, 1, თბ., 1980 წ., გვ. 246. მ ი ს ი ვ კ უ ლ ი ავტორების ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიულები ძველი ქართული ლიტერატურის იტოზიდან, V, თბ., 1957 წ., გვ. 69-70.



4. “შურიისათვს”.
  5. “მოწყალებისათვს”.
  6. “ვითარდედ არა უქმს მდგომარეობა ვიდრე ილიასრულამდე მინდობად თავისა თვისისად, არცა, რომელი დაეცეს, უქმს სასოწარკულეთილებად”.
  7. “ვითარდედ უმძიმეს არს ჯოგორეთისა გამოვრდომად იგი სასუფევლისაგან და, ვითარდე კეთილნი საქმენი უაღრესად ბრწყინვალე ჰყოფენ კაცას, ვიდრელად დიდებად სოფლისად”.
  8. “ძარ-უქსენებლობისათვს და წესიერად დგომისათვს ეკლესიასა „შინა”.
  9. “რამთა საყურაელ ვიყვნეთ კეთილთა საქმეთა მიმართ და მოუწყინებელად ვეველრებოდით ღმერთისა პოვნად წყალობისა მისისა”.
  10. “ვითარდე ჭერარს მარადის ქსენებად ცოდვათა ჩუენთად და ვეღრებად ღმრთისად, რამთა შეგვნდოს და საუკუნოებსა მისთვის სასჯელისა”.
  11. “საუკუნოებსა მის სასჯელისათვს”.
  12. “სინანულისათვს ცოდვათამა და ლოცვისათვს”.
  13. “ვითარდე მართლად ცხორებად ჩუენი დიდებასა მოატყუებს ღმერთისა და დედათა მიმართ, რომელნი შეიმკვებიან”.
  14. “რამთა ვიქადოდით ჭუარცუმისათვს ქრისტესისა და სასოდ ჩუენდა გუაქუნდეს ჭუარი წმიდად მისი და სახიერებისათვს უფლისა”.
  15. “მარხვისა და ლოცვისათვს და მომთრვალეთათვს”.
  16. “სიმღაბლისათვს და ამპარტავნებისა”.
  17. “შერმისა მისთვის სასჯელისა და რამთა მოვიგოთ ზრუნვად სულთა ჩუენთად”
  18. “ღლისა მისთვის საშინელისა და, ვითარდე მრავალნი მცირედისა და უნდოებსა შრომისათვს დააკლდებიან კეთილთა მათ საუკუნეთა”.
  19. “ანგაპრებისათვს” (A143, 1-156).
- 1962 წელს დაიბეჭდა ო. ჭყონის ნარკვევი: “ძელნი სწავლანი მომთრვალეთათვს”. მკვლევარს აინტერესებდა “მთრვალობასთან” დაკავშირებული ძელი სტატიები. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა იმანე ღვროპირის “თარგმანებად მათეს სახაებისად”, რომელიც ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ არის თარგმნილი. ამ თხზულებაში



განმარტებულ სახარების ციტატებს ახლავს მორალურ-ზნეობრივი ხსენითი კურსული სობრივად შესატყვისი სწავლანი. თითოეულ მათგანს აქვს თავისი სათაური და სათაურავი. ერთ-ერთი ასეთია: “სწავლამ ნზ, ღოცვისათუს და მარხვისათუს და მომთრვალეთათუს”.

მაგრამ ამგვარ სწავლას ხომ თეოფილეს თარგმანად მიჩნეული ასკეტიკური კრებულიც შეიცავს?

თ. ჭყონიამ შეადარა სწავლათა ქართული ტექსტები ერთმანეთს, რამაც მათი აბ-სოლიტური იდენტურობა დაადასტურა. მან გააგრძელა ძიება ე.წ. “ასკეტიკონის” შემადგენელი სხვა თავების მიმართაც. საბოლოოდ, გაირკვა შემდეგი: უცნობ ავტორს “მათეს სახარების” განმარტების ეფოვიმესული თარგმანიდან აღიტული აქვს 18 სწავლა და უცვლელად შეტანილი თავის კრებულში. მხოლოდ ერთი თავის, მე-13 სწავლის, თარგმანი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს, რაც სათანადოდ მითითებულია კიდეც ხელნაწერში: მე-100 გვერდზე, აშიაზე წერია – “თარგმანი თეოფილე”. ეს თავი, რომელსაც ეწოდება “ვითარმედ მართლად ცხორებად ჩუქნი დიდებასა მოატყუებს ღმერთსა და დედათა მიმართ, რომელი შეიმკებიან”, წარმოადგენს იოანე ოქროპირის სხვა თხზულების ნაწილს; კერძოდ, ეს არის ტიმოთესადმი პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლის განმარტების IV თავის II ნახევარი (3 და 4 მუხლები).<sup>3</sup>

ამრიგად, ჩვენს მეცნიერებაში იოანე ოქროპირის “ასკეტიკონის” სახელით ცნობილი ძეგლი სინამდვილეში წარმოადგენს მისი ეგზეგეტიკური თხზულებებიდან, უპირველეს ყოვლისა კი, სახარების მათეს თავის “თარგმანებიდან” ამოკრეფილ სწავლათა კრებულს. ნაწარმოების სათაური ზუსტად ვერ ასახავს მის ხასიათს და შინაარსს. ამგვარი სახელწოდების თხზულებას არც იცნობს იოანე ოქროპირის ლიტერატურული მექანიზმები. ამიტომ უფრო მართებულია მისთვის უბრალოდ “სწავლანი” გვეწოდებინა.

ზემოთქმულის შემდევ მაინც რჩება რიგი საკითხებისა, რომლებიც გარკვევას მოითხოვს; კერძოდ: რა პრინციპითა შედგენილი კრებული? საიდან აღმოჩნდა მასში

<sup>3</sup> თ. ჭ ყ ო ნ ი ა, ძელნი სწავლაზე მომთრვალეთათუს, ხელნაწერთა იმსტიტუტის მოაშვე, IV, თბ., 1962 წ., გვ. 145-161.



თეოფილეს თარგმანი და ეპუთვნის თუ არა მას ის ნამდვილად? ვინ არტყაშისე შემზღვეული დგენერ-ჩედაქტორი? რა ურთიერთმიმართება არსებობს “უწავლანის” ქართულ ტექსტსა და ბერძნულ ორიგინალს შორის?

“უწავლათა” კრებულის შედარება მათეს სახარების კომენტარების ეფუთვიმესეულ თარგმანთან<sup>4</sup> შედგენილობის თვალსაზრისით ასეთ სურაოს იძლევა:

პირველი ნაკლული თავი შეესიტყვება “თარგმანების” დ(4) სწავლას, რომელსაც ეწოდება: “ვითარმედ უქმს ქრისტიანება საქმითაცა კეთილთა მოგებად” (A365, 23v-29r).

მეორე თავი შეესაბამება მბ(42) სწავლას (A365, 270r-272r),

მესამე თავი – მა (41) სწავლას (A365, 268r-269r),

მეოთხე თავი – მ (40) სწავლას (A365, 264r-265r),

მეხუთე თავი – ლე (35) სწავლას (A365, 241v-243r)

მეექვსე თავი – კვ (26) სწავლას (A365, 187r-189v)

მეშვიდე თავი – კვ (23) სწავლას (A365, 173r-176r)

მერვე თავი – ით (19) სწავლას (A365, 146v-147v)

მეცხრე თავი – კბ (22) სწავლას (A365, 161v-164r)

მეათე თავი – იდ (14) სწავლას (A365, 94v-96r)

მეთერთმეტე თავი – ია (11) სწავლას (A365, 75v-78v)

მეთორმეტე თავი – ი (10) სწავლას (A365, 68v-71r)

მეთოთმეტე თავი – ნდ (54) სწავლას (A365, 327v-330r)

მეთხუთმეტე თავი – ნზ(57) სწავლას (A365, 347r-349r)

მეთექვსმეტე თავი – მე (65) სწავლას (A365, 391v-393v)

მეწერილმეტე თავის – მთ (69) სწავლას (A365, 413r-415r)

მეთვრამეტე თავი – ოვ (76) სწავლას (A365, 445v-448r)

მეცხრამეტე თავი – პგ (83) სწავლას (A365, 482r-483r)

<sup>4</sup> ბოლო ხანგში სამ წიგნად დაიტექტდა ითანე ღვროპლიტის “თარგმანებამ მათეს სახარებისას” ეფუთვიმესეული თარგმანი, რომელიც ათონის სედანურების მიხედვით გამოისახება მოაღწდა თუ ლაზონაწილის “ორიონის” დაუდგმა მ. შ. ა - ხ. ი. დ. ი. ს. რედაქტორობით - I, თბ., 1996 წ.; II, თბ., 1996 წ.; III, თბ., 1998 წ.



ჩედაქტორს “თარგმანების” სწავლათა ამოკრებისას გარეული ღამისი დაულაგებია დამზადილი ნუ-დაუცავს. მეორე თავიდან მეცამეტე თავამდე სწავლანი დაულაგებია დამზადილი ნუ-მერაციით, გარდა ერთი გამონაკლისისა – მე-8 თავისა, რომელიც ამ პრინციპით მე-9 ადგილზე უნდა იჯდეს, ხოლო მეცამეტე თავიდან მეცხრამეტე თავამდე – აღმავალი ნუმერაციით. ეს წმინდა ფურმალური თვალსაზრისით. რაც შეეხება შინაარსობრივ მთარეს, ამ მხრივ სწავლათა შერჩევისას რაიმე კანონზომიერება არ შეიძინება. როგორც ჩანს, უცნობ ავტორს ითანე ოქროპირის ეგზეგეტიკურ სწავლათაგან საკუთარი გემოვნების მხედვით შეურჩევია მისი აზრით ყველაზე უფრო აქტუალური ზნეობრივი ხასიათის დარიგებანი და ერთ კრებულში გაუქრთიანებია.

ეფთვიმეს მიერ თარგმნილ ითანე ოქროპირის სწავლათა რიგში ბუნებრივად ზის მეცამეტე სწავლა, რომელიც იმავე ავტორს ეკუთვნის და კიცხას ქალების მიერ ფერ-უმარილის ხმარებას. ხელნაწერში ეს თარგმანი, როგორც აღნიშნეთ, თეოფილე სუცემონაზონს მიეწერება. ამ მწერლის სასარგებლოდ მეტყველებს დამატებით სხვა რამდენიმე გარემოება.

1. როგორც აღნიშნეთ, თეოფილეს თარგმნილი აქვს ითანე ოქროპირის “თარგმანებამ დაბადებისა” და მისივე 4 სადღესასწაულო სიტყვა. ასე რომ, მის მიერ ამავე მწერლის პავლეს ეპისტოლის ეგზეგეტიკური პომილის თარგმნა მოულოდნელი სრულიადაც არ ჩანს.

2. მეცამეტე სწავლის თარგმანის ტრადიციული შაბლონური დაბოლოება ნიუანსურად განსხვავდება დანარჩენი 18 სწავლის დაბოლოების ტექსტისაგან. მაგალითად:

თ ე ო ფ ი ლ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი  
“რომლისა თანა მამისა სულით  
წმიდითურთ დიღებაა, სიმტკიცე,  
პატივი აწ და მარადის და ს ა უ  
კ უ ნ ე თ ა ს ა უ კ უ ნ ე თ ა  
ს ა, ამენ” (A143, თ.13, ფ.107).

ე ფ თ ვ ი მ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი  
“რომლისა არს დიღებაა და  
სიმტკიცე თანა მამით და სულით  
წმიდითურთ აწ და მარადის და  
უ კ უ ნ ი თ ა უ კ უ ნ ი ს ა  
მ დ ე, ამენ”. (A143, თ.14, ფ.118).



3. “სწავლათა” მე-13 თავის ქართული ტექსტი თეოფილესათვის ზუსტით მიჰყება ბერძნული დედნის შესაბამის ნაწილს – ტიმოთესაღმი პავლეს I ეპისტოლის გამარტების IV თავის მეორე ნაწილს (P.G., t.62, col. 523-526). მოვყენოთ ერთ მაგალითს:

“არა არს უკუ მეტობა, ერთი თუ იყოს კედლუც და სხუამ იგი არა ესევითარ, არამედ მეტობამ არს, თუ ერთი იგი იყოს მებავ და უს-ახურ, და სხუამ იგი იყოს უკეთურ” (A143, თ.13, ფ.103).

რაც შეეხება ეფთვიმესეული 18 სწავლის ქართულ თარგმანს, ის მთლად ზუსტად არ არის გაღმოღებული ბერძნული ორიგინალიდან. ყოველ შემთხვევაში, ის აშკარად სხვაობს მინის “პატროლოგია გრეკაში” დაბეჭდილი ტექსტისაგან (P.G., t. 57-58). მასში გვხვდება როგორც ცალკეული შემატება-კლებანი, ისე განსხვავებული წაკითხვები. დავიმოწმებთ ერთ დამსასიათებელ ნიმუშს:

“რომელი ილოცვიდეს მარხვი-თურთ, ფრთოვან არს ლოცვამ მისი, და უმჯურვალეს ცეცხლისა, საშინელ არს იგი ეშმაკთა და შემ-წუვლ ძლისა მათისა. და რადმცა იყო უძლიერეს კაცისა, ჟეშ-მარიტოა ლოცვათა აღმასრუ-ლებელისა” (A143, თ.15, ფ.119).

Οὐκ ἔστι πλεονεξία τὸ ἐτέραν μὲν εἶναι καλὴν, ἐτέραν δὲ μὴ τοιαύτην πλεονεξία ἔστι τὸ ἐτέραν μὲν πορνεύειν καὶ καλὴν μὴ οὖσαι, ἐτέραν δὲ εἶναι πο-νηράν (P.G., t. 62, col. 525).

Ο εὐχόμενος μετὰ νηστείας διπλᾶς ἔχει τὰς πτέρυγας, καὶ τῶν ἀνέμων αὐτῶν κουφοτέρας. Οὐδὲ γὰρ χασμάται καὶ διατεί-νεται καὶ σαρκᾶ εὐχόμενος, ὅπερ πάσχουσιν οἱ πολλοί· ἀλλ’ ἔστι πυρὸς σφοδρότερος, καὶ τῆς γῆς ἀνώτερος. Διὸ καὶ μάλιστα ὁ τοιοῦτος τοῖς δαίμοσιν ἔχθρος καὶ πολέμιος. Οὐδὲν γὰρ ἀνθρώ-που γνησίως εὐχομένου δυνα-τώτερον (P.G., t.58, col.563).



როგორც ვხედავთ, საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ A143 ნორმის მინაზე ერში, რომლის მიხედვითაც “უწავლათა” მეცამეტე თავი თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანს წარმოადგენს.

მაგრამ, რატომ აღმოჩნდა თეოფილესული თარგმანი ეფოვიმე ათონელის მიერ თარგმნილ “უწავლათი” და ვინ იყო ამ ასკეტური კრებულის რედაქტორი?

ამ კითხვაზე პასუხი შესაძლოა ყოფილიყო A143 ხელნაწერის დასაწყისში, რომელსაც ფურცლები აკლია. ამიტომ ისლა დაგვრჩნია, რომ სხვნებული კრებულის შემდგენლად თავად თეოფილე ხუცესმონაზვნი ვიგულისხმოთ. სხვანაირად ძელი ასახელი იქნება, როგორ მოხვდა მასში ამ მწერლის მიერ ითანე ოქროპირის სხვა თხზულებიდან თარგმნილი სწავლა.

ამრიგად, თეოფილე არის ითანე ოქროპირის “უწავლათა” არა მარტო ერთ-ერთი მთარგმნელი, არამედ, საფიქრებელია, კრებულის შემდგენელ-რედაქტორიც.

“წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა თანა ცორებათათ ჯა მოქალაქობათა” – ასეთი სა-თავური აქვს თეოფილე ხიცესმონაზვნის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ “პატერიკს”, ე.წ. ონბრიუ აგეას ბებლის (“წიგნი წმიდათა მამათაც”). თეოფილემდე ბერძნული “პატერიკის” თარგმანი შესრულებული აქვს ეფოვიმე ათონელსაც.

ეს შემთხვევითი არ არის!

“პატერიკები” სასულიერო მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ, პოპულარულ და მაღალმხატვრულ სახეობათა რიცხვს განკუთვნებიან. მათში თავმოყრილია და სისტემატური სახით დალაგებული გამოჩენილ წმინდა მამათა ბრძნული გამონათქვამები, სენტენციები და ნაკვესები, აგრეთვე მოძღვრება-მსჯელობანი ამა თუ იმ ზნეობრივ თემაზე და სასულიერო მოთხოვბა-თქმულებანი რომელიმე ასკეტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ე.წ. პატრისტიკული ნოველები. ისნი ქადაგებრ ბერ-მონაზვნური ცხოვრების იდეალებს, ეწვევიან მონასტრული ყოფის პოლოგიას, სულიერ საზრდოს აწვდიან ასკეტ მამებს, ხელს უწყობენ მათ გონებრივ თუ ზნეობრივ წინსვლასა და წარმატებას.

თეოფილეს მიერ თარგმნილი “პატერიკი” დაცულია A1105 (XI ს.), A528 (XII ს.), A1339 (XII ს.), A688 (XVII ს.), A168 (XVI–XVII ს.ს.), A169 (1745 წ.) და 5232 (XVIII ს.) ხელნაწერებში. ამათგან ყველაზე ძველია A1105 ავტოგრაფული ნუსხა. როგორც აღვნიშვნეთ, იგი გადაწერილია XI საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში. ეს ნუსხა ნაკლულია: XXIII თავს აკლია ბოლო ნაწილი, XXIV თავს – დასწყისი, ასასრულია XXV და XXVI თავებიც. მთელი კრებული კი შედგება შესავლისა და 25 თავისაგან (ე.ი. სულ 26 თავისაგან). ესენია:

ა. “შესავალი წიგნისად წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათა-თავს და მოქალაქობათა”.

ბ. “უწავლანი შუშნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათნი, სისრულისათა-სათნოებათასა”.

გ. “უწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათნი და, ვითარმედ ჯერარს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიღევნებად დაყუდებასა”.

დ. “თხრობად თუთო სახშ წმიდათა მამათად ღმობიერებისათავს”.

ე. “უწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათნი მრავალსახენი და მრავალ-გუარნი მარხვისათავს და სხუათა მათ სათნოებათა და, ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახვის მარხვად, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და ალძრვათა სულისათა”.

ვ. “მოძღვრებანი თუთოფერნი და მოთხრობანი მრავალსახენი წმიდათა მამა-თანი განკრალვისათავს ჩუენდა ბრძოლათასა, რომელნი-იგი სიძვის მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა”.

ზ. “უპოვარებისათავს და არა მიხუმჭისა და სხუათა მათთავს სათნოებათა”.

თ. “თხრობად თუთოსახშ წმიდათა და ღმრთისულიერთა მამათად, რომელი ალმეურავს ჩუენ და ალმაღვინებს სიმწედ და მოთმინებად”.

ო. “უწავლანი და თხრობანი წმილთა ნეტართა მამათნი, ვითარმედ არარასა ჯერარს ქმნად საჩუმნებელად კაცთა”.

ი. “ვითარმედ ჯერარს ყოვლითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რათა არაგის განვიკითხვიდეთ”.



- ია. “განკითხვისათვეს საღმრთოსა და განჩრჩევისა ქმთილისა ბორიტისაფერისათვეს”.
- იბ. “ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა ყოვლადვე და მარადის მღვარებად და სიცრონილზე”.
- იგ. “ვითარმედ ჯერ-არს მოუკლებელად და მღვარედ ლოცვად ყოვლადვე და ყოველსა უძმა”?
- იდ. “ვითარმედ გაჭმს და თანა-გუაც უცხოთ-მოყუარებად და მოწყალებად სიხარულით”.
- იე. “ვითარმედ ჯერ-არს სულიერთა მიმართ მოძღუართა მოგებად მორჩილებასა შეუორგულებელსა”.
- ივ. “სიძლაბლისათვეს ქმთილისა და მას შინა განათლებულთათვეს მამათა”.
- ივ. “ძურ-უქსენებლობისათვეს, რომელი-ესმი მსგავსებად არს ღმრთისად”.
- ივ. “სიყუარულისათვეს ღმრთისა და მოყუასისა”.
- ით. “სულითა-მხედველთათვეს წმიდათა მამათა”.
- კ. “შემოსილოთათვეს და სასწაულთა-მოქმედთა წმიდათა მამათა”.
- კა. “შოქალაქობისათვეს სათნოებათა შინა წარმართშმცულთადსა”.
- კბ. “მოთხრობად სულიერი ათორმეტთა მათთვეს განშორებულთა”.
- კგ. “უწყებად მოქალაქობისათვეს სათნოებითა შემკულთადსა”.
- კდ. “სიტყუათაგან სულიერთა წმიდათა მამათადსა, რომელი მოღვაწებასა შინა დაბერებულ იყვნეს. მოკლე თხრობად ცხად-მყოფელი სათნოებათამ”.
- კე. “უბნობად და ზრახვად სულიერთა ბერთა კითხვა-მიგებით”.
- კვ. “სარგებლიანი საკონხავი პავლე ილუსტრელისად”.
- “წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა” იწყება მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობით. თეოფილე წერს:

“...ესე წიგნი არს წმიდათა მამათად, რომელსა შინა წერილ არიან სწავლანი და თხრობანი და მოქალაქობანი წმიდათა მამათანი, რომელი აღსავს არს და შექობილ ყოველთა მიერ ქმთილთა, ვითარცა ს ა მ ო თ ხ ც ღმრთისად.

ხოლო ჯერ არს, რათა პირველად თავნი აღვწერნეთ საკონხავთანი ზანდუკის სახელი და ესრულო ვიწყოთ პირსა და შესავალსა წიგნისასა ლ ო ც ვ ო თ ო წ მ ო



დათა და ნეტართა მაშათა ჩუენთა ეუფლის ტაბულის შემადგენელი 26 თავის დასახელება. მას მოჰყვება შესავალი, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია ქრისტიანული სათნოებანი. ამ სათნოებებით შემკული სასწაულმოქმედი მამების მონათხრობს და მათი წმინდა ცხოვრების მაგალითებს ეძღვნება ძირითადად წიგნის მომღერენ 25 თავი.

ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი “პატერიკის” სახელწოდებაა “უწავლანი წმიდათა მამა[ა]თანი”. იგი დაცულია A35 ხელნაწერში. მას არ გააჩნია ვრცელი შესავალი, თავების რიცხვიც მხოლოდ ცამეტს შეადგენს. მისი ტექსტი შესაბამისი პარალელებით სხვა ქართული პოფთეგმატური კრებულებიდან, მათ შორის თეოფილესეული თარგმანიდანაც, გამოსცა მ. დვალმა. მანვე დიდი მუშაობა გასწია თეოფილესა და ეფთვიმეს თარგმნების შედეგნილობისა და ურთიერთმიმართების დასადგენად, ბერძნულ პოფთეგმატურ კრებულთა კლასიფიკაციაში მათვის ადგილის მისაჩენად.<sup>5</sup> ამისათვის მან გამოიყენა ძირითადად J.C.Guy-ის ნაშრომი: *Recherches sur la tradition grecque des Apophtegmata Patrum* (Bruxelles, 1962), რომელიც პოფთეგმატური კრებულების დაზღუდვებისა და სისტემაში მოყვანის ერთგვარ ცდის წარმოადგენს და მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის № 452 ბერძნული ხელნაწერის რესული თარგმანი, რომელიც ფოტის რედაქციის “პატერიკი” არის, გიური მიხედვით, ჩვეულებრივი სისტემატური ურ კოლექციის ადრინდეს რომ იწოდება. მიღებული შედეგები ასეთია:

“პატერიკი” თეოფილესეული თარგმანი, შესავლის მიხედვით ფოტის რედაქციის ტიპისაა; გიურის კლასიფიკაციით განკუთვნება ჩვეულებრივ სისტემატური კოლექციის პეტერიკონთა ჯგუფს, უფრო ზუსტად კი, თავისი შედეგნილობით იგი ამ კოლექციის განვითარების C ეტაპს წარმოადგენს. თუმცად საერთო ნიშნებით თეოფილეს ხელ-

<sup>5</sup> შესასულებული ნოველების ქველი ქართული თარგმნები, I, ტექსტი გამოსცემად მოაზიარდა, გამოვლენა და ლექსი ქანი დაურიოთ მ. დ ვ ა ლ მ ა, თბ., 1966 წ., გვ. 6-43.



ნაწერი საგრძნობლად განსხვავდება ამ ჭულის ბერძნული ნუსხებისაგან, როგორც  
მოცულობით, ასევე, რიგ შემთხვევაში, ავტორთა რიგითაც. განსაკუთრებით საგუ-  
ლისშია, რომ მასში აპოფთეგმების ოქმატურ თავებად დალაგება II თავით,  
რის გამოც თავების რიგი (20 თავის ფარგლებში) აქ ერთით მეტია ფოტისა და  
მოსკოვის ხელნაწერებთან შედარებით. საზოგადოდ კი, ქართული ტექსტი ტრადიცი-  
ული 20 თავის გარდა (II-XXI), შეიცავს 5 დამატებით თავს (XXII-XXVI).

თეოფილეს თარგმანის წინასიტყვაობასა და შესავალში სისტემატური კოლე-  
ქციის აპოფთეგმების კრებული “სამოთხის” წიგნად არის წოდებული. ეს ფაქტი მხარს  
უჭერს ფოტის ცნობას, რომ ამ სახის კრებული შეიქმნა და ჩამოყალიბდა Mέγα λει-  
μოνάριოს-ის, ანუ “სამოთხის” წიაღმის.

რაც შეეხება “პატერიკის” ეფთვიმესულ ქართულ თარგმანს, მასში სულ არ  
არის ფოტისა და მოსკოვის რედაქციის XIII თავი. ამიტომ ეფთვიმეს ტექსტის XIII  
თავი უღრის ფოტისა და მოსკოვის XIV თავს, ხოლო თეოფილეს თარგმანის XV  
თავს. მასალის თვალსაზრისით, ქართული თარგმანები გაცილებით უფრო ახლოს დგას  
ერთმანეთთან, ვიდრე მოსკოვის ხელნაწერთან. საგულისშია, რომ თხრობების თან-  
მიმდევრობა ეფთვიმეს თარგმანში სავსებით თანხვდება თეოფილეს აპოფთეგმების  
რიგს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მასალას, რომელიც ზედმეტია ამ უკანასკა-  
ნელთან.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ “პატერიკის” ეფთვიმესულ და თეოფილესულ  
თარგმანთა მიხედვით შედგენილ აპოფთეგმათა შედარებით ცხრილს ერთი თავის  
ფარგლებში:

ეფთვიმეს თარგმანი,

თავი XII (A 35, 319v-323v)

- “შეად ვინმე მივიღდა მამისა ანტონ-  
ისა და ჰეიონა მას სიტყუად ცხოვრე-  
ბისად”.

თეოფილეს თარგმანი,

თავი XIII (A 1105, 301v-306v)

- “შამისა ანტონის ჰეიონა მამან  
სიტყუად ლიგიტმლთაგან, ხოლო  
ბერი განვიღდა უდაბნოდ”.
- “შამისა არსენისთვის იტყოდეს, ვი-  
თარმედ შაბათსა, მიმუხრი რომელი



- განთენდების წმიდად კურიაშვილის შემოქმედებისას მამამა აგათონეს, ვითარებელი რომელსა სათნოებასა აქეც უფროობისი შრომად მოქალაქობასა შინა სულიერსა?
2. “მამან ჰქოთხა მამასა აგათონეს, ვითარებელი რომელსა სათნოებასა აქეც უფროობისი შრომად მოქალაქობასა შინა სულიერსა?”
3. “მოვიდა ოდესმე მამად მოსე აღუბად წყლისა”.
4. “თქენ მამან ეგაონ კუპრელ მთავარეპისკოპოსა მიუმცნო მამამან მონასტერისა მისისამან, რომელი აქუნდა პალესტინეს”.
5. “წეტარსა ეპიფანი კუპრელ მთავარეპისკოპოსა მიუმცნო მამამან მონასტერისა მისისამან, რომელი აქუნდა პალესტინეს”.
6. “მამად მოსმ წარვიდა ოდესმე ვსებად წყლისა”.
7. “თქენ მამამან ესამა, ვითარებელ წარვიდა ოდესმე მამად ისიდორმა...”
8. “მამისა იოსებისა. წარვიდა ოდესმე მამად ლოთ და ჰრესა მას:”
9. “მამად იაკობ გუთხრობდა ამას, ვითარებელი თქენ ვინმე ბერთაგანმან:”
10. “მამისა ლუკიომასა, რომელი მკუდრობდა ენატას...”
11. “მამასა მაკარის ჰკიოხეს ვიეთმე, თუ ვითარ თანა-გუაც ლოცვად?”
12. “მამამან მოსმ თქენა: არათუ შეესწოროს საჭმელი ლოცვასა ცუდად შურები”.
13. “თქენ მამამან ნილოს: რაოდენიცა რამ ძარი მიაგო ბოროტის-მყოფშილსა

ლებად ძმისა შენისახ...”

შემსა...”

14. “შამისა პიმენს ჰყითხა ძმამან და პრქუა: კმითილ არსა, მამაო, ლო-ცვად?”
15. “უამთა მათ ივლიანე უსჭულოდ-სათა, ოდეს იგი შთავიდა სპარსეთს, უკუმოავლინა მან ეშმაკი”.
16. “შამისა სისოდს ჰყითხა ძმამან და პრქუა: რად ვყო, მამაო, ვითარ. ვცხონდო?”
17. “შამისა ტითოოსთვეს იტყოდეს, ვითარმედ: უკუეთუ არა აღრმ-აღრმ შთამოიხუნის კელნი თვალი ქუშ ოდეს და დგის ლოცვად...”
18. “ზერსა ვისთუსმე იტყოდეს, ვი-თარმედ: მივალნ იგი ძმისა ვისამე სკიტის”.
6. “იყო ბერი ვინმე, რომელი პყოფდა ლოცვასა დიღსა შიშითა და ძრწო-ლითა დიდითა”.
7. “და იყო სხუად ბერი მახლობლად ძმისა. დღესა ერთსა ესმა ეშმაკისახ, რომელი ეტყოდა სხუასა ეშმაკა, ვი-თარმედ: მოვედ და განვალვძოთ ბერი იგი”.
8. “თქუა ბერმან: ვითარცა ვერვინ იხილავს ხატისა თვალსა წყალსა შინა
19. “განშორებულმან ვინმე მონაზონმან იხილა ეშმაკი, რომელი უბრძანებდა სხუასა ეშმაკა განლუქმბად მონაზო-ნისა მძინარისა”.
20. “ზერთაგან ვინმე იტყოდა, ვი-თარმედ: ვითარცა შეუძლებელ არს



მრღვესა...”

9. “თქუა ბერძან: უკუეთუ არა  
და[ი]ცვას კაცმან თავი თქი, რამთა  
არამ ავნოს კაცთაგანსა...”

წყალსა შინა მრღვესა გამოცდისამისა  
ტისა თქისახ...”

21. “ბერძნი იტუოდეს მმისა ვის-  
თქსმე, ვითარმედ: არა ოდეს განე-  
შორა იგი კელთ-საქმრისაგან თქი-  
სა...”

22. “ბერძან თქუა: ოდეს დამცვას  
კაცმან თავი თქი, რამთა არარა ა  
ავნოს მოყუასსა...”

23. “ბერძან ვინმე გაჟოხრა ჩუენ ესე  
მმისა ვისთქსმე, რომელი მკუდრ იყო  
ეგვეტეს”.

ეფთვიმე ათონელს ხელთ ჰქონია “პატერიკის” X საუკუნის გავრცელებული  
რედაქციის ის ტიპი, რომლის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს თეოფილეს ტექსტი. მას  
ამ ტიპის სისტემატური კოლექციის ბერძნული ხელნაწერიდან თვალსაზრისისა  
და გმოვნების მიხედვით არა მარტო ცალკეული თხრობანი გამოიყრებია, არამედ  
მთელი თავიც გამოიკლია. ამ გზით მივიღეთ ვრცელი რედაქციის ნებითად შემოქლე-  
ბული ვარიანტი ეფთვიმეს თარგმანის სახით – ასეთია მ. დვალის ძრითადი დასკვნა.

ცხადია, არ გამოირიცხება მეორე ვერსიაც, რომ არსებობდა ეფთვიმეს თარგმანის  
ანალოგიური დედანი. დაეჭვების საფუძველს იძლევა “პატერიკის” XIII თავის უქონ-  
ლობა ქართულ ტექსტში. თუ აპოფთეგმატური თხრობების გამოკრება ასე თუ ისე  
ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდით შეიძლება აისწნას, გაუგებარია, რა მოტივით  
არის გამოტოვებული მის მიერ სსენებული თავი ან თუნდაც თხზულების ბოლო  
თავები?

ერთი კი აშეარაა: თეოფილესა და ეფთვიმეს დედნები სხვაობენ ერთმანეთისაგან  
თუნდაც ერთი რედაქციის ფარგლებში. ამას ადასტურებს ის განსხვავებები, რომელ-  
ბიც არსებობს მათ მიერ თარგმნილ ტექსტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეფთ-  
ვიმეს თარგმანი ბევრად მოკლეა, ვიღრე თეოფილესი, უდიდესი უმრავლესობა თხრო-



ბებისა კი საერთოა ორივეში, ეფთვიმესთან მაინც იძებნება ისეთი თხრობები, რომელთა  
ბიც არ დასტურდება თეოფილეს ტექსტში; მაგალითად, ზემოთ წარმოდგენილ XII  
თავში 1 თხრობაა ასეთი, I თავში – 2 და ა.შ.

საინტერესო სურათს იძლევა “პატერიკი” ეფთვიმესეული და თეოფილესეული  
თხრობის ნიმუშების შედარება ერთმანეთთან და ბერძნულ ტექსტთან მიმართებაში:

ე ფ თ ვ ი მ ე ს

თ ე ო ფ ი ლ ე ს

J.P.Migne, P.G., t. 65

თ ა რ გ მ ა ნ ი (A 35)

თ ა რ გ მ ა ნ ი (A 1105)

ა. “თქუა მამან ანდრია: შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებამ, სი-  
გლახაკე და დუმილი მოთმინებით” (186v).

“იტყოდა მამა ანდრეა: შუენის მონაზონსა სამი ესე: უცხოებამ, სი-  
გლახაკე და დუმილი მოთმინებით” (12 r)

ბ. “მამა არსენი ოდეს  
იყო პალატსა შინა,  
ილოცა ღმრთისა მი-  
მართ და თქუა: უფა-  
ლო, ღმერთო ჩემო,  
წარმიმდევ მე, რათა  
ვცხონდე. და მოიწია  
მისა ქმა, რომელი ეტ-  
ყოდა: არსენი, ივლტო-  
დე კაცთაგან და სცხო-  
ნდე. კუალად ეგრეთვე  
ილოცა მანვე არსენი,  
ოდეს შევიდა სკიტეს,  
და კუალად ესმა ქმა,

“მამა არსენი იყო ჩად  
ჭერეთ პალატსა შინა  
სამეფოსა, ილოცა ღმრ-  
თისა მიმართ და თქუა:  
უფალო, წარმიმდელუ მე  
და მასწავე, თუ ვითარ  
ვცხოვნდე. და მოვიდა  
მისა ქმა ზეცით, რო-  
მელი ეტყოდა: არსენი,  
ივლტოდე კაცთაგან და  
სცხოვნდს. იგივე მამა არსენი განეშორა და  
მონაზონ იქმნა. კუალად  
ილოცა და იგივე სიტ-

“Ελεγεν ὁ ἀββᾶς Ἀνδ-  
ρέας· Πρέπει τῷ μο-  
ναχῷ τὰ τρία ταῦτα·  
ἡ ξενιτεία, ἡ πτω-  
χεία, καὶ ἡ σιωπὴ ἐν  
ὑπομονῇ (col. 136)

‘Ο ἀββᾶς Ἀρσένιος,  
ἔπι ὥν ἐν τῷ παλα-  
τίῳ, εὗξατο τῷ Θεῷ  
λέγων· Κύριε, ὁδήγη-  
σόν με πᾶς σωθῶ. Καὶ  
ἡλθεν αὐτῷ φωνὴ λε-  
γουσα· Ἀρσένιε, φευ-  
γε τὸν ἀνθρώπους,  
καὶ σώζη.

‘Ο αὐτὸς ἀναχωρή-  
σας ἐν τῷ μονήρει  
βίῳ, πάλιν εὔξατο,  
τὸν αὐτὸν λόγον  
εἰπόν. Καὶ ἤσουσε



ρωμήλοι οι θύμοια μάς:  
αρσένοι, οι ωλέοις δια  
ρρίζενται δια παγκόσμιε,  
καθητούς γένει αρισταν δικτυ-  
νο ουποδιεγέλωδισαν”  
(193 v-194r).

χ. “Θαμάς θαγαροί διοδο  
οι θύμοια μάτα: οι ωλέοι-  
διετ, μάνοι! κολων ματ  
τιρκύζεις δια υφρωμέσ  
υρδαδόνωμεσα αμίσι σαρά-  
δια ριολέοιδοι, μάμαο?  
κολων δέρματαν διαιρεψα  
τοποι τικίσα θέρα διατζ-  
σα δια τηρία: αμίσγαν  
οι ωλέοιδετ, μάνο, κα-  
μάτα ριοκονδρετ. δια θέ-  
ριοισις σερνάγια τικίσα δια  
ρράκτησις γαροι τικίσι δια  
ρράξιοις” (197v).

γύριαδ τηρία. δια γέμα  
γέμα, ρωμήλοι οι θύμοια  
μάς: αρσένοι, οι ωλέοις δια  
ρρίζενται δια παγκόσμιε,  
καθητούς γένει αρισταν δικτυ-  
νο ουποδιεγέλωδισαν”  
(67v-68r).

“Θαμάς θαγαροί διοδο  
οι θύμοια μάτα τικίεις, γα-  
μωνοιδονδοιαν καδ μιλε-  
σιον: οι ωλέοιδετ, μά-  
νο, οι ωλέοιδετ. τιρκύζα  
γινήσι μάς δέρματαγανδάν:  
σαράδια ριολέοιδοι,  
μάμαο, ριθέρεις υρδαδόν-  
ωμεσα αμίσι! κολων μάν  
διαερώσις γέλοι τικίσα  
τικίσα δια θύμοις: αμίσγαν  
οι ωλέοιδετ. δια θέριοισις  
σερνάγαδ τικίσα δια ρράκτη-  
σις γαροι τικίσι δια θέρη  
θίνα διαπυριδεδιοτ” (73v).

δ. “κάμαντις τικίτα μάμασα  
αγατονδής: καδ γυρ, κα-  
μητούς μερδηρησις με ση-

φωνης λεγουόσης θέτηψ.  
‘Αρσένιε, φευγε, σι-  
ώπα, ήσύχαζε’ αύται  
γάρ είσιν αι βίζαι  
της ἀναμαρτησίας  
(col. 88, α-β).

‘Ο ἀββᾶς Μακάριος  
ο μέγας ἔλεγε τοῖς  
ἀδελφοῖς ἐν τῇ Σκή-  
τει, ώς ἀπέλλινε τὴν  
ἐκκλησίαν. Φεύγετε,  
ἀδελφοί. Καὶ εἶπεν  
αὐτῷ τις τῶν γερόν-  
των. Ποῦ ἔχομεν φυ-  
γεῖν πλέον τῆς ἑρή-  
μου ταύτης; ‘Ο δὲ  
ἔτιθει τὸν δάκτυλον  
αὐτοῦ εἰς τὸ στόμα,  
λέγων Τοῦτο φεύγε-  
τε. Καὶ εἰστήρχετο εἰς  
τὸ κελλίον ἑαυτου,  
καὶ ἔκλειε, τὴν θύ-  
ραν, καὶ ἐκάθητο  
(col.129, ιζ).

‘Αδελφός ήρώτησε  
τὸν ἀββᾶν ‘Αγάθωνα

“κάμαντις τικίτα μάμασα  
αγατονδής: σινδυοισατιζεις. δια  
δέρματαν τιρκύζα μάς: θαρ-



ლი სიძვისად? ხოლო  
ბერმან პრქუა გას: წარ-  
ვედ და დააგდე თავი  
შენი წინაშე ღმრთისა  
და ჰელო] განსუენე-  
ბად” (232r).

ვედ და დააგდე უძ-  
ლურებად შენი წინაშე  
ღმრთისა და გაქცნდეს  
განსუმნებად” (129r).

περὶ τῆς πόρκελας.  
Καὶ λέγει αὐτῷ Ὑπα-  
γε, βύψον ἐνώπιον τοῦ  
Θεοῦ τὴν ἀδυναμίαν  
σου, καὶ ἔξεις ἀνά  
πασιν (col.116, κα).

წარმოდგენილი მაგალითები მოწმობს, რომ კალკეულ აპოფთეგმებს ორივე  
მწერალი საქმიანდ ზუსტად თარგმნის. მცირეოდენი სხვაობები გამოწვეულია იმით,  
რომ ქართველი მთარგმნელები სარგებლობენ განსხვავებული დედნებით, რომელთაც  
ზოგჯერ არ ემთხვევა “პატრიოლოგიაში” დაბეჭდილი ბერძნული ტექსტი. ორივე  
თარგმანი ლალი, ბუნებრივი ქართულით იყითხება. ამასთან, თეოფილე ხუცეს-  
მონაზონი არ იყენებს ეფთვიმეს მიერ თარგმნილ ტექსტს. თუმცა ეს სულაც არ ნიშ-  
ნავს, რომ თეოფილემ არ იცის მისი არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, თეოფილე ხუცესმონაზონმა ბერძნული “პატერიკი” თარგ-  
მნა ათონელ მამათა წრეში. ამიტომ შეუძლებელია, მას სრული ინფორმაცია არ  
ჰქონდა ეფთვიმეს თარგმანის შესახებ. ჩაც შეეხება ოხზულების ხელახალ გადმოღე-  
ბას ქართულად, იგი განპირობებული უნდა იყოს რამდენიმე ფაქტორით:

1. ასკეტური შინაარსის აპოფთეგმები ძალზე პოპულარული იყო ბერ-  
ძნაზენებში და მათზე დიდი მოთხოვნილება იყო სამონასტრო ცენტრებში.
2. თეოფილემ უთუოდ იცოდა, რომ “პატერიკის” ეფთვიმესული თარგმანი იყო  
მოკლე და არასრული.
3. მწერალს ხელთ ჰქონდა აპოფთეგმატური კრებულის აშკარად უფრო  
უკეთესი დედანი, ვიღრე ეფთვიმეს.

ამრიგად, ბერძნული “პატერიკის” თეოფილესული თარგმანი უფრო სრულყო-  
ფილი იყო, ვიღრე ქველი და ეფთვიმესი, და სრულიად აქმაყოფილებდა იმ ლიტერა-  
ტურულ მოთხოვნებს, რასაც XI საუკუნის მიწურულის მწერლობა აყენებდა ქარ-  
თული მთარგმნელობითი სკოლის წინაშე.



## თეოფილე ხუცესმონაზონი და ეფრემ შცირე

ეროვნული  
მუზეუმი

ძველი ქართული მწერლობის ორ გამოჩენილ წარმომადგენელს – ეფრემ შცირესა და თეოფილე ხუცესმონაზონს ბევრი რამე აქვთ საერთო: ისინი ერთსა და იმავე ეპოქაში, XI საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდნენ, ორივე ლილი გიორგი მთაწმიდლის მოწაფეები იყვნენ და აქედან გამომდინარე, მსგავსი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პრინციპები ჰქონდათ, ორივე მათგანმა დაგვიტოვა უძვირულესი და უნიკალური ცნობები მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის შესახებ და, რაც მთავარია, ერთ-მაც და მეორემაც ქართულ ენაზე თარგმნა სვიმეონ ლოლოვეტის მეტაფრასული თხზულებები, რითაც თასღაუდებელი ღვაწლი შეიტანა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებაში.

ჲლზე ძვირფას მასალას იძლევა თეოფილესა და ეფრემის პარალელურრ თარგმანთა ერთდროული შესწავლა. ერთ-ერთი პირველი ასეთი მცდელობა ეკუთვნის რომან მიმინიშვილს, რომელმაც გამოიკვლია “ამბროსი მედიოლანელის ცხოვრება.”<sup>6</sup> ჩვენ კი სანიმუშოდ “მინა მეგყპტელის წამება” შევარჩიეთ.<sup>7</sup>

“მინა მეგყპტელის წამების” თეოფილესული თარგმანი დაცულია ქათადერთ ათონის №36 ხელნაწერში (XI ს-ის 80-იანი წლები.) აქ 11 ნოემბრისათვის დადებული საკითხავის სათაურში წერია: „წამება მცირდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა მინასა, რომელი იყო ეგყპტით და იწიმა კუტაგანს” (At. 36, 15 v).

რაც შეეხება ხსენებული თხზულების ეფრემისეულ თარგმანს, იგი მოწეულია S 384 (XI–XII ს.), K4 (XVI ს.) და A 128 (XVI ს.) ხელნაწერებით. მისი სათაურია: “წამება მცირდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა მინა მეგყპტელისა, რომელი იწიმა ქალაქსა კოტკაოს” (S 384, 314 v). S 384-ის მიხედვით, წმ. მინას ხსენება 10 ნოემბრისაა დადებული, მაგრამ აქ გადამწერის მექანიკურ შეცდომისთან გვაქვს საქმე – გამორჩენილია ი-ს მომღევნო ასო ა(=1), რასაც ადასტურებს K4-ისა

<sup>6</sup> რ. მ. ი. მ. ნ. თ. ჭ. ვ. ი. ლ. ი. ა. მარიასი მეცნიერებლის “ცხოვრების” ახალი რედაქცია ქრისტულ წეტროლობაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოაშშ, XXIII, №1, თბ., 1959წ., გვ. 753–757.

<sup>7</sup> მინა მეგყპტელის წამების” თეოფილესული და ფფრიტისული თარგმანების ქართული ტექსტები დარღვეულოვნად მოვაწოდა ლ. ა. ხ. მ. ა. დ. ე. მ. რომელსაც გმირსაცმად შეად აქვს ნოემბრის თვის შეტყრასული ქრებული.



და A 128 ხელნაწერების ჩვენებები. ოხზულებას ერთვის ეფრემეს ჯურით და ასე ურადღებო ანდერძი:

“წმიდანო მამანო, ესე წმიდისა მინას წამებად იყო ძველადცა თარგმნილი კიმენისგან, რამეთუ ესრულ ეწოდების პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამე-თასა. ხოლო აწ ესე ითარგმნა ახლად მეტაფრასისაგან ბრძანებითა კალიპოსელთა წი-ნამძღვრისა ბასილისითა, რამეთუ მას უკეთ მინა წმიდისათქს და ესე ირჩია ლოლო-თეტისა სკომეონის შეკაზმულისა მოწამეთადასაგან, რომელსა მეტაფრას ეწოდების. შე-განდევით და ლოცვა-ყავთ” (S 384, 318 გ).

ანდერძიდან ირკვევა შემდეგი: “წმინდა მინას წამება” ძველადვე იყო თარგმნილი. მართლაც, ოხზულების აღრინდელი რედაქცია (“წმ. მენა ფრიგიელის წამება”), რომ-ლის თარგმანი ეკუთვნის სეითს, შემორჩენილია სინის №11 ხელნაწერში.<sup>8</sup> ამ პირველ თარგმანს ეფრემი უწოდებს კი მენს, რომელიც განმარტებულა, როგორც “პირველ ლიტონად აღწერილი წიგნი მოწამეთა”. რაც შეეხება მის მიერ შესრულე-ბულ ახალ თარგმანს, ის მომზინარებოს მეტაცრას რა სისი აგან და კა-ლიპოსელთა წინამძღვრისა ბასილის ინიციატივითაა შექმნილი. ეფრემისვე თქმით, მეტაფრასად სახელდებულია სვიმეონ ლოლოთეტის “შეკაზმული” “წამებანი”.

ოხზულების შინარჩი ასეთია:

რომის იმპერატორებმა დიოკლიტიანემ და მაქსიმიანემ გამოსცეს ბრძანება, რომ-ლის ძალითაც სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე უნდა განმტკიცებულიყო რომაული წარმართული ღვთისმსახურება და აკრძალულიყო ქრისტიანული სარწმუნოება. ვინც ბრძანებას არ დაემორჩილებოდა, ის სიკვდილით უნდა დასჭილიყო. დაიწყო ქრისტი-ანთა საშინელი დევნა. საპყრობილები გაივსო მორწმუნებით, ხალხმრავალი დაბები და სახლები დაცარიელდა, სამაგისტროდ, უდაბნოები გაიგვო იქ ლტოლვილი ქრის-ტიანებით; ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მამა შვილს იმეტებდა სასიკვდილოდ და შვილი – მამას.

ამ დროს გამობრწყინდა მინას საკვირველი სათნება და ქრისტეს სარწმუნოე-

<sup>8</sup> ჰ კ ე ჰ ლ ი ძ ე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, A. კომენტარი რედაქცია, ეტიუდი ძველი ქართული ლიტ-რატურის სტუდიიდან, V, თბ., 1957წ., გვ.133 [165].



ბისადმი ერთგულება. წარმოშობით ის ეგვიპტელი იყო, მამა-პაპანი უკურნებული ჰყავდა, და არა მორწმუნენი. პროფესიით მხედარი, ჯარისკაცი იყო, “შეკრიტუზითა ჰყავდა, და სიკეთითა და ყოვლითავე სუკთა ხილვითა გუამისათა და სიშენითა სახისათა” და მთელ ჯარში გამორჩეული.

მინამ იმპერატორების ბრძანება მოისმინა კოტვაელთა დედაქალაქში, სადაც მისი რაზმი მეთაურის თანხლებით მიმოვიდოდა. მან მაშინვე მოიხსნა სამხედრო სარტყელი და წავიდა უფალ, უღაბნო ადგილას, სადაც დღე და ღამე მარხულობდა, მღვიძარებდა და საღმრთო წერილს კითხულობდა. აქედან მოყოლებული ის უბრალო მხედრიდან “ქრისტეს მხედრად” გადაიქცა.

ერთ დღეს, როდესაც კოტვაელები საერო დღესასწაულს აღნიშნავდნენ და ხალხი ცხენთა სრბოლას აღვენებდა თვალს, მინა ჩამოვიდა ქალაქში, შევიდა სარბიელზე, ავიდა ამაღლებულ ადგილას, რათა ყველას დაქნახა და თქვა: “ვეპოვე მათ, რომელი მეძიებდეს და განვეცხადე მათ, რომელი მე არ მიკითხვიდეს” (შრდ: მათ. 7,8). ამ სიტყვებით ამცნო მან მოქალაქეებს თავისი მოწამეობრივი განზრახვისა და ღვაწლის შესახებ.

მინა ეგვიპტელი მთავრის წინაშე წარადგინეს. მთავარმა, რომლის სახელი იყო პირრონ, გამოჰკითხა მას ვინაობა და საღაურობა. როდესაც მან შეიტყო, რომ მინა ქრისტიანი იყო, ბრძანა მისი შეკვრა და საპყრობილები ჩასმა.

მეორე დღეს მთავრის ბრძანებით მინას უხმეს სამსჯავროდ. მან განცხადებულად აღიარა, რომ ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარი იყო და ამის დაფარვას არც აირჩებდა. მსაჭული განაციფრა მისმა შეუპოვრობამ და სიმტკიცემ. ამიტომ ლიქნითა და შეგონებით, სიმდიდრისა და სამური ცხოვრების შეპირებით სცადა მან მოწამის გაღმობირება. როცა ამითაც ვერას გახდა, ფრიად განრისხდა და ბრძანა მისი წამება.

მინა ოთხზე დააყენეს და ძროხის უზელელი ძარღვებით სცემეს. ამანაც რომ ვერ გაქრა, ძელზე დაკიდეს და მახვილი რკინით დაუწყეს გვემა მის სხეულს. მთავარი დროდაღრი ვითომ “პბასრობდა” მინას და ეტყოდა: “აგრძენა, შ მინა, ტკივილი მცირედიცა სატანჯველთა მაგათ მიერ, ანუ გნებავსა, რამთა სხუათაცა სატანჯველთა სიტკბოებითა მღიღრად ჩუქრ მიერ პატივცემულ იქმნე?” მოწამე უშიშრად მიუგებდა:



“აწ უკუე რასამე პგონებ, ანუ გნებავსა მცირეთა ამათ სატანჯველოა შეუძლებელი დროისად ჩემდა, ანუ თუ ჩემ შორის აღშენებულთა მათ შეურყეველთა აღსაარებისა გოდოლთა შერყევად?”

მინას სიკერპესთან ერთად მასზე მოწევნული სასჯელი კიდევ უფრო მკაცრდება. ამასთან, მთავართან დაალოგში ის წარმოაჩენს ქრისტიანული რწმენის ძირითად არსე, ასაბუთებს მის უპირატესობას წარმართობაზე.

მოწამე კვლავ ძელზე დაკიდეს, თუმცა ჭვარზე გაკრული ქრისტეს ხსენება მას ტკივილს უქარვებდა; ხოლო, როდესაც ბალნის ნაქსოვით დაუწყეს ცემა დაწყლულებულ სხეულზე, იტყოდა: “დღეს ტყავისა იგი სამოსელი განმეძარცულების და უხრწელებისად შემომესების”.

მინას კიდევ უფრო მძიმე სატანჯველს უმზადებენ: ანთებული ლამპრით უწვავენ სხეულს, მაგრამ საუკუნო ცეცხლის წარმოდგენა მას დამწვრობის ტკივილთან შედარებით არარად მიაჩნდა; კუროსთავებსა და რკინის ბირკებზე ათრევენ ხელფეხშეკრულს, თუმცა ამ წამებასაც ის ისე შეიგრძნობდა, “ვითარცა სამოთხესა ზედა მწუანვილოვანსა და ველსა ზედა ყუავილოვანსა” განსვენებას; ბოლოს, ქედისა და ლწვებზეც ურტყამენ, სასტიკად სცემენ და აწამებენ, მანც არ ტყდებოდა ქრისტეს თავდადებული მსახური.

მთავარი ზოგჯერ დაყვავებით ცდილობდა მინას გულის მოგებას. შეგონებებსა არც სხვები იშურებდნენ, მაგალითად, ვინმე პილასიოსი. როდესაც ერთ-ერთი მხედართაგანის – ილიოდოროსის აჩევით, მსახულმა მოწამისათვის საბოლოო განჩინების გამოტანა გადაწყვიტა, უკვე მოყვარენი და მეგობარნი ურჩევდნენ მას, ნუ დათმობდა ამქვეყნიური ცხოვრების სიამებს, ნუ აირჩევდა სიკლილ ტებილი სიცოცხლის სანაცვლოდ. მაგრამ მან ყველასგან მტკიცედ მოიზღუდა თავი.

ბოლოს და ბოლოს, მთავარმა მინა ეგვაპტელის სიკვდილით დასჯის ბრძანება გასცა. ის გაიყვანეს ქალაქებრეთ. მოწამემ სიკვდილის წინ ილოცა და მადლი შესწირა უფალს. შემდეგ მას მახვილით თავი წარკვეთეს, ხოლო ნეშტი დაწვეს. ქრისტიანებმა წმინდანის ძვლები შეაგროვეს და გლოვის ყველა რიტუალი აღასრულეს. რამდენიმე დღის შემდეგ, მისი დანაბარების თანახმად, მინას წმინდა ნაწილები ეგვიპტეში, მისსავე




საკუთარ მაშულში გადასვენებს და დაკრძალეს (S 384, 314v – 318r; *ასოციაცია პილიტობა* 21v).

ჩვენ სრულიად შეგნებულად გადმოვეცით “მინა მეგყპტელის წამების” ცრცელი შინაარსი, რათა ყურადღება მივაჰყოროთ ე.წ. “ჰაგიოგრაფიულ შაბლონს”. მართლაც, თუ კარგად ჩავუკვირდებით თხზულებას, მის ზოგიერთ ეპიზოდსა და დეტალს, უთუოდ გავავლებთ შორეულ პარალელებს ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებთან.

წმ. მინას ფიზიკურ სილამაზეს და ახოვნებას კალმის ერთი მოსმით გადმოსცემს ავტორი: “შუშნიერებითა და სიკეთითა და ყოვლითავე სხვთა ხილვითა გუამისახთა და სიმენითა სახისახთა სხუათა მათ ყოველთასა უზეშთავს იპოვებოდა” (S 384, 314v). თხზულების ეს ადგილი აშკარად ჩამოჰყავს წმ. გრიგოლ ხანძთელის გიორგი მერჩულისეულ დახსიათებას: “ზოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხ[ელ], ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ, და სრულითა უბიწო” (გვ. 250).<sup>9</sup>

სიმბოლური გააზრების თვალსაზრისით, წმ. მინას მიერ სამხედრო სარტყლის მოხსნა იგივეა, რაც წმ. შუშანიკის სამკაულებისაგან განძარცვის სცენა (გვ. 18-19). ერთ შემთხვევაში, ჰაგიოგრაფიის მთავარი პერსონაჟი, მინა, უბრალო მხედრიდან “ქრისტეს მხედრად” გადაიქცევა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, დედოფალი შუშანიკი “ქრისტეს სძლად” თუ “მხევლად” მოგვევლინება. ასევე ერთნაირი შხატვრული დატვირთვა აქვს “მინა მაგყპტელის წამებისა” და “შუშანიკის მარტვილობის” ზოგიერთ სხვა ეპიზოდს: ძელზე დაკიდებულ მინას დაწყლულებულ სხეულზე ბალნის ნაქსოვით გვემენ, რასაც წმინდანის ასეთი ფრაზა მოსდევს: “ღლეს ტყავისა იგი სამოსელი განშეძარცულების და უჩრწნელებისა მ შემომესების” (S 384, 316v). ახლა გავიხსენოთ, როგორ უჩვენებს შუშანიკი წყლულზე დახვეულ მატლს იაკობს და მათივე დიალოგი: “და მე მიუვე და ვარქუ: ძაბისა სამოსელი მცირედ-და შეგრძახა საგუემელად, და აწ მატლთა მაგათაცს მხიარულ ხარ?” და მან მრქეუ მე ქენებით: “ზუ ვის თანა იტყუ-

<sup>9</sup> აქც და შემთხვევაც ქარგბლობით: ძველი ქართული აგიოგრაფიის ძეგლები, წ. I (V-X ს.), გ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს შემძლევნელობითა და რედაქციით, თბ., 1963 წ.



ძაძისა სამოსლისათვის ცხორებასა ჩემსა, რამეთუ აღრე ყოფად არს დატევებად უზალ-  
რუკთა ამათ ქორცთა ჩემთად” (გვ. 25). მთავარ პიროვნის მიერ მოწამის მისამართი  
ნაოქვამი სარკაზმგარეული სიტყვები — იგრძნი, მინა, მცირედი ტკივილი სატან-  
ჭველისა? ან იქნებ გნებავს, “რათა სხუათაცა სატანჭველთა სიტყბოებითა მდიდრად  
ჩუქნ მიერ პატივცემულ იქმნე?” (S 384, 316r.). — უთუოდ მოგვაგონებს ვარსებენის  
იქედნურ ქირქილს: “ჰე, ჰე, განისუენე!” ეს ქირქილი გამოწვეულია შუშანიკის ერთი  
რეპლიკით: “მე ამას მხიარული ვარ, რათა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო” (გვ.  
21).

უფრო ხელშესახები პარალელების მოძიება შეიძლება “მინა მეგყატელის წამე-  
ბას” და “აბო თბილელის მარტვილობას” შორის; განსაკუთრებით ეს ეხება წმ. მინასა  
და მსაჯულს შორის დიალოგს, რომელიც ბევრი რამით გაგვასენებს იოანე საბანისძის  
თხზულების მესამე თავს (გვ. 62-76), უფრო ზუსტად, წმ. აბოსა და ამირას შორის  
საუბარს: ერთგანაც და მეორეგანაც მსაჯული ჭერ დაყვავებითა და შეგონებით, სიმ-  
დიდრისა და სამური ცხოვრების შეპირებით ცდილობს წმინდანის გულის მოგებას  
და, როცა ამას ვერ აღწევს, მას სატანჭველს უშმაღებს. აქაც და იქაც ჩნდებიან ეწ.  
მოკეთები და ცრუ მეგობრები, რომელიც ცდილობენ დაარწმუნონ მოწამე მისი  
საქციელის უგუნურებაში, თუმცა “შულიერი გმირი” მტკიცედ იზღუდავს თავს მათ-  
გან. არათუ ამ ორი თხზულებისათვის, არამედ “წამებათა” სახის ყველა ნაწარმოე-  
ბისათვის საერთო და აუცილებელი ელემენტია მოწამის სიკვდილისწინა ლოცვა. ხე-  
ნებული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ისეთ დეტალებშიც კი ემთხვევა ერთმანეთს, რო-  
გორებიყავა: წმინდანისათვის მსაჯულის სასახლის გარეთ თავის მოკვეთა, მისი ნეშტის  
ქალაქებარეთ დაწვა. თუმცა აქ უფრო გარემოებათა უბრალო დამთხვევასთან გვაქვს  
საქმე.

განხილული მასალა კიდევ ერთხელ აღასტურებს იმ უტყუარ აზრს, რომ გავრ-  
ცელებული მოტივები და მყარი კომპოზიციური ელემენტები ერთნაირად დამახსი-  
ათებელია ჰაგიოგრაფიული მწერლობის ორივე რედაქციისათვის — როგორც კიმენუ-  
რისათვის, ისე მეტაფრასულისათვის. ურიგო არ იქნება გავისენოთ ისიც, რომ ეწ.  
შაბლონურობა ჰაგიოგრაფიის ეანრული სპეციფიკიდან გამომდინარეობს და სულაც



არ არის მისი ნაკლი. აქ ნაწარმოების შესტერულ დონეს განსაზღვრაულ მრავალ რამდენად არღვევს მწერალი ამგვარ შაბლონს, არამედ ის, თუ მისსავე ფარგლებში რაოდენ ზუსტად არგებს იგი სიტუაციას იმ ერთადერთ სიტყვას, ფრაზასა თუ ექსტრემულ რომელმაც მკითხველის სული უნდა შეძრას და გმირისადმი თანაგრძობა გამოიწვიოს.

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია, მიუწედებული გარკვეული თავისებურებებისა, მეტ-ნაკლებად ჯდება იმ საერთო ჩარჩოებში, რაც საკულტო მწერლობის ამ ერთობის საუცნებების მანძილზე შეიძლება. ამიტომ მისი შესწავლისას განსაკუთრებული სიტრანსილეა საჭირო, რათა ესა თუ ის შაბლონური მოტივი და ელემენტი არ გამოვაცხადოთ მწერლის ოვითმყოფალობის მაჩვენებლად, ხოლო საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული — ისტორიულ ჰეშმარიტებად. ამ მხრივ, ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, თუმცა საკვლევი და საძიებელი კლავაც ბევრია.

ამას კი დავუბრუნდეთ “შინა მეგკპტელის წამების” ქართველ მთარგმნელებს — ეფრემ მცირესა და თეოფილე ხუცესმონაზონს.

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ ჩვენში საკმაოდ ითქვა და დაიწერა. მწერლის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პრინციპები ე. ხინთიბიძემ ზოგადად ასე ჩამოაყალიბა:

1. თხზულების თარგმნა მიზანშეწონილია თავდაპირველი დედნიდან; იმ ენიდან, რომელზედაც იგი შეიქმნა.

2. შესრულებული თარგმანი დედანთან ზუსტი უნდა იყოს, მაგრამ იმგვარად, რომ სიზუსტემ არ შელახოს იმ ენის ბუნება, რომელზედაც თარგმანი შესრულდა.

3. თარგმანზე დართული უნდა იყოს საგანგებო კამენტარები, რომლებშიც განხილული იქნება თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიულ-გრამატიკული და ტექსოლოგიური საკითხები.<sup>10</sup>

ჩატვირთვის მიზანში მთარგმნელობით შემოდის, ამის შესახებ მწერალი თავად საუბრობს სექტემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავთა კრებულისათ-

<sup>10</sup> ქ. ხ. ი. თ. ი. ბ. ი. ე. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის სტორისოფი, თბ., 1982 წ., გვ. 116; 163.



ვის დართულ ანდერძში (At. 20).<sup>11</sup> მოგვავს ამ ანდერძის ნაწყვეტი:

“ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თ უ ო ფ ი ლ ე ს თ კ ს ჩეც ა თარგმანისა, რამეთუ მე არარახსათქს სხვს, არამედ ლოცვათათქს თქუნოა წმინდათა თავს-მიც შრომად ამისი. ხოლო ვევედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესი-ათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რათა უკუნიუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რათა არა ბრალეულ იქმნას საშეღლოაგნ საღმრთოთა; და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა, რამეთუ მე თავით ჩემით არარად დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია, რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენად თავს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია. ხოლო უკუნიუ ვიინმე ამას ურწმუნო იყოს, შეაწამენ და მიერ ისწავენ ჭეშმარიტებად სიტყუად.”<sup>12</sup>

დამოწმებული ტექსტის მიხედვით, ჩვენ თეოფილეს მთარგმნელობითი მუშაობის რამდენიმე ძირითადი პრონციპი გამოვყავთ:<sup>13</sup>

1. მწერალმა უნდა მოიპოვოს სარწმუნო დედანი, რომელიც შერყვნილი და დამახნიჭებული არ იქნება და იქიდან გაღმოთარგმნოს თხზულება (“ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია”).

2. თარგმნილი თხზულება ზედმიწევნით ზუსტად უნდა გაღმოსცემდეს თავდაპირველი დედნის სახეს და, ამდენად, ნაწარმოები უნდა ითარგმნოს “შეუცვალებელად”, ყოველგვარი შემატებისა და კლების გარეშე (“და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა, რამეთუ მე თავით ჩემით არარად დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია”).

3. თარგმანის პროცესში მწერალმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მშობ-

<sup>11</sup> ე. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. თოონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982 წ., გვ. 49-50. შრრ.: ნ. გ. ო. გ. უ. ა. - ქ. სუქტემბრის თვეს მეტაფრასების ათონური ნუსა, კ. ჰელილის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მარალთავი XII, თბ., 1986 წ., გვ. 104; 112.

<sup>12</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექტურა, I, თბ., 1986 წ., გვ. 78.

<sup>13</sup> ის: ჩემი საკრიტიკულ ნაშრომში კონფინანს კომიტეტის “ოთხშეოცა წვალებათათქს” თხზულების ქართული თარგმანი, თბ., 1990 წ., გვ. 76-78.

ლიური ენის სპეციფიკა, მის წიაღში დაფარული გამოხატვის მდიდარი შესაძლებლობანი, რათა თარგმანი ბუნებრივი და მისაღები იყოს ამ ენაზე მოლაპარაკებული ქართული სათვის ("რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენად თავს-იდებდა").

როგორც ვხედავთ, ოეოფილე ხუცესმონაზონი მთარგმნელობითი შეხედულებებით გვერდით უდგას მისსავე თანამედროვე ეფრემ მცირეს: ორივე მწერალი სავალ-დებულოდ თვლიდა თავდაპირველი დედნიდან, ბერძნულიდან თარგმნას და ამავე დროს ცდილობდა შეურყვნელი, სარწმუნო ხელნაწერის მოპოვებას; ორივე თავის შემოქმედებით კრედოდ სახავდა თარგმნის სიზუსტეს და თანაც ისე, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ქართული ენის ბუნება და სპეციფიკა. ეს ბინებრივიცაა. ეფრემიცა და ოეოფილეც იმ შემოქმედებით ტრადიციებს ავითარებდა, რომელ-საც სათვე დიდმა ვიორგი მთაწმიდელმა დაუდო. ეს იყო ლიტერატურული სკოლა, რომელმაც განსაკუთრებული თეორიული დასაბუთება ეფრემ მცირის მრავალრიცხოვან წინაბჭებსა და ანდერძებში პოვა. მაგრამ ამ ორ მთარგმნელს შორის ერთი განსხვავება მაინც არსებობს; კერძოდ, თუ ეფრემი უანრის სპეციფიკიდან გამომდინარე თარგმნილ თხზულებას, ხშირ შემთხვევაში, ურთავს სხვადასხვა ხსიათის კომენტარებს, ამგვარი რამ თეოფილეს თარგმანებში არ გვხვდება.

ასე რომ, თუკი ეფრემ მცირე, ვითარცა სასულიერო მწერლობის პკვლავარი-ტექსტოლოგი და კომენტატორი, ე.წ. ზუსტი მეცნიერული თარგმანის ფუძემდებლად მოვცევლინა, თეოფილე ხუცესმონაზონის შემოქმედებითი გზა, ეტყობა, ზუსტი მხატვრული თარგმანისაჟენ იყო მიმართული;<sup>14</sup> არსი კი ერთი იყო: თანდათანობით უნდა დაძლეულიყო ძველ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი თავისუფალი თარგმანის ტრადიცია, რომელიც ეფთვის ათონელის უდიდესია ნიჭება და მხატვრულმა ტალანტმა მთარგმნელობითი ხელოვნებისა ნორმისა და ნიმუშის სიმაღლემდე აიყვანა.

რასაკირველია, ახალი მთარგმნელობითი სკოლა თავის პრინციპებს, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობით ამკიდრებდა. ამიტომ “შინა მეგაპტელის წამების” მაგალითზე ვნახოთ, რამდენად ახერხებლნენ ეფრემ მცირე და ოეოფილე ხუცეს-

<sup>14</sup> შრო: რ ს ი რ ა ჭ კ, ქართული ქათეტიკური აზრის სტარიოდან, თბ., 1978 წ., გვ. 66-67.



მონაზონი ლიტერატურულ-თეორიულ დებულებათა რეალიზაციას საკუთრივი დანართის შენებში.

შედარება გვიჩვენებს, რომ ეფრემისა და ოქოთილეს თარგმანები მიჰყვება ერთ-მანეთს; არის გარკვეული სხვაობებიც – შემატების, კლებისა და განსხვავებული წაკითხვების სახით, თუმცა ისინი ძირითადად ფაქტობრივი ხასიათის არ არის. საკმარისია ითქვას, რომ ორივე ტექსტში ზუსტადაა დაცული დიალოგების რაოდენობა და თანმიმდევრობა, არადა თხზულების ჭარგას სწორედ ეს დიალოგები ქმნიან; მეტიც ჭარველი მწერლები იმდენად ზუსტად და კარგად თარგმნიან ბერძნული ორიგინალიდან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათი ფრაზეოლოგიაც კი ემთხვევა ერთმანეთს. მოვიყვანთ მაგალითებს:

ე ფ რ ე მ ი ს      თ ა რ გ მ ა ნ ი      თ ე ო ფ ი ლ ე ს      თ ა რ გ მ ა ნ ი

- |  |   |
|--|---|
| <p>1. “რამეთუ მამამ შვილსა მის-<br/>ცემდა სიკუდიდ და შვილი – მა-<br/>მასა” (S 384, 314 v).</p> | <p>“რამეთუ მამამ შვილსა მისცემდა<br/>სიკუდილად და ძმი – მამასა” (At.<br/>36, 16 r).</p> |
| <p>2. “ვეპოე მათ, რომელნი მე არა<br/>მეძიებდეს”. (S 384, 315 r).</p>                           | <p>“ვეპოვე მათ, რომელნი მე არა<br/>მეძიებდეს” (At 36, 16 v).</p>                        |
| <p>3. “განმეშორენით ჩემგან ყოველ-<br/>ნი მოქმედნი უშჯულოებისანი”<br/>(S 384, 316 r).</p>       | <p>“განმეშორენით ჩემგან ყოველნი<br/>მოქმედნი უშჯულოებისანი” (At. 36,<br/>18 r).</p>     |

ამგვარი რამ მოსალოდნელი იყო და აპრიორულადაც სავარაუდო: ეფრემიც და ოქოთილეც თარგმნის “შინა მეგვატელის წამების” მეტაფრასს, ორივეს ლიტერატურული კრედო არის თარგმნის მაქსიმალური დახლოება დედანთან. მაგრამ, რო-

გორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ თარგმანში ადგილ-ადგილ ტექსტობრივი სხვაო-  
ბებიც შეინიშნება:

ა) ეფრემის თარგმანში შემატებულია, თეოფილეს ტექსტში – დაკლებული ტექსტის მიხედვით:

1. “გარნა თკა წმიდამ ესე ფრიადცა მტკიცე და მართლმორწმუნე იყო” (S 384, 314 v).
2. “რომელთა შორის ფრიად წარმატებულ იყო ნეტარი ესე“ (S 384, 314 v).

ბ) ეფრემის თარგმანში დაკლებულია, თეოფილეს ტექსტში – შემატებული:

1. “იავარ-იქმნებოდეს მონაგებნი მათნი” (At. 36, 16 r).
2. “და რამთა მოკლედ ვთქუა“ (At. 36, 16 r).

გ) ეფრემისა და თეოფილეს ტექსტები განსხვავებულ წაკითხვებს აჩვენებენ:

ე ფ რ ე მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი      თ ე ო ფ ი ლ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი

“შ სიბოროტესალა ამას! ნაცვალად  
სატანჯველისა პატივი და კეთილი  
მიეცემოდა მოქმედთა ამის უშიშუ-  
ლობისათა”. (S 384, 314 v)

2. და ამათ ყოველთა მრავალუამე-  
ულითა წურთითა უამისაცა მოწევ-  
ნასა მეცნიერ იქმნა”. (S 384, 315 r)

“ესრეთ რამ ყოვლად ელვარს იქმნა  
იგი მაღლთა მიერ სულისათა, გულ-  
სავსე იქმნა მისოვს, რა-იგი  
ძუელითგან აქუნდა გონებასა. ესე  
იგი არს წამებად ქრისტესთას”  
(At. 36, 16 v).

მოყვანილი ნიმუშებიდან უკვე ჩანს, რომ ეფრემ მცირესა და თეოფილე ხუცეს-  
მონაზონს ხელთა აქვთ განსხვავებული დედნები, თორემ ამგვარ თავისუფლებას თარგ-  
მანში ისინი არ დაუშვებდნენ. ამასვე აღსტურებს მათი ტექსტების ბერძნულ ორიგი-  
ნალთან შედარება.

“მინა მეგუპტელის წამების” ბერძნული მეტაფრასული რედაქციის ფაზე თარიღი  
ჲ ვან ჰოფის რედაქციით გამოცემულ “ანალექტა ბოლანდიანას” მესამე ტრანსჩი. რე-  
მოჩნდა, რომ ეფრემისა და ოეოფილეს თარგმანთა შემატებანი, რომელიც ზემოთ  
წარმოვადგინეთ, ბერძნულშიც არ დასტურდება; რაც შეეხება განსხვავებულ წაკითხ-  
ვებს, დამოწმებულ მაგალითებში ეფრემის ტექსტი ახლოს დგას ან მიჰყება ორიგი-  
ნალს, ოეოფილესი კი — სცილდება მას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს ხსე-  
ნებული თხზულების მეტაფრასული რედაქციის საში სხვადასხვა ვარიანტი — ორი  
ქართული და ერთიც ბერძნული.

თეოფილეს თარგმანის უფრო ზედმიწევნითი შეჯერება ბერძნულ ტექსტთან მოწ-  
მობს, რომ მასში გამოიყოფა როგორც შემატება-კლებანი, ისე განსხვავებული წაკითხ-  
ვები. მოვიყვანთ ერთ ნიმუშს:

თ ე რ ფ ი ლ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი

“და ყოველინვე ერთობით ნეტარსა  
მას ხედვიდეს, ვ ი თ ა რ ც ა  
ლ თ მ ს ა წ ყ თ ბ ა დ შ ე-  
ს რ უ ლ ს ა” (Act. 36, 17 r).

ούδεν ὴν ούδενὶ προτιμότερον ἢ  
τὸ ἐκεῖνον μόνον, δρᾶν τοσαύτην  
τόλμαν ἐπιδειξάμενον (Anal. Boll.,  
III, p. 261, 3-4).

ე ფ რ ე მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი

“არარამ იყო არცა ერთ ხედვისა მისისა უპატიოსნეს, რომელმან-იგი ქსევითარი  
კადნიერებამ აჩუქნა” (S 384, 315 r).

რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, იგი უფრო მეტ სახლოვეს ამჟღავნებს ბერძნულ  
ორიგინალთან, ვიდრე ოეოფილეს ტექსტი. ამას ადასტურებს შემდეგი:

1. ეფრემის მიერ თარგმნილი ტექსტი, ბერძნულის მსგავსად, დაყოფილია  
თავებად.

<sup>15</sup> Acta Sancti Menae martyris Aegyptii, Analecta Bollandiana, t. III, Bruxelles, 1884, p. 258-270.



2. სახელთა დაწერილობა ეფრემის თარგმანში ემთხვევა შესაბამის ბერძნულ პილატის მაგალითად:
- “კოტიკულთა” – Κοτυαέων (შდრ.: “კუტιაგლთასა” – τερπογιლη).
3. ეფრემის ტექსტში გვხვდება ზოგიერთი წინადადება, რომელიც აკლი თეოფილეს თარგმანს, მაგრამ დასტურდება ბერძნულ ორიგინალში:

‘ზოლო განწყობილსა მას მის  
თანათა მჯედართასა – რუტილი-  
ანე’ (S 384, 314 v).

Αὐτὸς δὲ τοῦ κατολόγου τῶν  
Ρουτιλλιακῶν ἀφηγούμενος (Anal.  
Boll., III, p. 259, 16-17).

4. ეფრემის თარგმანში უფრო ნაკლებია განსხვავებული წაკითხვები შესაბამის ბერძნულთან მიმართებით, ვიდრე თეოფილეს ტექსტში.

დამატებით ყურადღებას იქცევს ორი მომენტი:

1. ეფრემის თარგმანი თითქმის არაფერს აკლებს ბერძნულ ტექსტს, შემატებით კი – ზოგჯერ ამატებს.
2. იშვიათად არის შემთხვევა, როცა ეფრემის ტექსტი უფრო დაცილებულია ბერძნულს, ვიდრე თეოფილესი.

მაგალითად:

ე ფ რ ე მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი

თ ე ო ფ ი ლ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი .

“დაბანი იღესმე ერმრავალნი  
უმქუდროებითა მას შინა მყოფთა-  
მთა უდაბნო იქმნებოდეს” (S 384,  
314 v).

“დაცარიელდებოდეს სახლნი მდიდარნი  
მას შინა მოსახლეთაგან” (At. 36, 15 v).

ჰρημοι τῶν οἰκητόρων ὃ ποτε τῶν οἰκων εύθημουντες ἐδείκνυντο (Anal.  
Boll., III, p. 259, 3-4).

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნა:

თეოფილეს თარგმანის დედანი ახლოს უნდა იდგეს სვიმეონ ლოლოვაზე ტულუ დან გამოსულ “შინა მეგყპტელის წამების” ბერძნულ ტექსტთან. შემდეგ უს თარგმანები გარკვეულწილად უნდა გადაემუშავებინათ. სწორედ ამგვარი რედაქტირებული ტექსტი უნდა იყოს დაბეჭდილი “ანალეკტა ბოლანდიანაში”. ამის შემდეგ მეტაფრასში კვლავ უნდა შეეტანათ მცირეოდენი ცვლილებები და ეს ნუსხა ხელთ უნდა ჰქონდა ეფრემი. ასე რომ, ხსენებული ნაწარმოების გამოქვეყნებული ბერძნული ორიგინალი და ეფრემის თარგმანის დედანი, თეოფილეს მიერ თარგმნილი ტექსტისაგან განსხვავებით, რედაქტირებულად ერთი გვუფისაა.

ცნობილია, რომ სვიმეონ მეტაფრასტის იმთავითვე გამოუჩნდნენ მიმბაზველები, რომლებსაც ცვლილებები შექვერდათ უკვე მის მიერვე დაშუშავებულ საკითხსვეში. ამიტომ საკირველი არაა, რომ ქართველ მთარგმნელებს “შინა მეგყპტელის წამების” მეტაფრასული რედაქციის განსხვავებული სახის ნუსხები ჰქონიათ. მოულოდნელი არც ისაა, რომ კონსტანტინეპოლისა და ათონზე მოღვაწე თეოფილეს უკეთესი ბერძნული დედანი მოუპოვებია, ვიღრე შავ მთაზე მოღვაწე ეფრემი.

ამრიგად, “შინა მეგყპტელის წამების” ეფრემისულ და თეოფილესულ თარგმანებს თავისი წვლილი შეაქვთ სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული ტექსტის თავდაპირველი სახის დადგენაში. ამით განისაზღვრება მათი ღირებულება ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში.

ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანები, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ქართული სალიტერატურო ენის, ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიისათვის. ამ გამოჩენილ მწერლებს თითქოს ნაძვილი შეჯიბრი გაუმართავთ, ვინ უკეთ გადმოსცემს ქართულად ორიგინალის მხატვრულ თავისებურებებს. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

ე ფ რ ე მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი

1. “არაქედ მოწამე ქრისტესი,  
ვითარცა სამოთხესა ზედა მწუან-

თ ე თ ფ ი ლ ე ს თ ა რ გ მ ა ნ ი

“ზოლო მოწამე, ვითარცა სამოთხესთა  
შინა და ველთა ყუავილოვანთა გან-



ვილოვანსა და ველსა ზედა ყუავილო-  
ვანსა თრეული” (S 384, 317 r).

‘Ο δὲ καθάπερ δίᾳ λειμῶνός τινος καὶ μαλακῶν ἀνθέων ἐλκόμενος. (Anal. Boll., III, p. 267, 16-17).

2. “Θαῖσιν θωυγγάδες θοῖσια μέγεσα φύροι-  
τεύσσα μέγεροδαρνοὶ და ταῦνα φύροιλνοὶ  
μίλενοὶ და φύροι-θωυγγάδεბοροდεῖς, θωγγ-  
κουγγάδის, პლოცვიდეს და ევედრი-  
ბოდეს” (S 384, 317 v).

Τινὲς τῶν πάλαι συνήθων καὶ φίλων τῷ μάρτυρι προσελθόντες, περιέψων  
αὐτὸν, περιέβαλλον, περιεπτύσσοντο, ἐλπάρουν, ἵκέτευνον. (Anal. Boll., III, p.  
268, 11-13).

3. “Φυρέρεις ραიმჟ ეზრახა მეც-  
ნიერთა თჯსთა და ლოცვითა  
დაპბეჭდა სიტყუასა თჯსსა” (S 384,  
317 v).

μικρὰ τοῖς γνωρίμοις ἐντυχῶν καὶ εὔχῃ τοὺς λόγους ἐπισφραγίσας  
(Anal. Boll., III, p. 269, 12-13).

ბოლო მაგალითში ქართული ტექსტები ღექვით იკითხება. გარდა ამისა, აქაც  
ადგილი აქვს ეფრემისა და თეოფილეს თარგმანების საოცარ ტექსტობრივ დამთხვევას.

ეფრემისა და თეოფილეს თარგმანების ურთიერთშედარება საინტერესოა ბერ-  
ძნულ ტერმინთა გადმოლების თვალსაზრისითაც:

ე ფ რ ე მ ი ს

თ ა რ გ მ ა ნ ი

“სტრატიოტი”

თ ე თ ფ ი ლ ე ს

თ ა რ გ მ ა ნ ი

“შედარი”

სუენებული” (At. 36, 20 წ. 36 ეპი-  
სტრატიოტი)

“გარე-მოადგეს მოწამესა მოყუარე-  
ნი მისნი და მეგობარნი, მოქუო-  
დეს, შეიტებობდეს, ამბორს-უყოფ-  
დეს, ევედრებოდეს” (At. 36, 20 v).

“მცირედ ეზრახა მეცნიერთა თჯსთა  
და ლოცვითა დაპბეჭდა სიტყუასა  
თჯსთა” (At. 36, 21 r).

τὸ στρατιωτικόν



“შთავარი”	“შეეღარო-მფლობელი”	τὸ ταξιάρχος
	“სპასპეტი”	
“შეეღრები”	“ყპა”	
“ოფატრონი”	“სახიობა”	τὸ θέατρον
ეფრემ მცირისა და თეოფილე სუცესმონაზენის პარალელურ თარგმანთა ერთობლივი შესწავლა შემდგომშიც მათი ლიტერატურული მოღვაწეობის არაერთი ახალი ასპექტის წარმოჩენას გვპირდება.		

თეოფილე ხუცესმონაზონს კუთვნის ეპიფანე კვიპრელის (IVს.) ერთი საყ-  
ურადღებო პოლემიკური თხზულების თარგმანი, რომელსაც მოკლედ “ოთხმეოცთა  
წვალებათათკა” შეიძლება ეწოდოს. ის დაცულია “ღოღმატიკონის” სამ ნუსხაში: A  
205-ში,<sup>16</sup> H601-სა და A64-ში. მისი ტექსტის გაცნობისთანავე ნათელი ხდება, რომ  
იგი წარმოადგენს ეპიფანეს მიერ მწვალებლურ მოძღვრებათა წინააღმდეგ დაწერილი  
ვრცელი საისტორიო ნაწარმოების – “პანარიონის” (Πανάριον), ანუ “წმილების კი-  
დობნის” შემოკლებას, მის “რეკაპიტულაციას”, ე. წ. “ანაკეფალულეოსის”  
I'Ανακεφαλαίωσις = რეკაპიტულაცია), რაზედაც სამართლიანად მიუთითებდა  
ჯ პეპლიძე.<sup>17</sup> “ოთხმეოცთა წვალებათათკა” ბოლოვდება მასალიანელთა ერესის  
მოკლე აღწერილობით და “პანარიონის” შესაბამისი წიგნის, ტომისა და თავების აღ-  
ნიშვნით. მას მოსდევს მთარგმნელის მცირე ანდერი, რომელსაც თავის შერიც ერთვის  
ორი ფრაგმენტი კლავა მასალიანელთა წვალების შესახებ პრევალ თრაქმენტის.<sup>18</sup> სა-

<sup>16</sup> A205 145- 150-

<sup>18</sup> A205, 151r-152r.



თაურია: “ესეცა თავნი მ ო ს ვ ე წიგნისაგან მასალიანელთა, უშესებულებებისთვის შესრულებული ვითარებისა წარმომაჩინებელნი”. მეორის სახელწოდება<sup>19</sup> კი ამგვარად იკითხება: “შერმეცა მ ო ს ვ ე მასალიანელთა წვალებისათვის, რომელ უფროოსსა მონასტერთა შინა საპოვნელ არს თხრობისაგან თეულორიტესისა”. ორივე სათაურში დამოწმებული “მისვე”, რომელიც ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება<sup>20</sup>, მიუთითებს, რომ ეს ფრაგმენტებიც იმავე დედნიდან მომდინარეობს, სიდანაც ეპიფანეს შრომა. გარდა ამისა, მეორე ფრაგმენტის ტექსტი ყველაზე ძველ ხელნაწერში (A205, XIII ს.) გვერდის ნახევარზე მთავრდება. მომდევნო გვერდიდან კი უკვე ახალი ნაწარმოები იწყება ამიტომ უეჭველია, რომ ოთხმოცი წვალების ეს ცნობარი თავისი ორი ფრაგმენტით თავიდანვე ერთი საერთო დედნიდან ითარგმნა და გადამწერის მიერაც ერთ მთლიან თხზულებადაა გააზრებული.

სავარაუდო ძეგლები, რომელთაგანაც უნდა შესრულებულიყო ქართული თარგმანი, შესაძლებელია ყოფილიყო: ეპიფანეს “პანარიონი” (IVს.) და “ანაკეფალეოსისი” (Vს.), ღოგმატიური კრებული “შამათა მოძღვრება”— Doctrina Patrum (VIII–IXს.) და იოანე დამაკელის “წყარო ცოდნისა” (VIIIს.). “შამათა მოძღვრების” 34-ე თავის და “წყარო ცოდნისას” მეორე ნაწილის — “წვალებთათვის” ძირითადი წყარო იყო “ანაკეფალეოსისი” რედუცირებული სახით, ე.ი. დაყვანილი “პანარიონის” წვალებათა აღწერილობამდე.

მასალიანელთა შესახებ არსებულმა ორმა ფრაგმენტმა, რომელიც ერთვის ქართულ თარგმანს, იმთავითვე გამოიჩიცხა მისი მომდინარეობა “პანარიონიდან” და “ანაკეფალეოსიდან”, რადგან არც ერთ მათგანს ასეთი სახის ტექსტი არ მოჰპოვება. უფრო სარწმუნო ჩანდა “ოთხმეოცთა წვალებთათვის” წარმომავლობა “შამათა მოძღვრების” 34-ე თავიდან, განსაკუთრებით კი “წყარო ცოდნისას” მეორე ნაწილიდან, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის ხელნაწერთა ერთ ნაწილში (m,S ჯგუფები და 705-ე

<sup>19</sup> A205, 152r -152v.

<sup>20</sup> შრტ., J. P. Migne n., P.G., t.94, col. 729; 736. B. Kotter, Die Schriften des Iohannes von Damaskos, IV, Pat. Texte und Studien, B. 22, Berlin, New York, 1981, S.42; 46.

ხელნაწერი კოტერის მიხედვით) წვალებების ავტორად ეპიფანე კვიპროფლიური დაქანონებული.<sup>21</sup> მაგრამ ეს ვერსიაც არამართებული აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ ქართული თარგმანის სათაურია “თ ა ვ - თ ა ვ ო ა ნ ე ბ ი ს ა თ უ ს თ თ ხ მ ე რ ც თ ა მ ა თ წ ვ ა ლ ე ბ ა თ ა დ ს ა,” ვ. ი.

“ანაკეფალაίωσις” (Ανακεφαλαίωσις = თავ-თავოანება) თ თ ხ მ ე რ ც ი წ ვ ა ლ ე ბ ი ს ა. ქართული ტექსტის დასწყისშიც სრულიად გარკვევით არის მინიშნებული, რომ ოხზულებაში საუბარი იქნება 80 წვალების შესახებ: “არს უკუშ ყოველი საქმე ზემოთქმულთა მათოუს სამთა წიგნთა, რომელი-იგი შედ ნაკუშთად განვყვნით. თუთოეულსა შინა თავსა ძეს რიცხვ წვალებათად, ხოლო ჭუმლიად ყოველნივე არიან თ თ ხ მ ე რ ც ...”<sup>22</sup> (ტექსტის ეს მონაკვეთი “პანარიონის” შესავლი-დანაა აღებული: *Kai ἔστι τὰ ἐν τῇ πάσῃ πραγματείᾳ διά τῶν προειρημένων τριῶν βιβλίων, πρώτου καὶ δευτέρου καὶ τρίτου, ἀτινα τρία βιβλία εἰς ἑπτὰ τόμους διείλομεν, ἐν δὲ ἕκαστῳ τῷ μῷ ἀριθμός τις αἱρέσεων καὶ σχισμάτων ἔγκειται, δόμοῦ δὲ πᾶσαι εἰσιν δύοδοήκοντα...<sup>23</sup>*). ამგვარი სათაური და, აღბათ, დასაწყისშიც, არაბუნებრივი იქნებოდა იმანე დამასკელის “წვალებთათუს”, რადგან ის ოთხმოცს კი არა, ას ერესს და შესაბამისად ას თავს აერთიანებს. მართლაც, ასეთი სახის ტექსტი მის არც ერთ ბერძნულ ხელნაწერს არ გააჩნია. ამიტომ “წყარო ცოდნისას” პოლემიკური ნაწილი ისევე, როგორც “მამათა მოძღვრების” 34-ე თავი, ვერ ჩაითვლება ქართული თარგმანის დედნად.

ამრიგად, “ოთხმეოცთა წვალებათათუს” ოხზულების ანალოგიური ბერძნული დედანი დღეს უკვე აღარ არსებობს. ამიტომ თეოფილეს ეს თარგმანიც გვერდით უდგას: იმ ქართულ ძეგლებს, რომლებსაც “თავისებური წვლილი” (ჰ. კეკელიძე) შეაქვთ ბიზანტიური ლიტერატურის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში.

“ოთხმეოცთა წვალებათათუს” თავისი ფრაგმენტებითურთ ასახავს “პანარიონის”

<sup>21</sup> B. Kotter, Die Überlieferung der Pege gnoscis des hl. Johannes von Damaskos, Studia Patristica et byzantina, 5, Ettal, 1959, S. 201-207.

<sup>22</sup> A205, 145r.

<sup>23</sup> K. Holl, Epiphanius (Ancoratus und Panarion), I, GCS, Leipzig, 1915, S. 156, 26-157, I; J. P. Migne, P.G., t. 41, col. 160. უდრ.: Anacephalaiosis, P.G., t. 42, col. 836.

“ანაკეფალეოსისის” კომპილაციის პირველ საფეხურს, მისი ბერძნული ტექსტის შესახური ბის დასაწყისს, ვიღრე იგი ას წვალებამდე განივრცობოდა. უცნობი მწერალი კი მას წარმოადგინა წვალებათა ისტორიის მოკლე ცნობას ურთავს სხვა ცნობებს მასალიანელთა წვალებაზე და ამგვარად სათავეს უდებს ობზულების შევსების შემდგომ ისტორიას. ამიტომ ფ. ღიამპის მოსაზრება, რომ “მამათა მოძღვრებისა” და “წყარო ცოდნისას” ერესები (100 თ.) მომდინარეობს ანონიმი კომპილატორისაგან,<sup>24</sup> ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, თუმცალა მანამდე მას სხვა ავტორის ხელში უნდა გაევლო, რისი ნიმუშიც ქართულ ხელნაწერებშილა შემონახული. ყოველ შემთხვევაში, “ანაკეფალეოსის” შემოკლებული ტექსტი და მასზე მიმატებული ორი ფრაგმენტი მასალიანელთა შესახებ არა ითანე დამსკელის შემოქმედების ნაყოფი, როგორც ეს ბ. კოტერის ჰერნია.<sup>25</sup> საერთოდაც ამ მწერლის ღვაწლი “წყარო ცოდნისას” პოლემიკური ნაწილის შექმნაში ძალზე უმნიშვნელოდ გამოიყურება.

აი, ასეთია ის ძირითადი დებულებები, რომლებიც გამოვთქმით 1987 წელს ეპიფანე კვიპრელის “ოთხმეოცეთა წვალებათათუს” ქართული თარგმანისადმი მიძღვნილ წერილში.<sup>26</sup> ამავე თემაზე 1990 წელს დავიცავით საკანდიდატო დისერტაცია.<sup>27</sup> ჩვენს ნაშრომებზე აღრე, 1986 წელს, უურნალ “შაცნეში” დაიბეჭდა მ. რაფაელს გამოკლევა, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ თეოფილეს სსენებული თარგმანი ითანე დამსკელის “წვალებთათუს” შრომიდან მომდინარეობდა.<sup>28</sup> სხვათა შორის, ამ გამოკლევაში მკლევარი კ. კეკელიძისა და რ. მიმინშვილის ნაშრომებთან ერთად ასახელებდა ჩვენს თეზისებსაც, რომლებშიც თითქოს არასწორად იყო გამსაზღვრული “ოთხმეოცეთა წვალებთათუს”, როგორც “ანაკეფალეოსის” თარგმანი.<sup>29</sup> როგორც ჩანს, შემდგომში მ. რაფაელმ სერიოზულად გადასინჯა თავისი მოსაზრებები. ამიტომ უკვე

<sup>24</sup> Doktrina Patrum der incarnatione Verbi, zum ersten male vollständig Herausgegeben und Untersucht von F. Diekamp, Munster, 1907, S. LXXII; LXXXI-LXXXII.

<sup>25</sup> B. Kotter, Die Überlieferung der Pege gnoseos des hl. Johannes von Damaskos, S. 197; 213-214. მისევე, Die Schriften des Johannes von Damaskos, IV, S.3.

<sup>26</sup> ს. გ. ა. ჩ. ა. შ. ვ. ი. ღ. ეპიფანე კვიპრელის “ოთხმეოცეთა წვალებთათუს” თხზულების ქართული თარგმანი და მისი ბერძნული დღემანი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1987 წ., №1, გვ. 106-113.

<sup>27</sup> ს. გ. ა. ჩ. ა. რ. ა. შ. ვ. ი. ღ. ეპიფანე კვიპრელის “ოთხმეოცეთა წვალებთათუს” თხზულების ქართული თარგმანი.

<sup>28</sup> მ. რ. ა. ფ. ა. ვ. ა. თეოფილე სეცემონაზონის ერთი თარგმანის შესახებ (ეპიფანე კვიპრელი თუ ითანე დამსკელი?), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1986 წ., №4, გვ. 39-51.

<sup>29</sup> მეტე, გვ. 40.



1991 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წერილი: “ეპიფანე კვიპრელის წევაღებათვაში თხზულების ძველქართული თარგმანი”, რომელშიც მთლიანად გაიზიარა ჩვენი დასკვენები ძეგლის რაობის შესახებ, ოღონდ ისე, რომ ზემოთ აღნიშნული ჩვენი წერილი და საკანდიდატო ნაშრომი სერთოდ არ უხსენებია...<sup>30</sup>

ეპიფანეს “ოთხმეოცთა წვალებთათვას” თხზულების შესწავლა გავაგრძელეთ თეოფილე ხუცესმონაზენის სხვა თარგმანთან – თეოდორიტე კვირელის “აღსარებაქსთან” მიმართებით. კვლევამ სრულიად ახლებურად წარმოაჩინა თეოფილეს მიერ თარგმნილი დოგმატიკურ-პოლემიკური შრომების როლი და მნიშვნელობა როგორც ქართული, ისე ბიზანტიკური მწერლობის ისტორიისათვის.

თეოდორიტე კვირელის (393-466წწ.) სახელით მოღწეული თხზულების სრული სათაურია “აღსარებად მართლისა და უბიშომსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისად”. ქართული ტექსტი დაცულია: Jer. 23(XII-XIIIსს.), A140 (XII-XIIIსს.), A66 (XVIIIს.), K8 (XVIს.) და სხვა ხელნაწერებში. რაკიდა თეოფილეს ეს თარგმანიც გამოკვეშებული არ არის, პირველ რიგში, გადმოვცემთ მის შინაარსს:

დასაწყისში ავტორი მსჯელობს მართალი სარწმუნოების მნიშვნელობაზე, ქებით იხსენიებს ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელმაც სათავე დაუდო სარწმუნოების სიმბოლოს. რადგან მწვალებლებმა წმინდა წერილი წარყენეს და ეკლესია მრავალნაწილად გაყვეს, მას აუცილებლად მიაჩნია, კიდევ ერთხელ გადმოსცეს ქრისტიანული სარწმუნოების ჰერმარიტი არის, რომელიც აღწერილია წმინდა მამების მიერ.

ამას მოჰყვება ქრისტიანული მრწამისი უმთავრესი – ერთასება სამების დოგმის გადმოცემა: “მრწამს უკუში ერთი მამამ უშობელი და ერთი მე შობილი და ერთი სული წმიდად გამომავალი, სამი გუამი სრული და საცნაური, განყოფილი რიცხუთა და გუამითა და თჯოებითა, გარნა არა ღმრთებითა. ხოლო განიყოფვიან განუყოფელად და შეირწყმიან შეურევნელად”. შემდეგ ცალ-ცალკე დახასიათებულია მამა ღმერთი, მე ღმერთი და სული წმინდა, ნაჩვენებია მათი ერთიანობა და განუყოფლობა, წარმოქმნილია ერთი სამგვამოვანი ღმერთის ძირითადი არის.

<sup>30</sup> М. А. Р а п а в а, Древнегрузинский перевод сочинения Епифания Кипрского об ересиях, Византиноведческие этюды, Тб., 1991г., стр. 69-74.

რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად, მისცა მას თავისუფალი ნება. ეშ-  
გაის ჩაგონებით ადამიანი შეცდა, რის გამოც გამოიდევნა სამოთხიდან ჭრის სამართლის  
და ხრწინილებაში ჩაგარდა. მაგრამ შემოქმედმა საბოლოოდ მანც არ გაწირა იგი და  
მოუვლინა შესწელად თავისი ძე, რომელიც უმწიკვლოდ ჩაისახა მარადის ქალწული  
გარიამის საშოში და იშვა მისგან განკაცებული. ამას, ბინებრივია, მოჰყვება დოგმატი-  
კური შეჯელობა ქრისტეს ორბუნებოვნებისა და ყოვლად წმინდა მარიამის  
ღვთისმშობლობის შესახებ. განკაცებულმა ღმერთმა ადამიანთა ცოდვები იტვირთა,  
ჯვარს ეცვა და სიკვდილის გემოც შეიგრძნო. შემდეგ ჩაალწია ჯოჯოხეთამდე და მისი  
ბინადარი გამოიხსნა. მესამე დღეს აღდგა და რაკი მის სხეულს ხრწინილება არ შექმნა,  
კაცთა არსებაც უკვდავებით შემოსა და თანააღადგინა, შემდეგ ამაღლდა ზეცად და  
დაჭდა მამის მარჯვნივ. მოვა იგი კვლავ დიდებით განსახელად ცოცხალთა და  
მკვდართა, მიცვალებულნი აღდგებიან, კეთილი საუკუნო ცხოვრიებას ეზიარებიან,  
ხოლო ბოროტნი და სარწმუნოების ურჩინი საუკუნო სატანჯველს მიეცემიან.

თხზულებაში გაცხადებულია ერთი ნათლისლებისა და ქრისტეს ხორციან და  
სისხლთან საიდუმლო ზიარების ვალდებულება, ასევე საეკლესიო წესების დაცვის აუ-  
ცილებლობა ყველა მორწმუნეთათვის; ჩამოთვლილია კვლესის ის სიწმინდეები,  
რომელთაც თაყვანს უნდა სცემდეს ყველა ქრისტიანი. ესენია: ყოვლად პატიოსანი  
ხატი განკაცებული ღმრთის სიტყვისა, ძელი ცხოველმყოფელი ჯვრისა, სამღვდელო  
ჭურჭელი, წმინდა ტაძარი, სასულიერო წიგნები, ხატი ყოვლად წმინდა  
ღვთისმშობლისა, მოწამეთა წმინდა ნაწილები.

“აღსარებაში” დასახელებულია 7 მსოფლიო საეკლესიო კრება: ნიკეის (325წ.),  
კონსტანტინოპოლის (403წ.), ეფესოს (431წ.), ქალკედონის (451წ.), კონსტანტინოპო-  
ლის (453წ.), კონსტანტინოპოლის (681წ.) და ნიკეის (787წ.). აღნიშნულია რამდენი  
წმინდა მამა დაქსწრო თითოეულ ამ კრებას, რომელი მწვალებელი (თუ მწვალებელი)  
შეაჩენა და რა ფორმულირებით ჩამოაყალიბა ქრისტიანობის ესა თუ ის დოგმატი.

ნაწარმოები სავალდებულოდ თვლის შეწყნარებას და დამორჩილებას “ყოველ-  
თავე წმიდათა და სამღდელოთა კრებათა, რომელი-იგი მაღლითა ღმრთისათვა  
შეკრბეს თითოეულთა შინა ეამთა და აღგილთა დასამტკიცებელად კეთილად-



მსახურებისა და სახარებისა მოქალაქობასა, რომელიცა წმინდამან კათოლიკუსების მოციქულო ეკლესიამან შეიმწყნარნა”. ამას მოჰყვება ეკლესის ზოგიერთი ფერი მწვალებლის შეჩენება. ჩამოთვლილია და ნაწილობრივ დახასიათებულიც II საუკუნის გრისტიანები: სიმონ მოგვი, ვალენტი, მარკიონი, მონტანი; მომდევნო პერიოდის ერეტიკოსები — მანინი, ნავატი (ნოვატიანუსი), საბელიოსი, პეტრე მკაწრვალი. ას, რა წერია თხზულებაში, მაგალითად, ვალენტის შესახებ: “რომელი განკუშითდა ერთსა ორად და სხუასა იტყოდა კეთილისა დამბადებელად და სხუასა ბოროტისა; და ხენწია მათ წიგნთა მისთა, რომელთა უწოდა ერთსა სიღრმე, მეორესა — ღუმილ და მესამესა — საიდუმლო და ზღაპრებრ-წმასნილთა მათ მრავალ-ქცევთა საუკუნეთა”. დასასრულ, “აღსარებადს” ავტორი კიდევ ერთხელ უთვლის შეჩენებას ყველა ჯურის მწვალებლობას და დიდებას აღავლენს ერთარსება სამპიროვანი ღმერთის მიმართ.<sup>31</sup>

თხზულების შინაარსის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მისი ავტორი არაა თეოდორიტე კვირელი. მასში საუბარია 7 მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ. პირ-ველის, ნიკეის კრების, გამართვის თარიღია 325 წელი, ხოლო მეშვიდის, რომელიც იმავე ნიკეაში ჩატარდა, — 787 წელი. მაშასადამე, “აღსარებად” დაწერილია არა უადრეს VIII საუკუნის გასულისა ანონიმი მწერლის მიერ, რომელიც V საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის სახელს არის ამოფარებული. რასაკვირველია, არაა გამორიცხული, რომ ამ დოგმატიკურ-პოლემიკური შრომის შექმნისას ის იყვნებს თეოდორიტეს შემოქმედებას, როგორც ერთ-ერთ ძირითად წყაროს. გარდა ამისა, იგი სარგებლობს მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებით. ამ ეტაპზე ფსევდოთეოდორიტეს ვინაობის ამოცნობა არ ხერხდება. სამაგიეროდ, მეტის თქმა შეიძლება მის ლიტერატურულ საქმიანობაზე. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს “აღსარებადს” მიმართება ეპი-ფარე კვიპრელის “ოთხმეოცა წვალებათათუს” თხზულებასთან.

გავიხსენოთ თეოფილეს ანდერძი, რომელიც მან დაურთო 80 წვალების ეპიფანე-სეული ცნობარის ქართულ თარგმანს: “წმიდანო მამანო, იძულებითა სხუათამთა და ვთარგმნე ქსე. შემინდვეთ და ლოცვა ყავთ, მეცნიერთათუს არს ქსე და მეძიებელთა.

<sup>31</sup> Jer. 23, 339r-343v.

ყოველი მართლმორწმუნები იყავნ კურთხეულ! ყოველიმცა მწვალებელი შეჩერდებულ არიან.”<sup>32</sup> ამ ანდერძიდან ასეთი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ:

1. თეოფილეს ამ თარგმანის დამკვეთნი საერო პირები უნდა ყოფილიყონ;
2. შრომა გამზინული ყოფილა არა ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სწავლულთა ვიწრო წრეებისათვის – “შეცნიერთათუს” და “შეძიებელთათუს”;
3. საზოგადოდ კი, თეოფილეს ამ ანდერძ-მინაწერს ახლავს ერთგვარი მობოდიშების ტონი ეპიფანეს “ოთხმეოცთა წვალებთათუს” თარგმნისათვის.

ეს გასკვირი არ უნდა იყოს. ამგვარი ერქსოლოგიური ხასიათის შრომების თარგმნა გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. არ იყო გამორიცხული, რომ ასეთ თხზულებას, მიუხედავად ავტორის სურვილისა, სარგებლობის ნაცვლად, უნებლიერ მწვალებლობის გაზრდებისათვის შეეწყო ხელი. ამიტომ წმინდა მამები ერქსების ისტორიებს თითქმის ყოველთვის ურთავლნენ ჭეშმარიტი სარწმუნოების ძირითადი დოგმების განმარტებასა და ოღწერას. ასე მაგალითად, ეპიფანეს “პანარიონი” მთავრდებოდა ყოვლისმომცველი საყკლესით სარწმუნოების გადმოცემით, თეოდორიტე კვირელის “მწვალებლური შინაარსის კომპენდიუმი” შეიცავდა მე-5 თავს, რომელშიც წარმოდგენილი იყო ჭრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმები, იოანე დამისკელის “წყარო ცოდნისას” მეორე ნაწილს – “წვალებათათუს” ტრაქტატის მოსდევდა “გარდამოცემა” მართლმადიდებლური რწმენისა. ეპიფანეს სახელით ცნობილ “ოთხმეოცთა წვალებთათუს” თხზულების თარგმანს ასეთი დოგმატიკური ტექსტი არ ახლდა. ასე რომ, “აღსარებად მართლისა და უბიშოვას ჭრისტიანეთა სარწმუნოებისად” მის ერთგვარ გაგრძელებად, მეორე ნაწილად შეიძლება იქნეს გაზრებული.

მართლაც, “აღსარებად” ბუნებრივად ავსებს ეპიფანე კვიპრელის თხზულებას როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. თეოფილეს მიერ თარგმნილი “ოთხმეოცთა წვალებთათუს” მთავრდება ორი ფრაგმენტით მასალიანელთა წვალების შესახებ. ბოლო ფრაგმენტი, როგორც სათაურშივეა გაცხადებული, მიეწერება თეოდორიტე კვირელს. ცხადია, ამავე მწერლის სახელით ცნობილი



ნაშრომი ბუნებრივად დააბოლოებდა 80 წვალების ცნობარს. რაც შეეტეხა მშრალაში ბრივ შხარეს: ეპიფანეს მიერ აღწერილ ერქებს, რომლებიც IV საუკუნეში მოლის, აგრძელებს “ალსარებამში” გადმოცემული წვალები და მწვალებლები, რომლებიც დაგმო შეიღმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ამასთან, მასში შეჩვენებულია ზოგიერთი ძველი ერეტიკოსიც (სიმონ მოგვი, ვალენტი, მარკონი, მონტანი, მანინი, ნავატი, საბელიოსი, პავლე სამოსატელი), რომელთა წვალება უფრო თანმიმდევრულადაა დახასიათებული ეპიფანეს “ანაკეფალეოსიში”. ერთი სიტყვით, ამ ორი თხზულების ურთიერთყავშირი, როგორც ერთიანი დოგმატიკურ-პოლემიკური ნაწარმოებისა, უცილობელი ფაქტია.

უნდა ვიკარაულოთ, რომ “ოთხმეოცთა წვალებათათვს” და “ალსარებამ” თეოფილებ თარგმნა ერთი და იმავე დენიდან, რომელშიც ისინი ერთ თხზულებად იყო წარმოდგენილი. უცნობმა მწერალმა ეპიფანეს სახელით ცნობილ 80 წვალების ცნობას დაურთო “ალსარებამს” ტექსტი, რომელიც მიაწერა თეოდორიტეს და ამით ერთვარი ხარჯი გაიღო საეკლესიო ტრადიციის წინაშე. ამგვარად, არა უადრეს VIII საუკუნის გასულისა, ბიზანტიურ ლიტერატურაში შეიქმნა ორნაწილიანი მოკლე კომპილაციური ნაწარმოები, რომლის პირველ ნახევარში გადმოცემული იყო 80 წვალების ისტორია, ხოლო მეორეში – მართლმადიდებლობის მრწამსი და მსოფლიო საეკლესიო კრებებზე შეჩვენებული სხვა ერები. ეს ძეგლი, რომელიც არსებითად ემყარებოდა კვლების ძველი ავტორების – ეპიფანე კვიპრელისა (IVს) და თეოდორიტე კვირელის (Vს) ნაწერებს, თავისი მიზანდასახულებითა და შინაარსით ენათესავებოდა იმანე დამსკელის “წყარო ცოდნისას” მეორე და მესამე ნაწილებს. ასე რომ, თეოფილეს ქართული თარგმანების საშუალებით მოხერხდა ახალი, სრულიად უცნობი დოგმატიკურ-პოლემიკური შინაარსის კომპენდიუმის გამოვლენა ქრისტიანულ მწერლობაში.

ამრიგად, ბერძნული საეკლესიო ტრადიციის თანახმად, მწვალებლობის ისტორიას ყოველთვის თან ახლდა ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტი არსის გამხილვა. ამ ტრადიციაშ გარევეული გაგრძელება პოვა ითანე დამსკელის შემოქმედებაში. ოღონდ დამასკელმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულების

შინაარსი, როდესაც მას წაუმძღვარა ქრისტიანობის ფილოსოფიური საფუძვლები, კ. წ. ფილოსოფიური თავები. მისი სქოლასტიკური ნაშრომი სამრეწველოსაგან შედგებოდა. ესეზი იყო: 1. “დილექტიკა”, 2. “წვალებათათუს” და 3. “გარდამოცემა”. ბიზანტიურმა ლიტერატურულმა ტრადიციამ ასახვა პოვა ქართულ მწერლობაშიც იყი პირველად გამოვლინდა ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მემკვიდრეობაში, კერძოდ, მის “წინამძღვარში”. ამ თარგმანში, რომლის მთავარ წყაროდ გამოყენებული იყო “გარდამოცემა”, განხილული იყო სარწმუნოების ძირითადი დოგმატიკური საკითხები, რასაც ბოლოში თან ერთვოდა მწვალებლობის არსის ჩვენება და მისი კრიტიკა. თეოფილე ხუცესმონაზონმა თარგმა ორნაწილიანი კომპილაციური თხზულება – “ოთხმეოცთა წვალებათათუს” და “აღსარებად”, რომლის პირველი ნაწილი იყო ძირითადი წყარო იოანე დამბაცელის “წვალებათათუს” ნაშრომისა. ეფრემ მცირემ და ორსენ იყალთოელმა გადმოიღეს ქართულად უკვე თავად “წყარო ცოდნისას” I და II ნაწილები – “დიალექტიკა” და “გარდამოცემა”. ამით დასრულდა ქრისტიანობის ამ ფილოსოფიურ-ისტორიული და დოგმატიკურ-პოლემიკური სახელმძღვანელოს თარგმნის, შემოტანისა და დამკვიდრების პროცესი ჩვენს ძველ მწერლობაში.



## ძირითადი დასკვნები

ეროვნული  
მინისტრობი

1. გამოჩენილი ქართველი მწერალი თეოფილე ხუცესმონაზონი, იგივე "თარგმანი" დაიბადა XI საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ან 40-იანი წლების დასაწყისში. მამას ერქვა იოანე, ხოლო დედას – მარიამი. მისი აღმზრდელი და მოძღვარი იყო დიდი გიორგი მთაწმიდელი. ახალგაზრდობის წლებში იგი დაუახლოვდა გიორგი მეორეს, ბაგრატ მეოთხის ძეს. მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში მწერლის მოძღვარ-მასწავლებლები იყვნენ: იოანე რეხუეს ძე, საბა თუხარსელი, კლიმი მეუდაბნოე და ბასილი ულუმბიელი. 1065 წელს გიორგი მთაწმიდელმა იგი თან წაიყვანა კონსტანტი-ნოპოლში თავის სხვა ობოლ მოწაფეებთან ერთად. მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ ის ერთხანს ათონის ივერთა მონასტერში დარჩა. 60-იანი წლების ბოლოს დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, მარიამ დედოფლისა და მისი გარემოცვის საშუალებით გაიღმია ბერძნული განათლება და შეუდგა მთარგმნელობით მუშაობას. XI საუკუ-ნის 70-იან წლებში იმავე მარიამის, ბაგრატ მეოთხის ასულის, მფარველობითა და შემწეობით და გიორგი მეორის (1073-1089 წწ.) "ბრძანებითა და მოღუაწებით" დაი-წყო სეიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასული წიგნების თანმიმდევრული გადმოღება ქართულად. 1081 წელს ტრიანდაულივის სამეფო მონასტერში თეოფილემ დაასრულა სექტემბრის თვის მეტაფრასის თარგმნა და გადანუსხვა. XI საუკუნის 80-იანი წლების II ნახევარში ის უკვე ათონზე დამკიდრდა. აქ, ივირობში, ბერი კლიმის შეკვეთით თარგმა ბერძნული "ჰატერიკი". 80-იანი წლების ბოლოს თუ 90-იანი წლების და-საწყისში წავიდა საბერძნეთში, საფიქრებელია, მარიამ დედოფლის მიერ განახლებულ პაპიკონის კერძო მონასტერში სამოღვაწეოდ. აქ გან ხელი მოჰკიდა იოანე ოქროპირის "დაბადების" კომენტარების ქართულად თარგმნას. თხზულების თარგმანი დაასრულა ათონის ივერთა მონასტერში და იქვე შესწირა იგი. უკვე საქმაოდ ხანდაზ-მული იყო მწერალი, როდესაც თარგმნა სეიმეონ ლოღოთეტის დეკემბრის თვის სა-კითხავები. გაღმოცემის თანახმად, XII საუკუნის დასაწყისში ის დაბრუნდა სამ-შობლოში, საღაც პოვა სამუდამო განსასვენებელი.
2. თეოფილე ხუცესმონაზონმა გამდიდრა ქართული სულიერი კულტურა ბი-ზანტიური ლიტერატურის პირველხარისხოვანი ძეგლების თარგმანებით, ნაყოფიერად



იღვაწა საკლესით მწერლობის არაერთ უარში: ჰომოლეტიკასა და უზეზეტუჭუჭია ასკეტიკა-მისტიკაში, ღოგმატიკასა და პოლემიკაში. მის მთარგმნელობით შემცირდეთ ბაში განსაკუთრებული ადგილი მაინც მეტაფრასულმა ჰაგიოგრაფიამ დაიკავა. 1073 წლიდან ის შეუდგა სვიმეონ მეტაფრასტის წიგნების სისტემატურ გადმოღებას ქართულად. თანმიმდევრულად თარგმნა სექტემბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეთა ჰაგიოგრაფიული საკითხავები (როგორც ჩანს, ოქტომბრის თვის მეტაფრასათა თარგმნები დაიკარგა). ასე რომ, ჩვენამდე მოაღწია მისმა თარგმნილმა 45-მდე მეტაფრასულმა საკითხავმა. თეოფილეს ავტოგრაფებში – At.20-სა და At.28-ში აღმოჩნდა აგრეთვე მწერლის 10 და 16 მარცვლიანი პოეტური თხზულებები: "აღმაღლდი უფროს ცნობითა", "ღმერთო ცხოველო, დიდება, ჰოდ შენდა" და "შესხმა მოსე წინასწარმეტყველისა და იოანე ოქროპირისა". ამ ლექსებით ის მოგვევლინა, როგორც ჩინებული პოეტი, ქართული აკროსტიქული ლექსის ვერსიფიკატორი. მან პირველმა შემოიტანა 10-მარცვლიანი საზომი სასულიერო პოეზიაში.

3. XIX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ "ილარიონ ქართველის ცხოვრება" თავდაპირველად დაიწერა ბერძულად ბასილი მონაზონის მიერ, ხოლო შემდეგ ითარგმნა ქართულად თეოფილეს მიერ. ამ ვერსიის დაბადების საფუძველი აღმოჩნდა სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის H22 ხელნაწერის მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია. XII-XIII საუკუნეების ეს ძველი ხელნაწერი, რომელიც აღრე თეომურაზ ბატონიშვილს ეკუთვნოდა, შეიცავდა "ილარიონის ცხოვრების" მეტაფრასულ რედაქციას. 1920 წელს კ კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი იყო ავტორი სსენებული თხზულების სწორედ მეტაფრასული რედაქციისა. ეს მოსაზრება არ გაიზიარეს ბ. კილანავამ და მ. დოლაჭიძემ. სანკტ-პეტერბურგული ხელნაწერის ცნობათა საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: ილარიონის "შესხმა" ბასილი მეფის ბრძანებით შექმნა ბასილი მონაზონმა, ხოლო მისი მეტაფრასული "ცხოვრება" დაწერა თეოფილე თარგმანში. თეოფილეს ავტორობა დაადასტურა "ილარიონის ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის შესავლისა და მის მიერვე თარგმნილი თეოდორიტე კირელის სახელით მოღწეული "აღსარებამს" ურთიერთშედარებამაც. უნდა ითქვას

ისიც, რომ ბასილი პროტოიასიკრიტმა, რომელსაც მიეწერება წმინდანის ცხოვრების  
თავდაპირველი ტექსტის შექმნა, იმთავითვე ჩადო თხზულებაში ქართული შესაძლებელი 300-იანი წური იდეა. ეს იდეა მისი ნაწერიდან გადავიდა "იღარიონის ცხოვრების" როგორც  
მოკლე და ვრცელ ათონურ რედაქციებში, ისე მეტაფრასულში. ამრიგად, თეოფილემ  
მოლიანად შეუზარჩუნა თავის "გარდაკაზმულ" ნაწარმოებს ეროვნული ძარღვი და  
სულისკვეთება, რითაც კიდევ ერთხელ გამოხატა დიდი სიყვარული "ყოველთა ქართ-  
ველთა ნათესავისა" მიმართ.

4. თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილ სექტემბრის თვის მეტაფრასულ კრებულს (Alt20) ერთვის მისვე შესავალი და ანდერძი, რომლებიც შეიცავს უნიკალურ ცნობებს როგორც ზოგადად მეტაფრასტიკაზე, ისე სვიმეონ ლოლოთეტის წიგნების ქართულად თარგმნის ისტორიაზე. ამ ცნობებს ადასტურებს და ავსებს ეფრემ მცირის "მოსაქენებელი მცირე სკმეონისათვს ლოლოთეტისა" და იოანე ქიფილინოსის "მოსაქენებელი ღილისა მეფისა ალექსის მიმართ". ქართული ღოკუმენტები მიქაელ ფხელოსის სვიმეონ ლოლოთეტისადმი მიძღვნილ "ენკომიასთან" ერთად ქმნის ერთიან და სრულყოფილ სურათს მეტაფრასული ლიტერატურის წარმოშობასა და განვითარებაზე, რაობასა და ხსიათზე. ამასთან, თუ ეფრემ მცირე მეტაფრასტიკას მისთვის ჩვეული თეორიული მსჯელობებით ახასიათებს, თეოფილე ხუცესმონაზონი ამ ლიტერატურულ მოვლენას უმთავრესად ჰაგიოგრაფიის ისტორიული განვითარების პერსპექტივაში წარმოადგენს. და მაინც, ორივე მწერალი ისევე, როგორც მიქაელ ფხელოსი და იოანე ქიფილინოსი, ერთნაირად გადმოსცემს მეტაფრასტიკის უმთავრეს არსებს: ეს იყო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძირეული განახლების პროცესი, რაც გამოიხატებოდა ძველი კიმენური ტექსტების მხატვრულ-ქსოვეტიკურ გადამუშავებაში, სტილისტურ დახვეწასა და სიტყვით გამშვენიერებაში.

5. თეოფილესა და ეფრემის ცნობების თანახმად, მეტაფრასტიკის მამამთავარი სვიმეონ ლოლოთეტი მოღვაწეობდა ბასილი მეორის იმპერატორობის ხანაში (976-1025 წწ.). თეოფილესვე ანდერძ-მინაწერების მიხედვით, სვიმეონის ნაშრომი შედგებოდა 12 წიგნისაგან, რომელიც წლის 12 თვის შესაბამისად იყო განაწილებული. იმანე ქსიფილინოსის "შოთა ქსენიებლის" მიხედვით კი, სვიმეონ მეტაფრასტის წიგნები

შეიცავდა მხოლოდ "ზამთრის" თვეთა (სექტემბერი – იანვარი) ჰავიოგრაფული კუთხის კითხავებს, ხოლო დანარჩენი "ზაფხულის" შვიდი თვის მასალა თავად მარტის მიზანისათვის კართული დოკუმენტების ანალიზი მოწმობს, რომ იმანე ქიმიური ინიციატივის ცნობები უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან, ვიდრე თეოფილები. თუმცალა, ქართველი მწერლის მონაცემები სვიმეონის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ XI საუკუნის მიწურულს ბიზანტიაში დამკვიდრებულ ტრადიციულ მოსაზრებას გამოხატავს. ზოგიერთი რუსი და უცხოელი მეცნიერის ნაშრომებში დღემდე გვხვდება უზუსტობანი თუ დაუსაბუთებელი მოსაზრებანი სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის დროისა და ხსნათის შესახებ. ხშირად ეს გამოწვეულია ქართული მასალების გაუთვალისწინებლობით ან მათი მნიშვნელობის შეუფასებლობით. ამიტომ ქართველოლოგის ვალია, რომ მისი მიღწევები ხელმისაწვდომი გახდეს მსოფლიოს ფართო სამეცნიერო წრეებისათვის.

6. სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასული წიგნების არ არსებობას ქართულ მწერლობაში თეოფილე ხუცესმონაზონი ეფთვიმე და გიორგი ათონელების მოუკლელობით და სხვა უფრო საჭირო თარგმანების შესრულების აუცილებლობით ხსნის (At 20-nს "შესავალი"). თუმცა, მან იცის, რომ ცალკეულ მეტაფრასულ ძეგლებს მისი წინამორბედი სხვა მწერლებიც თარგმნიდნენ და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა კიდევ ასეთ თარგმანებს; მაგალითად, ეფთვიმეს მიერ ქართულად გაღმოაღებული "ამაღლებისათვეს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა" 14 რიცხვით თეოფილეს მზამზარეულად აქვს ჩართული სექტემბრის თვის მეტაფრასში, რომელიც, გარდა ამ შემთხვევისა, მოლიანად მის თარგმანს წარმოადგენს. ეფრემ მცირის "მოსაქსნებელში" კი პირდაპირ არის დასახელებული მეტაფრასტიკის აღრეული წარმომადგენლები ქართულ ლიტერატურაში. ესენი არიან: ეფთვიმე ათონელი, დავით ტბელი, სტეფანე სანანისა დე და გიორგი მთაწმიდელი. მიუხედავად ამისა, XI საუკუნის მეორე ნახევარში მეტაფრასული თხზულებების თარგმანში შეინიშნება ერთგვარი პარალელიზმი, რაც, მკვლევართა აზრით, "დიდ თურქობასთან" და საქართველოს, პალესტინისა და საბერძნეთის ქართულ სამწერლო კერძებს შორის კავშირურითერობის გაწყვეტისთან არის დაკავშირებული. საგულისხმოა ისიც, რომ სვიმეონის მეტა-



ფრასული კორპუსის თარგმნის პარალელურად თეოფილე ზრუნავდა, რჩებოდა, რომ დაენერგა მეტაფრასების ხმარების ბერძნული ლიტურგიკული პრაქტიკა ქართულ ეკლესიაში.

7. ქართულ და ბიზანტიურ მწერლობაში გავრცელებული თეორიული ნაზრევი მეტაფრასტიკის შესახებ შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ჰაგიოგრაფიას და მათში სიტყვაც კი არ არის ნათევამი ჰომილეტიკასთან დაკავშირებით. ამასთან, როდესაც ეფრემ მცირე "მოსაქსნებელში" ჩამოთვლის თვისი წინამორბედების მიერ თარგმნილ სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასებს, არც ერთ ჰომილეტიკურ ძეგლს არ ასახელებს. თეოფილე ხუცესმონაზონი სექტემბრის თვის მეტაფრასული კრებულის თარგმნისას უპირატესობას ანიჭებს ისეთ დედანს, რომელშიც სადღესასწაულო ჰომილიები არ შედიოდა. ერთი სიტყვით, ჰომილეტიკური თხზულებების გადამუშავება მეტაფრასტიკის ამოცანებიდან არ გამომდინარეობდა. ამიტომაც ამ ახალ ლიტერატურულ მიმართულებას ამის არც თეორიული და არც პრაქტიკული საფუძვლები არ შეუქმნა. ეს ბუნებრივიცაა. ჰომილეტიკაში ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებული გზა განვლო. მოყოლებული IV საუკუნიდან, როდესაც შეიქმნა დიდი საექლესიო მამების ლიტერატურული მემკვიდრეობა, ის მუდმივ განახლებასა და გადამუშავებას განიცდიდა. შეტიც: ჰომილეტიკურმა საკითხავებმა, მაღალი მხატვრული ლირსებების გამო, ერთგვარად მოამზადა ნიადაგი X საუკუნეში მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის აღმოსაცენებლად. ამრიგად, უნდა დაზუსტდეს ტერმინები – "მეტაფრასული" და "მეტაფრასი" ჰომილეტიკასთან მიმართებაში. აქ ეს ცნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა როგორც ლიტერატურულ-თეორიული, არამედ – წმინდა ტექნიკური ტერმინები მეტაფრასული პერიოდის ჰომილეტიკის, მეტაფრასულ საკითხავთა კრებულში შესული ქადაგებების აღსანიშნავად.

8. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ გადმოღებულია ქართულად ცნობილ საეკლესიო მწერალთა სიტყვები, რომლებიც წარმოთქმულია რამე ქრისტიანულ დღე-სასწაულთან დაკავშირებით. სექტემბრის თვის საკითხავებში წარმოდგენილია იოანე დამასკელის ორი ქადაგება: "შობისათვს ყოვლად წმილისა უხრწესელისა, უფროობსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა



მარიამისა" და "შობისათუს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და მართლის კულტურულისა მარიამისა", სული წმინდის მოსკლის წინა კვირადღეს იკითხება კირილუ აღმ-ქსანდრიელის ჰომილია "ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათუს და წმიდათა მამათა ეფესოსა კრებისათა, რომელი შეკრბეს დამქაბისათუს და განდევნისა უშესულოვასა ნისტორისა", დიდმარხვის საკითხავებში – ანასტასი სინელის ქადაგება "შემოსლვისა-თუს მარხვათამასა და მეცნისისათუს ფსალმუნისა", იოანე ოქროპირის ოთხი სიტყვა: "ზზობისათუს", "და იუდამას მიერ განცემისათუს და ვნებისათუს უფლისა", "განცემისა-თუს იუდამსგან და მიცემისათუს წმიდათა საიდუმლოთამასა, და რაოთა არა ვიქე-ნებდეთ ძვრსა" და "ვნებისათუს მაცხოვრისა ჩუენისა იესუს ქრისტისა, ძისა ღმრთისა, და ვითარმედ დღესა, რომელსა განვლინა აღაშ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა ავაზაკი სამოთხედ". თეოფილეს მიეწერება კიდევ ერთი სადღესასწაულო ჰომილის თარგმანი – ეპიფანე კვიპრელის "შუცლადღებისათუს ანნამსა, რაუამსვე ეხარა შობად წმიდისა ღმრთისმშობე-ლისად". მაგრამ სპეციალური კვლევა-ძიებით დგინდება, რომ მისი მთარგმნელია არა თეოფილე ხუცემონაზონი, არამედ ეფთვიმე ათონელი. თეო-ფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილ სადღესასწაულო ქადაგებათა შინაარსობრივი ანალიზი, მათი შედარება ორიგინალის ტექსტებთან და სხვა მონაცემების გათვალ-ისწინება, ერთი მხრივ, გვექმარება ბერძნული დელნების რაობის გარკვევაში, მეორე მხრივ, საშუალებას გვაძლევს დაკვირვება ვაწარმოოთ მთარგმნელის ლექსიკასა და ენობრივ თავისებურებებზე.

9. იოანე ოქროპირის "თარგმანებად დაბადებისად" ეგზეგეტიკური ჰომილეტიკის შესანიშნავი ნიმუშია. ეს თხზულება მკვლევართა ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მასში გამოყენებულია წმ. მოწამე ლუკანეს რეცენზიით გავრცელებული ბიბლიის ერთ-ერთი უძველესი ტექსტი, რომლითაც IV საუკუნეში საჩვენებლენენ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებში. მისი ბერძნული ორიგინალი დაბეჭდილია "პა-ტროლოგია გრეკას" 53-ე და 54-ე ტრამებში და შეიცავს 67 ჰომილიას. "დაბადების" კომენტარების ქართული თარგმანი კი შედგება 31 თავისა და შესაბამისად 31 ქადაგებისაგან (At.29). ეს 31 თავი საბოლოო ჯამში შექსაბამება მინის გამოცემის 30 თავს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თეოფილეს ხელთ ჰქონდა ზუსტად ამ მოცულობის



დედანი. რაც შექება თავად ეგზეგეტიკური ჰომილიების ძირითად ტექნიკურ წესების თული თარგმანი არსებოთად მიჰყვება ბერძნულ ორიგინალს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლის მთარგმნელობითი შეთოდის სიზუსტეს. "თარგმნებად დაბალებისამ" გადმოღებულია ქართულად თეოფილე ხუცესმონაზენის მიერ საბერძნეთში, მის შემოქმედების მიწურულს და გასრულებულია ათონის ივერთა მონასტერში. თხზულების დანარჩენი 37 ეგზეგეტიკური ჰომილის ტექსტი არ არის ცნობილი ჩვენს ძეგლ მწერლობაში.

10. თეოფილე ხუცესმონაზენის შემოქმედება თავისი ფესვებით უცილობელ კავშირშია მისი დიდი წინამორბედის, ეფთვიმე ათონელის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან და ერთგვარად აგრძელებს და ავითარებს ათონის სამწერლო სკოლის ტრადიციებს. თეოფილემ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის უმთავრესი ნაწილი სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასული კორპუსის ქართულად გადმოთარგმნას შეალია, ხოლო ქართული მეტაფრასტიკის სათავეებთან ეფთვიმე ათონელი იდგა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ითანა იქროპირის "სკეტიკონის" სახელით ცნობილი იყო თხზულება, რომლის მთარგმნელად თეოფილე ხუცესმონაზონი იყო მიჩნეული. აღმოჩნდა, რომ ეს ძეგლი სინამდვილეში წარმოადგენდა იქროპირის ეგზეგეტიკური თხზულებებიდან, უპირველეს ყოვლისა კი, სახარების მათეს თავის "თარგმანებიდან" ამოქრებილ სწავლათა კრებულს (ე. ი. "სწავლანს"). მასში მოთავსებული 19 სწავლიდან, 18-ის თარგმანი ეკუთვნოდა ეფვთომეს, ხოლო ერთის, მე-13 თავის ქართული ტექსტი – თეოფილეს. გაირკვა, რომ ეს მე-13 სწავლა იყო ითანა იქროპირის სხვა ნაწარმოების ნაწილი; კერძოდ, ტიმოთესადმი პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლის განმარტების IV თავის II ნახევარი. "სწავლანის" რედაქტორ-შემდგენლადაც თეოფილე უნდა ჩაითვალოს. X საუკუნის გასულს ეფთვიმე ათონელმა გადმოილო ქართულად ბერძნული "პატერიკი" ("წიგნი წმიდათა მამათამ"), რომელიც XI საუკუნის 80-იან წლებში კვლავ თარგმანა თეოფილე ხუცესმონაზონშა. შეღებილობის თვალსაზრისით ეს პარალელური თარგმანები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეფთვიმეს ტექსტი შეიცავდა 13 თავს, ხოლო თეოფილესი – შესავალს და 25 თავს (ე. ი. სულ 26 თავს). ქართული თარგმანების ურთიერთშედარებამ და მათმა მიმართებამ



ბერძნულ ორიგინალთან გამოავლინა შემდეგი: თეოფილესა და ეფთვიმეს ჰიანტერტების განეცუთვნება ჩვეულებრივი სისტემატური კოლექციის პატერიკონთა შეუზე, თუკი მათი ზუსტი ანალოგები ბერძნულად უკვე აღარ არსებობს. ისინი განსხვავდებიან ორიგინალის ნუსხებისაგან როგორც მოცულობით, ისე, რიგ შემთხვევაში, ავტორთა რიგითაც. "პატერიკის" თეოფილესული თარგმნი ზუსტად არის გადმოღებული ბერძნული ენიდან, ხოლო ეფთვიმეს ტექსტი გამოკრებითი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს (არ გამოიჩიცხება მეორე ვერსიაც, რომ არსებობდა ეფთვიმეს თარგმანის ანალოგიური დედანი). აშკარაა ისიც, რომ თეოფილესუცესმონაზონი არ იყენებს ეფთვიმეს მიერ თარგმნილ ტექსტს.

11. შესანიშნავ მწერლებს, დიდი გიორგი მთაწმიდლის მოწაფეებს – ეფრემ მცირესა და თეოფილესუცესმონაზონს მსგავსი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პრინციპები ჰქონდათ: ორივე მთარგმნელი სავალდებულოდ თვლიდა ორიგინალის ენიდან თარგმნას და ამავე ღრას ცდილობდა შეურყვნელი, სარწმუნო დედნის მოპოვებს; ორივე თავისი შემოქმედების კრედოდ სახავდა თარგმნის სიზუსტეს და თანაც ისე, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ქართული ენის ბუნება და სპეციფიკა. "მინა მეგკატელის წამების" მეტაფრასული რედაქციის მაგალითზე ჩანს, რომ ორივე მწერალი საქმაოდ კარგად ახერხებდა ლიტერატურულ-თეორიულ დებულებათა რეალიზაციას თარგმანში. თეოფილეცა და ეფრემიც იმდენად ზუსტად თარგმნან ამ თხზულებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მათი ფრაზეოლოგიაც კი ემთხვევა ერთმანეთს. კარგად გაღმოაქვთ ქართულად ცალკეული მხატვრული აღგილებიც. რაც შეეხება მათ პარალელურ თარგმანებს შორის არსებულ სხვაობებს, ისინი დედნისეულია და არა მათი საკუთარი შემოქმედების ნაყოფი. ქართული ტექსტების ურთიერთშედარებით და მათი შეპირისპირებით ბერძნულ ორიგინალთან, რომელიც დაბეჭდილია "ანალექტა ბოლანდიანს" მესამე ტომში, დამატებით ირკვევა შემდეგი: თეოფილეს თარგმნის დედანი ყველაზე ახლოს უნდა მდგარიყო სეიმეონ ლოლოთეტის ხელიდან გამოსულ "მინა მეგკატელის წამების" ბერძნულ ტექსტთან. შემდეგ ეს თხზულება გარკვეულშილად უნდა გადაემუშავებინათ. სწორედ ამგვარი რედაქტირებული ტექსტი უნდა დასდებოდა საფუძვლად მის ბერძნულ გამოცემას.



ამის შემდეგ მეტაფრასში კვლავ უნდა შეეტანათ ცვლილებები და ეს უნდა შეუძლია უნდა პერიოდა ეფრემს. ამრიგად, "შინა მეგაპტერის წამების" ეფრემისეულ და თეოფილესეულ თარგმანებს თავისი წვლილი შეაქვთ სვიმეონის მეტაფრასული ტექსტის თავდაპირველი სახის განსაზღვრაში. ამით ფასდება მათი ლირებულება ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში. ნაწარმოები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში გამოიყოფა ე.წ. შაბლონური ელემენტები და მოტივები, რომლებსაც შორეული პარალელები ექვებნებათ ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებში.

12. ქრისტიანი ავტორები წვალებათა ისტორიებს ყოველთვის ურთავდნენ ჰერმანიტი სარწმუნოების ძირითადი დოგმების განმარტებებს. ასე მაგალითად, ეპიფანე კვიპრელის "პანარიონი" მთავრდება ყოვლისმომცველი საეკლესიო სარწმუნოების გადმოცემით, თეოდორიტე კვირელის "შვალებლური შინაარსის კომპენდიუმის" მეხუთე თავში წარმოდგენილია ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმები, იმანე დამაკელის "წყარო ცოდნისას" მეორე ნაწილს – "წვალებათათვს", მოსდევს "გარდმოცემად" მართლმადიდებლური რწმენისა. ამავე კონტექსტშია გასააზრებელი თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ თარგმნილი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებები. ეპიფანეს "ოთხმეოცთა წვალებათათვს" ტრაქტატს ბუნებრივად აგრძელებს და ავსებს "აღსარებად მართლისა და უბიწოდსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისად", რომელიც თეოდორიტეს მიეწერება: 80 წვალების ცნობარს ქართულ თარგმანში მოსდევს ორი ფრაგმენტი მასალიანელთა წვალების შესახებ. ბოლო ფრაგმენტის ავტორი, როგორც სათაურშივეა გაცხადებული, არის თეოდორიტე. ცხადია, ამავე მწერლის სახელით ცნობილი ნაშრომი ბუნებრივად დამტოლოებდა თხზულებას. გარდა ამისა, ეპიფანეს მიერ აღწერილ ერქსებს, რომელიც IV საუკუნეში მოდის, ერთგვარად ავსებს "აღსარებადში" გაღმიცემული შემდგომი დროის წვალებანი და მწვალებლები, რომლებიც დაგმო შეიღმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ერთი სიტყვით, ამ ორი თხზულების ქართული თარგმანის ურთიერთკავშირი უცილობელი ფაქტია. საფიქრებელია, რომ ეპიფანეს "ოთხმეოცთა წვალებათათვს" და "აღსარებად" ერთად იყო წარმოდგენილი ბერძნულ ხელნაწერში და თეოფილემაც ერთდროულად გადმოიღო ისინი ქართულად. როგორც ჩანს, უცნობმა მწერალმა, არა უადრეს VIII საუკუნის გასულისა, ეპიფანე

კვიპრელის წვალებათა ცნობარს დაურთო "აღსარებას" ტექსტი, რომელიც მიწვრა  
თეოდორიტე კვირელს და ამგვარად შექმნა ორნაწილიანი მოკლე დოკუმენტი.  
პალემიკური ნაწარმოები. ეს ძეგლი თავისი მიზანდასახულებით მსგავსია იოანე დაშ-  
ასკელის "წყარო ცოდნისას" მეორე და მესამე ნაწილებისა - "წვალებათათვს" და  
"გარდამოცემას". ამრიგად, თეოდორეს ქართული თარგმანების სშუალებით საც-  
ნაური ხდება ახალი, სრულიად უცნობი დოკუმენტი შინაარსის კომ-  
პენდიუმი ბიზანტიურ ლიტერატურაში და ამითაც განისაზღვრება მათი დიდი  
მნიშვნელობა ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში.



## Феофил Иеромонах (Творческий портрет)

### Резюме

В грузинской литературе эпохи возрождения сохранилось мало сведений о Феофиле Иеромонахе. По одному тогдашнему преданию в ხუთ, т.е. 1174 году (A131, S30) в Грузию приехали переводчики книг: Ефрем Мцире, Феофил, Арсений Икалтоели и Иоанн Таричисдзе. Видимо, это предание было известно католикосу Антону I, ибо в "Мерном слове" он упоминает Феофила среди вышеперечисленных писателей. Иоанн Батонишвили, в сущности повторяет сведения Антона I о Феофиле в своей "Калмасоба".

Из исследователей XIX в. Мари Броссе первым упоминает Феофила в связи с "Житием Иллариона Картвели". По его мнению, это произведение по приказу императора Басилия сперва было написано по-гречески монахом Басилем, а затем было переведено на грузинский язык неким Феофилом. Это мнение разделяли Д.Бакрадзе и А.Цагарели.

Деятельности Феофила Иеромонаха коснулись также П.Иоселиани, М.Сабинин и епископ Кирион. Они считали Феофила переводчиком "Жития Иллариона Картвели" и его имя связывали с упомянутым Георгием Мцире Феофилом в "Житии Георгия Мтацминдели". Феофил присутствовал на проведенном в 1057 г. в Антиохии известном лиспите по вопросам веры между Георгием Мтацминдели и патриархом Феодосием.

Идентификацию Феофила Иеромонаха и митрополита Феофила Тарсийского, К.Кекелидзе счел неверной в очерке "Отрывок из истории грузинской агиографии ("Житие Иллариона Кортвели")". В 1918 г., в предисловии к изданию грузинских агиографических памятников, учёный впервые коснулся переводческой деятельности Феофила. А в целом же, с именем К.Кекелидзе связано научное изучение жизни и литературного наследия этого писателя. Ученый на основе изучения, опубликованного Р.Блейком "Каталога грузинских рукописей библиотеки Афонского Иверского монастыря", особенно, на основе предисловия и завещания афонской рукописи №20, определил время жизни и деятельности Феофила, указал на начало его переводческой деятельности, выяснил основное направление деятельности переводчика и определил соответствующее ему место в истории грузинской литературы.

Отдельные переводы Феофила разбирали Р.Мимишвили, М.Двали, Л.Ахобадзе и К.Салагая. Писателя как автора или как одного из возможных переводчиков "Жития Иллариона Картвели", коснулись Б.Килинава и М.Долакидзе. Они не разделили мнение К.Кекелидзе, по



которому автором метафрастического "Жития Иллариона" Феофил Иеромонах или "Таргмани".

Имя Феофила упоминает также Л.Менабде в связи с константинопольскими очагами грузинской литературы.

В 1980 г. была опубликована книга Дж.Апиаури "Житие Георгия Мтацминдели" Георгия Мцире". Исследователь попытался пересмотреть традиционную дату (1066-1068гг.) написания произведения Георгия Мцире и вновь поставил вопрос об идентичности Феофила Иеромонаха и митрополита Феофила Тарсийского. На эту книгу отозвался Ив.Лолашвили. Он совершенно убедительно доказал достоверность традиционной даты написания "Жития Георгия Мтацминдели" и также справедливо не принял ошибочную версию, будто Феофил принял католическую веру, факт которого вообще не существует в древнегрузинских или зарубежных источниках.

Работой Ив.Лолашвили "Новшества Афонских грузинских рукописей" начался новый этап изучения жизни и деятельности Феофила Иеромонаха. Он первым изучил микрофильмы (Ат. 20,29,36,37) автографов Феофила, вынес на свет божий новые, до того неизвестные нашим ученым материалы о литературной деятельности писателя, выявил его незнакомые поэтические сочинения—10-ти и 16-ти сложные оригинальные стихотворения и дал им первую научную оценку.

В связи с метафрастикой творчества Феофила касались В.Баакашвили, Эл.Хинтибидзе, Р.Сирадзе и Т.Грделидзе.

Коллектив Института рукописей им. К.Кекелидзе начал системную публикацию Метафрастических литературных памятников. Уже выпущены сентябрьские чтения. Их издатель Н. Гогуадзе подготовила к печати метафрасы того же месяца в переводе Феофила Иероменаха, а Л. Ахобадзе и М. Квачадзе — материалы чтения на ноябрь и декабрь. Н. Гогуадзе написала также заслуживающие внимания историко-филологические исследования о метафрастике и о литературной деятельности Феофила.

Сотрудники научной лаборатории "Орион" ТГУ — Т. Цкитишвили и Т. Цопурашвили подготовили к печати "Беседы на книгу бытия" Иоанна Златоуста в переводе Феофила, которая скоро увидит свет.

За последнее время было напечатано интересное исследование Е. Метревели о жизнедеятельности Феофила Иеромонаха ("Очерки из истории Афонского культурно-просветительского очага"). Опираясь на завещания-приписки к автографическим рукописям грузинского переводчика исследователь рассмотрела отдельные периоды деятельности Феофила, представила собственную, очень вразумительную версию пройденного им жизненного пути. Эта работа совершенно по новому освещает некоторые неясные места в биографии писателя.

\*\*\*



Феофил Иеромонах родился приблизительно в конце 30-х или же в начале 40-х годов XI в. Родителями его были Мариам и Иоанн, а воспитателем и наставником – Георгий Мтацминдели. Думается, что Феофил был одним из сирот, которых в начале 60-х годов взял на воспитание и образование приехавший в Грузию Георгий. Видимо поэтому Феофил упоминает себя как “мцыри”, “нищего” и “сироту”, воспитанного Георгием Мтацминдели (At. 29). Вероятно под его же руководством он изучил греческий язык и получил первые уроки в переводческом искусстве. В период обучения (1060-1065гг) Феофил должен был сблизиться с сыном Баграта IV, Георгием II, который в последствии стал одним из заказчиков и инициаторов его переводов. Как сообщает Георгий Мцире, маленького царевича Баграт IV отдал на воспитание тому же гиоргию Мтацминдели.

В различные периоды деятельности учителями-наставниками Феофила были: Иоанн Рехуеслзе, Саба Тухарсели, Клими Меудабное и Басилий Улумбиели.

Феофил безусловно был в составе тех 80-учеников, которых Георгий Мтацминдели взял с собой в Константинополь. А после кончины наставника он же в составе траурной процессии сопровождал его в Афонский Иверский монастырь. Однако, кажется, он недолго оставался на Афоне (в тексте Вступления метафраса на сентябрь внимание привлекают слова писателя: “Оставил я заботы о душе своей и покаяние о грехах своих” и осмелился переводить книги с греческого языка на грузинский (At. 20). Он возвратился в Константинополь при помощи царицы Марии и ее окружения, углубил греческое образование и приступил к переводческой деятельности.

Сделать такой вывод позволяет известное завещание “Жития Потапа”, в котором Феофил пишет: “Знайте, что перевел еще в юношеские годы для царицы Марии, но, а теперь, в годы старости, вновь заставил себя переводить” (К5, 123г). Как видно, Феофил с юношеских лет приступил к переводческой деятельности, его первые переводы читала царица Мария и морально и материально подбадривала молодого писателя. Его первыми переводами были метафрастические чтения. Учитывая то, что в завещании 1081г. Феофил представляется нам давно вышедшим из юношеского возраста (“Не упоминай грехи моего юношества и невежества!” (At.20), тогда получается, что литературную деятельность он должен был начать уже в 60-ые годы XI в (точнее в 1066-1070г.г.).

В 70-ые годы XI в. под покровительством той же царицы Марии Феофил Иеромонах утвердился в царском монастыре Триандафлива в Константинополе и “по приказу и поддержке” царя Георгия (1073-1089) приступил к систематическому переводу метафрастических книг Симеона

Логофета на грузинский язык. В 1081г. в Триандафливе Феофил завершил перевод и переписку первой из двенадцати сборников Симеона – *метафрас на сентябрь* (At. 20). Предполагаем, что здесь же закончил он перевод ноябрьского чтения (At.36-37).

Во второй половине 80-ых годов XI Феофил перешел в Афонский Иверский монастырь. Его нашел и перевел сюда Евгений, который позже стал наставником Иверского монастыря. Об этом писатель сообщает в одном из завещаний: “Господь благослови Евгения! Немало потрудился он на поиски, возвращение и деятельность мою. Вознагради Бог его многократно” (A1105, 377v). Здесь в Иvironе по заказу монаха Клима он перевел греческий “Патерик”. В завещании переводчика читаем: “Благословите все монаха Клима, ибо после Бога и его святых, с его деянием переводится эта святая для души книга. Да будет вечная память и благословение его, амин!” (A1105, 163v).

Либо в конце 80-ых, либо в начале 90-ых годов Феофил Иеромонах едет в Грецию и там приступает к переводу на грузинский язык коментариев “Бытия” Иоанна Златоуста. Завещание к произведению гласит: “На земле Эллады был начат, а на Мтацминде был завершен и там же пожертвован рукой грешного Феофила” (At. 29).


Думается, что в Грецию Феофила прегласила царица Мария для работы в свой новый частный Папикионский монастырь. Но Феофил там оставался недолго. Он вновь возвратился на Афон, там завершил перевод коментариев “Бытия” и тамже пожертвовал его.

Писатель до конца жизни не прекращал литературной деятельности. Уже довольно в преклонном возрасте он переводит декабрьские чтения Симеона Логофета.

Согласно преданию, в начале XII в Феофил приехал в Грузию и здесь же нашел вечный покой.

Литературное наследие Феофила Иеромонаха довольно обширно и разнообразно. Часть рукописей Феофила, видимо, потеряна, но несмотря на это, оставшаяся часть очень цenna для истории грузинской литературы.

Феофил плодотворно трудился в нескольких жанрах церковной литературы: в гомилетике и егзегетике, в аскетике-мистике, в догматике и в полемике. Он перевел на грузинский язык такой фундаментальный труд Иоанна Златоуста, как “Беседы на книгу Бытия”, а также гомилии Иоанна Домаскина, Кирилла Александрийского, Анастасия Синаитого и того же Златоуста. Он же перевел греческий “Патерик”; опираясь, в основном на переводы Евфимия, составил очень оригинальный сборник “Поучений” Златоуста. Грузинские переводы “О восмидесяти ересях” Епифания Кипрского и “Исповедания” известного под авторством Феодорита



Киррского, как видно, были выполнены писателем одновременно с другой целью – это была еще одна попытка ввести в древнегрузинскую литературу произведение подобное “Источику знания”.

В литературном наследии Феофила Иеромонаха особое место, все-таки, занимает метафрастическая агиография.

Переводческую деятельность Феофил начал с переноса образцов метафрастики на грузинский язык. Еще в молодости перевел он “Жизнь Потапа”, а с 1073г. приступил к последовательному переводу на грузинский язык книг Симеона Метафраста. Писатель полностью перевел сентябрьский метафрас, который состоит из 27 чтений (из них перевод одного текста – “На Вознесение Креста” принадлежит Евфимию Афонскому). Метафрастические чтения на октябрь, которые обязательно перевел бы Феофил, утеряны. От ноябряских – до нас дошло 8 произведений, однако не видно еще двух. Из декабряских агиографических чтений сохранилось только 5. Если к этому добавим еще 6 праздничных гомилий с надписью “Феофил Таргани или Переведен Феофилом”, то получается, что до нас дошло около 45 метафрастических чтений в его переводе. А это довольно значительный вклад в агиографическую литературу и вообще, в историю метафрастики.

Феофил Иеромонах – писатель, одаренный поэтической способностью. Уже в его приписках-завещаниях видны глубокий лиризм, чувство ритма, созидательное отношение к художественной словесности. Поэтому не случайно, что в автографических рукописях Феофила обнаружены 10-ти и 16-ти сложные стихотворные сочинения, которые впервые изучил и опубликовал Ив. Лолашвили.

